


# საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა



მეცნიერებათა აკადემიის  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

6 7 8 8 1 6

8 1 8 1 6 1 7 3 0 2 0

# რუსოფობია

ანუ კოეზური იმპერიალიზმი  
ღოგონოსოვიანი ევროპეანობა

1 6 7 3 6 3 3 0

768853

ეს ნარკვევი იმ ფენომენის რეალური არსის წარმოჩენის მცდელობაა, რასაც ზოგიერთი „ქართულ რუსოფობიას“ უწოდებს. „სარკვევ მასალად“ გამოყენებულია რუსული პოეზია, კერძოდ კი, მისი დროში უცვლელი, მითოლოგიზირებული, დერჟავულ-იმპერიალისტური დისკურსი. ამ კუთხით მოკლედ მიმოხილულია გამოჩენილი რუსი პოეტების შემოქმედება.

წიგნი განკუთვნილია რუსული პოეზიითა და რუსული იმპერიალისტური მსოფლალქმის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის, რომელიც, ვიმედოვნებთ, ცოტა რამ მისთვის ახალს მიაკვლევს აქ.

ამ, ფაქტობრივად, ორენოვანი პუბლიკაციის აღქმისათვის სასურველია, მაგრამ აუცილებელი არ არის რუსული ენის ცოდნა: პოეტური ტექსტების უმეტესობას თან ერთვის ქართული ბნკარედული თარგმანი; თარგმანის გარეშე მხოლოდ წმინდა ლირიკული ტექსტებია მოყვანილი.

წიგნში ციტირებული რიგი ნაწარმოებებისა სხვადასხვა დროს ნათარგმნია სხვადასხვა ქართველი პოეტის მიერ, მაგრამ ჩვენ ასეთ შემთხვევებშიც ბნკარედულ გადმოქართულებას მივანიჭეთ უპირატესობა, რათა მაქსიმალური მიახლოებით გამოგვეცა ორიგინალის შინაარსი.

ავტორის შესახებ: ნუგზარ ზაზანაშვილი (დაიბ. 1957) – პოეტი და ესეისტი; მისი ლექსები და ესეები პერიოდიკაში იბეჭდება 1980 წლიდან; ავტორია ლექსების სამი წიგნისა (ერთი მათგანი „საბა 2006“-ის ნომინანტია).

ISBN 978-9941-463-79-2

© ნუგზარ ზაზანაშვილი, 2017.

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2017.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

- 005 წინათქმა
- 011 შესავალი
- 015 მამათავრებაი
- 018 მისიერ დომონსოვი
- 024 აღქმანდრა სუბაროვი
- 028 ბაჩიერ დენაჰინი
- 037 კავკასიის ბამონება
- 042 ვასილ შაჰოვი
- 048 აღქმანდრა მინოჰოვი
- 058 აღქმანდრა შაჰინი
- 080 მისიერ დომონსოვი
- 105 დიდი მისთიჟიკაშორი
- 106 ჟიჟორი ტიუტაჰი
- 123 ნოზანთიჟიღინ მოღინიჟიჟიკა
- 124 ნიჟორიზ ნეჟანოვი
- 124 აფანასი ჟუტი
- 132 იაკოვ პოლონსკი
- 137 მელანკოლიკი იბანიანილი
- 138 ვლადიმერ სოლოჰოვი
- 155 მითოსქმნის მოღინიჟიკა
- 160 ვიჟიკაჰ ივანოვი
- 168 კონსტანტინე ბაღოშტი
- 178 ვადანი ბიჟოვი
- 187 მითილი იბანიის მითოსის სათაჰე
- 190 აღქმანდრა ბოჟი

204	ანდრეი ბაი	100
213	ТАК ЗА ЦАРЯ, ЗА РОДИНУ, ЗА ВЕРУ!	101
216	ნიკოლოზ ბაშირიძე	102
224	ანა ახაშვილი	103
232	მარინა სვიატაევა	104
247	ფუტურიზმი – ღინჯავის სამსახური	105
250	ველიჩერ ხვანისკვი	106
258	ვლადიმერ მაიაკოვსკი	107
273	„ახალგაზრდი“ შიშოლოშია	108
278	ნიკოლოზ კლიუვი	109
286	სარგაი ესენინი	110
299	მუხ-ნაკვებად რისტანყინაზანი	111
302	ოსია მანდელშტამი	112
312	ზორის პასტერნაკი	113
322	ივან სვიატოვსკი	114
326	მამსილიან ჰოლოშინი	115
332	იოსიფ ბროდსკი	116
336	მისაილ კუზნეტი	117
341	საბოთა და პოსტსაბოთა ბადამღინაზა	118
347	ХОТЯТ ЛИ РУССКИЕ ВОЙНЫНЫ?	119
348	ევგენი ევსუფენკო	120
357	სხვა „ანთოლოგიური“ პოეზიები	121
358	ნიკოლოზ ტრიაკოვინი	122
358	ნიკოლოზ სტანინოვი	123
358	ალექსანდრე კუპაჩინი	124
358	მარინა სტრუკოვა	125
358	ევგენი ჩუკინი	126
367	შენიშვნები და დათმობები	127

## წიგნობა

„ჩვენ ვიდრე ვიბრძვით, იქამდე ვართ ანგარიშგასა-  
ნევი ხალხი მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. ამიტომ,  
უპირველეს ყოვლისა, როგორმე უნდა გავაცნობიეროთ,  
სამასწლოვან ომში რომ ვართ ჩართულნი და აგვის-  
ტოს ომი მხოლოდ ეპიზოდია ამ ომისა. ომი, რომელსაც  
ჩვენ „ორდღიანი“ დავარქვით, პეტრე პირველის დან-  
ყებულთა (...)¹ და (...) ღმერთმა იცის, როდის ან როგორ  
დამთავრდება, რუსეთი შეიცვლის ზნეს თუ ჩვენ ავილაგ-  
მებით პირისაგან მიწისა“.

ოთარ ქილაძე

ამ ნარკვევის დაწერა გადამანყვეტინა ზოგიერთი  
ჩვენი ინტელექტუალის კიჟინმა ქართველებისათვის  
დამახასიათებელი „დაავადების“ – რუსოფობიის –  
შესახებ.<sup>2</sup> ამასთან, ეს უთუოდ ერუდირებული და  
ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანები ჩვეულებრივ  
მარტივი დეკლარირებით კმაყოფილდებიან, დე-  
ტალებს ყურადღებას არ აქცევენ. არადა ჩაღრმავება  
ურიგო არ იქნებოდა: როგორც მკვლევრები აღნიშ-  
ნავენ, არსებობს რუსოფობიის სხვადასხვა „სახეობა“  
– ელიტარული, მასობრივი, პოლიტიკური, სიტუაცი-  
ური და სხვ.

¹ (...) – ფრჩხილებში ჩასმული სამი წერტილი აქ და ქვე-  
მოთ გამოტოვებულ ტექსტს აღნიშნავს.  
² ტექსტის ეს ნაწილი და ზოგიერთი სხვა ფრაგმენტი  
სამი-ოთხი წლის წინ დაინერა. დღევანდელი მოვლე-  
ნების ფონზე ასეთი „კიჟინი“ მინავლებულია.

ზოგადად, რუსოფობია არახალი მოვლენაა: იგივე მკვლევრები ფიქრობენ, რომ ეს ტერმინი პირველად დიდმა რუსმა პოეტმა ფიოდორ ტიუტჩევმა გამოიყენა (მისი რელიგიურ-პოლიტიკური შეხედულებების შესახებ ქვემოთ ცალკე ვისაუბრებთ): 1867 წლის 26 სექტემბერს თავისი ქალიშვილისადმი მიწერილ წერილში ტიუტჩევი პროდასავლურად განწყობილ თავის თანამემამულეებს სწორედ რუსოფობიაში ადანაშაულებს [1].<sup>1</sup>

ამის შემდეგ ეს ტერმინი სხვადასხვა კონტექსტში საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა. თუკი ჩავიხედავთ რუსულ ვიკიპედიაში, აქ ამ ტერმინით აღნიშნული ცნებისა თუ მოვლენის არა მხოლოდ გენეზისს, არამედ მოკლე, მაგრამ მეტად საგულისხმო ანალიზსაც აღმოვაჩინთ: მიზეზების დასახელების ფონზე, აქ საუბარია ფინელების, უნგრელების, პოლონელების, ჩეხების, ბალტიისპირელების და სხვათა რუსოფობიაზე. ქართველების რუსოფობიაზე სტატიაში ცოტაა ნათქვამი, მხოლოდ ერთი ციტატაა მოყვანილი – და იცით საიდან? – ჟურნალისტ ალექსანდრე რუტკოვსკის ინტერვიუდან კინორეჟისორ ოთარ იოსელიანთან [2]; რესპონდენტი ამბობს: „თქვენ მე ტვინს ვერ ამირევთ, რადგან არაფერი გესმით!.. და დამანებეთ თავი! რუსეთთან მშვიდობა ჩვენ არასოდეს გვექნება!.. თუკი ადრე ჩვენ ის გვეზიზღებოდა, ახლა უკვე სიძულვილი წარმოიშვა. ეს ძალიან სერიოზულია. ამიტომ

<sup>1</sup> დამატებით შენიშვნებს, განმარტებებსა და გამოყენებული ტექსტების დამოწმებებს შეიცავს ამ წიგნის ბოლო თავი.

იცხოვრეთ რუსებთან – როგორც გენებოთ, ჩაეხუტეთ მათ და იძახეთ, რომ NATO საფრთხეა, ხოლო რუსეთი – უსაფრთხოება; მაგრამ წარსულში მიბრუნება შეუძლებელია! მოთმინებისა და ზიზღის 200 წელი დასრულებულია!“

ამავე ლოგიკით ამ ნარკვევის ეპიგრაფად გატანილი ციტატის ავტორიც რუსოფობიით შეპყრობილებში უნდა ჩაგვერიცხა, მაგრამ საკითხი ასე მარტივი არ არის: რალა თქმა უნდა, არც ოთარ იოსელიანს სძულს და არც ოთარ ჭილაძეს სძულდა რუსი ხალხი, რუსული კულტურა. მეორე მხრივ, საკითხი მარტივიცაა: ეს არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთებიდან ბუნებრივად მომდინარე პათოსი; რუსეთის იმპერიის, დამპყრობლის მიმართ შიშით გამონეწეული პათოსი! და ამ კონტექსტში, თუკი ბოლოსართ „ფობიას“ თავის თავდაპირველ მნიშვნელობას დავუბრუნებთ („ფობოს“ – შიში), ოთარ ჭილაძესაც, აკაკი ბაქრაძესაც, ოთარ იოსელიანსაც, მერაბ კოსტავასაც, ზვიად გამსახურდიასაც და ჩვენს ბევრ სხვა ცნობილ მოღვაწესა თუ „უცნობ“ თანამემამულეს სჭირდა და სჭირს რუსოფობია და ეს არა მგონია, გასაკვირი იყოს; ხოლო თუკი „ხალხის სიძულვილზე“ ვისაუბრებთ, აქ სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება.

\*\*\*

მეც და ჩემი მამა-პაპაც დავიბადეთ და გავიზარდეთ თბილისის ერთ ძველ უბანში, იმ მოედნის უშუალო სიახლოვეს, რომელიც ერთ დროს მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის სახელს ატარებ-

და. ჩემს ბავშვობასა და სიჭაბუკეში ამ მოედანს მარქსის სახელი ერქვა, ბოლოს კი, თუ არ ვცდები, „დაძმობილებული ქალაქის“, ზაარბრიუკენის სახელი დაარქვეს; თუმცა, უბანს დღესაც „ვარანცოვს“ ეძახიან.

ეს უბანი მუდამ ინტერნაციონალური იყო. ქართველების გვერდით ცხოვრობდნენ სომხები, ქურთები, ასირიელები, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ებრაელები; კარს არავინ კეტავდა და ასე ვიყოფდით ჭირსა და ღვინის. დღესაც, ისეთ ორგანიზაციაში ვმსახურობ, რეგულარული ურთიერთობა მაქვს სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, რუსებთან, თურქებთან, ირანელებთან და სხვ. ისინი ხშირად ჩამოდიან, დავდივართ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და შემოდის, დაბეჯითებით ვთქვა: ქართულ „მასას“ თუ „ფართო მოსახლეობას“ რუსები არ სძულს (ამაზე ნარკვევის ბოლოს კიდევ ვისაუბრებთ)...

ამ სიბრტყეზე სრულიად საპირისპირო მოვლენაზე, რუსული „მასის“ კავკასიელებისადმი, კერძოდ კი, ქართველებისადმი სიძულვილზე, „კავკაზოფობიაზე“ თუ „გრუზინოფობიაზე“ უფრო უპრიანი საუბარი.

რუსეთის იმპერიის ხანას თავი რომ დავანებოთ (ამაზე ქვემოთ დანვრილებით ვისაუბრებთ), სიმართლეს არ შეესაბამება ის, რომ კომუნისტების დროს რუსულ მოსახლეობას ქართველები უყვარდა: სტალინის პერიოდში რუსს ავის თქმა ეშინოდა, შემდგომ კი აღარ მალავდა „სიყვარულს“ – სპეკულანტებს (ანუ მაშინდელი გაგებით, კანონის დამრღვევ წვრილ გადაწყიდველებს) „გრიზუნებს“

(ანუ მღრღნელებს – სიტყვას, მიღებულს „გრუზინის“ მარტივი გადასხვაფერებით) და შავტრ... იანებს (черножопые) გვინოდებდა. ისიც საგულისხმოა, რომ სიძულვილს რუსული ინტელიგენციის ზოგიერთი ცნობილი, ოდიოზური წარმომადგენელი მაშინაც დაუფარავად გამოხატავდა. აღარაფერს ვამბობ დღევანდელიაზე...

ანუ ხსენებული ინტელექტუალები მოვლენებს ტენდენციურად, არაობიექტურად, შეიძლება ითქვას, უკულმა წარმოგვიდგენენ და, ალბათ, ეს ნარკვევი ამასთან დაკავშირებით წარმოშობილმა უსამართლობის განცდამაც დამანერინა.

წერილი ძირითადად „ნეიტრალური“, პოეტური მასალის გამოყენებითაა აგებული. რატომ – პოეზია? იმიტომ, რომ მე მას უკეთ ვიცნობ და კიდევ იმიტომ, რომ „პოეტი რუსეთში პოეტზე მეტია“! –

Поэт в России – больше, чем поэт.

В ней суждено поэтами рождаться  
лишь тем, в ком бродит гордый дух гражданства,  
кому уюта нет, покоя нет.

Поэт в ней – образ века своего  
и будущего призрачный прообраз.

Поэт подводит, не впадая в робость,  
итог всему, что было до него.

<sup>1</sup> რუსული იდეოლოგიური პოეტური ტექსტების შემდეგ მოცემულია ქართული ბნკარედული თარგმანი – ზოგიერთი განმარტებით; წმინდა ლირიკულ ტექსტებს თარგმანი არ ახლავს.

პოეტი რუსეთში პოეტზე მეტია.  
პოეტად დაბადებას რუსეთი წილად  
მხოლოდ მათ არგუნებს,  
ვისაც მოქალაქეობის ამაყი სული არ ასვენებს,

ვინც ვერ ეგუება სიმყუდროვეს, ვერ ეგუება სიმშვიდეს.  
პოეტი რუსეთში თავისი საუკუნის სახე  
და მომავლის მოლანდებული პირველსახეა.  
პოეტი მოურიდებლად აჯამებს  
ყველაფერს, რაც მანამდე მოხდა.

#### ევგანი ვეტუშენკო

მთავარი მიზანი კი იმის ჩვენებაა, თუ რა ნიადაგზეა ამოზრდილი „ქართული რუსოფობია“, თუ როგორ ჰქონდა და აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში რუსული ინტელიგენციის ამ – „პოეტურ“ – ნაწილსაც კი რუსული დერჟავულ-იმპერიალისტური მისტიკა თუ ვირუსი.

ჩემდა უნებურად, წერილი იმაზე გაცილებით ვრცელი გამოვიდა, ვიდრე ვვარაუდობდი – საკითხმა ბევრი სხვა, თანამდევნი თუ ასოცირებული, „თემა და მოტივი“ მოიზიდა, რაც ველარ დავთმე, ველარ ამოვშალე. ეს „ვარიაციები“ თავისთავად საინტერესოა და იმედი მაქვს – არა მხოლოდ ჩემთვის.

## შენსაკლი

იმხანად ხელში ჩამივარდა 2006 წლის „ლიტერატურნაია გაზეტას“ პირველი ნომერი, სადაც ერთ საგულისხმო პუბლიკაციას წავაწყდი: რუსეთში ცნობილი პოლიტოლოგი, დოქტ. ციპკო ლანძღავს პუტინამდელ ლიბერალებს, „ბრწყინვალეს“ უწოდებს პუტინის საგარეო პოლიტიკას და დიტირამბებს უმღერის რუსეთში „მიმდინარე ახალგაზრდულ ნაციონალ-კონსერვატიულ რევოლუციას“ [3]. წერილი უეჭველად პროგრამულ ხასიათს ატარებდა და მასში გამოთქმულმა აზრებმა და შეფასებებმა, ცოტა არ იყოს, შემამოფოთა.

სწორედ ამის გამო დავწერე მოკლე, ერთგვარი „გამაფრთხილებელი“ წერილი და გადავუგზავნე ერთ-ერთი პოპულარული გამოცემის რედაქციას. წერილი არ დაიბეჭდა, რაც „პოლიტ. სიფრთხილის“ გამოვლინების ნიშნად მივიჩნიე და დამავინწყდა კიდევ ამ წერილის არსებობის შესახებ, ვიდრე ერთმა ჩემმა მეგობარმა არ მითხრა – ეს რა წერილი დაგინერია, არ გეშინიაო... რომელი წერილი-მეთქი – სულ სხვა წერილზე გავიფიქრე; მომიტანა გაზეთი და ეს შენი (ანუ ჩემი) „კავკასია – რუსეთის უჭკნობი სიყვარული“ არ აღმოჩნდა! გამიკვირდა, მაგრამ მაშინვე მივხვდი: უკვე 2009 წლის თებერვალი იდგა...

აი, ამ წერილის ბოლო აბზაცები: „რუსული დერჟავულობის დოქტრინა ფენიქსივით უკვდავია – ხანმოკლე „მიცვალებების“ შემდეგ ფერფლიდან სალ-სალამათი აღიდგენს ხოლმე თავს: 1917 წლის

რევოლუციებამდე მას ცარისტული შეფერილობა ჰქონდა, ლენინურ-სტალინურ-ბრეჟნეველ პერიოდში – კომუნისტური. დღესაც, ახლა უკვე სტრუქტურული [4] ეკლექტური ინტერპრეტაციით, ის უდევს საფუძვლად რუსეთის ინტელიგენციისა თუ პოლიტიკოსების დიდი უმრავლესობის შეხედულებებს. დერჟავულობის დოქტრინას იზიარებდა და იზიარებს თითქმის ყველა ცნობილი რუსი პოეტი, მწერალი თუ კულტურის მოღვაწე – (...) ის ფენა, რომელიც აყალიბებდა და აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს რუსეთში.

აკაკი ბაქრაძემ ნიგში „მწერლობის მოთვინიერება“ [5] ეს ფენომენი დაახასიათა: „ჯერ რუსული მართლმადიდებლობით ქადაგებდნენ კაცობრიობის გადარჩენას, ახლა – რუსული სოციალიზმით. მან ისე დააჩლუნგა უბრალო რუსი მოქალაქის გონება, რომ, როცა ვისმეს დასამონებლად და დასაჩაგრავად გზავნიან, ჰგონია მის გადასარჩენად და დასახმარებლად მივდივარო. რუსეთმა კავკასიის, ბალტიისპირეთის, შუააზიის ხალხები ისე დაიპყრო, რომ რუსეთის კულტურის მოღვაწეთა შორის ერთი კაციც კი არ აღმოჩენილა ისეთი, ვინც პირუთვნელად ამხელდა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას. პირიქით, ხოტბა-დიდებას უმღერდნენ“. ბატონი აკაკი გასული საუკუნის ოთხმოცი-ოთხმოდთმეათეანი წლების მიჯნაზე განვითარებული მოვლენების ფონზე (...) „ორი რუსეთის“ – ლიბერალურის და რეაქციულის – არსებობის იდეას იზიარებდა: „თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ რუსეთის უკეთესი შვილები მიხვდნენ

რუსული კულტურის საბედისწერო შეცდომას და ყოველ ღონეს ხმარობენ მის გამოსასწორებლად (...) რუსული კულტურის ავტორიტეტიც აღდგება და რუსული კომუნისტური იმპერიის დამონებული ხალხებიც განთავისუფლდებიან“.

სამწუხაროდ, რუსეთის „უკეთესი შვილები“, როგორც ყოველთვის, უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ხოლო დერჟავულობის მიმდევრები, პოზიციების ეპიზოდური დათმობის შემდეგ, სულ უფრო მეტ ძალას იკრებენ.

რუსული კულტურა უთუოდ დიდმასშტაბიანია, მისი ფორმა-შინაარსი უეჭველად მრავალფეროვანია, ღრმა და ცვალებადია დროში; ერთი მხარეა მხოლოდ პრიმიტიული და უცვლელი – დერჟავული იდეოლოგია, თუ დერჟავულობის კომპლექსი, რომლისგანაც რუსეთი, აგერ უკვე ხუთ საუკუნეზე მეტია, ვერა და ვერ განიკურნა. ამდენად, რუსეთის კავკასიისადმი და კერძოდ, საქართველოსადმი „სიყვარულის“ განელების იმედი ახლო მომავალში არ უნდა გვქონდეს...“ (ციტატის და წერილის დასასრული [6]).

მოკლედ – ეს ნარკვევი იმ წერილის განვრცობილ ვარიანტადაც შეიძლება მივიჩნიოთ, ოღონდ აქ ყურადღება პოეტებსა და ლიტერატურულ ტექსტებზეა ფოკუსირებული; თუმცა, საკმაო ყურადღება ეთმობა ისტორიულ, ისტორიოსოფიურ და ფილოსოფიურ ნაშრომებსაც.

ძველებურად თუ ვიტყვით, ეს ნარკვევი, დიდწილად, ეძღვნება დერჟავულ-დამპრობლურ თუ ნაციონალ-იმპერიალისტურ თემას რუსულ პოეზიაში.





საქართველოს ეკლესია  
საგარეო ურთიერთობების განყოფილება  
საგარეო ურთიერთობების განყოფილება  
საგარეო ურთიერთობების განყოფილება

საქართველოს ეკლესია



თანამედროვე გაგებით რუსული ლიტერატურული ენა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა და ჩვენც ამ პერიოდით დავიწყებთ.

აიღვა რა ლიტერატურული ენა, რუსული პოეზია დაუყოვნებლივ შეუდგა პოეტური მითების თხზვას თუ არსებული მისტიკურ-რელიგიურ-ისტორიოსოფიური მითების გალექსვას, „პოეტურ ამეტყველებას“. ასეთი გარჯის მთავარი, სიღრმისეული, გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი მიზანი კი ერთი უნდა იყოს: ქვეყნის განვითარებისა და მართვის ოქროს ურდოდან გამომდინარე „სტილის“ (ამაზე ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ), ეგრეთ ნოდებული ცარიზმის და, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული, რუსული მართლმადიდებლობის დერჟავული, იმპერიალისტური არსის „პოეტური გააზრება“, მისი რელიგიურ-მისტიკური „საფუძვლების“ გამყარება-განვითარება და, საბოლოოდ, დერჟავულობისათვის „პოეტური ალიბის“ გამოგონება.

დაუინებით, ხმაშენწყობილად და თანმიმდევრულად ასრულებენ ამ ამოცანას ისინი, ვინც „დაარსა“ რუსული სალიტერატურული ენა – სხვადასხვა პოეტიკური და ზოგად-იდეოლოგიური მრწამსის მქონე, ზოგჯერ ურთიერთდაპირისპირებული პოეტებიც კი.

რუსულ მეცნიერებასა და მწერლობაში ყველაფერი ლოკონოსოვით იწყება და ჩვენც არ ვუღალატოთ ამ ტრადიციას.

# მიხეილ ლომონოსოვი МИХАИЛ ЛОМОНОСОВ

1711-1765



**მ**იხეილ (მიხაილო) ლომონოსოვი უთუოდ ნიჭიერი პიროვნება იყო: მეთევზე-გლეხის შვილი, არხან-გელსკის ოლქის „მიყრუებულ“ სოფელში მცხოვრები, 11 წლისა სწავლობს წერა-კითხვას, 19 წლისა განათლების მისაღებად ჩადის მოსკოვში და საბოლოოდ აკადემიკოსი ხდება. მისი ინიციატივითა და პროექტით 1755 წელს დაარსდა მოსკოვის უნივერსიტეტი.

იმავედროულად ის რუსული ლიტერატურული ენის დამამკვიდრებლადაც მიიჩნევა – ლომონოსოვი წერდა ლექსებსაც და თეორიულ ნაშრომებსაც ლიტერატურული ენის თაობაზე; მან, განავითარა რა დასავლეთში განსწავლული მეცნიერისა და პოეტის, ვასილი ტრედიაკოვსკის (Василий Тредиаковский, 1703-1769) ძიებები, „მონაწესრიგა“ რუსული ლექსი (რომელიც მანამდე პოლონური, სილაბური ლექსის „თარგზე იყო გამოჭრილი“) და დაამკვიდრა რუსული სილაბურ-ტონური ლექსწყობა.

ზოგიერთი რუსი ლიტერატურისმცოდნის შეფასებით, ლომონოსოვის პოეტური ამოცანა გახლდათ რუსული ეროვნული სახელმწიფოს სიძლიერისა და საგარეო-პოლიტიკური ძლევამოსილების, პეტრე I-ის საქმის განდიდება, რუსული მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების გზის მინიშნება, რასაც მას თვით ისტორიული განვითარების პროცესი კარნახობდა. ჰოდა, ლომონოსოვმა კიდეც დაიწყო „შემდგომი განვითარების გზის მინიშნება“, მათ შორის, ახლად ფეხადგმული პოეტური ენით გადმოცემული, ისტორიოსოფიური მითისქმნითა თუ არსებული რელიგიურ-პოლიტიკური მითების პოეზიაში გადმოტანით.

ლომონოსოვთან უკვე მინიშნებულია იმ მითების თუ მითოლოგიების უმრავლესობა, რაც შემდგომ რეგულარულად, ამა თუ იმ ინტერპრეტაციით, აისახება რუსულ პოეზიაში, და რაზეც ქვემოთ ჩვენც არაერთხელ მოგვიწევს საუბარი. ასეთებია:

„მესამე რომის“ მითის „განშტოება“ – მითი რუსეთის განსაკუთრებულობის, გამორჩეულობისა თუ რჩეულობის (избранный народ) შესახებ:

То род отверженной рабы  
В горах огнем наполнив рвы,  
Металл и пламень в дол бросает,  
Где в труд избранный наш народ  
Среди врагов, среди болот  
Чрез быстрый ток на огонь дерзает.

განკიცხული მონის გვარი,  
რომელმაც ცეცხლით აავასო თხრილები მთაში,  
ბარში ისვრის ლითონსა და ალს,  
სადაც სირთულეების გადასალახად რჩეული ჩვენი ხალხი,  
მტრებით გარემოცული, ჭაობებს შორის  
სწრაფ ნაკადს ლახავს და ებრძვის ცეცხლს.

(განკიცხული მონის გვარი – იგულისხმება ბიბლიური აგარი, აბრაამის მეუღლის, სარას მხევალი, ვისგანაც აბრაამს შეეძინა ისმეელი, რომელმაც, თავის მხრივ, დასაბამი მისცა არაბულ ხალხებს, უფრო ფართო გაგებით კი – ყველა მუსულმანს; ანუ აქ ლომონოსოვი მუსულმანურ სამყაროს გულისხმობს, რომელსაც იგერიებს „რჩეული“ რუსეთი).

ამ მითის „გამამყარებელი“ მითები ძველი რუსეთის სიძლიერის თუ სიდიადის შესახებ:

Не славны ль стали их потомки?  
Велик был Игорь, хоть и млад;  
Дела его при Понте звонки,  
Дрожал пред ним и сам Царьград.

განა სახელი არ გაითქვეს მათმა შთამომავლებმა?  
დიადი იყო იგორი, თუმცაღა – ჭაბუკი;  
პონტოზე მისი საქმეები ხმამაღლა ჟღერს,  
მის წინაშე ცარგრადიც კი თრთოდა.

(მათმა შთამომავლებმა = ძველი რუსეთის მთავრების შთამომავლებმა; პონტო = შავი ზღვა; ცარგრადი = კონსტანტინოპოლი; იგორი – იგულისხმება კიევის დიდი მთავარი იგორი, რომელიც, სავარაუდოდ, თავს ესხმოდა ბიზანტიას X საუკუნის 40-იანი წლების პირველ ნახევარში; ჯერ ერთი, ამ დროს ის ახალგაზრდა აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო; მეორეც – მას რაიმე საგულისხმო წარმატებისთვის არ მიუღწევია: ლომონოსოვი, ჩვეულებისამებრ, მითებს თხზავს).

„რუსეთის უსაზღვროების მითი“ – ანუ მითი იმის შესახებ, რომ რუსეთი აუცილებლად დიდი, უსაზღვრო უნდა იყოს, გამუდმებით უნდა ფართოვდებოდეს, იხვეჭდეს სივრცეს, რომ ესაა რუსეთის თანდაყოლილი თვისება, არსებობის პირობა (ეს მითი, ალბათ, მონღოლების ბატონობის ხანაში „შეძენილ“ კომპლექსსა თუ გამოცდილებასაც უკავშირდება):

Отмкнулась дверь, поля открылись,  
Пределов нет, где б те кончились.  
Полков лишь наших слышен плеск.  
От устья быстрых струй Дунайских  
До самых узких мест ахайских  
Меча российска виден блеск.

Боязнь трясет хинейски стены,  
Геон и Тигр теряют путь (...)  
Индийских трубят вод тритоны და ა. შ.

გაილო კარი, გაიხსნა მინდვრები,  
არ არსებობს საზღვარი,  
სადაც ისინი დასრულდებოდნენ.  
მხოლოდ ჩვენი პოლკები ჩქეფენ.

დუნაის სწრაფი ნაკადებიდან  
ვიდრე ახაის ვინრობებამდე  
რუსული მახვილი კაშკაშებს/ბრწყინავს.  
შიში ათრთოლებს ქინეის კედლებს,  
გეონი და ტიგროსი ჰკარგავენ გეზს...  
ინდოეთის წყლების ტრიტონების საყვირები  
გაისმის...

(ახაის ვინრობები აქ = კავკასია, ჩრდილოეთ კავკასია; ქინეის კედლები და ქვემოთ მოყვანილი ტოპონიმები მიანიშნებენ ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვებების „მარშრუტს“: ქინეის კედლები ასოცირებს ჩინეთთან; გეონი = ნილოსი, არაქსი; ინდოეთის წყლები = ინდოეთის ოკეანე, სადამდე გასვლაც რუსეთის იმპერიის აუხდენელ ოცნებად დარჩა).

მითი სხვა ხალხებისათვის რუსეთის იმპერიის „მიზიდულობის კეთილისმყოფელი ძალის“ შესახებ –

Как с солнцем встают к брегам Индейским воды,  
Так в устья Невские лились к Петру народы.

როგორც მზით მიისწრაფვიან ინდოეთის  
ნაპირებისკენ წყლები,

(აქ იგულისხმება მზის მიზიდულობასთან მიქცევა-მოქცევის დამოკიდებულების საკითხი, რასაც ამ დროს „ამუშავებდა“ ავტორი; ინდოეთის ოკეანის შესახებ იხ. წინა განმარტებაც – ნ. ზ.),

ასევე ნევის შესართავისკენ (= პეტერბურგისკენ)  
მოედინებოდნენ პიოტრთან (პეტრე I-თან) ხალხები.

ცალკე აღსანიშნავია მითი რუსული ხიშტის „სამართლიანობის“ თუ „სამშვიდობო მისიის“ შესახებ; იმის შესახებ, რომ რუსეთის საღვთო მისია „ომებით ომების დაშოშმინებაა“, რაც, თუ არ ვცდებით, პირველად, მკაფიოდ ლომონოსოვმა „გაახმოვანა“:

Российска тишина пределы превосходит  
И льет избыток свой в окрестные страны:  
Воюет воинство Твое против войны;  
Оружие Твое Европе мир приводит.

რუსული სიჩუმე სცილდება საზღვრებს  
და ასხურებს თავის სიუხვეს მის მიმდებარე ქვეყნებს:  
შენი მხედრობა ომის წინააღმდეგ ომობს;  
შენს იარაღს ევროპისთვის მშვიდობა მოაქვს.

იგულისხმება: რუსეთი „თავის თავში ვერდატეულ სინყნარეს“ აგრესიულ მეზობლებზე აფენს, რუსეთის მხედრობა ომის დასაშოშმინებლად ომობს, რითაც ევროპის ქვეყნების მშვიდობიან ცხოვრებას უზრუნველყოფს...

# ALEKSANDR SUMAROKOV

1717-1777



ლექსანდრ სუმაროკოვი რუსული კლასიკური პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და, ამასთან, პირველი „პროფესიონალი“ რუსი ლიტერატორია: ის თავის თავს ლექსისმქმნელს, მელექსეს სიამაყით უწოდებდა, რაც იმ დროს აზნაურისთვის უმაგალითო (= დასაცინი) საქციელი იყო! სუმაროკოვი, ლომონოსოვისგან განსხვავებით (ამ უკანასკნელისთვის ლექსი „აღმატებული“, ეპიკური ფენომენი იყო), მიიჩნევდა, რომ პოეზია უნდა იყოს „სასიამოვნო“, ანუ შედარებით ლირიკული (ის, მართლაც, ქმნიდა ამ ყაიდის ნაწარმოებებს – სონეტებს, ელეგიებსა და სხვ.) [7].

აი, ამ შეხედულებისა და დაპირისპირების ნათელი ილუსტრაცია – ეპიგრამა, რომელიც სწორედ ლომონოსოვის წინააღმდეგ არის მიმართული:

Котора лучше жизнь: в златой ли птичке клетке,  
Иль на зеленой ветке?  
Которые стихи приятнее текут?  
Не те ль, которые приятностью влекут  
(...)  
В прекрасной простоте,  
А не в сияющей притворной красоте,  
(...)  
Иль те, которые хоть разуму и дивны,  
Но естеству противны?  
Пузырь всегда пузырь, хоть пуст, хотя надут.

სუმაროკოვის შემოქმედებაში „სასიამოვნო“, უთუოდ, „მამებლურსაც“ ნიშნავდა; ეს ფრაგმენტი მეფეთა სახოტბო პოეზიის ერთ-ერთი ნიმუშიდანაა («Ода Государине Императрице Екатерине Второй на День Ея Рождения 1768 Года Апреля 21 Дня»):

Ты, Россия, побеждала  
 Неприятелей своих,  
 Тверды грады осаждала,  
 Претворяя в пепел их.  
 Кровь тогда лилась реками,  
 Дым казался облаками,  
 Воздух выл, и трясся понт...

შენ, რუსეთო, ამარცხებდი  
 შენს მონინაალმდეგეებს,  
 ძლიერ ქალაქებს ალყას არტყამდი  
 და ფერფლად აქცევდი.  
 მაშინ სისხლის მდინარეები მოედინებოდა,  
 ბოლი ღრუბლებად ერგვენებოდათ,  
 ჰაერი ღმუოდა და პონტო ცახცახებდა...

მეფეთათვის, დიდებულთათვის სახოტბო ლექსთა მიძღვნა იმ დროისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო: სხვაგვარად პოეტი აღიარებას ვერ მოიპოვებდა, ხოლო სუმაროკოვივით შედარებით უსახსრო „მგოსანი“, შესაბამისად, ვერც მატერიალურ სარგებელს გამოიჩებოდა. ამგვარად, სუმაროკოვმა ათზე მეტი ასეთი ოდა შექმნა. მეორე მხრივ, სუმაროკოვი არ ერიდებოდა ექსპერიმენტებს: მან კალამი მოსინჯა იმ დროს არსებულ თითქმის ყველა ფორმასა თუ ჟანრში და გარკვეული სიახლეებითაც გაამდიდრა რუსული ლექსი.

სუმაროკოვი მიიჩნევა რუსული დრამატურგიისა და თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლადაც, „რუსული თეატრის მამად“. ყოველივე ამის მიუხედავად – თავისუფალი აზროვნების ნიშნების ერთი-ორჯერ საჯაროდ გამოვლენის გამო – სიცოცხლის დასასრულისთვის სუმაროკოვმა დაკარგა „დიდებულთა ამა ქვეყნისათა“ კეთილგანწყობა: ის გალოთდა და სილატაკეში გარდაიცვალა [8, 9].

# გაბრიელ დერჟავინი ГАВРИИЛ ДЕРЖАВИН

1743-1816



**ბ** აბრიელ (გავრილა) დერჟავინმა, ლარიბი აზნაურის შვილმა, გამორჩეული ნიჭით, დაულალავი სწავლითა და შრომით გაიკაფა გზა პრეობრაჟენსკის გვარდიული პოლკის „სალდათობიდან“ მაღალჩინოსნობამდე: მას ერთხანს გუბერნატორისა და იუსტიციის მინისტრის თანამდებობებიც კი ეკავა.

ლექსებს დერჟავინი გიმნაზიაში სწავლის დროიდან წერდა, მაგრამ მისმა პოეზიამ აღიარება შედარებით გვიან მოიპოვა – მაშინ, როდესაც ეკატერინე II-ს შემთხვევით ჩაუვარდა ხელში და მეტისმეტად მოეწონა უკვე 40 წელს მიტანებული პოეტის ლექსი „ფელიცას გამოსახვა“ («Изображение Фелицы»). ეს არის ცარიცასადმი მიძღვნილი ოდა, სადაც „ფელიცა“ (Felicitas – წარმატების და ბედნიერების ღვთაება ძველი რომის მითოლოგიიდან) – გასაგებია, რომ – ეკატერინე II-ა.

დერჟავინი რუსული კლასიციზმის პერიოდის ლექსის, უეჭველად, ყველაზე თვალსაჩინო ოსტატია; და ეს მას გაცნობიერებულიც ჰქონდა და იმპერიალისტურ, დერჟავულ მსოფლმხედველობასთან გაცნობიერებულად „შეზავებულ-ლიც“ (ნახევრად ხუმრობით თუ ვიტყვი, საკვირველიც იქნებოდა, პოეტი გვარად „დერჟავინი“ დერჟავნიკი რომ არ ყოფილიყო) –

Слух пройдет обо мне от Белых вод до Черных,  
Где Волга, Дон, Нева, с Рифея льет Урал;  
Всяк будет помнить то в народах неисчетных,  
Как из безвестности я тем известен стал (...)

ჩემ შესახებ ხმა დაირხევა თეთრი ზღვიდან  
 შავ ზღვამდე,  
 იქ, სადაც ვოლგაა, დონია, ნევაა, სადაც რიფების  
 (= ურალის) მთებია;  
 აურაცხელ ხალხებში ყოველს ემახსოვრება,  
 უცნობი როგორ ვიქეცი ცნობილად.

საერთოდ, შავი ზღვა, ამ ზღვისა და მისი სანაპიროს დაპყრობა იმთავითვე idee fixe-ად იქცა რუსულ პოლიტიკაში, ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში: გეოპოლიტიკურის გარდა, ამას ალბათ „კლიმატოლოგიური“ ახსნაც აქვს – ეს ერთადერთი თბილი ზღვაა, რომელიც „რუსულიც“ გახდა [10]. ამ idee fixe-ის ყველაზე აშკარა ბოლო გამოხატულება სოჭში, შავი ზღვის სიახლოვეს ზამთრის ოლიმპიადის მოწყობაა: ჩრდილოეთის ამხელა ქვეყანაში ზამთრის ოლიმპიადა მაინცდამაინც ყველაზე თბილ, სუბტროპიკულ ზონაში გამართეს.

მეორე idee fixe დაპყრობილი მიწებისა და ხალხების სიმრავლეა, დერჟავინისეულად თუ ვიტყვი – აურაცხელობაა, რაც „რუსეთის უსაზღვროების მითის“ ერთ-ერთი მთავარი გამოსახულებაა; ასეთი „ლტოლვა“, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, სოციოფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სოციალური თუ ნაციონალური არასრულფასოვნების – მონღოლთა ბატონობის დროს შექმნილი – კომპლექსის მაკომპენსირებელ გამოვლინებადაც შეიძლება მიიჩნიოს (ეს ზემოთაც იყო აღნიშნული და კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოჩნდება ქვემოთ, მოდერნისტების პოეზიის მიმოხილვისას, კერძოდ კი, რუსეთის სკვითურ-მონღოლურ-ნარმართული ფესვების მითთან შეხებისას).

ესეც დერჟავინია:

Услышь, услышь, о ты, вселенна!  
 Победу смертных выше сил;

Внимай Европа удивленна,  
 Каков сей Россов подвиг был,  
 Языки, знайте, вразумляйтесь,  
 В надменных мыслях содрогайтесь;  
 Уверьтесь сим, что с нами Бог;  
 Уверьтесь, что его рукою  
 Один попрет вас Росс войною,  
 Коль встать из бездны зол возмог!  
 Знайте, языки, страна колосса:  
 С нами Бог, с нами; чтите все Росса!

გაიგონე, გაიგონე, ო, შენ, სამყაროე!  
 მოკვდავთა გაუგონარი გამარჯვება;  
 გაკვირვებით შეიტყვე, ევროპავ,  
 როგორი იყო რუსების ეს გმირობა,  
 ენებო (= სხვადასხვა ეროვნების ხალხო),  
 იცოდეთ, შეიგნეთ  
 და დაივიწყეთ თქვენი ქედმაღალი აზრები;  
 ამით დარწმუნდით, რომ ჩვენთან არს ღმერთი;  
 დარწმუნდით, რომ მისი თანადგომით  
 მეომარი რუსი ყველას მარტო გაგისწორდებათ,  
 რახან მან შესძლო თავის დაღწევა  
 ბოროტების უფსკრულიდან!  
 იცოდეთ, ეს კოლოსის ქვეყანაა:  
 ჩვენთან არს ღმერთი, ჩვენთან;  
 თაყვანი ეცით რუსს!

(ეს ოდა რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1770 წლის 5 აგვისტოს რუსების მიერ იზმაილის ციხის აღების გამო შეითხზა; იზმაილი მდენარეობს ოდესის ოლქის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, მოლდავეთის და რუმინეთის საზღვრების სიახლოვეს).

დერჟავინის ამ სტრიქონებს ცნობილი ლიტერატურის-მცოდნე, მწერალი და დისიდენტი ანდრეი სინიავესკი (Андрей Синявский, 1925-1997) გასული საუკუნის 60-იან წლებში „სამიზდატი“ [11] გავრცელებულ თავის წერილში „რა არის სოციალისტური რეალიზმი“ [12] ამგვარ კომენტარს ურთავს: „სოციალისტური სისტემის მსგავსად, XVIII საუკუნე (იგულისხმება იმ დროის რუსეთი – ნ. ზ.) სამყაროს ცენტრად მიიჩნედა საკუთარ თავს და საკუთარი ღირსებებით აღფრთოვანებული, «себя собою составляя, собою из себя сияя» (ესეც დერჟავინის სტრიქონებია: იგულისხმება რუსეთის თვითკმარობა და ამ თვითკმარობის თავისთავადი ბრწინვალება – ნ. ზ.), თავის თავს, როგორც საუკეთესო ნიმუშს სთავაზობდა ყველა ხალხსა და ყველა დროებას. (...) ლექსში „ფელიციას გამოსახვა“, ხოტბას ასხამს რა ეკატერინე II-ის იდეალურ მეფობას, დერჟავინი გამოთქვამს სურვილს:

Чтоб дики люди, отдаленны,  
 Покрыты шерстью, чешуей,  
 Пернатых перьгм испещренны,  
 Одеты листьям и корой,  
 Сошедшия к ее престолу  
 И кротких вняв законов глас,  
 По желтосмуглым лицам долу  
 Струили токи слез из глаз.  
 Струили б слезы, – и блаженство  
 Своих проразумея дней,  
 Забыли бы свое равенство  
 И были все подвластны ей...

რომ შორეული, ველური ადამიანები,  
 ბენვით და ქერცლით დაფარულები,  
 ფრინველთა ბუმბულით აჭრელებულები,  
 ფოთლებით და ხის ქერქით ტანშემოსილები,

მის ტახტთან თავმოყრისას  
 და უწყინარი კანონების ხმის გაგონებისას,  
 მოყვითალო-მუქ სახეებზე  
 თვალებიდან ცრემლის ნაკადებს ღვრიდნენ.  
 ცრემლის ნაკადებს ღვრიდნენ, – და თავისი  
 მომავალი ნეტარების გააზრებისას,  
 ივწყებდნენ თავის თანასწორობას  
 და ყველანი მისი ქვეშევრდომები ხდებოდნენ...

დერჟავინი ვერც კი წარმოიდგენს, – განაგრძობს სინიავესკი, – რომ „ველურმა ხალხებმა“ (ჰუნებმაც, ფინელებმაც და ყველა სხვამ (...)) უარი თქვან ამ მომხიბლავ წინადადებაზე და იმ ნამსვე არ მოინდომონ ეკატერინეს ქვეშევრდომებად გადაქცევა. (...) დერჟავინისთვის, ისევე როგორც საბჭოთა მწერლებისთვის, ყველა, ვისაც არ სურს, დაემსგავსოს შემოთავაზებულ ნიმუშს, ვინც არ აპირებს, დაივწყოს თავისი ველური «равенство» (თანასწორობა – ნ. ზ.) და მიიღოს ნაჩუქარი «влаженство» (ნეტარება – ნ. ზ.) ან გონიერი არ არის, ვერ აცნობიერებს საკუთარ სარგებელს და ამიტომ საჭიროებს აღზრდას, ანდა სათნოებასაა მოკლებული (თანამედროვე ენით რომ ვთქვათ – რეაქციონერია – ნ. ზ.) და უნდა განადგურდეს; რამეთუ არასოდეს არსებულა და არ არსებობს მსოფლიოში ამ სახელმწიფოზე, ამ რწმენაზე, ამ სიცოცხლეზე, ამ ცარიცაზე უფრო მეტად მშვენიერი რამ. ასე ფიქრობდა დერჟავინი, ზუსტად ასევე აზროვნებს თანამედროვე მელექსე (იგულისხმება საბჭოთა პოეტი – ნ. ზ.), რომელიც ლამის დერჟავინისეული ენით აქებს ახალ სამეფოს:

Нет в мире подобных России раздольной,  
 Цветов наших ярче и крепче пород,  
 Бессмертен народ наш, великий и вольный,  
 Наш русский, наш вечный, наш гордый народ!

Он вынес нашествие полчищ Батыя,  
Разбил до единого звенья оков,  
Он создал Россию, он поднял Россию  
До звезд до высоких, на гребни веков!

А. Прокофьев

მსოფლიოში არსადაა რუსეთის მსგავსი სივრცეები,  
ჩვენს ყვავილებზე მეტად კაშკაშა ყვავილები და  
ჩვენს ქანებზე მეტად მკვრივი ქანები,  
უკვდავია ჩვენი ხალხი, დიადი და ლალი,  
ჩვენი რუსი, ჩვენი მარადიული, ჩვენი ამაყი ხალხი!  
მან (რუსმა ხალხმა) გადაიტანა ბათოს ურდოების  
შემოსევა,  
ბორკილების ყოველი რგოლი დაამსხვრია,  
მან შექმნა რუსეთი, მან აიყვანა რუსეთი  
მაღალ ვარსკვლავებამდე, საუკუნეების თხემებზე!

ა. პროკოფიევი

(ციტატის დასასრული).

\* \* \*

მართებულად აღნიშნავს ზოგიერთი, მათ შორის, დასავლეთ ევროპელი მკვლევარი, რომ „კავკასიური ამბავი“, ნარატივი რუსულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ ცნობიერებაში, უპირველესად, ალექსანდრე პუშკინმა „დანერგა“ თავისი პოემით „კავკასიის ტყვე“. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ დერჟავინმა, რუს პოეტთაგან პირველმა, მიუძღვნა კავკასიას პოეტური სტრიქონები – ოდაში, რომელიც გრაფი ზუბოვის სპარსეთის კამპანიიდან დაბრუნების გამო აღაველინა:

О юный вождь, сверша походы,  
Прошел ты с воинством Кавказ.

ო, ჭაბუკო ბელადო, ლაშქრობების აღსრულებისას,  
გაიარე მხედრობით კავკასია და ა. შ.

(ამ ოდის კავკასიისადმი მიძღვნილი ფრაგმენტი პუშკინს ხსენებული პოემის განმარტებებში აქვს დამონმებული [13]).

აღსანიშნავია, რომ ეს ის გრაფი და სარდალი ვალერიან ზუბოვია, რომლის ძმა, ეკატერინე II-ის ფავორიტი, პლატონი, გახლდათ „ავტორი“ კავკასიის, კავკასიელი ხალხის დაპყრობის ერთ-ერთი პირველი გეგმისა – ოკუპაციისა „მდინარე რიონიდან მტკვრამდე და არაქსამდე, კასპიის ზღვამდე და იმის იქით“ – რასაც, ვალერიან ზუბოვის გარდა, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში წარმატებით ასრულებდნენ, მაგალითად, გენერალი ციციანოვი და სხვა რუსი თუ გარუსებული მაღალჩინოსნები [14].

1801 წელს პლატონ ზუბოვმა შეადგინა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ მანიფესტის პროექტის, რომელიც, – როგორც დევიდ ლენგი წერს, – „მეტად თავისებური ნიმუში. ქვეყნის უმწეო მდგომარეობა და სამოქალაქო ომის საფრთხე, მოსახლეობის ერთსულოვან სურვილთან ერთად, იმ მიზეზებად ცხადდება, რამაც რუსეთი აიძულა საქართველოს მმართველობა ეტვირთა“. ეს დოკუმენტი, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ მანიფესტი „ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შესახებ“, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა მოსკოვში, ალექსანდრე I-ის ცარად კურთხევამდე 3 დღით ადრე (თბილისში კი – 1802 წლის 12 აპრილს). ამის გარდა თუ ამის შესაბამისად პლატონ ზუბოვმა (პ. ბუტკოვთან ერთად) „დაამუშავა“ ქართლ-კახეთის სამეფოს სრული დაშლის, რუსეთის 5 მაზრად გადაქცევის (და შესაბამისი ადმინისტრირების) გეგმაც [15].

ისიც აღსანიშნავია, რომ მასვე ეკუთვნის კონსტანტინოპოლის დაპყრობისა და საბერძნეთის რუსეთის მფარველობა-

ში „დაბრუნების“, იმპერატრიცას მიერ მოწონებული, გრანდიოზული, „მეგა-იმპერიალისტური“ გეგმაც, რაც წინასწარ სპარსეთისა და მის აღმოსავლეთით მდებარე აზიის ტერიტორიების დაპყრობას ითვალისწინებდა (კავკასიის დაპყრობა ამ უტოპიური გეგმის შემადგენელ ნაწილადაც მოიაზრებოდა) [16-18]; ეს გეგმა, არსებითად, ეკატერინე II-ისა და გრიგორი პოტიომკინის „ბერძნული პროექტის“ [19] ახალ, რედაქტირებულ ვერსიას წარმოადგენდა; სხვათა შორის, ზოგიერთი მკვლევარი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის მთავარ მიზეზად სწორედ ამ გეგმის არსებობას ასახელებს [20]).



# კავკასიის ბამობონება



# საქართველო საქართველო



მეტროპოლიის მკვიდრი ერის, რუსი ხალხის „ცნობიერებაში“ კავკასია ეგზოტიკური, ველური, ერთგვარი „რომანტიკული ნისლით მოცული“ მხარე იყო და ასეთად დარჩა იმპერიის არსებობის ბოლომდე; არც ის არის საიდუმლო ან სადავო, რომ მეტ-ნაკლებად მსგავსი „აღქმა“ გააჩნდა მოსკოვს წითელი იმპერიის არსებობის პერიოდში და გააჩნია დღესაც – პუტინისეულ იმპერიაში.

კავკასიის ასეთი „პოეტური სახე“ თუ „ხატი“ ძირითადად XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსმა პოეტმა თუ პროზაიკოსებმა, უპირველესად – პუშკინმა და ლერმონტოვმა.

ამ პერიოდის რუსულ ლიტერატურულ ველზე შემდგომ მძლავრ განვითარებას ჰპოვეს დერჟავულ-იმპერიალისტური მითისქმნა. ყველა ზემოთ დასახელებული მითი ახალ ნახნაგებს იძენს და ამ ნახნაგათაგან ერთ-ერთი კავკასიაცაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსი პოეტების მიერ „კავკასიის“ გამოგონება ადვილად „ენერება“ და მოიაზრება რუსული ლიტერატურული მითისქმნის მეგა- თუ მეტაკონტექსტშიც (იხ. ქვემოთ ტიუტჩევისადმი მიძღვნილი მონაკვეთი).

მეორე მხრივ, ასეთი „გამოგონება“ დროში კავკასიის დაპყრობის ძირითად პერიოდს ემთხვევა და ბუნებრივია, რომ ის ამ ისტორიულ-მილიტარისტულ შრესთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული. ამის გამო ჩვენ გარკვეული ისტორიული „ექსკურსების“ განხორციელებაც მოგვიხდა.

ყოველივე ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.



# ვასილ ჟუკოვსკი ВАСИЛИЙ ЖУКОВСКИЙ

1783-1852



**3** ასილი ჟუკოვსკი რუსული რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ჟუკოვსკი პუშკინის უშუალო წინამორბედი, მეგობარი და, გარკვეული აზრით, მასწავლებელიცაა: მის გარეშე – ბელინსკის სიტყვებით – რუსულ ლიტერატურას პუშკინი არ ეყოლებოდა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჟუკოვსკის (და შემდგომ პუშკინის) შემოქმედებამ გარკვეული გავლენა იქონია ქართული რომანტიზმის ჩამოყალიბებაზე, რაც შეინიშნება, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთ ნაწარმოებში.

მსოფლმხედველობრივად კი ჟუკოვსკი, მისი წინამორბედი პოეტების მსგავსად, პირწავარდნილი დერჟავინიკი იყო; ამდენად, მას, ალექსანდრე II-ის აღმზრდელს, საიდუმლო მრჩეველს (ეს რუსეთის იმპერიაში გახლდათ ფორმალურად ქესამე მმართველობითი რანგი, რეალურად კი – მეორე) და რუსეთის საიმპერატორო აკადემიის ნამდვილ წევრს – ერცლად არ დავიმოწმებ [22]. საკმარისია ითქვას, რომ მან დაწერა ტექსტი რუსეთის იმპერიის პირველი ოფიციალური ჰიმნისათვის („რუსების ლოცვა“ – «Молитва русских»; მოკლე ეერსია პირველად შესრულდა 1816 წ.; განვრცობილი შეიქმნა 1918 წ.), სადაც ასეთი სტრიქონებიცაა:

Боже, Царя храни! Славному долги дни  
Дай на земли,  
Гордых смирителю,  
Слабых хранителю  
Все ниспошли!  
(...)

Воинам мстителям,  
Чести спасителям –  
Миротворителям –  
Долгие дни.

ღმერთო, დაიფარე ცარი!  
დიდებით მოსილს მრავალი წელი  
არგუნე მინაზე;  
ამაყთა დამმორჩილებელს,  
სუსტთა დამცველს  
ყოველი კეთილი მოუვლინე!  
(...)  
შურისმაძიებელ მეომრებს,  
ღირსების გადამრჩენებს –  
მშვიდობისმყოფელებს –  
მრავალი წელი!

ეს გახლავთ რუსეთის დერჟავის „მშვიდობიანობის“ თუ „მშვიდობისმყოფელობის“ მითის ერთ-ერთი ინტერპრეტაცია: „ამაყები“ = თავისუფალი ერები უნდა „დაიმორჩილო“ = დაიპყრო; „სუსტები“ = ერები, რომლებიც შესაძლოა, სხვის, სხვა ქვეყნის მიერაა დაპყრობილი (ან ასეთი საფრთხის ნინაშეა) უნდა „დაიცვა“ = სხვას წაართვა და შენ გადაყლაპო...

ჟუკოვსკი „ნარმატებით ავითარებს“ რუსეთის უსაზღვროების მითსაც: არა ერთი ეროვნება და გეოგრაფიული ერთეულია დასახელებული ლექსში „რუსეთის ძღვევამოსილება, დიდება და კეთილდღეობა“ («Могущество, слава и благодетствие России» – ნ. ზ.: ქვემოთ ხაზგასმა ჩვენია):

Окрест блестящего престола,  
В бесчисленный собравшись сонм,  
Стоят полные народы,

С почтением долу преклоняясь:  
Славянин в шлеме златовидном,  
Татар с свинцовой булавой,  
Черкес в булатных, тяжких латах  
(...)

С сетями финн, живущий в норде,  
С секирой острой алеут,  
Киргизец с луком напряженным,  
С стальной саблей сармат.

მეფის ბრწყინვალე ტახტის გარშემო,  
აურაცხელ გუნდად შეკრებილნი,  
დგანან ღამეული ხალხები,  
თაყვანისცემის ნიშნად თავდახრილნი:  
სლავი ოქროსფერი მუზარადით,  
თათარი ტყვიისაგან ნაკეთები კვერთხით,  
ჩერქეზი ფოლადის მძიმე აბჯარში,  
(...)

ფინელი ბადით, ჩრდილოეთში მცხოვრები,  
ალეუტი მახვილი ცულთ,  
ყირგიზი დაჭიმული მშვილდით,  
სარმატი ლითონის ხმლით.

აგრეთვე დასახელებულია: Бельт (ბალტიის ზღვა), Понт (შავი ზღვა), Льдистый океан (ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე), океан Восточный (აღმოსავლეთის ოკეანე: ალბათ, წყნარი ოკეანე იგულისხმება) და სხვ.

საინტერესოა, რომ ჟუკოვსკიმაც მიუძღვნა კავკასიას პოეტური სტრიქონები (და ეს ფრაგმენტიც დამონმებულია პუშკინის „კავკასიის ტყვეში“); თუმცა, ჟუკოვსკისთვის, როგორც ჩანს, „კავკასია“ მხოლოდ მთიელებს ნიშნავდა, ამასთან სრულიად პრიმიტიულ, ზარმაც მთიელებს, რომ-

ლებსაც მკვლელობის მეტი არაფერი აინტერესებთ:

Но там – среди уединенья  
Долин, таящихся в горах, –  
Гнезятся и балкар, и бах,  
И абазех, и камуцинец,  
И карбулак, и албазинец,  
И чечереец, и шапсук;  
Пищаль, кольчуга, сабля, лук  
И конь – соратник быстроногий –  
Их и сокровища и боги;  
(...)

Но дни в аулах их бредут  
На костылях угрюмой лени:  
Там жизнь их – сон; стеснясь в кружок  
И в братский с табаком горшок  
Вонзивши чубуки, как тени  
В дыму клубящемся сидят  
И об убийствах говорят,  
Иль хвалят меткие пищали,  
Из коих деды их стреляли;  
Иль сабли на кремнях острят,  
Готовясь на убийства новы (...)

მაგრამ იქ განმარტოებულნი –  
მთებში შემალულ ხეობებში, –  
ბუდობენ ბალყარიც, და ბახიც,  
აბაზეხიც, და კამუციელიც,  
კარბულაკიც, და ალბაზინელიც,  
ჩეჩერელიც და შაფსუკიც;  
სიათა, ჯაჭვის პერანგი, ხმალი, მშვილდი,  
და ცხენი – მკვირცხლი თანამებრძოლი –  
მათი განძიცაა და ღმერთიც;

(...)

მაგრამ აულებში მათი დღეები მიიზღაზნება  
პირქუში სიზარმაცის ყავარჯნებით:  
იქ მათი ცხოვრება სიზმარია; წრედ თავშეყრილნი  
და თუთუნთან ძმურ (საერთო) ქოთანში  
ჩიბუხჩასობილნი, როგორც ჩრდილები,  
სხედან ბოლში გახვეულები  
და მკვლელობებზე ლაპარაკობენ,  
ან დაუცდენელ სიათებს აქებენ,  
რითად მათი პაპები ისროდნენ;  
ან კაჭზე ხმლებს ლესავენ,  
ახალი მკვლელობებისთვის ემზადებიან...

იმთავითვე აშკარადება რუს მოღვაწეთა ზერელე  
დამოკიდებულება კავკასიის, კავკასიის ერების ისტორი-  
სა და კულტურის მიმართ: ჟუკოვსკი ვილაცის მონაყოლის  
მიხედვით აღწერს კავკასიელთა ცხოვრების წესს და ამა-  
სინჯებს თითქმის ყველა დასახელებული ერისა თუ ეთნი-  
კური ჯგუფის სახელს (ეს თავის დროს შენიშნა საბჭოთა  
კრიტიკოსმა და ლირეტიურისმცოდნემ ვიქტორ გოლცევემაც  
– Виктор Викторович Гольцев, 1901-1955).

# ალექსანდრე გრიბოედოვი АЛЕКСАНДР ГРИБОЕДОВ

1795-1829



**რ**იპლომატს, დრამატურგს, პოეტსა და კომპოზიტორს, ნინო ჭავჭავაძის მეუღლეს – ალექსანდრე გრიბოედოვს ქართველი მკითხველი კარგად იცნობს. მასზე და ნინო ჭავჭავაძეზე, მათ რომანტიკულ სიყვარულზე და გრიბოედოვის შემოქმედების ზოგიერთ ასპექტზე ქართველ მწერლებს, პოეტებს, ლიტერატურის ისტორიკოსებს ბევრი აქვთ დანერლი.

გრიბოედოვი რუსეთის იმპერიის მალაჩინოსანი იყო (მისი საიმპერატორო უდიდებულესობის სამოქალაქო მრჩეველი – статский советник – და სრულუფლებიანი მინისტრი სპარსეთში). იგი პირნათლად ემსახურებოდა დერჟავის ინტერესებს, რასაც კიდევ შეეწირა თეირანში.

გრიბოედოვს homo unius libri – „ერთი წიგნის ავტორი“ უწოდეს: მისი „ვაი ჭკუისაგან“ («Горе от ума») არაერთხელ დადგმულა საქართველოს სცენებზეც (პირველად, 1827 წელს, მოყვარულ მსახიობთა დასის მიერ ერევანში დაიდგა). გარდა ამისა, მან დატოვა კიდევ ერთი-ორი ნაკლებად ცნობილი პიესა, ნერილები, რამდენიმე ლექსი და დაუმთავრებელი პოეტური ნაწარმოები.

\* \* \*

ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ იგი ცნობილ რუს პოეტთაგან პირველია, ვინც საქართველოში ჩამოვიდა და პოეტური სტრიქონებიც მიუძღვნა.

კავკასიის მთიელებისადმი მიძღვნილი ლექსი „მტაცებლები ჩეგემიდან“ («Хищники на Череме»). ეს გრძელი ლექსი თავისთავად მაინცდამაინც საინტერესო თუ გამორჩეული არ არის – მოგვაქვს ნაწყვეტები:

Окопайтесь рвами, рвами!  
Отразите смерть и плен –  
Блеском ружей, твержей стен!  
(...)

Мрак за нас ночей безлунных,  
Шум потока, выси гор,  
Дождь и мгла, и вихрей спор.  
На угон коней табунных,  
На овец золоторунных,  
Где витают вепрь и волк,  
Наш залег отважный полк.  
Живы в нас отцов обряды,  
Кровь их буйная жива.  
Та же в небе синева,  
Те же ледяные громады,  
Те же с ревом водопады,  
Та же дикость, красота  
По ущельям разлита!

ჩაიმაღეთ სანგრებში, სანგრებში!  
მოიგერიეთ სიკვდილი და ტყვეობა –  
თოფების ბრწყინვით, კედლებზე მტკიცედ!  
(...)

ჩვენკენაა უმთვარო ღამეების წყვილი,  
ნაკადის ხმაური, მთების სიმაღლე,  
წვიმა და წვეარამი და გრივალთა დავა.  
ნასასხმელად ცხენთა რემათა,  
ცხვართა ოქროსმატყელიანთა,  
იქ, სადაც დაქრიან ტახი და მგელი,  
ჩვენი ჩანოლილა გულადი პოლკი.  
ჩვენში ცოცხლობენ მამა-პაპათა წეს-ჩვეულებები,  
მათი შმაგი სისხლი ცოცხალია.

იგივე სილურჯეა ცაში,  
იგივე ყინულოვანი ვეება მთებია,  
იგივე მოღრიალე ჩანჩქერებია,  
იგივე ველურობა, სილამაზე  
ხეობებზე მიმოღვრილია!

გაცილებით უფრო საინტერესოა ამ ლექსის კომენტარი, რომელსაც შეიცავს 1858 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოცემული წიგნი „გრიბოედოვი და მისი თხზულებები“ [23] (სტილი დაცულია): „ეს მშვენიერი ლექსი, რომელიც მოკლედ ასახავს კავკასიის ბუნებას და მის მობინადრეთა აულაგმავ ზნეს, დანერილია 1825 წლის ოქტომბერში, მთიელთა წინააღმდეგ ლაშქრობის დროს (...). ცადაწვდილი მთების, მტაცებელი, ნახევრად ველური ტომების ბუდეების ხედებმა გრიბოედოვს პოეტურ წარმოსახვაში გაუღვივეს აზრი, გამოესახა მტაცებლების ბუნებრივი ხასიათი – მათ მიერ ბრძოლის შემდგომ გამართული ღრეობისა და მრისხანე სიმღერებით თავისი თავდასხმებისა და მიუდგომელი თავშესაფრების განდიდების მომენტში. რუსულმა მახვილმა მალე დასაჯა შოთთან მტაცებლები და ბრწყინვალე გამარჯვებების აღსანიშნად რუსული არნივები ალივლივდნენ კავკასიის მწვერვალების თავზე. ჩვენი აზრით, დღემდე არ მოიძებნება ამის ბადალი სხვა ლექსი, სადაც ასეთი ძალით და ასეთი შეკუმშული ენით, ადგილების ასეთი აღწერით და ასეთი ცინცხალი წარმოსახვით ყოფილიყოს გამოსახული, ასე ვთქვათ, კავკასიის ხასიათი, მისი მცხოვრებლების ზნე“.

\* \* \*

ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა გრიბოედოვის გა-  
 ლექსილი დრამა „ქართული ღამე“, რომლის მხოლოდ ნაწყვე-  
 ტია შემორჩენილი [24]. თუმცა, ირკვევა, რომ ეს ნაწარმოები  
 დასრულებული ფორმითაც არსებობდა. ისიც ირკვევა, რომ  
 დრამა გრიბოედოვს მთლად არ აკმაყოფილებდა და ამის  
 გამო პოეტი არ ჩქარობდა მის გამოქვეყნებას. ამ ნაწარმოე-  
 ბის სრული შინაარსი ცნობილია ყურნალისტიკისა და მწერ-  
 ლის, ფადეი ბულგარინის (1989-1859) გადმოცემით. ლექსის  
 შინაარსი ასეთია: ერთი ქართველი თავადი თავისი საყვარე-  
 ლი ცხენის დასაბრუნებლად (რომელიც არ არის ნათელი,  
 როგორ ჩაუვარდა ხელში მეორე თავადს) ცხენს სცვლის  
 თავის ერთ-ერთ ყმაში, რომლის დედა აღმოჩნდება თავადის  
 ყოფილი ძიძა და, იმავდროულად, თავადის ქალიშვილის გა-  
 დია. ყმის დედა მიუვარდება თავადს, საყვედურებით აავსებს  
 მას და სთხოვს შვილის დაბრუნებას. თავადი დაჰპირდება,  
 მაგრამ დაივიწყებს დაპირებას. შურისძიების გრძნობით  
 განმსჭვალული ქალი „შეეკვრება“ ალებს (ალქაჯებს). ამ  
 დროს თავადის სახლში გამოჩნდება უცნაური, იდუმალი რუსი  
 ოფიცერი. ქალის თხოვნით ალქაჯები თავადის ქალიშვილ-  
 ში ამ ოფიცრის მიმართ დაუოკებელ სიყვარულს აღძრავენ,  
 რაც იმით მთავრდება, რომ ქალიშვილი თავის საყვარელ-  
 თან ერთად გარბის სახლიდან. თავადი ეძებს მათ და პოუ-  
 ლობს მამადავითის მთაზე, მოიმარჯვებს თოფს, უმიზნებს  
 ოფიცერს, გაისვრის, მაგრამ ალქაჯები ტყვიას ოფიცრის  
 ნაცვლად თავადის ქალიშვილს მოახვედრებენ; მაგრამ ძიძა  
 ამითაც არ კმაყოფილდება – ახლა იგი მოიმარჯვებს თოფს  
 თავადის მოსაკლავად და... საკუთარ შვილს კლავს.

ბულგარინი ასეთ კომენტარს ურთავს ამ სიუჟეტს:  
 „ზეცა სჯის არაადამიანურ თავადს მშობლის გრძნობე-  
 ბის არად ჩაგდებისთვის და ის თვითონ განიცდის შვილის

დაკარგვას. გულღვარდლიანი ძიძა კი ისჯება იმისათვის,  
 რომ მან კეთილშობილი გრძნობა შურისძიებით შებღალა“.  
 უფრო ზემოთ, სიუჟეტის აღწერისას ბულგარინი ასეთ მოკ-  
 ლე, მაგრამ ნიშანდობლივ კომენტარსაც გვანვდის: „მაგრამ  
 დედას ახსოვს, რომ მას გულიდან მოაგლიჯეს შვილი და,  
 როგორც აზიელ ქალს ეკადრება, იგი სასტიკ შურისძიებას  
 ჩაიფიქრებს“ [25].

ასე იწყება მითი კავკასიელი და კერძოდ, ქართველი ქა-  
 ლის ვერაგობის, სიძლიერის და ავზნიანობის (შესაბამისად,  
 ქართველი კაცის სისუსტის) შესახებ, რასაც შორს მიმავალი  
 შედეგები ექნება, და რაზეც ქვემოთ კიდევ არაერთხელ ვი-  
 საუბრებთ.

\* \* \*

დასასრულ, თეირანში რუსული მისიის დარბევისა და  
 გრიბოედოვის ტრაგიკული აღსასრულის ისტორიას შევე-  
 ხებით, რაც უფრო ზოგიერთი რუსი ისტორიკოსის ტენდენ-  
 ციური ნების „წყალობით“, ვიდრე ფაქტების ნაკლებობის  
 გამო – დღემდე ერთგვარი „საიდუმლო ბურუსით“ არის მო-  
 ცული (და, ჩვენი აზრით, ესეც ერთგვარი მითოლოგიზირე-  
 ბის მცდელობაა).

არსებობს რამდენიმე ვერსია, რასაც დაინტერესებული  
 მკითხველი ინტერნეტის მეშვეობით მიაკვლევს (იხ., მაგალი-  
 თად, ბარონი ბოდეს, იმდროინდელი რუსული იმპერიის  
 თვლით დანახული, „გრიბოედოვის სიკვდილი“ [26]). ყვე-  
 ლაზე სარწმუნო ვერსიებში მღელვარების დაწყების მთავარ  
 მიზეზად თვითონ გრიბოედოვის პოლიტიკური არაკორექ-  
 ტულობა სახელდება; სახელდობრ, ის, რომ სპარსეთში  
 რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი მინისტრი რუსეთის  
 საელჩოში, თეირანში სპარსეთის შაჰისათვის არასასურველ  
 პიროვნებებს იფარავდა.

სხვებზე სარწმუნო ვერსია აღწერილი აქვს რუსეთის იმპერიის გენერალს, ვასილი პოტტოს თავისი 5-ტომიანი „კავკასიის ომის“ მე-3 ტომის 35-ე თავში [27] (გრიბოედოვის დაღუპვის პოტტოსეულ ვერსიას ადასტურებს ჯონ ბადლიც [41]).

გრიბოედოვი, რომელიც შაჰისათვის საეჭვო პიროვნებების მფარველობაში ადრეც „შემჩნეული იყო“, საბოლოოდ გადაჰყვამ სომხური წარმოშობის მირზა-იაკუბს, რომელიც მან რუსეთის საელჩოში შეიფარა, რათა ამ უკანასკნელის თხოვნის საფუძველზე იგი ერევანში დაებრუნებინა; ამ ფაქტმა განარისხა შაჰი და მისი გარემოცვა: ფორმალურად რუსეთსა და სპარსეთს შორის ხელმოწერილი „თურქმენჩაის ზავი“ (1828 წ.) [28] ელჩს ამის უფლებას აძლევდა – ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, სპარსეთს აქ მცხოვრები ეთნიკური სომხებისათვის სამშობლოში დაბრუნებაში ხელი არ უნდა შეეშალა; მაგრამ საქმე ისაა, რომ მირზა-იაკუბი „უბრალო მოქალაქე“ არ იყო, მას შაჰის ჰარემის „მთავარი საჭურისის“ წოდება გააჩნდა, ანუ იგი ჰარემის მთავარი მეთვალყურის და თან ხაზინადარის ფუნქციას ასრულებდა და სტატუსით შაჰის ცოლთან იყო გათანაბრებული; ამდენად, მას შაჰის კარის ბევრი საიდუმლო შეიძლება გაეთქვა. პატივმოყვარე და რუსული იმპერიალისტური ამბიციებით შეპყრობილმა გრიბოედოვმა, რიგი დამატებითი, უმეტესად ასევე არაკორექტული, ქმედებების შემდეგ, საბოლოოდ მაინც არ დაუთმო მირზა-იაკუბი ფათჰალი შაჰს; რაც, არსებითად, შაჰისთვის ცოლის წართმევასაც უდრიდა და, შესაბამისად, შაჰმა, მისმა გარემოცვამ და, საბოლოოდ, თეირანის მოსახლეობამ დამამცირებელ გამოწვევად აღიქვა.

სწორედ ამის საფუძველზე (თუ ასეთი საბაბით) დაიწყო სახალხო მღელვარება, რაც საელჩოს პერსონალისა და იქ

შეფარებულთა ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა: მირზა-იაკუბიც მოკლეს, მას პირველს მოჰკვეთეს თავი, ხოლო გრიბოედოვის გვამს თეირანის ბრბო სამი დღის განმავლობაში ბლალავდა.

ამ ტრაგედიას რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობის გართულება არ მოჰყოლია (გარკვეული, გარეშე, „ჩახლართული“ პოლიტიკური მიზეზების გამო): ნიკოლოზ I დაკმაყოფილდა იმით, რომ შაჰმა მოუბოდიშა მას, თავისი შვილიშვილი ხოსრევ-მირზა გაავზავნა სანქტ-პეტერბურგში და განსაკუთრებული აღმასიცი უსაჩუქრა იმპერატორს.

\* \* \*

საბჭოთა პერიოდში გრიბოედოვი რუსულ-ქართული „მეგობრობის“ ერთ-ერთ სიმბოლოდ აქციეს: ერთადერთი, ვინც იმ დროს გრიბოედოვის საქმიანობის შესახებ კრიტიკული აზრი გამოთქვა, კონსტანტინე გამსახურდია იყო [29]; 1963 წლის დეკემბერში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის, დავით მჭედლიშვილისადმი გაგზავნილ ღია წერილში კონსტანტინე გამსახურდია წერს: „მე ვამტიკიცებ: მომავალი თაობები შეაჩვენებენ იმათ, ვისაც ქართული მწერლობა და ქართველი ხალხი ინტელექტისმიერი ვასალობისკენ მიჰყავს. ხომ არის ეს უდიდესი „პოდხალიმოზის“ ნიშანი, როცა გაზეთების მჯღაბნელები სწერენ: „გორკი და საქართველო“, „გრიბოედოვი და საქართველო“, „მაიაკოვსკი და საქართველო“, ნუთუ ისე უნდა დავბრმავდეთ, რომ არ გვესმოდეს – ეს მწერლები, და არც არავითარი მწერლები ამქვეყნად, საქართველოს თანატოლნი არ არიან! ჰკითხეთ ამ მატრაბაზებს, რამ დააბრმავათ? თვალში ხომ არ ეცოტავებათ საქართველო, შოთა რუსთაველი, დ. გურამიშვილი, ვაჟა ფშაველა, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. ტაბიძე და არა

ერთი თანამედროვე. ასეთი სურვილიზმის სამწუხარო შედეგია, რომ არც ვახტანგ გორგასალს, არც დიდ ვაჟას, არც გურამიშვილს, არც ჩვენ დიდ მეფეებს, რომელთაც ტფილისი და საქართველო დაიცვეს, ტფილისში ძეგლი არა აქვთ (იგულისხმება: ამ წერილის დანერის თარიღისათვის – ნ. ზ.) და სანაპიროზე გამოჭიმეს რუსული იმპერიალიზმის ფუნქციონერის, გრიბოედოვის, ერთი სანყალი პიესის ავტორის ძეგლი (საგულისხმოა, რომ ამ მწერალს თვით რუსები არაფრად აგდებდნენ).

რუსი ხალხის, მისი კულტურისადმი პატივისცემაში მე არავის დაგუთმობ პირველობას. ცნობილია, მილიონები კითხულობენ ჩემს რომანებს რუსეთში, გარდა ამისა, არც მე დავრჩენილვარ მათ ვალში. უგულითადესი წერილები ვუძღვენი მე უდიდეს რუს მწერლებს: ლ. ტოლსტოის, ფ. დოსტოევსკის და გოგოლს. მაგრამ ასეთი პატივისცემა ერთია და მონური მლიქვნელობა მეორე“.

კონსტანტინე გამსახურდია, რა თქმა უნდა, აჭარბებს: გრიბოედოვის პიესა „სანყალი“ არ არის – ის ნიჭიერი ავტორის დანერლია და თავისი დროისათვის საკმაოდ პროგრესულ ნაწარმოებს წარმოადგენს; თუმცა, მეორე მხრივ, გრიბოედოვის „გაგენიალურებაც“, ჩვენი შეხედულებით, გადაჭარბებაა.



თურქმენჩაის ზავი. ალექსანდრე გრიბოედოვი (მარჯვნიდან მეხუთე)

# ალექსანდრე პუშკინი АЛЕКСАНДР ПУШКИН

1799-1837



ალექსანდრე პუშკინის რუსეთის ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მის სახელს ატარებს: რუსეთის რამდენიმე ქალაქი, მრავალი ქუჩა, მათ შორის, პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც (ერთ-ერთი მათგანი, როგორც მოგეხსენებათ, თბილისშია), თეატრები; მისი ძეგლი რუსეთის ყველა მეტ-ნაკლებად დიდ ქალაქში და, ალბათ, ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში დგას; პუშკინის ზღაპრებს უკითხავენ ბავშვებს, ლექსებსა და მოთხრობებს პირველი კლასიდან ასწავლიან რუსეთის საშუალო სკოლებში; მისი ნაწარმოებების მიხედვით შექმნილია და იდგმება პიესები, ოპერები, ბალეტები, გადაღებულია კინო და ტელეფილმები და ა. შ.

პუშკინის თხზულებებს გამოჩენილი ფილოლოგი სერგეი ავერინცევი (Сергей Аверинцев, 1937-2004) რუსული ლიტერატურისთვის ეტალონად მიიჩნევდა – ისევე, როგორც ეტალონია დანტეს შემოქმედება იტალიური ლიტერატურისთვის, შექსპირის – ინგლისურისთვის, გოეთესი – გერმანულისთვის [30]; არსებითად ამასვე ამბობს ავერინცევი სხვაგანაც, მაგალითად, წერილში „გოეთე და პუშკინი“ [31].

ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე დემიტრი ლიხაჩოვი (Дмитрий Лихачёв, 1906-1991) წერდა: „პუშკინი ჩვენი უდიდესი ეროვნული ავლადიდებაა, ის ყოველთვის ჩვენთანაა, ის ჩვენი სულისა და ზნეობის უმაღლესი კრიტერიუმი“ [30]; სხვაგან: „პუშკინი გენიოსია, რომელმაც მოახერხა ერის იდეალის შექმნა, – არა უბრალოდ „ასახვა“ თუ „გამოსახვა“ რუსული ხასიათის ნაციონალური თავისებურებებისა, არამედ, – შექმნა რუსული ეროვნების, რუსული კულტურის იდეალი“ [32].

მათზე გაცილებით ადრე სხვა ცნობილ რუს ლიტერატორს ნათქვამი აქვს – პუშკინი ჩვენი ყველაფერი; დაახლოებით იმავეს ამბობდნენ გოგოლი (იხ. ამ მონაკვეთის ბოლო ნაწილი) და სხვა გამოჩენილი რუსი მწერლები; მაგალითად, დოსტოევსკი პუშკინს, როგორც ფენომენს, სწორედ ჩვენთვის საინტერესო რუსულ მესიანისტურ კონტექსტში განიხილავს [33].

მიიჩნევენ, რომ სწორედ პუშკინმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენა.

ამასთან, როგორც რუსი მკვლევრები აღნიშნავენ (ამასვე მიუთითებს ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ თავის წერილში), თვით პუშკინის (და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად – ლერმონტოვის) შემოქმედების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბაირონის პოეზიამ.

\* \* \*

პუშკინი კავკასიაში, პიატიგორსკში (ჩრდილოეთ კავკასია) პირველად 1820 წელს ჩამოვიდა; ხოლო 1829 წელს მან უკვე რამდენიმე თვე დაჰყო კავკასიაში და ამ პერიოდში ის ორჯერ ცოტა ხნით თბილისშიც შეჩერდა – გზად რუსეთ-თურქეთის ომის საბრძოლო მოქმედებების „თეატრისაკენ“ და უკანა გზაზე: ამ „თეატრის“ მონახულება პუშკინმა თავად ისურვა და აქ ის პასკევიჩის მიერ არზრუმის აღებასაც შეესწრო; ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები მან 1835 წელს ასახა ნაწარმოებში „მოგზაურობა არზრუმში 1829 წლის ლაშქრობის დროს“ [34].

ჩვენთვის, უპირველესად, საინტერესო ისაა, რომ სწორედ პუშკინმა „დანერგა კავკასია“ რუსულ ლიტერატურასა და რუსულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში. თუმცა, აქ ჯობს, კატია ჰოკენსონის წერილის „ლიტერატურული იმპერიალიზმი, ნაროდნოსტი და პუშკინის მიერ კავკასიის გამოგონება“ [35] შესავალი მონაკვეთიდან ციტატა მოვიყვანოთ:

„ბესარიონ ბელინსკის მიხედვით, როგორც კი გამოჩნდა პუშკინის ნარატიული პოემა [30], კავკასია „რუსებისთვის გახდა არა მხოლოდ ფართო, შეუზღუდავი ნების ქვეყანა, არამედ – პოეზიის ამოუნურავი წყაროც, მჩქეფარე სიცოცხლის და თამამი ოცნებების მხარე“. პუშკინის პოეზიამ, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, მონათლა და ამგვარად ოფიციალურად აღიარა თუ გააცხადა რუსეთში უკვე არსებული, მაგრამ იმ დრომდე გაუცხადებელი დამოკიდებულება კავკასიისადმი. პუშკინის ნარატიული პოემის გამოჩენამდე, მართლაც, არ არსებობდა ამბავი, ნარატივი კავკასიის თაობაზე, თვით „კავკასიაც“ კი – იმ გაგებით, რაც შემდგომ დამკვიდრდა – არ არსებობდა; როცა ბელინსკი გვამცნობს, რომ რუსეთმა „შეიძინა“ კავკასია „რუსეთის შვილების მიერ დაღვრილი ძვირფასი სისხლის და რუს გმირთა საქმეთა საგმირონთა ფასად“, იგი უთუოდ ამცრობს პუშკინის პოეზიის და მომდევნო ლიტერატურის მნიშვნელობას“ (იგულისხმება – კავკასიის „შეძენის საქმეში“ – ნ. ზ.).

\* \* \*

თავდაპირველად „კავკასიის ტყვე“ («Кавказский пленник») მიმოვიხილოთ, რომელიც 1820-1821 წლებში შეითხზა. სწორედ ამ ნაწარმოების „წყალობით“ რუსი მკითხველის, რუსული ინტელიგენციის, რუსი ხალხის მენტალობაში დაიწყო კავკასიის „ხატის“ ჩაბეჭდვა; ამასთან, ხაზგასასმელია ამ „ხატის“ ორი კრებლითი „იპოსტასი“: ერთი მხრივ, ესაა თავისუფლების სიყვარული, სიჩაუქე, ბრძოლისუნარიანობა, წარმტაცი ბუნება და ეგზოტიკური საყოფაცხოვრებო წესები – ზერელე რომანტიზაციის ნაყოფი; მეორე მხრივ კი – იმპერიალისტური მსოფლმხედველობის პრიზმით დანახული – ველურობა, პრიმიტიულობა, ვერაგობა, პირსისხლიანობა.

პუშკინს კავკასიის ეთნოსების, მათი წარმომავლობის თუ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მიახ-

ლოებითი წარმოდგენაც კი არ აქვს და მაინც თხზავს კავკასიის „ხატს“, თუ მითს კავკასიის, კავკასიელების შესახებ. ამის დასტურად, ამ პოემის ტექსტის გარდა, თანდართული პუშკინისეული განმარტებებიც გამოდგება [13], მაგალითად:

**მე-2 განმარტება** – „აული. ასე ჰქვია კავკასიის ხალხების სოფლებს“ (თუმცა, მაგალითად, საქართველოსა და სომხეთში, სადაც პუშკინმა შემდგომში საკმაო ხანს „შეისვენა“ – მსგავსი დასახელება არ გვხვდება – ნ. ზ.);

**მე-7 განმარტება** – „საქართველოს ბედნიერი კლიმატი ვერ უნაზღაურებს ამ ქვეყანას უბედურებებს, რასაც მუდამ განიცდის ის. ქართული სიმღერები სასიამოვნოა და მეტწილად დარდიანი. ისინი განადიდებენ კავკასიური იარაღის მყისიერ წარმატებებს, ჩვენი გმირების სიკვდილს: ბაკუნინის და ციციანოვისა; ლალატს, მკვლელობას, ზოგჯერ სიყვარულს და ტკობას“ (უკომენტაროდ! – ნ. ზ.);

**მე-10 განმარტება** – „ჩერქეზები, როგორც სხვა ველური ხალხები, ჩვენგან სტუმართმოყვარეობით განსხვავდებიან. სტუმარი მათთვის ღვთიური პიროვნება ხდება (...)“.

ეს უკანასკნელი შენიშვნა იმასაც ამჟღავნებს, რომ პუშკინი ქრისტიანულ კანონიკურ ტექსტებსაც არ იცნობს: შდრ. „ესწრაფოდეთ სტუმართმოყვარეობას“ – პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ.

გადავხედოთ პოემის ტექსტს. ამბავი, ალბათ, მკითხველს ემახსოვრება: ველური მთიელების (ჩერქეზების) მიერ დატყვევებულ-დამონებული რუსი ვაჟკაცი ადგილობრივ ქალიშვილს შეუყვარდება, რომელიც გაქცევის საშუალებას მისცემს შეყვარებულს, თვითონ კი ოჯახის თუ თემის მხრიდან მოსალოდნელი დასჯის გამო მდინარეში თავს იხრჩობს.

პოემაში ძალიან ბევრი ლიტარუტურულ-იმპერიალისტური „მარგალიტა“ გაბნეული, მაგრამ ვერაფერი შეედრება პოემის ფინალს (ეპილოგს) – აგრესორი დერჟავის ნამდვილ სადიდებელს:

Быть может, повторит она  
Преданья грозного Кавказа;  
Расскажет повесть дальних стран,

შესაძლოა გაიმეორებს იგი  
მრისხანე კავკასიის თქმულებებს;  
მოჰყვება შორეული ქვეყნების ამბავს (...)

და შემდეგ:

Измены, гибель россиян  
На лоне мстительных грузинок;  
И воспою тот славный час,  
Когда, почуя бой кровавый,  
На негодующий Кавказ  
Подъялся наш орел двуглавый;  
Когда на Тереке седом  
Впервые грянул битвы гром  
И грохот русских барабанов,  
И в сече, с дерзостным челом,  
Явился пылкий Цицианов;  
Тебя я воспою, герой,  
О Котляревский, бич Кавказа!  
Куда ни мчался ты грозой –  
Твой ход, как черная зараза,  
Губил, ничтожил племена...  
Ты днесь покинул саблю мести,  
Тебя не радует война;  
Скучая миром, в язвах чести,  
Вкушаешь праздный ты покой  
И тишину домашних долов...  
Но се – Восток подъямлет вой!..  
Поники снежною главой,  
Смирись, Кавказ: идет Ермолов!

И смолкнул ярый крик войны:  
 Все русскому мечу подвластно.  
 Кавказа гордые сыны,  
 Сражались, гибли вы ужасно;  
 Но не спасла вас наша кровь,  
 Ни очарованные брони,  
 Ни горы, ни лихие кони,  
 Ни дикой вольности любовь!  
 Подобно племени Батыя,  
 Изменит прадедам Кавказ,  
 Забудет алчной брани глас,  
 Оставит стрелы боевые.  
 К ущельям, где гнездились вы,  
 Подъедет путник без боязни,  
 И возвестят о вашей казни  
 Преданья темные молвы.

ლალატი, რუსების (= რუსი ვაჟკაცების, მეომრების)  
 დაღუპვა

შურისმაძიებელი ქართველი ქალების სარცველზე;  
 და ხოტბას ვასხამ დიდების იმ საათს,  
 როდესაც, იგრძნო რა სისხლიანი ბრძოლის მოახლოება,  
 მღელვარე კავკასიას  
 ჩვენი ორთავიანი არწივი (= რუსეთის იმპერია) დააცხრა;  
 როდესაც ჭალარა თერგზე  
 პირველად გაისმა ბრძოლის ქუხილი  
 და რუსული დოლების (= დაფდაფების) გრიალი,  
 და როდესაც, ხმლების ტრიალში, მედიდური სახით  
 კავკასიას მოვევლინა მგზნებარე ციციანოვი;  
 შენ ვასხამ ხოტბას, გმირო,  
 ო, კოტლიარევსკი, კავკასიაზე თავს დამტყდარო სასჯელო!  
 დაქროდი და ელავდი  
 და შენი სვლა, როგორც შავი ჭირი,

მუსრავდა, ანადგურებდა ტომებს (= კავკასიის ხალხებს)...  
 შენ დღეს უკვე დაშორდი შურისძიების მახვილს,  
 ველარ გახარებს ომი;  
 მშვიდობის გამო მონყენილი, ღირსებანაიარევი,  
 განიცდი უქმ მყუდროებას  
 და შინაურ სიჩუმეს...  
 მაგრამ აღმოსავლეთი კვლავ იწყებს ბლავილს!..  
 დახარე თოვლიანი თავი,  
 დამორჩილდი, კავკასიავე: ერმოლოვი მოდის!  
 და დადუმდა ომის მძვინვარე ხმა:  
 ყველაფერი რუსულ მახვილს დაექვემდებარა.  
 კავკასიის ამაყო ძენო,  
 თქვენ საშინლად იბრძოდით, იღუპებოდით;  
 მაგრამ თქვენ ჩვენმა სისხლმა ვერ გადაგარჩინათ,  
 ვერც მოჯადოებულმა ჯავშანმა,  
 ვერც მთებმა, ვერც მკვირცხლმა ცხენებმა,  
 ვერც ველური სილალის სიყვარულმა!  
 ბათოს (= ბათო ყაენის) ტომის მსგავსად,  
 ულალატებს მამა-პაპას კავკასია,  
 დაივინყებს ომით გაუმაძღარ ხმებს,  
 მიატოვებს საბრძოლო მშვილდ-ისარს.  
 ხეობებში, სადაც თქვენ ბუდობდით,  
 მეგზური შიშის გარეშე შევა,  
 და თქვენი სიკვდილით დასჯის ამბავს მოყვებიან  
 ხალხში გავარდნილი ბნელი მითები.

პუშკინის სიტყვებზე – „გამცემ, შურისმაძიებელ ქარ-  
 თველ ქალებზე, რომელთა ლოგინშიც იღუპებოდნენ რუსი  
 ვაჟკაცები“ ქვემოთ კიდევ ბევრს ვისაუბრებთ; კოტლი-  
 არევსკიზე ყურადღებას არ გავამახვილებთ – ის ჩვეულებ-  
 რივი რუსი იმპერიალისტი მებრძოლი იყო. აი, „მგზნებარე  
 ციციანოვი“ კი აქვე უნდა ვახსენოთ. ეს ის გენერალი, თა-  
 ვადი პაველ ციციანოვია (პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი

– პაპამისი ვახტანგ VI-ის ემიგრაციისას დარჩა რუსეთში), რომელმაც, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მიერ მონონებული, საკუთარი „საორგანიზაციო“ გეგმის მიხედვით, უკვე „პრაქტიკულად“, ბოლო მოუღო ქართლ-კახეთში მეფობის (გნებავთ – „განმგე საქართველოსას“ [37], საბოლოოდ კი – თვითმმართველობის) მისთვის საძულველ ინსტიტუტს [38]. ესეც არ იკმარა: გიორგი XII-ის (თუ XIII-ის<sup>1</sup>) გარდაცვალების შემდეგ სამეფო ოჯახის დიდი ნაწილი (იხ. ექსკურსი ქვემოთ) დააპატიმრა და რუსეთში გადაასახლა, თან მათ გამყოლ გენერალ ტუჩკოვს უბრძანა, რომ მარიამ დედოფალს და მის შვილებს გზაში „ჩვეულებრივი დამნაშავეებივით“ მოპყრობოდნენ (სწორედ ციციანოვის ამ გეგმის განხორციელებისას – მარიამ დედოფალმა, გიორგი XII-ის ქვრივმა – იმავე მარიამ გიორგის ასულმა ციციშვილმა, ციციანოვის ახლობელმა ნათესავმა – ხანჯლით განგმირა მასთან საძინებელ ოთახში შეჭრილი გენერალი ლაზარევი (იხ. ექსკურსი ქვემოთ).


\* \* \*

**ექსკურსი:** კერძოდ, ალექსანდრე ბატონიშვილმა, მოასწრო და თავი შეაფარა ჭარ-ბელაქანს, რომელიც მალე ციციანოვმა ამის გამოც დაარბია. საბოლოოდ შაჰის კარს თავშეფარებული, დაუდგარი ალექსანდრე ბატონიშვილის მშვენიერი, ბელეტრისტული პორტრეტი „დაუხატავს“ ბრიტანელ მოგზაურს, სერ რობერტ კერ პორტერს, რომელიც ალექსანდრეს თავრიზში 1819 წ. შეხვედრია; პორტერი ალექსანდრეს

<sup>1</sup> გიორგი XI-ის ქართლის ტახტზე ორჯერ ასვლისა და მეფობის ორი პერიოდის გამო (1676-1688, 1703-1709) „მომდევნო გიორგის“ XIII-დ მოიხსენიებდნენ; თუმცა, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ასეთი მიმდევრობა, უმეტესად, გაზიარებული არ არის.

ქსანდრეს უწოდებს „პრინცს, რომლის მედგარი სული კვლავ ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან ყოველგვარ შერიგებას“; და შემდეგ: „შეუძლებელი იყო ამ უშიშარი პრინცისათვის, რამდენადაც ველური და კერპი არ უნდა ყოფილიყო ის, ინტერესის გარეშე შეგეხედათ; იმ სინანულისა და აღტაცების გარეშე, რომლითაც კაცი მონადირეთა მიერ თავისი სამემკვიდრეო უდაბნოდან გამოდევნილ ლომს შეხედავს, იქვე შორიახლო რომ მიდი-მოდის და ამაყ სიმარტოვეში გაბმული ღმუილით ემუქრება უცხო ადამიანებს, რომლებმაც მისი მეფობა დაარღვიეს“ [39].

პლატონ იოსელიანის ცნობით [40], მარიამ დედოფლის მიერ ლაზარევის მოკვლა უფრო ლეგენდაა; სინამდვილე კი თითქოსდა ასეთი იყო: „ეს ლაზარევი მოიკლა არა დედოფლისაგან, რომელსაცა მიაწერეს ესე (...) დროსა მას, როდესაც ლაზარევიან კ. ციციანოვისა ბრძანებითა შემოარტყა ჯარი დედოფლისა სასახლესა და შევიდა თვით ლაზარევი გამოსაყვანად მისსა, იყო დილა და 8 საათი დილისა, დედო-



მარიამ დედოფლის დაპატიმრება. გრავეურის ავტორი შარლ მიშელ ჟოფრუა

ფალმან მოსთხოვა დრო და მოთმინება: „შვილებსა წვრილებსა სძინავთ“. ლაზარევიმან ესე თხოვა არ მიიღო, გაბედა და სტაცა ხელსა და მრისხანედ უთხრა: „ეხლავ გამოდითო! ჯარი ვერ მოგიცდისთ დიდხანსაო“. მაშინ მუნ მყოფმან თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმან მსწრაფლ ამოიღო ხანჯალი და სცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა, და თვით ხიმშიაშვილი მეორის ეზოს ბაღკონით გავიდა ქალაქიდან და გაიქცა ახალციხეს და მუნ მოკვდა 1807 წელსა“.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მარიამ დედოფალი იმპერიამ დამნაშავედ სცნო და 7 წლით დაატყვევა ვორონეჟის სიახლოვეს, ბელგოროდის მონასტერში.

\* \* \*

თვითონ ციციანოვი კი 1806 წელს, ბაქოს ალების მცდელობისას, მისთვის ჩვეული ვერაგობის შესაბამისად, მოკლეს, მის გვამს თავი და ხელები მოჰკვეთეს და რუსების დამარცხების ნიშნად თეირანში გაგზავნეს, თვით გვამი კი სანაგვეზე დააგდეს, ვიდრე მოგვიანებით ერთ-ერთი ეკლესიის სარდაფში „შეინახავდნენ“. ის მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გადმოსვენეს და – იმ ადამიანის ცხედარი, ვინც დაასამარა ქართლ-კახეთის სამეფო და, მეტიც, ელაზნაურის ძალდატანებითი შეთანხმებით „საფლავი გაუთხარა“ იმერეთის სამეფოსაც – დიდი პატივით დაკრძალეს სიონის ტაძარში, სადაც, ასევე, დაკრძალულია ლაზარევიც.

გენერალი ერმოლოვი კი ვერაგობაზე, „ჩვეულებრივ ძალმომრეობაზე“ და ტყეების, ბაღებისა და ყანების გაკაფვა-გადანვის ჩვეულ პრაქტიკაზე გაცილებით შორს წავიდა – ის არნახულ სისასტიკეს ავლენდა, ატერორებდა, დედაბუდიანად, ქალიან-ბავშვიანად ჟლეტდა, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას, მინასთან ასწორებდა, მაგალითად, ჩეჩნების სოფლებს; ამ ყველა „სიკეთესთან“

ერთად, ის არც ადამიანების მძევლად აყვანის პრაქტიკას ერიდებოდა და კიდევ ხოცავდა მძევლებს: „მე მინდა, რომ თავზარი, რასაც ჩემი სახელის გაგონება იწვევს, ჩვენს საზღვრებს უფრო საიმედოდ იცავდეს, ვიდრე ციხესიმაგრეთა ჯაჭვი, რათა ჩემი სიტყვა ადგილობრივებისთვის იყოს კანონი, რაც სიკვდილზე გარდაუვალიც კი არის“ – წერდა გენერალი ერმოლოვი (ერმოლოვის ბევრ „ინოვაციურ“ მეთოდს მისი საქმის გამგრძელებლებიც – პასკევიჩი, კლიუგენაუ, ვორონცოვი, ბარიატინსკი, ევდოკიმოვი და სხვ. – „წარმატებით იყენებდნენ“, თუმცა ისინი, – როგორც იგივე ჯონ ბადლი წერს, – მაინც ერმოლოვზე ნაკლებად „ერჩოდნენ“ ქალებს, ბავშვებს და დავრდომილ მოხუცებს [41]).

როგორც აღნიშნავს ვახტანგ ჯავახიძე „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე – „1937 წელს გამოცემულ პუშკინის საიუბილეო ტომში შეტანილია „კავკასიის ტყვის“ ქართული თარგმანი და, გასაგები მიზეზების გამო, მოკვეთილია ეპილოგი. ხოლო 1975 წელს დაბეჭდილ პუშკინის თხზულებათა ცხრაასგვერდიან კრებულში, კვლავ გასაგები მიზეზების გამო, პოემა საერთოდ არ არის შეტანილი. იმავე 1937 წლის ნიგნის წინასიტყვაობაში კი ფილიპე მახარაძე გვარწმუნებს, რომ „პუშკინს გაგიჟებით უყვარდა კავკასია“ [42]. აღსანიშნავია, რომ პუშკინისა და ლერმონტოვის საქართველოსადმი სიყვარულში ქართველების დარწმუნებას შესანიშნავი ლიტერატურისმცოდნე და საქართველოში, მართლა, შეყვარებული პიროვნება, ვიქტორ გოლცევიც ცდილობდა თავის წერილში „საქართველო რუსულ პოეზიაში“ («Грузия в русской поэзии»), რაც პირველად (შესავალის სახით) 1953 წელს გამოქვეყნდა ნიგნში «На холмах Грузии» (ნიგნი თბილისში ვიქტორ გოლცევისავე რედაქტორობით დაიბეჭდა). ამასთან, ავტორი აღნიშნავს, რომ ორთავეს „შესანიშნავად გაეგებოდა კავკასიის რუსეთთან მიერთების ისტორიული აუცილებლობა“ და,

ჩანს, თვითონ გოლცევსაც „შესანიშნავად“ ესმოდა ეს... [43, 44].

\* \* \*

საგულისხმოა, რომ ასეთი ეპილოგის გამო თავის დროსაც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ზოგიერთი შედარებით ლიბერალურად განწყობილი რუსი არისტოკრატი, მაგალითად, პოეტი და კრიტიკოსი პიოტრ ვიაზემსკი (Pётр Вяземский, 1792-1878); სახელმწიფო მოღვაწისა და ისტორიკოსის, ალექსანდრე ტურგენივისადმი გაგზავნილ წერილში ვიაზემსკი წერდა: „ვნანობ, რომ პუშკინმა სისხლით შეფერა თავისი პოემის ბოლო ლექსები. რა გმირია კოტლიარევსკი, ან – ერმოლოვი? განა კარგია, რომ ის „შავი ჭირივით მუსრს ავლებდა ტომებს (племена)?“ ასეთი დიდება ძარღვებში სისხლს ყინავს და თმას ყალყზე აყენებს. თუკი განვანათლებლად ჩვენს ტომებს, მაშინ გვექნებოდა რამე საამაყო. პოეზია ჯალათების მოკავშირე არ არის; პოლიტიკას ისინი შეიძლება სჭირდებოდეს და მაშინ ისტორიკოსმა მათი მსაჯული (...), მაგრამ პოეტური ჰიმნები ხალხის ხოცვას არავითარ შემთხვევაში არ უნდა განადიდებდეს. მე გული მწყდება პუშკინის გამო: ასეთი აღტაცება – ნამდვილი ანაქრონიზმია! გულდასაწყვეტია ისიც, რომ მე ჩემ სტატიაში ვერც კი მივანიშნებ ამის შესახებ. ჩემი კაცთმოყვარეობა და ზნეობრივი გრძნობა ჩვენს მართლმორწმუნე ცენზორებს ამბოხისკენ მოწოდებად და ეშმაკეულ შთაგონებად მოეჩვენებათ“ [45]. მართლაც, ვიაზემსკის „კავკასიის ტყვისადმი“ მიძღვნილ წერილში არაფერია ნათქვამი ამის შესახებ [46]. პირიქით, – როგორც წერს ლიტერატურისმცოდნე დიმიტრი ბლაგოი პუშკინის რჩეული ნაწარმოებების ორტომეულის კომენტარებში, – „კრიტიკა „კავკასიის ტყვეს“ აღფრთოვა-

ნებით შეხვდა (თუკი არ გავითვალისწინებთ ცალკეულ, მცირე შენიშვნებს)“ [47].

აქვე საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ პუშკინს მონიფულბაშიც დიდად არ შეუცვლია აზრი თავისი ქმნილების მიმართ: „ეს ყველაფერი სუსტია, ახალგაზრდულია, არასრულია; მაგრამ ბევრი რამ ზუსტადაა გამოცნობილი და ასახული“, – წერს პუშკინი „კავკასიის ტყვის“ შესახებ 1835 წელს, ნაწარმოებში „მოგზაურობა არზრუმში“; ამავე ნაწარმოებში ის კვლავ არაერთხელ ამუღავნებს ზერელეობასაც, მაგალითად: მიუხედავად იმისა, რომ იგი დაბა ყაზბეგში ხვდება და უძმობილდება თავად ყაზბეგს, პუშკინი ვერ აღიქვამს, რომ ის უკვე საქართველოშია, რომ სტეფანწმინდა საქართველოა და წერს, რომ საქართველო არაგვის ხეობაში იწყება [34] (პუშკინის ეს ოპუსი სავსეა მსგავსი „დაკვირვებებით“, რაც თავის დროს ტიციან ტაბიძემაც გაკვრით აღნიშნა მოკლე წერილში ესენინის შესახებ [48]); ყველაზე უკეთ კი ეს „ფენომენი“ თავის დროს კარპეზ დონდუამ „დაახასიათა“ – „ერთი სიტყვით, საქართველოსა და მისი დედაქალაქის აღწერისას არაჩვეულებრივ (незаурядный) პუშკინს ძნელად თუ განასხვავებ ჩვეულებრივი (заурядный) ტურისტისაგან“ [21].

ეს „დამახასიათებელი ზერელეობა“ და ბევრი სხვა საკითხი, რასაც ჩვენც ვეხებით აქ და ქვემოთ, რუსეთის იმპერიის „კავკასიური უტოპიისა“ თუ „იმპერიული რომანტიზმის“ (იმავე „კავკასიის, როგორც კულტურულ-ფსიქოლოგიური მოვლენის, მომხიბლაობის“) კონტექსტში ძალიან საინტერესოდ აქვს გაანალიზებული რუს ისტორიკოსსა და ლიტერატორს, ჟურნალ „ზვეზდას“ მთავარ რედაქტორს, იაკობ გორდინს (Яков Гордин, დაიბ. 1935) წერილში „რუსი კაცი კავკასიაში: წინასწარი შენიშვნები კავკასიის უტოპიის შესახებ“ [45]. გორდინი, მაგალითად, წერს, – „რა თქმა უნდა,

ის ცნობები, რაც გააჩნდათ პუშკინსა და ჟუკოვსკის კავკასიის მთიელების შესახებ, საკმაოდ ზედაპირული იყო. ეს იყო მთიელთა ცხოვრების მხოლოდ ზედა, გარეგანი შრე, ეგზოტიკური მასალა, რაც სავსებით შესაფერისი გამოდგა კავკასიური უტოპიის არასახელმწიფო ვარიანტის<sup>1</sup> – მიმზიდველი და სახიფათო რომანტიკული სივრცის – კონსტრუირებისათვის“.

ხოლო ერმოლოვის „მითოლოგემა“ და სხვა ზოგიერთი საკითხი კარგად აქვს გამოკვლეული როსტოვში მცხოვრებ რუსულენოვან ახალგაზრდა მეცნიერს, ამირან ურუშაძეს ნერილში „რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებაში კავკასიის ხატის ფორმირება: XVII საუკუნის ბოლო-XIX საუკუნის დასაწყისი“ [50]: „მნიშვნელოვანწილად რომანტიზმის გავლენით, ამ მხარემ შეიძინა, არსებითად, რასიალისტური [51] ორიენტალიზმის<sup>2</sup> ნიშნები. მისანვლომი გახადა რა ცნობები იმპერიის სამხრეთი კიდის შესახებ, ამასთან ერთად, ლიტერატურულმა ტრადიციამ ჩამოაყალიბა მდგრადი, პერმანენტულად განმეორებადი მითოლოგემები, კერძოდ – ლეგენდა ა. პ. ერმოლოვის შესახებ. XIX საუკუნის დასაწყისსა და შუახანებში კავკასიის თაობაზე შექმნილი ნაწარმოებების პოპულარობა ხელს უწყობდა განსაკუთრებული მხატვრული ტრენდის წარმოშობას, რამაც ახალი განვითარება ჰპოვა საბჭოთა ეპოქაში, და რასაც კვლავ უჭირავს თავისი სივრცე თანამედროვე რუსულ კულტურაში“.

<sup>1</sup> სახელმწიფო ვარიანტში იგულისხმება კავკასიის დაპრობა, როგორც პლაცდარმისა სამხრეთისაკენ რუსეთის იმპერიის შემდგომი გაფართოებისათვის – ციციანოვის და ძმათა მისთა „ხედვა“.

<sup>2</sup> კავკასიის, მათ შორის საქართველოს, ორიენტალიზაციის, ანუ „გააღმოსავლეთების“ შესახებ იხ. ქვემოთ სალომე ასათიანისა და სუზან ლეიტონის საუბრის ფრაგმენტი.

\* \* \*

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პუშკინს რამდენიმე მშვენიერი ლექსი აქვს მიძღვნილი კავკასიისადმი; ერთ-ერთი მათგანის შთაგონების წყარო მყინვარწვერი და გერგეტის სამება გამხდარა:

Высоко над семьёю гор,  
Казбек, твой царственный шатер  
Сияет вечными лучами.  
Твой монастырь за облаками,  
Как в небе реющий ковчег,  
Парит, чуть видный, над горами.  
Далёкий, вожделенный брег!  
Туда б, сказав прости ущелью,  
Подняться к вольной вышине!  
Туда б, в заоблачную келью,  
В соседство Бога скрыться мне!..

პუშკინი ზოგჯერ კავკასიელებს თითქოს თანაუგრძნობს კიდევ; თერგისადმი მიძღვნილი ლექსის ბოლო სტროფი, თავის დროს, გასაგები მიზეზების გამო, ვერ გამოქვეყნდა:

Так буйную вольность законы теснят,  
Так дикое племя под властью тоскует,  
Так ныне безмолвный Кавказ негодует,  
Так чуждые силы его тяготят...

ასე ავინრობენ კანონები თავაშეებულ სილალეს,  
ასე დარდობს ძალაუფლებით შებოჭილი ველური ტომი,  
ასე ბრაზობს ამჟამად უტყვი კავკასია,  
ასე თრგუნავენ მას უცხო ძალები....

მაგრამ დააკვირდით: ის ჩვენ მაინც ველურ ტომებად აღგვიქვამს. გადავავლოთ თვალი „მედასავლეთე“ პუშკინის

იმ ლექსს, რომლითაც საფრანგეთის პალატის დეპუტატებ-  
სა და ფრანგ უზუნაღისტებს მიმართავს – მათ, ვინც თანა-  
უგრძნობდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ამბოხებულ  
პოლონელ ხალხს და რუსულ-პოლონურ საომარ მოქმე-  
დებებში დასავლეთ ევროპელების შეიარაღებულ ჩარევას  
მოითხოვდა:

Вы грозны на словах – попробуйте на деле!  
Иль старый богатырь, покойный на постеле,  
Не в силах завинтить свой измайльский штык?  
Иль русского царя уже бессильно слово?  
Иль нам с Европой спорить ново?  
Иль русской от побед отвык?  
Иль мало нас? Или от Перми до Тавриды,  
От финских хладных скал до пламенной Колхиды,  
От потрясенного Кремля  
До стен недвижимого Китая,  
Стальной щетиною сверкая,  
Не встанет русская земля?..  
Так высылайте ж к нам, витии,  
Своих озлобленных сынов:  
Есть место им в полях России,  
Среди нечуждых им гробов.

თქვენ მრისხანებთ სიტყვით – აბა, სცადეთ – საქმით!  
განა ბებერი დევგმირი (= რუსეთი), რომელიც საწოლზე  
ისვენებს,

ვერ შესძლებს, მოიმარჯვოს იზმაილის ხიშტი?  
განა რუსეთის ცარის სიტყვა დაუძლურდა?  
განა ჩვენთვის სიახლეა ევროპასთან დავა?  
განა რუსი გამარჯვებებს გადაეჩვია?  
თუ ცოტანი ვართ? თუ პერმიდან ტავრიდამდე  
(= ყირიმამდე),

ფინეთის ცივი კლდეებიდან ცეცხლოვან კოლხეთამდე,  
გამაოგნებელი კრემლიდან  
უძრავი ჩინეთის კედლებამდე,  
ფოლადის წვერ-ულვაშით მბრწყინავი,  
თქვენ წინააღმდეგ არ აღდგება რუსეთის მიწა?..  
მაშ, გამოგზავნეთ ჩვენთან, მოლაყბენო,  
თქვენი გაბოროტებული ძენი:  
რუსეთის მინდვრებში ადგილი ბევრია  
მათთვის განკუთვნილ სასაფლაოებზე.

ანუ პუშკინს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ პოლონეთი,  
ფინეთი, ყირიმი, კოლხეთი და ა. შ. რუსეთისაა და სამუდა-  
მოდ რუსეთის უნდა იყოს.

„ევროპის ჟანდარმის“ [52], ნიკოლოზ I-ის შესახებ გულ-  
წრფელად წერს:

Нет, я не льстец, когда царю  
Хволу свободную слагаю:  
Я смело чувство выражаю,  
Языком сердца говорю.  
Его я просто полюбил:  
Он добро, честно правит нами;  
Россию вдруг он оживил  
Войной, надеждами, трудами.  
О нет, хоть юность в нем кипит,  
Но не жесток внем дух державный:  
Тому, кого карает явно,  
Он втайне милости творит.

არა, მე არა ვარ პირმოთნე, როდესაც ცარს  
თავისუფლად ვასხამ ხოტბას:  
მე თამამად გამოგზავნავ ამ გრძნობას,

გულის ენით ვსაუბრობ.

მე იგი უბრალოდ შემიყვარდა:

ის კეთილად, პატიოსნად გვმართავს ჩვენ;

რუსეთი მან უცებ გამოაცოცხლა

ომით, იმედებით, საქმეებით.

ო, არა, თუმცა მასში ჩქეფს სიჭაბუკე,

მისი დერჟავული სული მაინც არ არის სასტიკი;

მას, ვისაც იგი სახალხოდ სჯის,

მასვე ფარულად სწყალობს იგი.

მიაქციეთ ყურადღება მეორე სტროფის ბოლო სტრიქონში სიტყვების წყობას: ომი, იმედი, საქმე... მესამე სტროფი, მართლაცდა, პოეტურ-იმპერიალისტური „მარგალიტა“: დერჟავულობა, რაც არსებითად „ხალხთა პერობას“ ნიშნავს,<sup>1</sup> თურმე შესაძლოა, სასტიკი არ იყოს და თურმე რუსი ცარის მიერ დასჯა უზენაესის ფარული წყალობის ტოლფასია.

პუშკინის რჩეულ თხზულებათა ორტომეულის შესავალ სტატიაში, ამ ორტომეულის შემდგენელი გ. მაკოგონენკო აღნიშნავს: „გოგოლი, ალბათ, ერთადერთი მწერალი იყო, ვისაც ღრმად ესმოდა პუშკინის ყველა მხატვრული აღმოჩენის მნიშვნელობა და არა მხოლოდ ესმოდა, არამედ იგი გამოთქვამდა კიდევ თავის შეხედულებას პუშკინის შესახებ“ [54] (გოგოლი თავის მასწავლებლად მიიჩნეოდა და არსებითად აღმერთებდა პუშკინს – ნ. ზ.).

ამავე სტატიის დასაწყისში მოყვანილია ციტატაც გოგოლის წერილიდან პუშკინის შესახებ: „მასში რუსული ბუნება, რუსული სული, რუსული ენა, რუსული ხასიათი აისახა ისე წმინდად, ისეთი სუფთა სილამაზით, როგორც აირეკლე-

ბა ლანდშაფტი ოპტიკური მინის ამობურცულ ზედაპირზე“, – წერს გოგოლი.

გოგოლის ამავე წერილში ვკითხულობთ – „იგი თავის საწყისებშივე ნაციონალური იყო, რადგან ჭეშმარიტი ნაციონალურობა სარაფნის აღწერა კი არ არის, არამედ თვით ხალხის სულში წვდომაა. პოეტი მაშინაც კი შეიძლება იყოს ნაციონალური, როდესაც სრულიად განსხვავებულ, გარეშე სამყაროს აღწერს, მაგრამ თავისი ნაციონალური სტიქიონიდან, ხალხის თვალებით სჭვრეტს მას; როდესაც განიცდის და საუბრობს ისე, რომ მის თანამემამულეებს ეჩვენებათ, თითქოს ისინი თვითონ განიცდიან ამას და თვითონ საუბრობენ ასე... პუშკინი არის საგანგებო მოვლენა და, შესაძლოა, რუსული სულის (русского духа) ერთადერთი გაცხადება: ეს არის რუსი ადამიანი მის განვითარებაში, ისეთში, რომელშიც ის შეიძლება მოგვევლინოს ორასი წლის შემდეგ“ (ეს არის ციტატა გოგოლის წერილიდან „რამდენიმე სიტყვა პუშკინის შესახებ“ – ნ. ზ. [55]).

\* \* \*

ზემოთ აღინიშნა, რომ ქართველი მწერლების უმეტესობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა რუსი კოლეგების იმპერიალისტურ შეხედულებებს და შესაბამის დისკურსს მათ შემოქმედებაში.

რუსეთში დაბადებულ და ამჟამად საქართველოში მცხოვრებ ჟურნალისტს, ელექტრონული ჟურნალ „სამიზდატის“ დამფუძნებელს, კატია (ეკატერინა) ციბერს, ერთ-ერთ წერილში („ჩვენი პუშკინი 215 წლისა“) თავი მოუყრია პუშკინის შესახებ ქართველი პოეტებისა და მწერლების გამოწვევებზე [56]: „მთელ მსოფლიოში ცოტა მოინახება

<sup>1</sup> პლატონ იოსელიანის მიხედვით, держава – „საპერობლო“ [53].



მწერალი, ვის ნაწარმოებებსაც ქართველები ისე ხშირად, ისეთი ხალისით თარგმნიდნენ, როგორც პუშკინის ლექსებს... მხოლოდ ასეთ მწერლებს ძალუძთ, გააძლიერონ განსხვავებული ერებს შორის ის წმინდა და ურყევი კავშირი, ძმობის და სიყვარულის ის დამოკიდებულებანი, რაც ასე სასურველია დღეს ყოველი ქართველისათვის“ (ნიკო ლომოური); „კლასიკოსი – ეს პანთეისტური ღმერთია. შექმნა რა სამყარო, ის განზავდა მასში. პუშკინი ამის საუკეთესო მაგალითია“ (გრ. რობაქიძე); უნიკალურია „პუშკინის მსოფლიო გარდასახვა და მის მიერ უცხო კულტურათა გაგება, რასაც ის მშვენიერი სიცხადით გადმოსცემს“ (ტ. ტაბიძე); „იგი (...) ახლობელია ნებისმიერი თაობისათვის“ (ირ. აბაშიძე). დავამატებთ, რომ რობაქიძე რამდენიმე წერილში იხსენიებს პუშკინს და მას მუდამ ისეთ უდიდეს შემოქმედთა გვერდით აყენებს, როგორებიცაა ჰომეროსი, გოეთე... ასევე იქცევა ტიცციან ტაბიძე: მოცარტი, ოვიდიუსი, პუშკინი... [57]. და ეს ხდება იმ დროს, როცა მწერლები ჯერ კიდევ არ არიან მოქცეული საბჭოთა ცენზურის მარწმუნებში და სწორედ ეს გვაკვირვებს ცოტათი; დავაზუსტებთ – გვაკვირვებს ასეთი ცალმხრივი (და ჩვენი სუბიექტური აზრით – აშკარად გადაჭარბებული) შეფასება, თორემ ტიცციან ტაბიძის მიერ 1937 წლის დასაწყისში, დიდი რეპრესიების პერიოდში შექმნილი შემდეგი სტრიქონები გასაკვირი ნამდვილად არ არის:

საბჭოთა მიწის დაილოცოს  
ყველა მტკაველი,  
იყოს უკვდავი, ვით პუშკინი  
და რუსთაველი.

# მიხაილ ლერმონტოვი МИХАИЛ ЛЕРМОНТОВ

1814-1841



მიხეილ ლერმონტოვი უთუოდ დიდი პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული. მან ლექსების წერა 13 წლისამ დაიწყო; 15-16 წლის უკვე დაოსტატებული პოეტია, ხოლო 23 წლის ასაკისთვის, როცა შეიქმნა მისი ცნობილი, პუშკინის დალუპვისდმი მიძღვნილი, პოეტური პამფლეტი („პოეტის სიკვდილი“ – «Смерть поэта»), მკვლევრების გამოთვლით, ლერმონტოვს უკვე ჰქონდა დაწერილი 300 ლექსი, 24 პოემა, 5 დრამა და 2 დაუმთავრებელი რომანი. გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე დიდ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს, ივანე ბუნინის (Иван Бунин, 1870-1953) რუსი ემიგრანტი პროზაიკოსისა და ფილოსოფოსის, მარკ ალდანოვისათვის (Марк Алданов, 1889-1957) უთქვამს: „მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩვენი უდიდესი პოეტი პუშკინია. არა, ეს ლერმონტოვია. წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რა სიმალეებს მიაღწევდა ეს ადამიანი, ოცდაშვიდი წლისა რომ არ დაღუპულიყო“ [58].

იმის გამო, რომ რთული ხასიათის მქონე ოფიცერ ლერმონტოვს თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ორჯერ მიუსაჯეს კავკასიაში გადასახლება და სამხედრო სამსახური – ეს დიდად მგრძობიარე პოეტი უკეთ იცნობდა კავკასიასა და კავკასიელებს და, ალბათ, სადღაც გულის სიღრმეში, მეტადაც თანაუგრძობდა მათ:

Кавказ! далекая страна!  
Жилище вольности простой!  
И ты несчастьями полна  
И окровавлена войной!..  
Ужель пещеры и скалы

Под дикой пеленою мглы  
Услышат также крик страстей,  
Звон славы, злата и цепей?..  
Нет! прошлых лет не ожидай,  
Черкес, в отечество свое:  
Свободе прежде милый край  
Приметно гибнет для нее.

კავკასიაჲ! შორეულო მხარეჲ!  
მარტივი სილალის სამყოფელო!  
შენც უბედურებით აივსე  
და ომით დასისხლიანდი!..  
ნუთუ მღვიმეებიც და კლდეებიც  
წყვიადის ველური საბურველის ქვეშაც  
გაიგონებენ ვნებიან ყვირილს,  
დიდების, ოქროსა და ბორკილების ჟღარუნს?..  
არა! განვლილ წლებს ვერ დაიბრუნებ,  
ჩერქეზო, შენს სამშობლოში:  
თავისუფლების უწინ რჩეული მხარე  
თვალსაჩინოდ ილუპება მისთვის  
(= თავისუფლებისთვის).

ანდა ავილოთ ლერმონტოვის დალუპვის წელს შექმნილი ლექსი „კამათი“ («Спор»), სადაც იალბუზი ყაზბეგს (მყინვარწვერს) ესაუბრება და აფრთხილებს დაპყრობის შესაძლებლობის შესახებ. მყინვარწვერი პასუხობს, რომ აღმოსავლეთი [59] დასუსტებულია და მას აქედან საშიშროება არ ემუქრება; მაშინ იალბუზი მას ჩრდილოეთისაკენ გაახედებს:

Тайно был Казбек огромный  
Вестью той смущен,  
И, смутясь, на север темный  
Взоры кинул он.

И туда в недоуменье  
Смотрит, полный дум  
Видит странное движенье,  
Слышит звон и шум.  
От Урала до Дуная,  
До большой реки,  
Колыхаясь и сверкая  
Двигутся полки.  
(...)

И испытанный трудами  
Бури боевой,  
Их ведет, грозя очами,  
Генерал седой. [65]  
Идут все полки могучи,  
Шумны как поток,  
Страшно-медленны как тучи,  
Прямо на восток.  
И томим зловещей думой,  
Полный черных снов,  
Стал считать Казбек угрюмый –  
И не счел врагов...  
Грустным взором он окинул  
Племя гор своих,  
Шапку? на брови надвинул  
И навек затих.

ვეება ყაზბეგი  
ამ ამბით იყო შეცბუნებული,  
და, შეცბუნებულმა, ბნელი ჩრდილოეთისკენ  
მიმართა მზერა.  
და გაოცებული იქით  
იციქრება, ფიქრებით პირთამდე სავსე,

ხედავს უცნაურ მოძრაობას,  
 ულარუნი და ხმაური მოესმის მას.  
 ურალიდან დუნაიმდე,  
 დიდ მდინარემდე,  
 რნევა-რნევიტა და ბრწყინვით  
 მოძრაობენ პოლკები.

(...)

და გამობრძმედილი  
 საბრძოლო ქარიშხლებში,  
 განრისხებული მზერით, პოლკებს მოუძღვის  
 ჭაღარა გენერალი [60].  
 მოემართება ძღვევამოსილი ჯარი,  
 მთის მდინარეებივით ხმაურიანი  
 და საავდრო ღრუბლებივით საშიში,  
 ზუსტად აღმოსავლეთისკენ.  
 და ავისმომასწავებელი ფიქრებით შეპყრობილმა,  
 შავი სიზმრებით აღვსილმა,  
 მოღუშულმა ყაზბეგმა დაინყო თვლა –  
 და ვერ დათვალა უთვალავი მტერი...  
 დარდიანი მზერა მოავლო  
 თავისი მთების ტომს (თემს, ხალხს),  
 ქუდი თვალეებზე ჩამოიფხატა  
 და სამუდამოდ დადუმდა ის.

*(ქუდი თვალეებზე ჩამოიფხატა – აქ ლერმონტოვისავე გან-  
 მარტებით იგულისხმება ღრუბლები, რაც ხშირად ადგას ხოლმე  
 ყაზბეგს, და რასაც ადგილობრივები = მოხვევები ყაზბეგის ქუდს  
 ეძახიან).*

\* \* \*

**ექსკურსი:** ამ ლექსშიც ვაწყდებით კავკასიის ერების  
 ისტორიისა და კულტურის მიმართ ზედაპირულ, ზერეულ  
 დამოკიდებულებას, მაგალითად, გეოგრაფიის აღრევას და  
 ქრისტიანული საქართველოს „გააღმოსავლეთებას“ თუ „ორი-  
 ენტალიზაციას“, – როგორც უნოდებს ამას დოქტ. სუზან  
 ლეიტონი და ამ ფაქტის ღრმა ინტერპრეტაციასაც გვთავა-  
 ზობს (იხ. ქვემოთ). პუშკინის მსგავსად, ლერმონტოვსაც არა  
 აქვს გაცნობიერებული, რომ მყინვარწვერი (მისი უმეტესი  
 ნაწილი) საქართველოშია და როცა სამხრეთიდან მომავალ  
 შესაძლო საფრთხეზე წერს, ის საქართველოსაც გარეშე  
 და თან სრულიად აღმოსავლურ კონტექსტში აღიქვამს –  
 თეირანთან, დაცემულ იერუსალიმთან და, ასე განსაჯეთ,  
 ეგვიპტესთან ერთადაც კი. აი, რას წერს ის ამავე ლექსში  
 დაუძღვრებული აღმოსავლეთის შესახებ:

– Не боюсь я Востока,  
 Отвечал Казбек,  
 Род людской там спит глубоко  
 Уж девятый век.  
 Посмотри: в тени чинары  
 Пену сладких вин  
 На узорные шальвары  
 Сонный льет грузин;  
 И склоняюсь в дыму кальяна  
 На цветной диван,  
 У жемчужного фонтана  
 Дремлет Тегеран. (...)

არ მეშინია აღმოსავლეთის,  
 პასუხობდა ყაზბეგი,  
 ადამიანთა მოდგმა იქ ღრმა ძილშია

უკვე მეცხრე საუკუნეა.  
 შეხედე: ჭადრის ჩრდილში  
 ტკბილ ღვინოთა ქავს  
 ჭრელ ფართო შარვალზე  
 როგორ ისხამს გაბრუებული ქართველი;  
 და კალიანის (= ყალიონის) ბოლში  
 დივანზე წამონოლილი,  
 მარგალიტებიან შადრევანთან  
 როგორ თვლემს თეირანი. (...)

\* \* \*

ამასთან, ლერმონტოვს, პუშკინისაგან განსხვავებით, თვითმპყრობელური რუსეთის მიმართ თითქოსდა ილუზიები არ გააჩნდა:

Прощай, немытая Россия,  
 Страна рабов, страна господ,  
 И вы, мундиры голубые,  
 И ты, послушный им народ.  
 Быть может, за хребтом Кавказа  
 Укроюсь от твоих царей,  
 От их всевидящего глаза,  
 От их всеслышащих ушей.

მშვიდობით, დაუბანელო რუსეთო,  
 მონების ქვეყანავ, ბატონების ქვეყანავ,  
 თქვენც გემშვიდობებით, ცისფერო მუნდირებო  
 (= თავად-აზნაურობავ)

და თქვენც, მათ დამორჩილებულო ხალხო.  
 ეგებ, კავკასიის ქედს იქით  
 მოვწყდე შენს ცარებს,  
 მათ ყოვლისმომცველ თვალთვალს,  
 მათ ყოვლისგამგონ ყურთასმენას [61].

და ყოველივე ამის მიუხედავად, ამ შესანიშნავი პოეტის სულიც დაავადებულია რუსული დერჟავულობის ყოვლისგამძლე ვირუსით. როგორც ზემოთაც მივანიშნეთ, ლერმონტოვი ბევრ თავის ლექსში შეუნიღბავად ამჟღავნებს გულწრფელ სიმპათიას კავკასიისადმი, მაგრამ დაუუკვირდეთ ამ სტრიქონებს:

Хотя я судьбой на заре моих дней,  
 О южные горы, отторгнут от вас,  
 Чтоб вечно их помнить, там надо быть раз.  
 Как сладкую песню отчизны моей,  
 Люблю я Кавказ.

თუმცა ჩემი სიცოცხლის განთიადისას ბედმა,  
 ო, სამხრეთის მთებო, განმაცალკევა თქვენგან,  
 სამუდამოდ თქვენ დასამახსოვრებლად,  
 მანდ ერთხელ მოხვედრაც საკმარისია.  
 როგორც ჩემი ოტჩინის ტკბილი სიმღერა,  
 მე მიყვარს კავკასია.

პოეტს უყვარს კავკასია... როგორც თავისი „ოტჩინის“ ტკბილი სიმღერა. რა ნიუანსია ამ „ოტჩინის“ სემანტიკაში? არსებითად „ოტჩინა“ „როდინა“-ს, ანუ სამშობლოს, სინონიმი; ოღონდ, დერჟავის გაფართოების კვალდაკვალ „ოტჩინა“ (= „ოტჩინესტვო“ – „მამული“, მამა-პაპათა დანატოვარი მინა, სამფლობელო), „როდინა“-საგან განსხვავებით, უფრო ხშირად, „გაფართოებული სამშობლოს“ აღსანიშნად გამოიყენება. რუსი კაცი კავკასიაზე, საქართველოზე ვერ იტყვოდა და ვერც ვერასოდეს იტყვის „როდინა“-ო, რადგან რუსი კაცის „როდინა“, სამშობლო რუსეთია; ჰოდა, „ოტჩინას“, „ოტჩინესტვოს“ ეძახოდა კავკასიასა და სხვა არარუსულ, დაპყრობილ ტერიტორიებს (სხვათა შორის, ეს არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის, არამედ სსრკ-ის დროინ-

დელი შესაბამისი დისკურსისთვისაც დამახასიათებელია; და სამწუხაროდ, ბევრი – პუტინის ჭკუის – რუსი ფუნქციონერი თუ ჩვეულებრივი მოქალაქე დღესაც ასე აღიქვამს „რუსულ სივრცეს“ – „ოტჩინსტვოს“, „ოტჩინას“).

ანუ არც ლერმონტოვს ეპარება ეჭვი, რომ რუსეთისაა! ამას უტყუარად ადასტურებს ლექსი „კაზაკური იავნანაც“ – დედა უმღერის ჩვილს ასეთ სტრიქონებს:

По камням струится Терек,  
Плещет мутный вал;  
Злой чечен ползет на берег,  
Точит свой кинжал;  
Но отец твой старый воин,  
Закален в бою:  
Спи, малютка, будь спокоен,  
Баюшки-баю.  
Сам узнаешь, будет время,  
Бранное житье;  
Смело вденешь ногу в стремя  
И возьмешь ружье.  
Я седельце боевое  
Шелком разошью...  
Спи, дитя мое родное,  
Баюшки-баю.

თერგი ქვებზე მოიღვრება,  
მოშხეფს მღვრიე ზვირთი;  
ბოროტი ჩეჩენი მოძვრება ნაპირზე,  
ლესავს თავის ხანჯალს;  
მაგრამ მამაშენი ძველი მეომარია,  
ბრძოლაში გამობრძმედილი:  
დაიძინე, პატარავ, იყავი მშვიდად,  
ბაიუშკი-ბაიუ (= ნანა-ნანინა).

დადგება დრო და თვითონ შეიტყობ  
საომარ ყოფას;  
თამამად გაყრი ფეხს უზანგში  
და ხელში დაიჭერ თოფს.  
მე საბოლოო უნაგირს  
აბრეშუმით მოგიქარგავ...  
დაიძინე, ჩემო საყვარელო შვილო,  
ბაიუშკი-ბაიუ.

ანუ, ჩეჩენი, რომელიც თავისი სამშობლოს დასაცავად ხანჯალს ლესავს, ბოროტებაა; ხოლო ჩეჩენების მინა-წყლის დამპყრობელი, ამოხრებელი კაზაკების ოჯახი – შესაბამისად – სიკეთე! თან ამ ყველაფერს „მშობლიური სიმყუდროვის“ ატმოსფეროს შემქმნელი «Баюшки-баю»-ს აკომპანემენტი ახლავს. რა არის ეს, თუ არა რუსული მილიტარიზმის რომანტიზაცია?!

და ალბათ, სწორედ ლერმონტოვს მიუძღვის ლომის წილი რუსული ჩექმის მშვიდობიანობის (რომანტიზებული) მითის საბოლოო ჩამოყალიბებაში, მათ შორის, საქართველოს ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებთან მიმართებითაც [62]:

Теперь один старик седой,  
Развалин страж полуживой,  
Людьми и смертью забыт,  
Сметает пыль с могильных плит,  
Которых надпись говорит  
О славе прошлой – и о том,  
Как, удручен своим венцом,  
Такой-то царь, в такой-то год,  
Вручал России свой народ.  
И божья благодать сошла  
На Грузию! Она цвела  
С тех пор в тени своих садов,

Не опасаяся врагов,  
За гранью дружеских штыков.

ამუამად ერთი ჭალარა მოხუცი,  
ნანგრევების ნახევრად ცოცხალი მცველი,  
ადამიანებისა და სიკვდილისაგან მივიწყებული,  
საფლავის ქვებზე წმინდს მტვერს,  
რომელთა წარწერაც იუნყება  
წარსულ დიდებას – და იმას,  
საკუთარი გვირგვინის ტარებით შეწუხებული,  
ესა და ეს მეფე, ამა და ამ წელს,  
თუ როგორ აბარებდა  
გადასცემდა თავის ხალხს რუსეთს.

ამ მითის მოკლე შინაარსი ასეც შეიძლება გადმოვცეთ: ყველა სხვა ხიშტი მტრულია, რუსული ხიშტი კი – მეგობრული (ეს რუსული ხიშტის მშვიდობისმყოფელობის მითის ერთ-ერთი ვარიანტია).

იმავედროულად, აქ ისტორიული ფაქტებით მანიპულირებასაც ვაწყდებით: ძნელად წარმოსადგენია, რომ ლერმონტოვს არ ჰქონოდა საკმარისი ინფორმაცია გეორგიევსკის ტრაქტატის, ან თუნდაც გიორგი XII-ის „პუნქტნი სათხოვარნის“ ტექსტებისა და მათი „იურიდიული ბედის“ შესახებ; ანუ იმის თაობაზე, რომ საქართველოს ანექსიას და მისი თვითმმართველობის გაუქმებას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

საინტერესოა ის, რომ ამის შესახებ ალექსანდრე I-ს უპატაკებდნენ მაღალჩინოსანი დიპლომატები: ალექსანდრე ვორონცოვი (Александр Воронцов) და ვიქტორ კოჩუბეი (Виктор Кочубей) და – სხვა, რუსეთისათვის, მათი აზრით, არამომგებიანი პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური არგუმენტების გათვალისწინებით – ურჩევდნენ ცარს, თავი შეეკავები-

ნა საქართველოს ანექსიისაგან (და ესეც უნდა სცოდნოდა ლერმონტოვს) [63-65]: „ამ ორი სახელმწიფო მოხელის მემორანდუმის თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების სტრატეგიული აუცილებლობა, ისევე როგორც ქვეყნის წიაღისეული რესურსებიდან მოსალოდნელი შემოსავალი, ძალზე გაზვიადებული იყო [66]. სამართლიანი და შესაძლებელი იქნებოდა ქართლ-კახეთის ვასალური სამეფოს შექმნა რუსეთის სუვერენობისა და მფარველობის ქვეშ, რომელიმე ბატონიშვილის ნომინალურ მმართველად ტახტზე ასვლით. მემორანდუმის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ალექსანდრემ (იგულისხმება ალექსანდრე I – ნ. ზ.) ხელი აიღო მამისა და ბებუის ქიშრულ აღმოსავლურ პროექტზე (იგულისხმება პოტიომკინისა და პლატონ ზუბოვის პროექტები – ნ. ზ.) და არ საჭიროებდა მისი ისედაც ვრცელი ტერიტორიების გაფართოებას. გარდა ამისა, იმპერატორის პატივი შეილახებოდა ბაგრატიონთა ტახტის უფლებების აშკარად უსამართლო დარღვევით“ [15].

ამასთან, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება (და, ალბათ, ლერმონტოვსაც მოეხსენებოდა), დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი, იმერეთის სამეფოს დაპყრობისას, გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი დოკუმენტიც კი არ არსებობდა [67] და ამას რუსი ისტორიკოსებიც აღიარებენ [63]. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, გიორგი XII-ისაგან განსხვავებით, სოლომონ II რუსეთს მეგობრად და მფარველად არასოდეს განიხილავდა (ამის დასტურია ისიც, რომ რუსებსა და იმერლებს შორის 10 გააფთრებული შეტაკება მოხდა [15]); რის გამოც, საბოლოოდ, იმერეთის მეფე იძულებული გახდა, გადახვენილიყო და 43 წლისას ტრაპიზონში დაეღობა სული.

ლერმონტოვის ამ სტრიქონებიდან კი ისე გამოდის, რომ „რომელიღაც ქართველმა მეფემ, რომელიღაც წელს

– ველარ შეძლო რა საკუთარი გვირგვინის ტვირთის ზიდვა – თავისი ხალხი რუსეთს ჩააბარა (თუ გადასცა)! ასეთი ინტერპრეტაციით – რუსული ოკუპაცია, ქართული სამეფოების გაუქმება და ქვეყნის რუსულ გუბერნიებად გადაქცევა სავსებით ბუნებრივად შეიძლება მოეჩვენოს საქმეში ჩაუხედავ ადამიანს (ხოლო ამ საქმეში ჩაუხედავია, ოპტიმისტური ვარაუდითაც კი, რუსეთის მოსახლეობის 99%).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც თარგმნა „მწირი“, ზემოთ ციტირებული ბოლო სტროფი სრულიად გადაასხვაფერა [68]:

მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა  
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,  
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა –  
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს.

\* \* \*

ლერმონტოვს უნდა „გუმადლოდეთ“ იმასაც, რომ რუსულ საზოგადოებრივ, მასობრივ ცნობიერებაში თამარ მეფის „უკუღმართად მისტიფიცირებული“ სახე ჩამოყალიბდა. თითქმის მთლიანად მომყავს ლექსი, რომელსაც „ტამარა“ ჰქვია:

(...)

В той башне высокой и тесной  
Царица Тамара жила:  
Прекрасна как ангел небесный,  
Как демон коварна и зла.

(...)

И слышался голос Тамары:  
Он весь был желанье и страсть,

В нем были всеильные чары,  
Была непонятная власть.  
На голос невидимой пери  
Шел воин, купец и пастух:  
Пред ним отворялися двери,  
Встречал его мрачный Евнух.  
На мягкой пуховой постели,  
В парчу и жемчуг убрана,  
Ждала она гостя. – Шипели  
Пред нею два кубка вина.  
Сплетались горячие руки,  
Уста прилипали к устам,  
И странные, дикие звуки  
Всю ночь раздавалися там.  
Как будто в ту башню пустую  
Сто юношей пылких и жен  
Сошлись на свадьбу ночную,  
На тризну больших похорон.  
Но только что утра сиянье  
Кидало свой луч по горам,  
Мгновенно и мрак и молчанье  
Опять воцарялися там.  
Лишь Терек в теснине Дарьяла  
Гремя нарушал тишину;  
Волна на волну набегала,  
Волна погоняла волну;  
И с плачем безгласное тело  
Спешили они унести;  
В окне тогда что-то белело,  
Звучало оттуда: прости.  
И было так нежно прощанье,  
Так сладко тот голос звучал,

Как будто восторги свиданья  
И ласки любви обещал.

იმ მაღალ და ვიწრო კოშკში  
მეფე თამარი ცხოვრობდა:  
მშვენიერი, როგორც ციური ანგელოსი,  
თან დემონივით ვერაგი და ბოროტი.  
(...)

და მოისმოდა თამარის ხმა:  
ხმა – სურვილი და ვნება,  
ხმა – ყოვლისშემძლე ჯადო,  
ხმა – უცნაური მბრძანებელი.  
უხილავი პერის ხმაზე (= ხმით მოჯადოებულნი;  
განმარტება იხ. ქვემოთ)

მოდოდნენ მეომარი, ვაჭარი თუ მწყემსი:  
მის წინაშე იღებოდა კარი  
და ხვდებოდა მას საჭურისი.  
რბილ, ბუმბულის ლოგინში,  
ფარჩითა და მარგალიტით განწყობილი,  
ელოდა თამარი სტუმარს. – სისინებდა  
მის წინ ორი ღვინის თასი.  
ეხლართებოდა ერთმანეთს ცხელი ხელები,  
ბაგეები ბაგეებს ეწებებოდა,  
და უცნაური, ველური ხმები  
მთელი ღამე გაისმოდა იქ.  
თითქოს იმ კოშკში, ცარიელში,  
ასმა მგზნებარე ქალ-ვაჟმა  
თავი მოიყარა ღამეულ ქორწილში,  
თუ დიდ ქელეხში.  
მაგრამ როგორც კი განთიადი  
მთებს სხივს სტყორცნიდა,  
უმალ წვდიადი და დუმილი

კვლავ ისადგურებდა კოშკში.  
მხოლოდ თერგი დარიალის ვიწრობებში  
ქუხილით არღვევდა სიჩუმეს;  
ტალღა მოსდევდა ტალღას,  
ტალღა მიერეკებოდა ტალღას;  
და, ტირილით, უტყვი სხეულის (= გვამის)  
ჩქარობდნენ ტალღები წაღებას;  
ამ დროს ფანჯარაში რაღაც ირხეოდა,  
იქიდან მოისმოდა: მაპატიე.  
და იყო განშორება ისეთი ნაზი,  
ისე ტკბილად გაისმოდა ის ხმა,  
თითქოს პაემანის აღტაცებებს  
და სიყვარულის ალერსს ჰპირდებოდა.

(უხილავი პერის ხმაზე – როგორც ჩანს, იგულისხმება სპარსული მითოლოგიის პერსონაჟი პერი თუ პარი – მშვენიერი გოგონების გარეგნობის მქონე ფანტასტიური არსება/არსებები; კონტექსტურად და ქართული „მითოსური სინონიმიკის“ გამოყენებით, ლერმონტოვი აქ აღქალს თუ აღქაჯს გულისხმობს).

ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, „დემონიზმით შეპყრობილი“ პოეტის შთაგონებაზე – ქალებისადმი თავისებური დამოკიდებულებისა (რაც, როგორც ჩანს, მის ღრმა ფსიქოლოგიურ კომპლექსებს უკავშირდებოდა; იხ. ქვემოთ ექსკურსი) [69], ასევე, რომანტიზებისა და მისტიფიცირებისკენ სწრაფვის გარდა – რუსული ცარიცების, კერძოდ კი, ეკატერინე II-ის სტერეოტიპმაც იმოქმედა, სადაც შეუზღუდავი ძალაუფლების შინაარსობრივი შრე სექსუალური თავისუფლების ელემენტსაც შეიცავს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ლერმონტოვის „დემონის“ მთავარ ქალ პროტაგონისტსაც ტამარა ჰქვია და ისიც, არსებითად, ცოდვით ეცემა; თუმცა, პოემის ბოლო ვარიანტში

იგი ცოტათი „გაკეთილშობილებულია“ და საბოლოოდ მაინც ცაში იმკვიდრებს სასუფეველს.

ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, იგივე ჯონ ბადლი, თავის მეტ-ნაკლებად რუსოფილურ ნიგნში [41], აღნიშნავდა, რომ ლერმონტოვის Тамара-ს თამარ მეფესთან გაიგივება არასწორია, მაგრამ ასეთი „რემარკა“, აშკარად, ამ მხრივ ლერმონტოვის „რეაბილიტაციას“ უფრო ემსახურებოდა, ვიდრე სხვას რამეს – ლექსის ტექსტში შავით თეთრზე ნერია: Царица Тамара. ასეა თუ ისე, ასეთმა „რემარკებმა“ არავითარი გავლენა არ მოახდინა „უბრალო“ რუს მკითხველზე (= მასაზე) და „განათლებული მკითხველის“ დიდ ნაწილზეც – ლერმონტოვის «Тамара» მათთვის თამარ მეფეა.

ზოგადადაც, პუშკინსაც (იხ., მაგალითად, იგივე „კავკასიის ტყვის“ ეპილოგი) და ლერმონტოვსაც ქართველი ქალის ზნეობის შესახებ, რატომღაც, მაღალი წარმოდგენა არ ჩამოუყალიბდათ. აი, ამის კიდევ ერთი დასტური – ლერმონტოვის ლექსი „ქართული სიმღერა“ («Грузинская песня»):

Жила грузинка молодая,

В гареме душном увядая.

Случилось раз:

Из чёрных глаз

Алмаз любви, печали сын,

Скатился.

Ах, ею старый армянин

Гордился!..

(...)

Но армянин открыл коварность,

Измену и неблагодарность

Как перенести!

Досада, месть,

Впервые вас он только сам

Изведал!

И труп преступницы волнам

Он предал.

ერთი ახალგაზრდა ქართველი ქალი

ჭკნებოდა დახუთულ ჰარემში.

ერთხელაც:

შავი თვალებიდან

სიყვარულის აღმასი, დარდის ძე,

დაეშვა.

ოხ, მისით ბებერი სომეხი

ამაყობდა!

(...)

მაგრამ სომეხმა ფარდა ახადა ვერაგობას,

ლალატსა და უმადურობას –

როგორი ასატანია!

ჯავრი, შურისძიება,

ეს-ეს იყო, რაც პირველად განიცადა მან!

და დამნაშავის გვამი ტალღებს

გაატანა.

თუმცა, ამის ერთ-ერთი მიზეზი იგივე ზერელებობაა, XVIII-XIX საუკუნეებში (და გინდაც ბევრად უფრო ადრეც) ქრისტიან სომეხს ჰარემი არ ჰქონდა, და არც მუსლიმი სომეხი არსებობდა (გამუსულმანებული სომეხები სომხებად აღარ მოიხსენიებიან): ნიშანდობლივია, რომ ამ ლექსის ავტორგრაფზე თვითონ ლერმონტოვს მოგვიანებით მიუწერია – „რალაც ამდაგვარს მოვკარი ყური კავკასიაში ყოფნისას“ (იხ. ანდრონიკოვის მიერ შედგენილი კომენტარები ლერმონტოვის თხზულებათა 1953 წელს გამოცემის პირველი ტომისათვის [70]).

არ ვფიქრობთ, რომ ქართველი ქალები დედამიწის ზურგზე ყველაზე „ზნეკეთილები“ იყვნენ ან არიან, მაგრამ არც ის შეესაბამება რეალობას, რომ ისინი მორალური თვისებებით რომელსამე ერის ქალებს ჩამოუვარდებოდნენ – გნებავთ, პუშკინისა და ლერმონტოვის დროს და, გნებავთ, დღეს.

\* \* \*

**ექსკურსი:** გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც აღფრთოვანებული იყო ლერმონტოვით, მისი „ნიღბით“, მოჰყავს ვლადიმირ სოლოვიოვის (იხ. ამ წიგნის შესაბამისი მონაკვეთი) შეხედულება ლერმონტოვის დემონიზმის შესახებ: „დემონიზმი – ეს დამახინჯებული ზეადამიანურობაა: „ვისაც არ ხელენიფება ამბოხი და არ სურს მორჩილება, ის თავიდანვე საკუთარ თავს გარდაუვალი დალუპვისადმი გასწირავს“. როცა იხსენებს ლერმონტოვის ბავშვურ სისასტიკეს, სოლოვიოვი განაგრძობს: „ზრდასრული ლერმონტოვი ზუსტად ასევე იქცეოდა ადამიანური არსების, განსაკუთრებით ქალთა მიმართ. და ამ დემონურ ავხორცობას იგი მწარე აღსასრულამდე არ მიუტოვებია. მაგრამ წლების შემდეგ მძვინვარე დემონი სუსტდება, ვინაიდან უთმობს თავისი ძლიერების ნაწილს თავისსავე ძმას, უწმინდურების დემონს“. სოლოვიოვის თქმით (...) ლერმონტოვის მუზა (...) „ჭაობში მყარად ჩამჯდარი ბაყაყია“. მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ არის: სისასტიკის დემონს და სიბინძურის დემონს უერთდება სიამაყის დემონი, მათგან ყველაზე საშიში. სამივე დემონით მოცული ლერმონტოვი დაილუპა. „მისგან დარჩა პოეზიის რამდენიმე ჭეშმარიტი მარგალიტი, რაც ჩაიკარგა დემონიზმის ხიბლით შეპყრობილი „ღორობის“ ნეხვის გროვაში და – სახარების ენას თუ მოვიშველიებთ – ადამიანებს ფეხქვეშ გასათელად გადაეცათ: ადამიანებს შეუძლიათ და ვალდებულნი არიან, ფეხით გათელონ ეს (...) ხიბლი, (...)

რა თქმა უნდა, არა დალუპული გენიოსისადმი, არამედ მისი დამლუპველი სანყისის, ადამიანის მკვლელი ტყუილისადმი“. „უდავოდ, სასიკვდილი განაჩენია“, – წერს რობაქიძე, – „ვლ. სოლოვიოვმა, რუს მწერლებს შორის ერთადერთმა, გაუძლო ლერმონტოვის „მკაცრ მზერას“ და მას უშიშრად პირდაპირ სახეში მიახალა საშინელი სიტყვა – „დემონი“. მაგრამ (...) ჭეშმარიტებამ ძალზე მცირე რამ თუ მოიგო; ფარდა მხოლოდ ნახევრად ჩამოიგლიჯა და ლერმონტოვის „სახემ“ მისი ნაგლეჯის ქვეშ მიმაღვა მოასწრო. სოლოვიოვის გზას დაადგა დიმი. მერეუჟოვსკიც (იხ. [74] – ნ. ზ.), მაგრამ მან ეს გზა ადამიანისადმი სიყვარულით გაათბო“ [69].

\* \* \*

ქართველი ზნედაცემული და ვერაგი ქალის ხატის შექმნის მეორე, თავად შემქმნელების – გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის და ძმათა მათთა – მიერ გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი მიზეზი კი უფრო ღრმაა და შესანიშნავადაა გაანალიზებული, ასევე შესანიშნავ ინტერვიუში, რომელსაც სალომე ასათიანი უძღვება, რესპოდენტი კი ცნობილი წიგნის „რუსეთის ლიტერატურა და იმპერია: კავკასიის დაპყრობა პუშკინიდან ტოლსტოიმდე“ ავტორი, ედინბურგის უნივერსიტეტის თანამშრომელი, დოქტორი სუზან ლეიტონია (Susan Layton). ეს ინტერვიუ ორ ენაზეა (ქართულად და ინგლისურად) გამოქვეყნებული რადიო თავისუფლების ვებგვერდებზე [71]; მეტისმეტად საინტერესო და საგულისხმომ შინაარსის გამო მოგვყავს ვრცელი ამონარიდი ამ საუბრიდან:

**რადიო თავისუფლება:** (...) თქვენ აღწერთ რუსულ ლიტერატურაში საქართველოს ასახვის ძალიან სპეციფიკურსა და ჩრდილოეთ კავკასიისგან საკმაოდ განსხვავებულ მოდელს. ყველაზე

საინტერესო, ალბათ, თქვენი ის მოსაზრებაა, რომ საქართველო სისტემატურად ხდებოდა ორიენტალიზაციის ობიექტი – მისი ევროპული მახასიათებლების მიჩქმალვის ფონზე. თუ შეიძლება, ცოტა მეტი გვითხარით ამაზე. (...)

**ლევითონი:** დიახ. როგორც თქვენც ამბობთ, საქართველოს „ორიენტალიზება“, მართლაც, იოლი იყო მასზე სპარსეთისა და თურქეთის გავლენის გამო. მაგრამ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი ის არის, რომ რუსები საქართველოს ისტორიასა და კულტურას სელექციურად, არჩევითად აღიქვამდნენ. მათ დიდწილად უგულვებელყვეს ამ კულტურის უძველესი ქრისტიანული საფუძვლები და, რაც კიდევ უფრო თვალშისაცემია, მოახდინეს საქართველოს დე-მასკულინიზაცია, მისი ფემინიზაცია. ყოველივე ამან კი ლეგიტიმურად წარმოაჩინა რუსეთის მხრიდან საქართველოზე კონტროლის დამყარება. ჩრდილოკავკასიელი ხალხებისგან განსხვავებით – რომლებსაც, როგორც ვთქვით, ხშირად აღწერდნენ იმპერიის წინააღმდეგ იარაღით მებრძოლ, ძლიერ მამაკაცებად – საქართველო, რუსულ ლიტერატურულ ტექსტებში, წარმოჩნდა გაფურჩქნილ, პასიურ, მგრძნობიარე აღმოსავლეთად. ეს აღმოსავლეთი ხშირად სიმბოლიზებული იყო, როგორც ქალი; ქალი, რომელიც რუსეთთან გაერთიანებას ელტვის. იმპერიალისტური მითების ბოლო შტრიხი კი ქართველი მამაკაცების სტერეოტიპები გახლდათ – ზარმაცი, სუსტი, მხდალი კაცების, ხშირად მთვრალების, ხანდახან ფიცხების, მთლიანობაში კი არაფრის მაქნისების.

**რადიო თავისუფლება:** ამის ყველაზე მკაფიო და ცნობილი გამოხატულება, ალბათ, ლერმონტოვის ფრაზაა: „გარბოდნენ მხდალი ქართველები“.

**ლევითონი:** დიახ, ზუსტად ასეა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ მაშინ მისმა ერთმა ნათესავმა იკითხა, ლერმონტოვი თავად მსახურობდა ჯარში, მან იცის, რომ ქართველები მხდალები არ არიან, და ნეტავ, რატომ დანერა ასეო. თუმცა, მითების შექმნის პროცესს ასეთი რამეები ზოგადად ახასიათებს.

**რადიო თავისუფლება:** თქვენი აზრით, მაინც რატომ მოხდა ასე? (...)

**ლევითონი:** (...) რუსეთის შემთხვევაში, საქართველოს შესახებ შექმნილი მითები აშკარად ისახავს მიზნად იმპერიული ბატონობის ლეგიტიმაციას. ამ ერთგვარი [ლიტერატურული] „მაჩიზმოს“ ფორმირებას, ჩემი აზრით, ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიულმა სიმცირემაც – რუსეთის იმპერიის თვალუწვდომელ ზომასთან შედარებით.

(...) ქრისტიანობა საქართველომ რუსეთზე ექვსი საუკუნით ადრე მიიღო. ამასთან, ფაქტია, რომ რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ – რომელიც, როგორც ვიცით, 1801 წელს იწყება – ბევრი ქართველი მამაკაცი ცარისტულ არმიაში ოფიცრად მსახურობდა, (...) მონაწილეობდა ჩეჩნების სანინააღმდეგო კამპანიებში. ამას ემატებოდა რუსებსა და ქართველებს შორის არსებული პროფესიული და პირადი ურთიერთობები. (...) რუსეთსა და საქართველოს შორის მჭიდრო ლიტერატურული და კულტურული კავშირები, როგორც ვიცით, საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა. და მაინც, ქრისტიანი ქართველი მამაკაცების დადებითი თვისებები – ისევე, როგორც რუსი და ქართველი მამაკაცების ახლობლობის მაგალითები – რუსულ ლიტერატურაში, როგორც წესი, არ გვხვდება. ამ ტექსტებში თავს იჩენს კულტურული მითოლოგია, რომელიც გამართლებას უძებნის საქართველოზე რუსულ იმპერიულ დომინაციას.

**რადიო თავისუფლება:** საქართველოს ორიენტალიზაციისა და, ზოგადად, თქვენ მიერ აღწერილი რეპრეზენტაციული სისტემის ყველაზე მკაფიო მაგალითები რომელ ტექსტებში გვხვდება?

**ლევითონი:** როგორც ვთქვით, ლერმონტოვის „დემონია“ მხდალი ქართველი მამაკაცის იერსახის მკაფიო მაგალითი. ამასთან, რუსი მწერლები არა მხოლოდ ქრისტიანობას უგულვებელყოფენ, არამედ მიჩქმალავენ იმ სისასტიკესა და ძალადობას, რომელიც თან ახლდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას – ისევე როგორც რუსეთის ბატონობის მიმართ საქართველოს წინააღმდეგობას. გადმოცემის თანახმად, 1803 წელს, დამხობილმა ქართველმა დედოფალმა,

მარიამმა, სასიკვდილოდ დაჭრა ცარისტი გენერალი, რომელსაც მისი [რუსეთში] გაგზავნა პქონდა დავალებული. ეს საოცარი აქტია – რომელსაც მაშინდელი რუსული დოკუმენტები მხეცურ, ქალისთვის წარმოუდგენლად სასტიკ ქმედებად აღწერდნენ. ჩემი აზრით, ამ მკვლელობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა რუსულ ლიტერატურაში, რადგან იქ ბევრი სახიფათო ქართველი ქალი გვხვდება. გავიხსენოთ ლერმონტოვის პოემის გმირი, ზნედაცემული და მოძალადე დედოფალი თამარა; პუშკინის „ბახჩისარაის შადრევნის“ პერსონაჟი, მკვლეელი ზარემა. კიდევ ერთი სახიფათო ქალი – მედეას მსგავსი მკვლეელი ქალი – გვხვდება გრიბოედოვის ტექსტში, სახელწოდებით „ქართული ღამე“.

მნიშვნელოვანია, რომ მოძალადე და სახიფათო ქალების ეს იერსახეებიც დიდწილად სწორედ იმპერიის მშენებლობას ემსახურებოდა. ამ ქალების დაქვემდებარების, მათი გაკონტროლებისთვის ძლიერი კაცები იყვნენ საჭირო. ქართველი კაცი კი, როგორც გვახსოვს, სუსტი და უმაქნისი იყო.

**რადიო თავისუფლება:** საქმე ალბათ გარკვეულ პარადოქსთანაც გვაქვს. პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსია წარმოდგენილი იყო, როგორც ქრისტიანობისა და ევროპული ღირებულებების დაცვა ისლამისგან. როგორ მოხდა, რომ ლიტერატურულ ტექსტებში ქრისტიანული მემკვიდრეობა მიჩქმალულია?

**ლევტონი:** დიახ, ეს, მართლაც, ძალიან საინტერესო საკითხია. თუმცა ისიც ვიცით, რომ მითების შექმნა სწორედ წინააღმდეგობრივი ფაქტორების გადაწყვეტას ემსახურება. ჩემი აზრით, საქართველოს ფემინიზაცია, მისი „ქალად“ წარმოჩენა ძალზე მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, რუსეთი დამცველად გვევლინება, აქცენტი, მართლაც, კეთდება ერთმორწმუნეობაზე. მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც ვიცით, რომ ამ ქრისტიანული კავშირის მიუხედავად, საქართველოში ძლიერი იმპულსები და აჯანყებები იყო რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ, ანუ ამ დაპყრობას ქართველები სიხარულით არ შეხვედრიან. და მოძალადე ქალების

იერსახეებიც, ალბათ, სწორედ ამის სიმბოლოა. დიახ, საქართველო დაცვას საჭიროებს – თუმცა, ამავე დროს, ეს სახიფათო საქმეა, ამ საშიში და მოძალადე ქალის გამო. შესაბამისად, ჩნდება დომინანტი რუსი მამაკაცის, სასიძოს საჭიროება...

\* \* \*

**ექსკურსი:** სხვათა შორის, ეს მომენტები, შესაძლოა – გაუცნობიერებლად, მინიშნებული აქვს ოსიპ მანდელშტამს 1922 წელს გამოქვეყნებული წერილის „ორიოდ სიტყვა ქართული ხელოვნების შესახებ“ დასაწყისშივე:

„რუსულ პოეზიაში არსებობს ქართული ტრადიცია. როდესაც გასული საუკუნის რუსი პოეტები საქართველოზე წერდნენ, მათი ხმა ქალური სისათუთით ჟღერდა, ლექსები კი თითქოს იჟლინებოდა ნაზი და ნამიანი ატმოსფეროთი:

На холмы Грузии легла ночная мгла...

ალბათ, თვით ქართულ პოეზიაშიც ძნელად მოიძებნება ქართული ბანგითა და ვნებით აღსავსე ისეთი ორი ტაეპი, როგორცაა ლერმონტოვის

Пену сладких вин

Сонный льет грузин...

ვფიქრობ, რუსულ პოეზიაში შეიქმნა ქართული მითი, რომელიც პირველად პუშკინმა გააცხადა, –

Не пой, красавица, при мне

Ты песен Грузии печальной,

ლერმონტოვმა კი მასზე ააგო მთელი მითოლოგია, რომლის ცენტრსაც თამარის მითი წარმოადგენს“ [72].

\* \* \*

ლერმონტოვის იმპერიალისტური შეხედულებები სხვა დასავლეთელ მკვლევრებსაც არ დარჩენიათ უყურადღებოდ: მაგალითად, სწორედ ამ საკითხს ეძღვნება პიტერ სკოტოს წერილი „კავკასიის ტყვეები: იმპერიალიზმის იდეოლოგია ლერმონტოვის „ბელაში“ (იგულისხმება ნაწარმოები „ბელა“, რომელიც შემდგომ ლერმონტოვმა „ჩვენი დროის გმირის“ პირველ ნაწილად აქცია) [73].

ვფიქრობთ ეს უდავოდ ბრწინვალე პოეტი შეგნებულად, გაცნობიერებულად, „კონცეპტუალურად“ ამახინჯებდა ფაქტებს, მაგრამ ასევე მიგვაჩნია, რომ არაცნობიერად იგი ცდილობდა, გაემართლებინა რუსეთის აგრესია და თავისი უშუალო მონაწილეობაც ამ აგრესიაში – მისი სული გაორებული იყო.

არსებითად, ამასვე ამბობს სუზან ლეიტონი თავის წიგნშიც და ინტერვიუშიც; მას ამის არგუმენტად მოჰყავს ის, რომ ლერმონტოვის რიგ ნაწარმოებებში, მაგალითად, პოემაში „ისმაილ ბეი“, რუსეთის არმია აღწერილია, როგორც მტაცებელი ცხოველი (хищные звери).


დაახლოებით ამასვე მიუთითებს ირაკლი ანდრონიკოვიც ლერმონტოვის თხზულებათა კრებულის შესავალ წერილში: ის აღნიშნავს, რომ ლერმონტოვი სიჭაბუკის წლებიდან თანაუგრძნობდა მთიელების ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კავკასიელები თავისუფლებას ვერ შეინარჩუნებდნენ – ისინი ან მუსულმანურ აღმოსავლეთს უნდა დამორჩილებოდნენ, ან რუსეთს „შეერთებოდნენ“. კავკასიის ხალხებისთვის მესამე გზა არ არსებობდაო – კატეგორიულად აცხადებს ბატონი ირაკლი, თუმცა არ ასაბუთებს – რატომ.

3

ღირი  
მისტიფიკატორი

## ფიოდორ ტიუტჩევი ФЕДОР ТЮТЧЕВ

1803-1873



ფიოდორ ტიუტჩევი უდიდესი ლირიკოსია რუსულ პოეზიაში და ერთ-ერთი გამორჩეული – მსოფლიოში: მან არა ერთი, მათ შორის – ფილოსოფიური ლირიკის ჟანრის, შედევრი შექმნა. აფანასი ფეტი მართებულად აღნიშნავდა: „ტიუტჩევის პოეტური ძალა, ანუ თვალმახვილობა (зоркость) – განსაცვიფრებელია. იგი არა მხოლოდ ხედავს საგანს თვითმყოფადი თვალთახედვით, – იგი ხედავს მის უფაქიზეს დეტალებსა და ნიუანსებს“ [75]. ვალერი ბრიუსოვი კი თავის წერილში „ფ. ი. ტიუტჩევი. მისი შემოქმედების არსი“ წერდა – „ტიუტჩევის პოეზია რუსული სულის ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე შესანიშნავ ქმნილებათა რიგს მიეკუთვნება“ [76].

იმავედროულად ფიოდორ ტიუტჩევი, ვფიქრობთ, უდიდესი მისტიფიკატორია რუსული პოეზიის ისტორიაში: „რუსული სულის ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილებების“ ერთმა – „იდეოლოგიურმა“ – ნაწილმა არა მხოლოდ გააგრძელა ლომონოსოვის, სუმაროკოვის, დერჟავინის, ჟუკოვსკისა და ტიუტჩევის სხვა წინამორბედთა მიერ საფუძველჩაყრილი რუსული ლიტერატურულ-იმპერიალისტური მითისქმნა, არამედ, რუსული პოეტური წარმოსახვის მთავარი ფოკუსის არეში მოახვედრა ის, ახალი იმპულსი, ახალი ბიძგი მისცა, შეიძლება ითქვას, ახალი სული შთაბერა მას და თან ისეთი მძლავრი სული, რომელიც დღესაც „სულდგმულობს“.

მაინც რა გააკეთა ასეთი ამ „მიმართულებით“ ტიუტჩევი?

ერთი შეხედვით, ის გარკვეული ინტერპრეტირებით იმეორებდა იმ დროისათვის უკვე კარგად ცნობილ მითებს: მაგა-

ლითად, მესამე რომის მითს, მითებს რუსეთის გაუთავებელი გაფართოების აუცილებლობის და რუსული ხიშტის „სამართლიანობის“ თუ „სამშვიდობო მისიის“ შესახებ და მისთ.; მაგრამ, თუკი ჩავუღრმავდებით, საქმე ასე მარტივი არ არის... არც ისაა მთავარი, რომ სლავიანოფილი ტიუტჩევი, თავისი დიდი ნიჭის წყალობით, აშკარად „აძლიერებს“ შესაბამის მოტივებს რუსულ პოეზიაში, პუბლიცისტიკასა და ისტორიოსოფიაში.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: იმ ეპოქის სხვა რუსი პოეტები („რომანტიკული დემონიზმით“ შეპყრობილი ლერმონტოვიც კი) ნაწილობრივ მაინც ახდენდნენ რელიგიურ-ისტორიოსოფიური მითების ერთგვარ რაციონალიზაციას, ცდილობდნენ ბნელის ნათლით თუ ნათლად ახსნას, რუსული დერჟავულობის, რუსული იმპერიალიზმის ზეამბიციურობის გონებისმიერ, ლოგიკასთან მიახლოებულ „დასაბუთებას“. ტიუტჩევმა კი ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და ამ მხრივ ის სხვებზე უფრო გულწრფელ შემოქმედად შეიძლება მივიჩნიოთ და, რა პარადოქსულიც უნდა იყოს, სწორედ ესაა უდიდესი მისტიფიკაცია: მან, არსებითად, უარი თქვა რუსული პოეტური მითების რაციონალიზაციაზე და საპირისპირო რამ მოახდინა – სრული ირაციონალიზაცია! მეტაფორულად თუ ვიტყვით, მან მოახდინა რუსული მართლმადიდებლურ-რელიგიური მისტიკისა და იმპერიალისტური ისტორიოსოფიის ალქიმიური სინთეზი და გააცხადა, რომ ალქიმია ალქიმიაა და ის ლოგიკურ, „გონებისმიერ“ დასაბუთებას არ საჭიროებს!.. და, ფაქტობრივად, ამ „ჯადოსნური რეაქციით“ ტიუტჩევმა დაიხსნა რუსი ხალხის უდიდესი ნაწილი ფუჭი, უსაფუძვლო და უშედეგო რაციონალიზაციის (რაც თავის მართლების და სინდისის ქენჯნის მტკივნეულ მომენტებსაც შეიცავს) „ჯოჯოხეთიდან“...

ტიუტჩევმა ჩამოაყალიბა რუსეთის, რუსული სულის ერთიანი, მრავალნახნაგოვანი, პოლიტიკურ-ისტორიოსოფიურ-რელიგიურ-მისტიკურ-პოეტური მეტამითი... ანუ – მან შექმნა ისეთი აბსტრაქტული, მიღმიერი „ზემითი“, რომელიც „ამოზრდილია“ ამ რიგის ყველა მანამდე არსებული მითიდან, მოიცავს ყოველ მათგანს და თან დიდ სივრცეს ტოვებს – „მეტა-ქოლგის“ ქვეშ – მომავალი მითისქმნისათვის.

სწორედ ამით გაუხსნა დიდმა მისტიფიკატორმა ახალი, მართლაც, უსაზღვრო სივრცე რუსულ პოეტურ და ისტორიოსოფიურ მითისქმნას, ახალი ჰორიზონტი დაანახვა მომდევნო თაობებს, განსაკუთრებით კი – მოდერნისტებს, რომელთა დიდი ნაწილი მისტიკისადმი ისედაც „მიდრეკილი იყო“. ამ მხრივ ტიუტჩევი უთუოდ მათი „გურუა“, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გამოჩენილი რუსი მოდერნისტების უმრავლესობა აღმერთებდა ტიუტჩევს და არაერთ მათგანს ცალკე წერილიც აქვს მიძღვნილი მისი შემოქმედებისადმი. ეს განსაკუთრებით ითქმის სიმბოლისტური მსოფლალქმის მქონე პოეტებზე (და არამხოლოდ პოეტებზე), რომელთათვისაც – კალკს თუ მოვიშველიებთ – „გზამკვლევ ვარსკვლავად“ იქცა ტიუტჩევის «Мысль изреченная есть ложь» („წარმოთქმული აზრი არის სიცრუე“); რაც – ერთდროულად – ზედმინვენით ზუსტად, მთლიანად თავსდება ტიუტჩევისეული მეტამითის კონტექსტში და თან ამ მეტამითის ერთ-ერთი სასაფუძვლო „მაქსიმია“.

ამასთან, ტიუტჩევით უპირობო ალტაცება ერთგვარი ლაკმუსის ქალღმერთაა, რომელიც უმაღვე ამჟღავნებს ამა თუ იმ პიროვნების თუ შემოქმედის აზროვნების „იმპერიალისტურობის“ ხარისხს.

\* \* \*

ტიუტჩევმა თავისი ცხოვრების 23 წელი უცხოეთში, ძირითადად გერმანიასა და იტალიაში გაატარა, ამასთან, 18 წელი – დიპლომატიურ სამსახურში; ის იცნობდა შელინგსა და ჰაინეს.

ამის გამო – თეორიულად – დასავლური იდეალები მეტად უნდა ასახულიყო მის მსოფლალქმასა და პოეზიაში, მაგრამ საპირისპიროდ კი მოხდა – ტიუტჩევს, ორთოდოქსულ-დერჟავნიკული, ულტრასლავიანოფილური მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბდა [77]; ის მუდამ ხაზს უსვამდა რუსეთის იმპერიის „მართლმადიდებლურ ხასიათს“, ხოლო ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში აღნიშნავდა, რომ მსოფლიოში მხოლოდ ორი ძალა არსებობს – რევოლუციური ევროპა და კონსერვატიული რუსეთი [78] (აქვე შეიძლება გავიხსენოთ ის, რომ თვით სიტყვა თუ ტერმინი „რუსოფობია“ პირველად სწორედ ტიუტჩევმა გამოიყენა, 1867 წლის 26 სექტემბერს თავისი ქალიშვილისადმი მიწერილ წერილში, პროდასავლურად განწყობილი თავისი თანამემამულეების გასაკრიტიკებლად თუ დასადანაშაულებლად [1]).

ამასთან, დიდი მისტიფიკატორი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღარ ცდილობს რუსეთის „მარად კონსერვატიული“ არსის მეტ-ნაკლებად რაციონალურ „ამოხსნას“, პირიქით – იგი მიზანმიმართულად ახდენს რუსული დერჟავულობის, რუსული იმპერიალიზმის, მილიტარიზმის, აგრესიის ირაციონალიზაციას. ტაეპის ხაზგასმა ჩვენია – ნ. ზ.):

Москва и град Петров, и Константинов град –  
 Вот царства русского заветные столицы...  
 Но где предел ему? и где его границы –  
 На север, на восток, на юг и на закат?  
 Грядущим временам судьбы их обличат...  
 Семь внутренних морей и семь великих рек...

От Нила до Невы, от Эльбы до Китая,  
 От Волги по Евфрат, от Ганга до Дуная...  
 Вот царство русское... и не прейдет вовек,  
 Как то провидел Дух и Даниил предрек.

მოსკოვი და პეტრეს ქალაქი (= სანქტ-პეტერბურგი), და კონსტანტინეს ქალაქი (= კონსტანტინოპოლი) – აი, რუსეთის სამეფოს ალტკმული დედაქალაქები... მაგრამ სად არის მისი ზღვარი? და სადაა მისი საზღვები – ჩრდილოეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ და დასის მიმართულებით (= დასავლეთით)? მყოფადნი დროებანი ფარდას ახდინა მათ... შვიდი შინაგანი ზღვა და შვიდი დიადი მდინარე... ნილოსიდან ნევამდე, ელბიდან ჩინეთამდე, ვოლგადან ევფრატამდე, განგიდან დუნაიმდე... აი, რუსეთის სამეფო... და ის აღარ გარდავა აღარასოდეს, როგორც ეს მოიხილა (განჭვრიტა) სულმა (როგორც ჩანს, სული წმიდა იგულისხმება – ნ. ზ.) და იწინასწარმეტყველა დანიელმა (= დანიელ წინასწარმეტყველმა).

ამ ლექსის სათაურია „რუსული გეოგრაფია“ («Русская география») და მას ტიუტჩევის პოეტურ-პოლიტიკურ თუ გეოპოლიტიკურ „წინასწარმეტყველებათა“ სერიაში ერთ-ერთი ცენტრალური, მეტისმეტად ნიშნეული ადგილი უკავია (ამ ლექსის, მისი გეოპოლიტიკური დისკურსის ვრცელ ანალიზს შეიცავს რომან ლეიბოვის წერილი „ტიუტჩევის წინასწარმეტყველებებიდან“: რუსული გეოგრაფია“ [79]; საგულისხმოა ისიც, რომ ამავე ლექსს მიაკვლევთ თითქმის ყველა დღევანდელ დერჟავნიკულ საიტზე; ის აქტიურად გამოიყენება რუსული ულტრარეაქციული ძალების მიერ „საბრძოლო სულისკვეთების“ ასამაღლებლად, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის კაზაკურ ნაწილში.

მსგავსი ლექსებით და მათი პუბლიცისტურ-ისტორიოსოფიური „განმარტებებით“ მიდის ტიუტჩევი მეტამითის შექმნისაკენ. დავაკვირდეთ ამ პროცესს.

\* \* \*

პოეტებს შორის, ალბათ, სწორედ ტიუტჩევა ყველაზე მეტად შეუწყო ხელი რუსულ ცნობიერებაში იმ მითის გამყარებას, რაც ფსკოველმა ბერმა ფილოფიმ XVI საუკუნის 20-იანი წლების გზავნილებში „დაასაბუთა“ – მითის მესამე რომის შესახებ – ორი რომი (ანუ რომი და ბიზანტია) დაიქცა, მესამე მოსკოვია და მეოთხე აღარ იარსებებსო [80]. მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა.

მედლის მეორე მხარე კი გაცილებით მეტად საგულისხმოა: – „რუსულ გეოგრაფიაში“ ტიუტჩევი ერიდება ფსკოველი ბერის სახელის ხსენებას და უფრო „დიდ ავტორიტეტს“ – დანიელ წინასწარმეტყველს – იშველიებს: იგულისხმება მის მიერ ნაბუქოდონოსორის სიზმრის ახსნა – ოქროსთავიანი, ვერცხლისხელებიანი და რკინა-თიხისფეხებიანი კერპის შესახებ. ამასთან, ტიუტჩევი გულისხმობს დანიელის წინასწარმეტყველებას მეხუთე სამეფოს თაობაზე: „იმ მეფეთა დღეებში ზეციერი ღმერთი დაამყარებს სამეფოს, რომელიც უკუნისამდე არ დაიქცევა და მისი ხელმწიფება სხვა ხალხში არ გადავა. იგი შემუსრავს და დააქცევს ყველა სამეფოს, თავად კი უკუნისამდე იდგება“ (დანიელ წინასწარმეტყველი 2:44).

ტიუტჩევის ერთ-ერთ (დაუმთავრებელ) ტრაქტატში („რუსეთი და დასავლეთი“ [81]) რუსეთის თუ რუსეთის იმპერიის „ცნების“ მისტიფიცირება-საკრალიზაციის „საფუძვლები“ უფრო დეტალურადაა „ახსნილი“ – ტიუტჩევი წერს: „სამყაროსეული მონარქია – ეს არის იმპერია. ხოლო იმპერია არსებობდა მუდამ. ის მხოლოდ ხელიდან ხელში გადადიოდა. (...) 4 იმპერიაა: ასირია, სპარსეთი, მაკედონია,

რომი. კონსტანტინესაგან იწყება მე-5 იმპერია – საბოლოო, ქრისტიანული იმპერია“ (იგულისხმება კონსტანტინე დიდი, მოციქულთასწორი, რომის იმპერატორი, რომელმაც მოახდინა ქრისტიანობის ლეგალიზაცია და დაარსა კონსტანტინოპოლი – იმპერიის ახალი დედაქალაქი; ასევე ნაგულისხმევია – კონსტანტინოპოლი/ბიზანტია-რუსეთის ერთიანობა თუ უწყვეტობა; ანუ ის, რომ რუსეთი ბიზანტიის „სამართალმემკვიდრეცაა“ – ნ. ზ.).

ამავე ტრაქტატში, მართლმადიდებლობის განდიდების და დასავლური, განსაკუთრებით – პროტესტანტული ეკლესიის, დამცრობის პარალელურად (პროტესტანტებს ტიუტჩევი რევოლუციონერებთან აიგივებდა, რომლებმაც უღალატეს ქეშმარიტ რწმენას), ის რუსეთის „აღმოსავლური“ თუ ევრაზიული „ბუნების“ „თეორიულ საფუძვლებსაც“ ქმნის (რაც, პოეტური ენით, ასევე, გაცხადებულია ზემოთ ციტირებულ ლექსში): „(...) და რადგან მართლმადიდებლურია, რუსეთი არის იმპერიის საწინდარის მცველი (защитительница). (...) იმპერია არ კვდება. ცარი რუსეთის იმპერატორად მხოლოდ აღმოსავლეთის იმპერატორის ხარისხში გვევლინება. აღმოსავლეთის იმპერია – ეს არის რუსეთი საბოლოო სახით“.

და სწორედ ასეთი „დეტალებით“, ბიბლიური „ავტორიტეტების“ მოხმობით და ბიბლიური ტექსტების მეტისმეტად ტენდენციური, მეტისმეტად საეჭვო ინტერპრეტირებით, მათი მოქცევით წინასწარ აკვიატებული, ულტრასლავიანო-ფილური თუ რუსოფილური იდეების ჩარჩოში, თანდათან ხდება რუსეთის რელიგიურ-პოეტურ-იდეოლოგიური ხატის სრული მონყვეტა რეალობისაგან, სრული განყენება, სუპერსაკრალიზაცია და რუსეთის ღვთიურობის, ღვთიური არსის, ღვთიური მისიის ახლებური მითის (მეტამითის) ჩამოყალიბება.

\* \* \*

თანამედროვე რუსული პოეზიის წარმომადგენელი ალექსანდრე კუშნერი (Александр Кушнер, დაიბ. 1936) წერილში «Средь детей ничтожных мира» [82] (იხ., ასევე, მისი «ტიუტჩევი (ახალი რაკურსით)» [83]) წერს: „იშველიებს რა ბიბლიური დანიელ წინასწარმეტყველის ნათელხილვას, ტიუტჩევი (...) წინასწარმეტყველებს იმ სამეფოზე, რომელიც „არ დაინგრევა უკუნითი უკუნისამდე“. რუსეთის ბოსფორამდე მიღწევის, კონსტანტინოპოლის დაპყრობის ჟინი არ ასვენებდა ფიოდორ ივანოვიჩს. ამის შესახებ ის საკვირველი სიჯიუტით წერდა:

● 1829-შიც («...Стамбул исходит – Константинополь воскресает вновь...» («სტამბოლს ბოლო ელება – კონსტანტინოპოლის აღდგომას ვესწრებით კვლავ»));

● 1848-შიც («Москва и град Петров, и Константинов град – Вот царства русского заветные столицы...» – იხ. ზემოთ – ნ. ზ.);

● 1850-შიც («Не в Петербурге, не в Москве, А в Киеве и в Цареграде...» («არა პეტერბურგში, არა მოსკოვში, არამედ კიევსა და ცარგრაღში» (ცარგრაღი = კონსტანტინოპოლი));

● და 1854-შიც – ყირიმის ომში რუსეთის დამარცხების მიჯნაზეც, ლექსში «სპირიტუალური წინასწარმეტყველება»:

Дни настают борьбы и торжества,  
Достигнет Русь завещанных границ,  
И будет старая Москва  
Новейшею из трех ее столиц.

დგება დღეები ბრძოლისა და ზეიმისა,  
მიადწევს რუსეთი აღთქმულ საზღვრებს,  
და გახდება ბებერი მოსკოვი  
სამთა შორის უახლეს დედაქალაქად  
(იგულისხმება – რომს, კონსტანტინოპოლს და მოსკოვს შორის).

ვაგლახ, – განაგრძობს კუშნერი, – ბედი თითქმის ყველა პოეტური, მით უმეტეს „სპირიტუალური“, წინასწარმეტყველებისა სავალალოა: მათ ახდენა არ უწერია. ტიუტჩევი წინასწარმეტყველებდა თავის სტატიებში, წერილებსა და პოლიტიკურ ლექსებში თავისსავე გონებამახვილი გამონათქვამის საწინააღმდეგოდ: ლექსები არასოდეს ასაბუთებდნენ რაიმე სხვას, გარდა მათი ავტორის მეტ-ნაკლები ნიჭისაო. მიუხედავად ამისა, იგი ამ თემას ყირიმის ომში რუსეთის დამარცხების შემდეგაც დაუბრუნდა. (...) 1867 წელს დაწერილია ორი მოსაწყენი ლექსი ერთნაირი სათაურით – „სლავიანებს“; მეორე მათგანში დამატებით დაშიფრულია ის უდიდესი, ის უკვდავი, ის დაუვინყარი ფორმულირება, რომელიც, რაც თავი გვახსოვს, თან გვსდევს მუდამ; ოღონდ ტიუტჩევთან ის გეომეტრიული თვალსაზრისით ცოტათი უზუსტოა (ქვემოთ, ლექსის ნაწყვეტში ხაზგასმა ჩვენია – ნ. ზ):

...Ужасно та стена упруга,  
Хоть и гранитная скала, –  
**Шестую часть земного круга**  
Она давно уж обошла...

ის კედელი საშინლად დრეკადია (= დინამიკურია),  
მიუხედავად იმისა, რომ იგი გრანიტის კლდეა, –  
დედამიწის წრის მეექვსედ ნაწილს  
მან დიდი ხანია, რაც გაუსწრო...

(იგულისხმება – რუსეთის იმპერიის ფართობი უკვე დედამიწის საერთო ფართობის 1/6-ზე მეტია).

ჩვენ მაინც უფრო ზუსტად გვასწავლიდნენ, – წერს კუშნერი, – წრის კი არა, ხმელეთის, ხმელეთის ერთი მეექვსედია!

<sup>1</sup> სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის პერიოდშიც ბავშვებს ასწავლიდნენ – სსრკ მსოფლიოს ერთი მეექვსედიაო; თუმცა ამგვარი

(...) საკმარისია, – განაგრძობს კუშნერი, – აღარ განვიხილავ აღარც „თანამედროვეს“ («Флаги веют на Босфоре...») («დროშები ფრიალებან ბოსფორზე»), აღარც „ორ ერთიანობას“ და არც ტიუტჩევის სხვა „იდეურ“ ლექსებს, რომლებსაც ის სიკვდილამდე თხზავდა. მან სასიკვდილო სარეცელზეც კი, მას შემდეგ, რაც მღვდელმა უკვე წაიკითხა შენდობის ლოცვა, მოახერხა და იკითხა: „რა დანვრილებითი ცნობებია ხივის ალების შესახებ?“ (ციტატის დასასრული, [84]).

ამასთან დაკავშირებით რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ პირველი – დიდი მისტიფიკატორის შემთხვევაში წინასწარმეტყველების მეტ-ნაკლებად ზუსტი ახდენა არ არის მთავარი, მთავარია – ხანგრძლივადიანი ხედვა, მისი ვექტორი, რომელიც „ცოცხალია“ დღემდე.

და მეორე: ის, რომ ტიუტჩევის თავისი ცხოვრების ბოლო წუთებშიც რუსეთის მილიტარიზმი გაახსენდა, სრულიადაც არ არის შემთხვევითი... ეს მისივე შექმნილი მეტამითის „ჯადოს“ გაცხადებაა...

\* \* \*

მაინც რა არის ეს მეტამითი, რა არის უმთავრესი ტიუტჩევის მისტიფიკაციაში? ვფიქრობთ, ესაა რუსეთის აბსოლუტური ღვთიურობის აღიარება, ანუ ამ დროს, ამგვარი მისტიფიციებისას ხდება რუსეთის ღვთიურ საიდუმლოსთან, ღმრთის ნებასთან (= არსებითად, ღმერთთან) გაიგივება.

სხვანაირად რომ ვთქვათ, რუსეთი და – მისი გამოვლინება – რუსული სული, რუსული ხასიათი (რაც ტიუტჩევთან და მერე ვლადიმირ სოლოვიოვთანაც აშკარად ალუზირებს

„ცნობა“, გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართველ მოსწავლევებსა თუ სტუდენტებზე დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენდა: ეს უკვე განყენებული ინფორმაცია იყო.

სული წმიდასთან და ამას რუსი მკვლევრებიც აღნიშნავენ) – რალაც, გარკვეული თუ გაურკვეველი, მიზეზების გამო კი არ არის იდუმალი – არამედ იმიტომ არის იდუმალი, იმიტომ არის ტრანსცენდენტური, რომ „ეს არის ის“, თვით ღვთის საიდუმლო.

და როგორღა შეიძლება ღვთის საიდუმლოს გონებით, გონებისმიერად, რაციონალურად გააზრება?! ის შეიძლება მხოლოდ გნამდეს! – ტიუტჩევის ეს „ფორმულა“ სამარადეულამოდ ჩაიბეჭდა რუსულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში:

Умом Россию не понять,

Аршином общим не измерить:

У ней особенная статья –

В Россию можно только верить!

რუსეთს გონებით ვერ ჩანვდები,

საერთო „არშინით“ ვერ გაზომავ:

მას განსაკუთრებული არსი აქვს –

რუსეთის შეიძლება მხოლოდ გნამდეს!

და სწორედ ესაა ტიუტჩევის უდიდესი მისტიფიკაცია, სწორედ ესაა მეტამითის დასრულება! ასეთ „მეტაჩარჩოში“ ეტევა ყველა სხვა რუსული დერჟავული მითი, ასეთი ჩარჩო თუ განუსაზღვრელობა, განსაზღვრების a priori შეუძლებლობა ათავისულებს „რუსულ სულს“ ყოველგვარი რაციონალიზაციის აუცილებლობისგან. ეს არის ის, რაც მისტიკურ „ალიბის უქმნის“ დერჟავის ნებისმიერ იმპერიალისტურ ზრახვასა თუ ქმედებას.

ამ გზით ტიუტჩევემა, ფაქტობრივად, მითი დოქტრინად აქცია (თუ მითიური დოქტრინა შექმნა).

\* \* \*

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დიდი მისტიფიკატორის „ჯადო“ დღესაც მოქმედებს; მაგრამ, თეორიულად, სხვა უნდა იყოს კაზაკების მსგავსი, პრიმიტიული დერჟავნიკები და სულ სხვა – პეტერბურგელი პროფესორები. სამწუხაროდ, რეალობაში მათ შორის დიდი განსხვავება არ შეინიშნება და სწორედ ესაა ტიუტჩევის მეტამითის ძალა. ამის საილუსტრაციოდ და „რაკურსის“ დიდმნიშვნელოვნების გამო მოგვყავს ვრცელი ციტატა რუსი ფილოსოფოსის და კულტუროლოგის, ფილოსოფიის დოქტორის, ხელოვნების ისტორიის რუსეთის ინსტიტუტის სექტორის გამგის, კინოსა და ტელევიზიის სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის კათედრის გამგის, სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორის, ალექსანდრე კაზინის (დაიბ. 1945) წერილიდან „ფიოდორ ტიუტჩევი – იმპერიის პოეტი“ [85]: „სულის (дух) ერთიანობა და მთლიანობა – აი, რა არის საჭირო რუსეთთან შეხებისათვის. ტიუტჩევის შემოქმედება იმის მხატვრული დასაბუთებაა, რომ რუსეთის ერთადერთი ცნება – ეს არის მისი საკუთარი სახელი (სახელდიდება – имяславие): ვერავითარი აბსტრაქცია აქ ვერ ივარგებს. სწორედ ესაა რუსული სულიერ-ისტორიული რეალობის განსაკუთრებული არსი (стать). რამდენი ფუჭი „რუსთმცოდნეობითი“ კონცეფცია იყო შემოთავაზებული, ანდა მისი „შესწორების“, ევროპეიზაციის, ამერიკანიზაციის რამდენი უშედეგო ცდა გვახსოვს! რუსული სულის ბირთვი, ღვთაებრივი „კოდი“ ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდათ რეფორმატორებს – და ამის საუკეთესო საბუთია ისევ და ისევ ტიუტჩევის პოეზია, სადაც მართლმადიდებლური რუსეთი დასავლეთს უპირისპირდება. (...) შემთხვევითი არ არის ის, რომ ტიუტჩევის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ლექსი რუსეთის დანიშნულების შესახებ იწყება ცნობილი „რუსი ევრო-

პელისადმი“ (კ. ვ. ნესელროდე) მიმართული დამამცირებელი სიტყვებით: «Нет, карлик мой, трус беспримерный» („არა, ჩემო ქონდრისკაცო, უმაგალითო ლაჩარო...“). აი, გაგრძელება:

Не верь в святую Русь кто хочет,  
Лишь верь она себе самой, –  
И Бог победы не отсрочит  
В угоду трусости людской.  
То, что обещано судьбами  
Уж в колыбели было ей,  
Что ей завещано веками  
И верой всех её царей, –  
То, что Олеговы дружины  
Ходили добывать мечом,  
То, что орел Екатерины  
Уж прикрывал своим крылом,  
Венца и скиптра Византии  
Вам не удастся нас лишить,  
Всемирную судьбу России –  
Нет, вам её не запрудить!..

ვისაც უნდა, ნუ იწამებს წმიდა რუსეთს, ოღონდ მას (რუსეთს) სწამდეს საკუთარი თავისა, – და ღმერთი გამარჯვებებს არ გადაავადებს – მხდალი ხალხის საამებლად. მას, რაც ბედისწერითაა დაპირებული მისთვის ჯერ კიდევ აკვანში, მას, რაც უანდერძეს საუკუნეებმა და მისი ყველა ცარის რწმენამ, – მას, რის მოსაპოვებლადაც ოლეგის რაზმები იბრძოდნენ მახვილით, მას, რასაც ეკატერინას (ეკატერინე II-ის) არწივი თავისი ფრთით იფარავდა,

ბიზანტიის გვირგვინსა და სკიპტრას  
 თქვენ ჩვენ ვერ ჩამოგვართმევთ,  
 რუსეთის მსოფლიო ბედს -  
 ვერა, თქვენ ვერ დააგუბებთ (შეამდოვრებთ, შეაფერხებთ)!..

(ოლეგის რაზმები - იგულისხმება ოლეგ მომასნავებელი, რუსი  
 თავადი, რომელსაც კიევის რუსეთის სახელმწიფოს დამაარსებლა-  
 დაც განიხილავენ ხოლმე).

ტიუტჩევის საუკეთესო ქმნილებები, - განაგრძობს კა-  
 ზინი, - ეს თითქოს რუსეთის მიერ ღმერთისადმი აღვლენ-  
 ნილი ლოცვებია: ჩემი კი არა, იყავნ ნება შენი (ხაზგასმა  
 აქაც და ქვემოთაც სტატიის ავტორისაა - ნ. ზ.) (...) თა-  
 ვისი ისტორიული ცხოვრებით რუსეთი გვიმტკიცებს, რომ  
 მას მეტად ეშინია ბოროტებისა, ვიდრე ტანჯვისა, და რომ  
 ბოროტება მისთვის ეშმაკეული ნებაა, რომელიც ადამიანურ  
 თავისუფლებას ღმერთთან მიმართების გარეშე განიხილავს.  
 სწორედ ამიტომ არის მიუწვდომელი წმიდა რუსეთი (СВЯТАЯ  
 РУСЬ) უცხო მზერისათვის. ტიუტჩევა თავის ლექსებში, არ-  
 სებითად, ერთგვარი „ერთგულთა ლიტურგია“ გამოსახა,  
 რომელიც რუსულ მიწაზე მუდმივად სრულდება, მაგრამ  
 შეუმჩნეველია პროფანული დამკვირვებლისათვის. და საით  
 უნდა ეჭიროს გეზი ცათა მეუფეს, თუ არა ასეთი მიწისაკენ  
 - სიძვით დაცემული ბაბილონისკენ ხომ არა? ყველას ხომ  
 თავისი ნამოქმედარის მიხედვით მიეზღვება (მათე 16:27). (...)  
 ეკლესიის მამები თავის დროს წერდნენ ქრისტიანულ სამე-  
 ფოზე - მაგრამ მათ ჯერ არ უწყოდნენ ჩრდილოეთის დიადი  
 სამომავლო ქვეყნის შესახებ“.

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია, უფრო სწორად კი -  
 ბნელი... და ასე, ტიუტჩევისეულად, აზროვნებს დღევანდე-  
 ლი რუსი ინტელექტუალების უდიდესი ნაწილი...

\* \* \*

კავკასიაში ტიუტჩევი არ ყოფილა და მასზე ლექსებიც  
 სპეციალურად არ შეუთხზავს. ცნობილია მხოლოდ ეპიგრა-  
 მა, რომელიც მან ლევ ტოლსტოის „კაზაკებს“ (Лев Толстой.  
 «Казачьи») მიუძღვნა:

Затею этого рассказа  
 Определить мы можем так:  
 То грязный русский наш кабак  
 Придвинут к высотам Кавказа.

ამ მოთხრობის განზრახვა  
 ასე შეიძლება განვსაზღვროთ:  
 ჩვენი ბინძური რუსული დუქანი  
 კავკასიის სიმაღლეებთანაა მიწეული (მიახლოებული).


ამ ეპიგრამის ქვეტექსტი ცოტა ბუნდოვანია; ზოგ მკვლევ-  
 ვარს ეჭვიც კი ეპარება, რომ ეპიგრამა ლევ ტოლსტოის „კა-  
 ზაკების“ გამოა შეთხზული. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ თავის  
 დროზე ლიტერატორთა ერთი ნაწილი უარყოფითად შეხვდა  
 ტოლსტოის ამ ნაწარმოებს - დაინახა რა მასში „მდაბალი  
 თვისებების“ პოეტიზაციის ცდა [86]; გარდა ამისა, ზოგიერ-  
 თი მკითხველი ამ ეპიგრამაში ტიუტჩევის ირონიას თუ სარ-  
 კაზმსაც აღმოაჩენს „კავკასიის სიმაღლეების“ მიმართ...

# ԿՐԹՅՆՄՈՑՁՈՐՆԵ ՁՐԳՉԻՆՈՑՁՈՒՆՆԵ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԿՐԹՅՆՄՈՑՁՈՐՆԵ


ნიკოლოზ ნეკრასოვი  
НИКОЛАЙ НЕКРАСОВ

1821-1878



აფანასი ფეტი  
АФАНАСИЙ ФЕТ

1820-1892



რომანტიზმიდან მოდერნიზმზე გარდამავალმა (პოსტ-რომანტიზმის) პერიოდმა მნიშვნელოვანი სოციალურ-მსოფლმხედველობრივი და პოეტიკური სიახლეები მოიტანა, მაგრამ დერჟავულ-იმპერიალისტური მსოფლმხედველობის კუთხით ახალი ამ პერიოდში ბევრი არაფერია. თუმცა უკვე იგრძნობა აქცენტებისა და პოეტიკის მნიშვნელოვანი ცვლილება: ერთ მხარესაა „ნაროდნიკი“ ნიკოლოზ ნეკრასოვი – შესანიშნავი ლირიკოსი, სატირიკოსი, პუბლიცისტი და მეზღაპრე – რომელიც თავისი „მძიმე“, „გაურანდავი“ სტრიქონებით ამდიდრებს რუსულ პოეზიაში, უპირატესად, სოციალურ თემატიკასა და დისკურსს; მეორე მხარესაა რეაქციონერი აფანასი ფეტი.

ნეკრასოვის ყურადღების ფოკუსში ექცევა, რუსული სოფელი, რუსი გლეხი, „მუჟიკი“, მისი უფლებობა და გაუსაძლისი ყოფა: როგორც წერს შესანიშნავი მთარგმნელი, ლიტერატურისმცოდნე, ნეკრასოვოს შემოქმედების მკვლევარი და საბავშვო მწერალი კორნეი ჩუკოვსკი (Корней Чуковский, 1882-1969) ნეკრასოვის სამტომეულის შესავალ წერილში, – „თავისი დიდი პაპის სათავადაზნაურო ბუდეში გაზრდილმა ნეკრასოვმა, უზარმაზარი, საშინლად მტკივნეული სულიერი „სამუშაოს“ განხორციელების ფასად, „გლეხის თვალი“ («мужицкие очи») თავისად აქცია და ისწავლა იმდროინდელი სინამდვილის ყველა მოვლენის – და საკუთარი თავის – ამ თვალთ დანახვა! და უმთავრესად ამით განსხვავდება ნეკრასოვი იმ ეპოქის სხვა რუსი პოეტებისაგან“ [87].

ქვემოთ მოგვყავს ფრაგმენტები ნეკრასოვის ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებული ლექსისა „პოეტი და მოქალაქე“ («Поэт и гражданин»), რომელიც ამ ორს შორის გამართული დიალოგის ფორმითაა შესრულებული და ძირითადად შემოქმედის დანიშნულების საკითხს ეხება; „მოქალაქე“ ამბობს:

Иди в огонь за честь отчизны,  
 За убежденье, за любовь...  
 Иди, и гини безупречно.  
 Умрешь не даром, дело прочно,  
 Когда под ним струится кровь...  
 (...) Ты мог бы правильной судить:  
 Поэтом можешь ты не быть,  
 Но гражданином быть обязан.  
 А что такое гражданин?  
 Отечества достойный сын.

ნადი და ცეცხლსაც არ მოერიდო დასაცავად  
 ოტჩინის ღირსებისა,

მრწამსისა, სიყვარულისა...

ნადი და დაიღუპე წარბშეუხრელად.

ტყუილუბრალოდ არ მოკვდები, საქმე მყარია,

როცა მის გამო იღვრება სისხლი...

(...) შენ შეგეძლო უფრო მართებულად გემსჯელა:

შენ შესაძლოა, პოეტი არ იყო,

მაგრამ ვალდებული ხარ, იყო მოქალაქე.

ხოლო რა არის მოქალაქე?

ოტჩინსტვოს (= ოტჩინის, აქ დაახლ. = მამულის)  
 ღირსეული ძე.

რა უნდა ჰქონდეს კაცს ასეთი, – რუსეთის იმდროინდელი თუ დღევანდელი პოლიტიკური რეჟიმის პირობებისათვის, – უთუოდ დემოკრატიული სტრიქონების საწინააღმდე-

გო? რუს კაცს – უეჭველად არაფერი; მაგრამ დაპყრობილი ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენელს კი შესაძლოა, დაეხადოს კითხვა: რომელ „ოტჩინზეა“ საუბარი?..



ნიკოლოზ ნეკრასოვი

ჩვენი თემის ფარგლებში ნეკრასოვის შემოქმედებასთან მიმართებით ერთ „სიახლეს“ შეიძლება გაესვას ხაზი: ნეკრასოვი, მართლაც, დიდად კრიტიკულად იყო განწყობილი რუსეთში არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მიმართ, რაც მან სატირულ-პაროდული სტრიქონებითაც არაერთხელ გამოხატა, და რამაც მას ბევრი უსიამოვნებაც მოუტანა (თუმცა, მეორე მხრივ, შედარებით დემოკრატიულად განწყობილი მკითხველის სიყვარულიც მოუხვეჭა); მაგრამ იმავდროულად იგი რუსეთის, რუსეთის იმპერიის გულანთებული პატრიოტიც გახლდათ – აი, კიდევ ერთი ამონარიდი ჩუკოვსკის ციტირებული წერილიდან: „ნეკრასოვის კიდევ ერთი მასწავლებელი (იგულისხმება – ბელინსკისთან ერთად – ნ. ზ.) იყო გოგოლი. (...) ნეკრასოვს აქვს

გოგოლისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

Со всех сторон его клянут,  
И, только труп его увидя,  
Как много сделал он, поймут,  
И как любил он – ненавидя!

ყოველი მხრიდან სწყევლიან (ლანძღავენ) მას,  
და მხოლოდ მაშინ, როდესაც მის გვამს დაინახავენ,  
მიხვდებიან, თუ რაოდენ ბევრი გააკეთა მან  
და თუ რა ძლიერ უყვარდა მას – სიძულვილის მიუხედავად!

„გიყვარდეს სიძულვილის მიუხედავად“ («Любить, ненавидя») – ეს ისწავლა ნეკრასოვმა თავისი დიდი დამრიგებლებისაგან.

ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის „სიახლე“: ხედავდე, მეტ-ნაკლებად ობიექტურად აღწერდე, გულწრფელად აკრიტიკებდე რაღაცას – სრულიად მახინჯს – და საბოლოოდ მაინც ლამაზად გეჩვენებოდეს ის (ესეც, როგორც ჩანს, „ამოუხსნელი“ რუსული სულის ერთ-ერთი თვისებაა).

მართალია, ასეთმა მოტივმა ლერმონტოვთან თითქოს უკვე გაიჟღერა, მაგრამ ნეკრასოვმა დაასრულა, საქვეყნოდ გაახმოვანა ეს „მელოდია“ რუსული პოეტური მითისკმნის „სიმფონიაში“; აი, ამის კიდევ ერთი დასტური:

Ты и убогая,  
Ты и обильная,  
Ты и забитая,  
Ты и всесильная,  
Матушка-Русь!..

შენა ხარ ლატაკიც,  
შენა ხარ უხვიც,  
შენ ხარ დაჩაგრულიც,  
შენა ხარ მძლეთამძლეც,  
მატუშკა (დაახლ. = დედა, დედილო)-რუსეთო!..

ასევე ბრწყინვალე, მაგრამ იმავდროულად – „მოუხეშავი ნეკრასოვის“ ანტიპოდი – ნატიფი ლირიკოსი, თუმცა ამასთანავე მკვეთრად გამობატული რეაქციული (მათ შორის, მონარქისტულ-იმპერიალისტური, ბატონყმური და ანტისემიტური) მრწამსის მქონე, აფანასი ფეტი [88], მიიჩნევს რა, რომ შემოქმედის მთავარი მიზანი მშვენიერების გამოხატვაა, „წმინდა ხელოვნების“ დამკვიდრებასაც ემსახურება, ამდიდრებს რუსულ პოეზიას ახალი რიტმებით, ინტონაციებით, ახლებური სინტაქსური წყობით თუ სტროფის ახლებური კონსტრუქციებით და იმავდროულად რუსული სიმბოლიზმის წინამორბედად გვევლინება. დოსტოვესკიმ ფეტს ახალი ევროპის უპირველესი ლირიკოსიც კი უწოდა [89, 90].

აი, ფეტის, ალბათ, ყველაზე ცნობილი ორი სტრიქონი:

Я пришел к тебе с приветом,  
Рассказать, что солнце встало (...)

ფეტმა შექმნა, ასევე დიდად გახმაურებული, მშვენიერი, „პრესიმბოლისტური“, პირველი რუსული ლექსები – ზმნის გარეშე, რაც თავის დროზე პაროდირების საგანიც გახდა [91]:

Шепот, робкое дыханье,  
Трели соловья,  
Серебро и колыханье  
Сонного ручья,  
Свет ночной, ночные тени,  
Тени без конца,

Ряд волшебных изменений  
 Милого лица,  
 В дымных тучках пурпур розы,  
 Отблеск янтаря,  
 И лобзания, и слезы,  
 И заря, заря!..

როგორც აღნიშნავენ მკვლევრები, ფეტის პიროვნება კონტრასტულად გაორებული იყო, ის თითქოს ორ სულს ერთდროულად იტევდა: იდეალისტი, მგრძნობიარე, ნატიფი ლირიკოსისას – პოეზიაში და პრაგმატიკოსი მეურნისა და რეაქციონერისა – ყოველდღიურ ცხოვრებასა და პუბლიცისტიკაში.



ავანასი ფეტი

ასეთი გაორება (განსაკუთრებით კი, მონარქისტულ-ბატონყმურ-ანტისემიტური მრწამსის ჩამოყალიბება) უნდა უკავშირდებოდეს ფეტის წარმომავლობის საიდუმლოს, რასაც ის მთელი სიცოცხლე უკიდურესად მტკივნეულად განიცდიდა: ეს მეტისმეტად ჩახლართული ისტორიაა, რაც

იმით მთავრდება, რომ ფეტი, ბოლოს და ბოლოს, იცილებს ამ, როგორც ირკვევა, მისთვის საძულველ გვარს (რომელიც მას 14 წლისას „ხვდა წილად“) და 40 წლის შემდეგ იბრუნებს თავისი მამინაცვლის, ძველი რუსული თავადაზნაურობის წარმომადგენლის, შენშინის გვარსა და პრივილეგიებს [92].

ამასთან, მთელი ამ ისტორიიდან ისიც ირკვევა, რომ ანტისემიტი ფეტი, ფაქტობრივად, ნახევრად ან სრულად ებრაელი იყო [93]. იმ გაუთავებელი ბატალიების შესახებ, რაც გადაიტანა ფეტმა პრივილეგირებული მდგომარეობის მოსაპოვებლად თუ აღსადგენად, რუს იმპერატორთა შორის ნაკითხობითა და გონებამახვილობით მაინცდამაინც ვერ გამოორჩეულ, ალექსანდრე III-ს მოსწრებულად უთქვამს: „რაში სჭირდება მას ეს კამერჰერობა. კამერჰერები ჩვენ ათასობით გვყავს და მათ არავინ იცნობს, პოეტი ფეტი კი რუსეთში ერთადერთია“ [94].



(«Сазандар»). მაგალითად, მშვენიერი ლირიკული ლექსებია – «ძველი საზანდარი», «ქართველი ქალი», «ქართული სიმღერა», «ქართული ღამე». ეს უკანასკნელი, ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

Но волны потока затем ли бегут по ущелью,  
 Чтоб только достигнуть предела и слиться с волнами  
 Безбрежного моря! – нет, прежде чем моря достигнуть,  
 Они на долину спешат, напоить виноградные лозы  
 И нивы – надежду древнейшего в мире народа.  
 А вы, мои думы!- вы, прежде чем в вечность  
 Умчитесь, в полете своем захватив мириады  
 Миров, – вы – скажите, ужель суждено вам  
 Носиться бесплодно над этою чудной строною,  
 Так страстно любимую солнцем и – выжженной солнцем!

ლერმონტოვისაგან განსხვავებით, პოლონსკი პატივისცემით ეკიდებოდა ქართულ ისტორიასა და კულტურას და, ალბათ, სწორედ მან პირველმა (ან ერთ-ერთმა პირველთაგანმა – თუ ქართველ პოეტებსაც გავითვალისწინებთ) გამოთქვა პოეზიის ენით ლეგენდა რუსთაველის გადახვეწის მიზეზის შესახებ:

ამაყი, ძლიერი და მშვენიერი თამარ მეფე მიმართავს რუსთაველს:

Но ты любишь дела и победы мои:  
 Я готова тебя при дворе принимать,  
 Меньше пой о любви –  
 О безумной любви – и тебя награждать  
 Я готова за песни твои.

რუსთაველი პასუხობს:

Буду петь про любовь – ты не станешь внимать –  
 Но клянусь! – На возвышенный голос любви

Звезды будут лучами играть,  
 И пустыня, как нежная мать,  
 Мне раскроет объятия свои!

ამასთან, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ მეფისნაცვლის კანცელარიის მუშაკს არ ეპარებოდა ეჭვი რუსეთის მიერ საქართველოს „მიერთების“ სიკეთეში: „ავითარებდა რა ლერმონტოვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოს რუსეთთან მიერთების პროგრესული მნიშვნელობის შესახებ, პოლონსკი ამბობდა, რომ რუსების წყალობით საქართველომ ბოლო მოუღო ხარბი მტრების – თურქების – შემოსევებს და ამით ქვეყანას მშვიდობიანი ეკონომიკური განვითარების საშუალება მიეცა“, – წერს ვიქტორ გოლცევი წერილში „საქართველო რუსულ პოეზიაში“ [44].

Բաժանմունքի, նախագահի և անդամների կողմից հաստատված կարգապահական կանոնները, որոնք սահմանափակում են անդամների իրավունքները, չեն կարող հանդիսանալ անհատի իրավունքների սահմանափակում:

Անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել ժամանակավոր և անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել անհատի իրավունքների սահմանափակում:

Անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել ժամանակավոր և անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել անհատի իրավունքների սահմանափակում:

Անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել ժամանակավոր և անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել անհատի իրավունքների սահմանափակում:


Անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել ժամանակավոր և անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել անհատի իրավունքների սահմանափակում:

Անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել ժամանակավոր և անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել անհատի իրավունքների սահմանափակում:

Անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել ժամանակավոր և անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել անհատի իրավունքների սահմանափակում:

Անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել ժամանակավոր և անհատի իրավունքների սահմանափակումը կարող է լինել անհատի իրավունքների սահմանափակում:


# 5



## ՁԵՐԱՆԱՅԸ ԵՄ ՈՅՅԵՐՈՒԿՈՒՄԸ

# ვლადიმირ სოლოვიოვი ВЛАДИМИР СОЛОВЬЁВ

1853-1900



ვლადიმირ სოლოვიოვი – რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორი აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, რელიგიურ-მისტიკური ყაიდის ფილოსოფოსი, პოეტი, პუბლიცისტი, ესეისტი, ესთეტიკური შეხედულებებით კი უკანასკნელი „პოსტრომანტიკოსი“ (ფეტის „ხაზის განმგრძელებელი“) თუ პრესიმბოლისტი – რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთ მამამთავარად გვევლინება. მისმა ტრანსცენდენტურ-აპოკალიფსურმა შეხედულებებმა (რაც მის პოეზიაშიც მკაფიოდ აისახა) დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ მომდევნო თაობის რუს რელიგიურ ფილოსოფოსებზე, არამედ ისეთ გამოჩენილ პოეტებზეც, როგორებიც არიან ალექსანდრე ბლოკი და ანდრეი ბელი (რომლებსაც მ. გასპაროვი „სოლოვიოველებსაც“ უწოდებს [96]).

აი, სოლოვიოვის ცნობილი „სასაფუძვლო სიმბოლისტური“ სტრიქონები:

Милый друг, иль ты не видишь,  
Что все видимое нами –  
Только отблеск, только тени  
От незримого очами?

საყვარელო მეგობარო, ნუთუ ვერ ხედავ,  
რომ ყველაფერი, რასაც ვხედავთ –  
მხოლოდ ანარეკლია, მხოლოდ ჩრდილებია  
იმის, რისი დანახვაც თვალს არ ძალუძს?

\* \* \*

ვლადიმირ სოლოვიოვის ფილოსოფიის ლერძს, „ყოველისერთობის“ («Всеединство») იდეასთან ერთად [97], წარმოადგენდა იდეა „სოფიის“ შესახებ. სოლოვიოვის „სოფია“ არ ემთხვეოდა ელინისტურ თუ ბიბლიურ „სოფიას“: გამარტივებულად თუ ვიტყვი (თუკი საერთოდ შესაძლებელია სოლოვიოვის ნააზრევის გამარტივებულად გადმოცემა), „სოფია“ სოლოვიოვისთვის – ეს მსოფლიო სულია, ერთგვარი მისტიკური კოსმიური არსება, რომელიც ღმერთს მიწიერ სამყაროსთან აერთიანებს; ამასთან, „სოფია“ ქალურია, მარადიული ქალურობის ღმერთში გაცხადებაა და იმავდროულად სამყაროს შესახებ ღვთის ჩანაფიქრია [98]. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სოფიის ასეთი გაგება იწვევს ასოციაციებს ნეოპლატონიზმთან (გარდამოსვლა იდეალურიდან, ღვთიურიდან ფენომენოლოგიურისკენ, რეალურისკენ, სადაც „შუამავლის“ როლს სწორედ მარადიული სოფია = სიბრძნე ასრულებს), გოეთესთან (მარადიული ქალურობა), შელინგთანაც (მსოფლიო სული) და სხვ.

ეს ბუნდოვანი „არსი“ თუ „კოსმიური ხატი“ სოლოვიოვს მისტიკურ გამოცხადებად მოეწვინა, რაც მან კიდევ ასახა მოკლე პოემაში „სამი პაემანი“ [99]. ვფიქრობთ, რომ მისი არც მარტივად და არც რთულად გადმოცემა დიდ ნათელს არ ჰფენს მას (ამის შესახებ იხ. მაგალითად, [100, 101]).

ამასთან კავშირში, ალბათ, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ვ. სოლოვიოვითა და მისი „სოფიით“ ქართველ მწერალთა შორის, უპირველესად, მითოლოგიზირებისადმი სხვებზე მეტად „მიდრეკილი“ გრიგოლ რობაქიძე დაინტერესდა [102, 103]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოლოვიოვის ეპისტემოლოგიისა და მეტაფიზიკის შესახებ პირველი დისერტაცია 1909 წელს გერმანულ ენაზე ჰალეს უნივერსიტეტში გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, შემდგომში ქართული

ფსიქოლოგიის სკოლის დამაარსებელმა დიმიტრი უზნაძემ დაიცვა; ამასთან, უზნაძე ბევრ სასაფუძვლო საკითხში (მაგალითად, „ომის ფილოსოფიაში“ და სხვ.) არ ეთანხმებოდა სოლოვიოვს [104, 105].

\* \* \*

**ექსკურსი:** აი, მაგალითად, რას წერს რობაქიძე: „არსებობენ შემოქმედნი (...) შეყვარებულნი მიწის სხეულში (...) მაგრამ (...) ისინი სხვა რამესაც განჭვრეტენ: „უფრო შორს“. (...) ისინი საგნებს ხედავენ, მაგრამ საგნების იქით სხვა საგნებს ჭვრეტენ: „ახალ ცას და ახალ მიწას“ [106]. (...) მათთვის მიწა სამყაროს სულია, სოფია, მარადიული ქალურობა; და ის ელის განაყოფიერებას მზისაგან და დაბადების მარადისობისაგან. (...) აპოკალიფსური რიტმის სულის პოეტები განსაკუთრებით მრავლადაა რუსეთში, არსებითად, კატასტროფულ ქვეყანაში. ამ რიგის პოეტებია: ვლადიმირ სოლოვიოვი, დოსტოვესკი, მერუჟოვსკი, ბლოკი. ეგვიპტის გადამწვარ უდაბნოებში ხედავდა სოლოვიოვი „მას“, უსახელოს (სამყაროს სულს: დედამიწას). და ეს ხილვა პოეტმა მთვარისებური ჭვრეტის რბილ ხაზებში დააფიქსირა, – „სამ საუბარში“ კი ის ჭეშმარიტად წმინდა იოანეს მგზნებარე (ჩირალდანივით) ენით ალაპარაკდა“ [102].

\* \* \*

სოლოვიოვის „სოფიის“, ალბათ, ყველაზე „საინტერესო“, მართლაცდა, ორიგინალურ ანალიზს მიაკვლევთ თანამედროვე რუსი ფილოსოფოსის და სოციოლოგის, იმავდროულად, პირნავარდნილი დერჟავნიკის, ნეოიმპერიალისტის – საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის ლიდერის – ჩვენთვის კარგად ცნობილი ალექსანდრე დუგინის

(Александр Дугин, დაიბ. 1962) [107, 108] ნიგნის „მარტინ ჰაიდეგერი: რუსული ფილოსოფიის შესაძლებლობა“ მე-14 თავში [109, 110]. დუგინი აქ ამბობს, რომ რუსი რელიგიური ფილოსოფოსებისა და რუსი პოეტების სოლოვიოვისეული „სოფია“ სულ სხვა, რუსული სოფიაა და, აი, რა ყოფილა ის (ქვემოთ ყველა ხაზგასმა დუგინისაა): „ქალი ქალური თვისებებით, (...) ქალი ქალურობის აპოგეაში, მისი სულისშემხუთველი სილამაზით, მოუხელთებელი ორაზროვნებით, მუდმივი თამაშით, მოქნილი განუსაზღვრელობით, მიბნედილი სინაზით, დედობრივი ზრუნვით, ბნელი ტანჯვით, არაპროვოცირებული აღტყინებით, სიღრმით, მამაკაცებისთვის უცნობი კაეშნით. მისი სრულყოფილება არასრულყოფილებაშია. (...) მისი ზღვარი უძირო უფსრულშია; მისი შუქი ბნელია; მისი აზრი მიწისკენ ისწრაფვის და ცდილობს, პირველ შემხვედრ სოროში შეძერეს; მისი სული (дух) პატიობს; ის მუდამ შობს ლამაზსაც და მახინჯსაც, კარგად გაკეთებულსაც და წუნსაც და ყველაფერი ეს მას უყვარს და ყველაფერ ამაზე ის ზრუნავს. რუსული სოფია მკვებავი ძიძაა, ის ნათლიაა (Восприемница), ის დედაა. ის სიზმრების მატერიაა (...) ის საერთოდ არის სხვა, განსხვავებულია ყველაფერ იმისაგან, რისი წარმოდგენაც შესაძლებელია – ფენომენურშიც და იდეალურშიც; მაგრამ ის არის ისეთი სხვა, რაც ყველაფერს ხდის ამაღ (Этим), თავის თავის ჩათვლით“.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ დუგინი მაინც „აზუსტებს“ სოფიის არსს: „რუსული ფილოსოფია – ეს არის ფილოსოფია მიწიერი სოფიისა. ალბათ, ყველაზე უკეთ ეს იგრძნეს რუსმა პოეტებმა – ტიუტჩევმა და ბლოკმა“, – განაგრძობს დუგინი; შემდეგ მას მოჰყავს ტიუტჩევის ერთ-ერთი ლექსი ღამეული ქარის და ქაოსის შესახებ, სადაც ასეთი სტრიქონიცაა – «Про древний хаос, про родимый!» („უძველესი ქაოსის, მშობლიური ქაოსის შესახებ!“); და

ასეთი დასკვნა გამოაქვს: „მშობლიური ქაოსი – აი, რუსული სოფიის ჭეშმარიტი სახელი“.

ფიქრობს, რომ „ქაოსისა და მისი მუშაობის საზრისი ჩვენთვის გაუგებარია, იგი ჩვენს გამჭოლად მოქმედებს და იგი თვითონაა ის ინსტანცია, რომელსაც მიეზარა გაგება. ჩვენ ვერასოდეს შევხვდებით ქაოსს პირისპირ, რადგან ის არასოდესაა მხოლოდ ერთ მხარეს. მას აქვს სახე – ეს ჩვენი, რუსული სახეა, მაგრამ სარკეში ის არ ირეკლება. ეს ჩვენი სულის სახეა. ეს არის – სოფიის სახე“.

ასეთ „მისტიკურ შეხედულებებზე“ ძევს დღევანდელი რუსეთის ევრაზიულობის ბნელით მოცული, აგრესიული, ნეოიმპერიალისტური იდეოლოგია, რომელიც „სამეცნიერო ენაზე“ პირველად გასული საუკუნის 20-იან წლებში „ჩამოაყალიბეს“ რუსმა ემიგრანტმა მოაზროვნებმა, უპირველესად კი, ლინგვისტმა და ფილოსოფოსმა, იმპერიალისტმა, ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ (მის შესახებ იხ. ქვემოთ – ექსკურსი).

\* \* \*

**ექსკურსი:** საერთოდ, რუსული ევრაზიულობა, როგორც ისტორიოსოფიური სწავლება და შემდგომ პოლიტიკური მოძრაობა, საბოლოოდ XX საუკუნის ოციან წლებში გაფორმდა ევროპაში, რაშიც დიდი როლი შეასრულა ცნობილი რუსი რელიგიური ფილოსოფოსის და საზოგადო მოღვაწის, სერგეი ტრუბეცკოის (Сергей Трубецкой, 1862-1905) შვილმა, რუსმა ემიგრანტმა, ლინგვისტმა და ფილოსოფოსმა ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ (Николай Трубецкой, 1890-1938) და ზოგიერთმა სხვა რუსმა ემიგრანტმა მოაზროვნემ. ნ. ტრუბეცკოი მიიჩნევდა, რომ რუსეთი კიევის რუსეთის მემკვიდრე კი არ არის, არამედ – მონღოლთა მონარქიის და ამის აღიარების შემდგომ

ნ. ტრუბეცკოიც, არსებითად, მითისქმნით დაკავდა, კერძოდ იმის შესახებ, რომ რუსებს და მომთაბარეებს ერთმანეთთან აკავშირებს განსაკუთრებული თანდაყოლილი განწყობილება თუ „ყოფითი აღმსარებლობა“, რომელიც დაფუძნებულია პირადი ერთგულების, გმირობის, სასულიერო იერარქიის და სამყაროს უმაღლესი საწყისის იდეებზე და ეს ფასეულობები შეუთავსებელია ევროპულ მერკანტილიზმსა და მესჩანობასთან. იგი სრულიად უარყოფითად აფასებდა პეტრე I-ის და ეკატერინე II-ის რეფორმებს და მიიჩნევდა, რომ მათ განვითარების სწორი, ბუნებრივი გზიდან გადაიყვანეს რუსეთი სნობურ, უცხო და არაპროდუქტიულ ევროპულ გზაზე. ტრუბეცკოის აზრით, ევრაზიულობა სწორედ მედასავლეთეობის განახლებული ანტითეზაა.

საბჭოეთის მიმართ მას ორჭოფული დამოკიდებულება ჰქონდა: ერთი მხრივ, ის პოზიტიურად აფასებდა იმას, რომ საბჭოთა რუსეთი (ბოლშევიკური იმპერია - ნ. ზ.), აზიური ხალხების მონანილეობით, ფაქტობრივად, უპირისპირდებოდა ევროპას, ანუ ევრაზიულობის პროექტის კონტექსტში მოქმედებდა; თუმცა, მეორე მხრივ, ის მკაცრად აკრიტიკებდა ბოლშევიკებს ინტერნაციონალიზმის ხისტი იდეოლოგიის გამო.

ნიკოლოზ ტრუბეცკოის, ალბათ, ყველაზე ცნობილი ნიგნია „ჩინგიზ ყაენის მემკვიდრეობა“ («Наследие Чингисхана»), სადაც, სხვა ნეოიმპერიალისტურ ოპუსებთან ერთად, შეტანილია 1925 წელს შექმნილი ოპუსი „კავკასიის ხალხების შესახებ“ («О Народах Кавказа»):

„ქართველებმა თებერვლის რევოლუციის დროიდან მიღწიეს მათი უფლებების აღიარებას ავტონომიაზე მაინც (...) მაგრამ იმის გამო, რომ ეს გარემოება ქართული სეპარატიზმის წარმოშობის საბაზს იძლევა, ყოველი რუსული მთავრობა ვალდებულია, ებრძოდეს ამას. თუკი რუსეთს სურს ბაქოს

ნავთობის შენარჩუნება (რის გარეშეც სათუთა არა მხოლოდ ამიერკავკასიის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის შეკავებაც), მან არ უნდა დაუშვას დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა. ქართული პრობლემის სირთულე იმითაა გაპირობებული, რომ საქართველოს გარკვეული წილი დამოუკიდებლობის არაღიარება დღეს უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო მისი სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარება დაუშვებელია. აქ უნდა შეირჩეს შუა ხაზი და თან ისეთი, რაც ქართულ გარემოში რუსოფობიური განწყობილებების განვითარებისათვის საბაზად არ გადაიქცევა“.

გთავაზობთ, ნ. ტრუბეცკოის კიდევ რამდენიმე „მოსაზრებას“:

„უნდა გავიცნობიეროთ ისიც, რომ ქართული ნაციონალიზმი მხოლოდ იმდენად იძენს მავნე ფორმებს, რამდენადაც იმსჭვალება ევროპეიზმის ცნობილი ელემენტებებით. ამგვარად, ქართული საკითხის სწორი გადანყვეტა შესაძლებელია, მხოლოდ ჭეშმარიტი ქართული ნაციონალიზმის, ანუ ევრაზიული იდეოლოგიის განსაკუთრებული ქართული ფორმის, წარმოშობის პირობებში“.

„არა მხოლოდ ძველი დაყოფა გუბერნიებად (...) არამედ სამ ძირითად ოლქად დაყოფაც (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) უნდა გაუქმდეს. ამიერკავკასიის ულუსი (გაციხსენოთ წიგნის სათაური, საიდანაც ვცტირებთ - ნ. ზ.) უთუოდ უნდა დაიყოს, ძველი მაზრების მეტ-ნაკლებად შესაბამის, წვრილ ოქლებად“.

„მაგრამ ზემოთქმული ჯერ კიდევ არ გულისხმობს იმას, რომ შეიძლება უფრო დიდი ერების მიერ უფრო მცირეთა შთანთქმის სწრაფვის წახალისება. ასეთი სწრაფვა არსებობს ზოგიერთ სასაზღვრო ოლქში ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის: შეიმჩნევა სწრაფვა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გაქართულებისა, დაღესტნის სამხრეთი ოლქების და ზაქათალის ოლქის გათათრებისა. რახან

ამ შემთხვევებში საუბარია განსაზღვრული ნაციონალური იერის დეფორმაციაზე, ამიტომ საჭიროა ამ მოვლენასთან ბრძოლა – შესაბამისი ხალხების ნაციონალური წინააღმდეგობის მხარდაჭერის გზით“.

„აფხაზეთში ოფიციალურ ენად უნდა მიჩნეულ იქნას აფხაზური, უნდა წახალისდეს აფხაზური ინტელიგენციის განვითარება და მას უნდა ჩავაგონოთ გაქართულებასთან (с грузинизацией) ბრძოლის აუცილებლობა“ [111, 112].

\* \* \*

რაგვარადაც უნდა გავიაზროთ სოლოვიოვის „ყოვლისერთობა“ და „სოფია“, უთუოა, რომ სოლოვიოვის მისტიკური ნაზრევიც მყარად იდგა დერჟავნიკულ-იმპერიალისტურ საფუძველზე; თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს, ისიც ვთქვათ, რომ მისი დერჟავნიკობა აგრესიულ შოვინიზმში არასოდეს გადაზრდილა (ამის მაგალითად ანტისემიტურ იმპერიაში რუსი ებრაელების მიმართ მისი ლოიალური, მეტიც, მფარველობითი დამოკიდებულების აღნიშვნაც იკმარებდა); ესეც სათქმელია: სოლოვიოვი უთუოდ პროგრესულად აზროვნებდა, როდესაც აკრიტიკებდა სლავიანოფილურ-ნაციონალისტურ შეხედულებებს და რუსეთს დასავლური, საერთო ქრისტიანული კულტურის ორგანულ ნაწილად მოი-აზრებდა:

О, Русь! в предвиденье высококом  
Ты мыслью гордой занята;  
Каким же хочешь быть Востоком:  
Востоком Ксеркса иль Христа?

ო, რუსეთო! მაღალი განჭვრეტისას  
შენ ამაყი აზრით ხარ შეპყრობილი;

მაშ, როგორი აღმოსავლეთი გინდა იყო:  
ქსერქსეს თუ ქრისტეს აღმოსავლეთი?

ამ თვალსაზრისით სოლოვიოვი „მედასავლეთე“ იყო და „მედასავლეთეობას“ ასე განსაზღვრავდა: „ეს არის ჩვენი საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის მიმართულება, რომელიც აღიარებს სულიერ სოლიდარობას რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის; ისინი განუყოფელი ნაწილებია ერთი კულტურულ-ისტორიული მთლიანობისა; მთლიანობისა, რამაც, ამასთანავე, მთელი კაცობრიობა შეიძლება მოიცვას. (...) რწმენისა და გონების, ავტორიტეტისა და თავისუფლების დამოკიდებულება, რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთკავშირი და ორივე მათგანის კავშირი პოზიტიურ მეცნიერებასთან, პირადი და კრებსითი სანყისების საზღვრები; ასევე, განსხვავებული კრებსითი ერთიანობების ურთიერთდამოკიდებულება, ხალხის მიმართება კაცობრიობასთან, ეკლესიისა – სახელმწიფოსთან, სახელმწიფოსი – ეკონომიკურ საზოგადოებასთან, – ყველა ეს და სხვა მსგავსი საკითხი ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთისთვის“ [113].

ამ ციტატაშიც კი მოიძებნება „იმპერიალისტური ალუზია“ (იქ, სადაც სოლოვიოვი, თითქოს გაკვრით, ეხება საკაცობრიო კონტექსტს). მოვიხმოთ, მისი ცნობილი ნაშრომის „რუსეთი და მსოფლიო ეკლესია“ ერთი მოკლე ნაწყვეტი: „აღმოსავლეთის ეკლესიის სხელი ერთიანი არ არის. იმ ერებს შორის, რომლებიც მასში შედიან, ორმა უმთავრესმა მისცა ამ ეკლესიას სახელი, რომელსაც ოფიციალურად ბერძნულ-რუსული ეკლესია ეწოდება“ [114].

ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუ როდის, რა პერიოდში ერქვა ასეთი სახელი აღმოსავლურ ქრისტიანობას ოფიციალურად (და ერქვა თუ არა საერთოდ; გამორიცხული

არაფერია – კონსტანტინოპოლის საპატრიარქო დროდადრო რუსეთის ცარების ხაზინიდან მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას იღებდა); მთავარი ისაა, ამ ორი წინადადებიდანაც ჩანს – რუსეთის „უზენაეს მისიაში“ არც ვლადიმირ სოლოვიოვს ეპარებოდა ეჭვი.

სოლოვიოვმა რუსული პოეტური მითოლოგია კიდევ ერთი „ცნებით“ გაამდიდრა. ნავიკითხვით მისი ცნობილი ლექსი „პანმონგოლიზმი“ [115]:

Панмонголизм! Хоть слово дико,  
Но мне ласкает слух оно,  
Как бы предвестием великой  
Судьбины божией полно.

Когда в растленной Византии  
Остыл божественный алтарь  
И отреклся от Мессии  
Иерей и князь, народ и царь, –

Тогда он поднял от Востока  
Народ безвестный и чужой,  
И под орудьем тяжким рока  
Во прах склонился Рим второй.

Судьбою павшей Византии  
Мы научиться не хотим,  
И всё твердят льстецы России:  
Ты – третий Рим, ты – третий Рим.

Пусть так! Орудий божьей кары  
Запас еще не истощен.  
Готовит новые удары  
Рой пробудившихся племен.

От вод малайских до Алтая  
Вожди с восточных островов  
У стен поникшего Китая  
Собрали тьмы своих полков.

Как саранча, неисчислимы  
И ненасытны, как она,  
Нездешней силою хранимы,  
Идут на север племена.

О Русь! забудь былую славу:  
Орел двухглавый сокрушен,  
И желтым детям на забаву  
Даны клочки твоих знамен.

Смирится в трепете и страхе,  
Кто мог завет любви забыть...  
И Третий Рим лежит во прахе,  
А уж четвертому не быть.

პანმონგოლიზმი? თუმცა ეს სიტყვა საზარელია, მაგრამ ის ჩემს სმენას ელამუნება, ის თითქოს სავსეა დიადი ბედისწერის ღვთიური მომასწავებლით. როდესაც ცოდვით დაცემულ ბიზანტიაში დაიფურფლა ღვთიური საკურთხეველი და პირი აქციეს მესიას მღვდელმსახურმა და თავადმა, ხალხმა და მეფემ, – მაშინ მესიამ მოავლინა აღმოსავლეთიდან ხალხი უცნობი და უცხო, და ბედისწერის მახვილქვეშ მინასთან გასწორდა მეორე რომი.

დაცემული ბიზანტიის მაგალითზე ჩვენ სწავლა არ გვინდა, და რუსეთის მოპირფერენი სულ ერთს იმეორებენ: შენ ხარ მესამე რომი, შენ ხარ მესამე რომი. ეგრე იყო! ღვთის რისხვის იარაღის მარაგი ჯერ არ ამოწურულა. ამზადებს ახალ თავდასხმებს გაღვიძებულ ტომთა ფუტკრის ნაყარი. მალაის წყლებიდან ალტაიმდე ბელადებმა აღმოსავლეთის კუნძულებიდან თავჩაქინდრული ჩინეთის კედლებთან თავი მოუყარეს თავის უამრავ პოლკს. კალიასავით უთვალავნი და გაუმადლარნი კალიასავით, არაქაური (= ეშმაკეული - ნ. ზ.) ძალის მფარველობით მოინევენ ჩრდილოეთისკენ ტომები. ო, რუსეთო! დაივიწყე გარდასული დიდება: ორთავიანი არწივი (= რუსეთის იმპერიის გერბი - ნ. ზ.) განადგურებულია და ყვითელ ბავშვებს (= აღმოსავლეთაზიელებს - ნ. ზ.) გასართობად აქვთ მიცემული შენი დროშების ნაკუნები. დაემორჩილება თრთოლვით და შიშით ის, ვინც შესძლო სიყვარულის აღთქმის დავინწყება... და მესამე რომი აოხრებულია, ხოლო მეოთხე აღარ იქნება.

რუსი ემიგრანტი, ლიტერატურისმცოდნე და ფილოსოფოსი კონსტანტინე მოჩულსკი (Константин Мочульский 1892-1948) ამ ლექსის შესახებ წერს: „სოლოვიოვი, რომელიც რუსული იმპერიის სულის (дух) განსახიერებაა, რომელმაც შექმნა დიდებული ხატი რუსული თეოკრატიული იმპერა-

ტორისა, მესიისათვის ამქვეყნიური სამეფოს მშენებლისა, - ხატი, რომელმაც მაქსიმალური სისავსით გამოხატა იმპერიული უნივერსალიზმი, რუსული დერჟავის მსოფლიო განფენილობა, - სწორედ სოლოვიოვმა პირველმა იგრძნო ამ იმპერიის განწირულობა (...) «И третий Рим лежит во прахе» (და მესამე რომი აოხრებულია) (...) მისმა მომდევნო თაობამ განიცადა ამ საშინელი წინასწარმეტყველების აღსრულება...“ [116] (სამწუხაროდ, ფერფლად ქცევა დიდხანს არ გაგრძელდა, ფენიქსი - წითელი იმპერიის სახით - მალევე აღსდგა - ნ. ზ.).

მართლაც, სოლოვიოვს რუსეთის „მესამე რომობა“ უპერსპექტივოდ მიაჩნია, ის - თავისი „სოფიალოგიის“ კონტექსტში - ავითარებს ტიუტჩევის გამოგონილ და მის მიერვე შემდგომ - რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის „სასარგებლოდ“ - უარყოფილ იდეას ეკლესიის ერთიანობის შესახებ, რომლის რელიგიური ცენტრი რომია (რომის პაპია), ხოლო საერო ცენტრი - მოსკოვი (რუსეთის ცარი) [98], რაც სხვა არა არის რა, თუ არა რუსეთის ჰეგემონიის უტოპიური ჰიპერბოლირება.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტიუტჩევით უპირობო აღტაცება ერთგვარი ლაკმუსის ქალღმერთაა, რომელიც უტყუარად ამჟღავნებს ამა თუ იმ პიროვნების აზროვნების „იმპერიალისტურობის ხარისხს“. ტიუტჩევი რუსი სიმბოლისტების კერპი იყო. სოლოვიოვი თავის წერილში „ფ. ი. ტიუტჩევის პოეზია“ [117] ვარშავის აღებისადმი მიძღვნილი ტიუტჩევის ლექსითაც კი აღტაცებულია, თუმცაღა, იმავდროულად, თავისი კომენტარებით მის ერთგვარ „შერბილებას“ ცდილობს; აი, რას წერს ის: „ტიუტჩევის რუსეთისადმი რწმენა უშუალო, ორგანულ გრძნობაზე არ იყო დაფუძნებული, არამედ ეს იყო შეგნებულად გამოიმუშავებული მრწამსი. ამ რწმენის პირველი, (...) მაღალპოეტური

გამოსახულება მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მოგვცა შესანიშნავ ლექსში „ვარშავის ალების გამო“. მოძმე ხალხთან ბრძოლაში რუსეთი მხეცური ინსტინქტებით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ მხოლოდ აუცილებლობით, «державы целость соблюсти» („დერჟავის მთლიანობის უზრუნველსაყოფად“), იმისათვის, რომ:

Славян родные поколенья  
 Под знамя русское собрать  
 И весть на подвиг просвещенья  
 Единомысленную рать.  
 И это высшее сознание  
 Вело наш доблестный народ  
 Путей небесных оправданье  
 Он смело на себя берет.  
 Он чует над своей главою  
 Звезду в незримой высоте  
 И неуклонно за звездою  
 Спешит к таинственной мете!

სლავების მშობლიური თაობები  
 თავმოყრილ იყვნენ რუსული დროშის ქვეშ,  
 და რომ განათლების გამირობისაკენ წარვუძღვეთ  
 ერთ აზრს ნაზიარევ ლაშქარს.  
 და ეს უმაღლესი შეგნება  
 წინ მიუძღოდა ჩვენს გამირ ხალხს,  
 რომელიც ზეციური გზების გამართლებას  
 თავის თავზე იღებს მამაცურად.  
 ის გრძნობს ვარსკვლავს  
 სადღაც ზემოთ, უხილავ სიმაღლეში  
 და ჩქარობს, განუხრელად მიჰყვეს ვარსკვლავს  
 საიდუმლოებით მოცული ნიშანსვეტისკენ!

მარნმენა იმისა, რომ რუსეთს მაღალი დანიშნულება გააჩნია, თავად პოეტსაც ნაციონალური მეტოქეობითა და გამარჯვების უბეში ზარ-ზეიმით გამონვეულ წვრილმან და ბოროტ გრძნობებზე მაღლა აყენებს, – განაგრძობს სოლოვიოვი. ბოლო სტრიქონებში პოლონეთისადმი მიმართვა პატრიოტი მგოსნებისათვის უჩვეულო ჰუმანურობით სუნთქავს:

Ты ж, братскою стрелой пронзенный,  
 Судеб свершая приговор,  
 Ты пал, орел одноплеменный,  
 На очистительный костер.  
 Верь слову русского народа:  
 Твой пепл мы свято сбережем,  
 И наша общая свобода  
 Как феникс возродится в нем“.

შენ კი, ძმური ისრით განგმირულო,  
 ასრულებდი რა ბედისწერის განაჩენს,  
 შენ დაეცი, არწივი იმავე თემისა,  
 განსანმენდელ კოცონზე.  
 დაუჯერე რუსი ხალხის სიტყვას:  
 ჩვენ წმიდად შევინახავთ შენს ფერფლს  
 და ჩვენი საერთო თავისუფლება  
 ფენიქსივით აღდგება მასში.

ვლადიმირ სოლოვიოვის მისტიკურად გართულებული თუ გაბუნდოვნებული იდეები, ასევე, მისი „მედასავლეთეობა“ მაინც მთლიანად თავსდება ტიუტჩევის მეტამითის ჩარჩოში, რასაც ადასტურებს ნიკოლოზ ბერდიაევიც: „ვლ. სოლოვიოვი ცნობს სლავიანებისა და რუსეთის დიად მისიას, ის რუსული მესიანიზმის ფილოსოფოსია. ყველაფერი, რაც კი შემოქმედებითი და მნიშვნელოვანი იყო XIX საუკუნის რუსული აზროვნების ისტორიაში, რუსეთის მისიის აღი-

არებას უკავშირდებოდა. მაგრამ რუსეთის მსოფლიო მისიის რწმენა, იმავდროულად, რუსული სულის (дух) სიღრმეებში დაუნჯებული, სიმართლის რწმენაა, რომლის მსოფლიოსთვის გასაცხადებლად არის რუსეთი მონოდებული. და ეს სიმართლე შეიძლება იყოს მხოლოდ სიმართლე რელიგიური, სიმართლე ქრისტიანული, მართლმადიდებლური აღმოსავლეთის მისტიკური გამოცდილების სიმართლე" [118].

# 6

## მითოსქონის მოღეინიზება



ტურიზმი (თუკი სიმბოლიზმში განვასხვავებთ უფროს თაობას – ბალმონტისას და ბრიუსოვისას, – და უმცროსს – ბლოკისას და ბელისას, – მაშინ ოთხი ასეთი მიმართულება გამოვა)“ [96].

ამ თავში განხილული პოეტების „დაჯგუფების სტრუქტურა“, ზოგიერთი გამონაკლისით, ემთხვევა ზემოთ მოყვანილ სქემას: უფროსების სიმბოლიზმი – უმცროსების სიმბოლიზმი – აკემიზმი – ფუტურიზმი და ეს ბუნებრივიცაა: ერთი მიმართულების პოეტებს არა მხოლოდ ესთეტიკურ-პოეტიკურად, არამედ მსოფლმხედველობრივადაც ბევრი რამ აკავშირებდა.

მოდერნისტები თავის წინამორბედებზე მეტად „ვახსნილი“ იყვნენ გარე სამყაროს მიმართ.

მოდერნისტებს უკვე გაცილებით მეტი და გაცილებით მეტად ობიექტური ინფორმაცია ჰქონდათ კავკასიის შესახებაც. ბევრმა მათგანმა მოინახულა კავკასია, ზოგიერთს უშუალო, ხანგრძლივი კონტაქტებიც ჰქონდა ქართველ და კავკასიის სხვა ერების ლიტერატორებთან; მაიაკოვსკი კი, საერთოდ, მოგეხსენებათ, საქართველოში დაიბადა. ამდენად, ისინი გაცილებით უფრო ფრთხილად ეკიდებოდნენ „ეროვნულ საკითხებს“ (ალბათ, სწორედ მაიაკოვსკის გამოკლებით – იხ. ქვემოთ მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი მონაკვეთი).

თუმცა, მეორე მხრივ, რუსი მოდერნისტები აქტიურად და „წარმატებულად“ ავითარებდნენ მითოლოგიურ-დერჟავულ დისკურსსაც და ახალ „მითოლოგიებსაც“ ამკვიდრებდნენ...

\* \* \*

პირველი რუსული მოდერნისტული მიმდინარეობა სიმბოლიზმია, რომელიც რუსეთში ძირითადად საფრანგეთიდან შემოვიდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსული სიმბოლიზმი მოექცა ტიუტჩევისეული მეტამითის, ტიუტჩევის „ჯადოს“ (და ნანილობრივ ამ მეტამითის „განშტოების“ – ვლადიმირ სოლოვიოვის სოფიოლოგიის) ზემოქმედების არეში და იმთავითვე „განსაკუთრებულ გზას“ დაადგა: სიმბოლისტებმა აქტიურად განაგრძეს პოეტური მითისქმნა და მისი „თეორიული საწყისების“ განვითარება-გადაამუშავებაც – ღვთისმეტყველურ-ფილოსოფიურ, ლიტერატურულ-ისტორიოსოფიურ თუ პუბლიცისტურ „ენებზე“.

ვიაჩესლავ ივანოვი  
ВЯЧЕСЛАВ ИВАНОВ

1866-1949



**3** იაჩესლავ ივანოვი (ემიგრანტი: 1921-1924 წწ. – ბაქო, შემდგომ – იტალია) – ფილოსოფოსი, სიმბოლისტი პოეტი და ლიტერატურისმცოდნე, ზოგიერთი მკვლევრის შეფასებით – რუსული პოეზიის „ვერცხლის საუკუნის“ ინსპირატორი [121] – ერთ-ერთი ნიშნული ფიგურაა რუსული მოდერნიზმის, კერძოდ კი სიმბოლიზმის ისტორიაში. ივანოვის არქაიზმებით და ბუნდოვანი სიმბოლოებით სავსე პოეზია – იგივე „ქურუმთა მეტყველება, რომელიც უახლოვდებოდა ლექსიკური უტოპიის სფეროს“ [122] – მისი დროის ემიგრამისტების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე გახლდათ (ასეთი პოეტური ენის საკითხი ივანოვისთვის კონცეპტუალური იყო). თუმცა, სწორედ ამ პოეზიამ და კიდევ უფრო მეტად ივანოვის მისტიკურმა ესთეტიკურ-ფილოსოფიურმა შეხედულებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა, განსაკუთრებით, ეგრეთ წოდებულ, ახალ თუ „უმცროს“ სიმბოლისტებზე (ბლოკზე, ბელიზე და სხვ.; ალბათ, ამ ესთეტიკურ-იდეოლოგიური სიახლოვის გამოც აკუთვნებს მიხეილ გასპაროვი ვიაჩესლავ ივანოვს „უმცროსი სიმბოლისტების“ მიმართულებას [123]).

თვით ამ შეხედულებებს კი ვლადიმირ სოლოვიოვის (იხ. ზემოთ), ნიცშესა და სლავიანოფილების ნააზრევის კვალი ამჩნევია. მაგალითად, ივანოვი ამ უკანასკნელს დაესესხა „სობორნოსტის“ ყბადაღებულ იდეას [124], რასაც ის ნიცშეს „აგრესიულ ინდივიდუალიზმის“ საპირწონედ მიიჩნევდა [125]. როგორც მ. გასპაროვი წერს, ვიაჩ. ივანოვი სიმბოლისტურ თემებს კოსმიურად აფართოებს და აწვდის მათ მკითხველს ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობისა და საბოლოოდ კაცობრიობის „სობორული“ ერთიანობის პერსპექტივით [96].

\* \* \*

**ექსკურსი:** ტერმინი «Синионость» წარმოშობილია სიტყვიდან «Синио» – ტაძარი. ამ ტერმინით აღნიშნული არაერთმნიშვნელოვანი და რუსული თუ რუსოფილური, ერთგვარი მისტიკური ბურანით მოცული ცნების განმარტებას დაინტრესებული მკითხველი ქვემოთ ჩამოთვლილ სლავიანოფილთა ბევრ ნაშრომში მიაკვლევს; უფრო მარტივად და ნათლად კი – ინგლისურენოვან ვიკიპედიაში [124]. სლავიანოფილები (ა. ხომიაკოვი, კ. და ი. აკსაკოვები, „ცოცხალი ველიკოროსული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შემდგენელი ვ. დალი, რომატიკოსი პოეტი ნ. იაზიკოვი და სხვ.) უარყოფდნენ რუსეთის ნათესაობას „ლუთერანულ-ათეისტურ“ ევროპასთან, „ლპობად დასავლეთთან“ და რუსეთის ისტორიული განვითარების გზის გამორჩეულობის იდეას ქადაგებდნენ, რაც უმთავრესად ორ „სპილოს“ ეყრდნობოდა: „მართლმადიდებელი კულტურის“ განსაკუთრებულობას (სწავლებას „წმიდა რუსეთის“, იმავე „მესამე რომის“ შესახებ) და რუსული თემობრივი სასოფლო წყობის „უნიკალურობის“ უტრირებულ გაგებას. სლავიანოფილური შეხედულებების მაქსიმალურად მისტიფიცირებულ აპოთეოზს წარმოადგენს ტიუტჩევის შემოქმედება.

სლავიანოფილები უპირისპირდებოდნენ „მედასავლეთებს“ (პ. ჩაადაევი, ა. გერცენი, შემდგომ იგივე ვ. სოლოვიოვი და სხვ.). ცნობილია, რომ ამათგან ყველაზე რადიკალური, ნიკოლოზ I-ის მიერ გიჟად შერაცხული, პეტრე ჩაადაევი იყო (Пётр Чаадаев, 1794-1856): „ჩვენ არ ვეკუთვნივთ ადამიანური მოდგმის არც ერთ ოჯახს; ჩვენ არ ვეკუთვნივთ არც დასავლეთს, არც აღმოსავლეთს; და ჩვენ არა გვაქვს არც ერთის, არც მეორის ტრადიცია. ჩვენ, თითქოსდა დროის მიღმა ვდგავართ, არ შეგვხებია ადამიანური მოდგმის მსოფლიო

აღზრდა“ – წერდა ის; თუმცა, დაუნდობელი კრიტიკის მიუხედავად, საბოლოოდ, ჩაადაევიც რუსეთის ერთგვარ მისტიფიცირებას ახდენდა (იხ. გრიგოლ რობაქიძე. ჩაადაევი).

\* \* \*

და შეიძლება ითქვას, რომ ივანოვის პოეზია მისივე მითოლოგიურ-ფილოსოფიური ნააზრევის ილუსტრაციაა; ამდენად, ჩვენ ძირითადად მისი შემოქმედების სწორედ ესთეტიკურ-ფილოსოფიურ მხარეს შევხებით [126].

სოლოვიოვის „სოფიის“ მსგავსად, ვიაჩესლავ ივანოვის ღერძული იდეა „მარადიული ქალურობაა“; ის განსხვავდება „სოფიისაგან“, თუმცა იმავე ასოციაციებს იწვევს, განსაკუთრებით, გოეთესთან: ეს, ასევე, საკმაოდ რთული „თეორია“, რომელსაც მითოლოგიური სპეკულაციები (ამ სიტყვის ფილოსოფიური გაგებით) უდევს საფუძვლად; გამარტივებულად თუ გადმოვცემთ: მწემოზინას (მეხსიერების ქალღმერთის) გენეალოგიის ანალიზის გზას ივანოვი მიჰყავს „მარადიული მეხსიერების“, „მეხსიერების მსოფლიო სულის“, თუ „პირველყოფილი არაცნობიერი მეხსიერების“ ქალურობის აღიარებამდე, რაც შემდგომი რთული სპეკულაციების საფუძველი ხდება. ამ გზით იგი მიდის თაობათა კავშირის თუ უწყვეტი მეხსიერების (პირველყოფილი – ქალური – სულიერების ხსოვნის) პროდუქტიულობის მტკიცებამდე; და პირიქით, მისი აზრით, ის, რაც დაკავშირებულია ბუნების დამორჩილებასთან, სხეულებრივთან, მყისიერ წარმატებებთან – საბოლოოდ ანთროპოცენტრულ (= ძალადობრივ, მამაკაცურ) მსოფლალქმასთან – არაპროდუქტიულია.

ეს სწავლება ამით არ მთავრდება და მომდევნო სპეკულაციების მეშვეობით ქრისტესა და ქრისტიანობას უკავშირდება [127]. ვიაჩესლავ ივანოვი ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო, თუმცა ორთოდოქსი მართლმადიდებელი არ

გახლდათ: მან იტალიაში კათოლიციზმი მიიღო და ვატიკანის უნივერსიტეტის პროფესორიც გახდა.

დომიტრი მაქსიმოვი თავის წიგნში „საუკუნის დასაწყისის რუსი პოეტები“ აღნიშნავს [128] – ივანოვი ლიტერატურის მითოლოგიზირებას, მითისქმნას, გადასვლას სიმბოლოდან მითისაკენ თანამედროვე ხელოვნების ძირითად ამოცანად, დეკადენტური ინდივიდუალიზმის გადალახვის მაგისტრალურ გზად და „ხალხურ სულთან“ დაახლოების საშუალებად მიიჩნევდა. ვიაჩესლავ ივანოვი იმასაც წერდა, რომ მითისადმი ინტერესის გამოცოცლება ჩვენი უახლესი პოეზიის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანიაო (ვფიქრობთ, ეს თანაბრად ეხება როგორც რუს სიმბოლისტებს, ასევე ფუტურისტებს და სხვა მიმდინარეობების წარმომადგენლებსაც – აი, რა წერია, მაგალითად, 1913 წლის ერთ-ერთ ფუტურისტულ მანიფესტში, რომელსაც ხელს აწერენ ბურლიუკები, მაიაკოვსკი, ხლენიკოვი და სხვ. წერია: „ჩვენ სიტყვა მიგვაჩნია მითის შემოქმედად, სიტყვა სიკვდილისას წარმოშობს მითს და – პირიქით“ [129]).

და ეს ყოველივე სრულიადაც არ იქნებოდა ცუდი, რომ მითოლოგიზირება ესთეტიკის ან პოეტიკის ჩარჩოებში ჩატეულიყო და არ გადაქცეულიყო იდეოლოგიური – მონარქისტულ-დერჟავნიკული თუ ბოლშევიკურ-დერჟავნიკული – დისკურსის (დისკურსების) შემადგენელ ელემენტად.

ასეთი „გადაქცევის“ მაგალითად თვით ვიაჩესლავ ივანოვისეული მითისქმნაც შეიძლება დავასახელოთ. არც ის არის შემთხვევითი, რომ ივანოვს განსაკუთრებით უყვარდა ულტრასლავიანოფილი ტიუტჩევის შემოქმედება. ივანოვი, მაგალითად, „მუშაობდა“ ახალი რუსული ნაციონალური იდეის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ – ვლადიმირ სოლოვიოვის აპოკალიფსურ-ესქატოლოგიური შეხედულებების, თითქოს-

და, კრიტიკის ფონზე – ივანოვი მხოლოდ ძველი იდეის უმნიშვნელო ინტერპრეტირებით დაკმაყოფილდა: მასთანაც ნაციონალური იდეა აუცილებლად გლობალური (= კვლავ და კვლავ, მესიანისტური) უნდა იყოს.

ასეთი ინტერპრეტაციით გამოდის, რომ შედარებით მცირერიცხოვან ერებს, რომლებსაც გლობალური ისტორიის მდინარეებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა არ გააჩნიათ, არც ეროვნული იდეა შეიძლება ჰქონდეთ.

აი, ვიაჩესლავ ივანოვის რუსული ნაციონალური იდეის მოკლე შინაარსი – ციტატა წერილიდან „რუსული იდეის შესახებ“ [130]: „თუკი ჩვენს ხალხს (= რუს ხალხს, რუსებს – ნ. ზ.) „ღმერთის მტარებელს“ («носители») უწოდებდნენ, მაშინ ღმერთი, უპირველესად, ქრისტეს სახებით იყო მისთვის გაცხადებული; და ჩვენი ხალხი სწორედ ქრისტეს მტარებელია (Христоносцы), ქრისტეფორეა (Христофор). ლეგენდა ქრისტეფორეს წარმოგვიდგენს დედამიწის ნახევრად ველურ, უზარმაზარ, მოუქნელ, ჩამორჩენილ და მძიმე შვილად. მომავალი წმინდანი, სულის ხსნისათვის, ფართო მდინარის ნაპირზე დაყუდებულ განდევნილს შეეკედლება; ამ მდინარეზე ქრისტეფორეს თავისი გოლიათური მხრებით განდევნილთან მომლოცველები გადაჰყავს. არავითარი ტვირთი მისთვის მძიმე არ არის. ერთ ავდრიან ღამეს მას ძილში ჩაესმის და აღვიძებს ბავშვის ტირილი გაღმა ნაპირიდან; ის ძალისხმევად გაეშურება თავისი მორჩილების აღსასრულებლად და მხრებზე იტვირთავს ღვთაებრივ ჩვილს, რომელიც მან ვერ იცნო. მაგრამ მსუბუქი ტვირთი იმდენად მძიმე აღმოჩნდა, თითქოსდა ქრისტეფორეს მთელი ქვეყნიერების ტვირთის ზიდვა ხვდა წილად. უდიდესი გაჭირვებით, თითქმის სასოწარკვეთილი გადის ის ფონს და ნაპირზე გადაჰყავს ჩვილი – იესო... ასეთივე საფრთხე ემუქრება რუსეთს – დაუძლურებისა და ჩაძირვისა“ (იგულისხმება, რომ „ქრისტეს

მტარებლებს“ ეს საფრთხე ქრისტეს „მივიწყებისთვის“ შეიძლება დაემუქროს – ნ. ზ.).

ლექსში „რუსული გონება“, ივანოვი ერთგვარი იუმორით, მაგრამ ყოველგვარი ირონიის გარეშე, აშკარა, „თბილი“ სიმპათიითაც კი წერს „რუსული გონების“ (= სულის, ხასიათის) განსაკუთრებულობის, წინააღმდეგობრიობის, იდუმალების შესახებ:

Своеначный, жадный ум, –  
 Как пламень, русский ум опасен,  
 Так он неужерим, так ясен,  
 Так весел он – и так угрюм.  
 (...)

Как чрез туманы взор орлиный  
 Обслеживает прах долины,  
 Он здраво мыслит о земле,  
 В мистической купаясь мгле.

თავის თავის ბატონი, გაუმაძღარი გონება, –  
 რუსული გონება ალივით სახიფათოა,  
 ისე დაუოკებელი, ისე მკაფიოა,  
 ისე მხიარული – და ისე პირქუშია.  
 (...)

როგორც არწივის მზერა, ნისლებშიც რომ  
 სწვდება (აკვირდება) ხეობის ნეშტს (მიწას),  
 ის (= რუსული გონება) საღად მსჯელობს მიწის შესახებ,  
 და თან მისტიკურ წყვილიაღმი დაცურავს.

(Своеначный – თავის თავის ბატონი თუ თავის თავის დამწყები; როგორც ჩანს, ივანოვის გამოგონილი სიტყვაა, დაახლ. = თავისი თავით განსაზღვრული, თვითკმარი და ორიგინალური – ის, რაც არაფერს ჰგავს).

ვიანესლავ ივანოვისთვის პოეზია „ცარული მეცნიერება“, რომელიც დერჟავული სულისკვეთების გაძლიერებას ემსახურება, რასაც – როგორც სიქველეთა მოძღვართ – მორჩილებს პოეტი; იმავედროულად პოეტის ხმა „თავნებაა“, რასაც ის ჩვეულებისამებრ უქვემდებარებს თავისი „დამრიგებლის“ – მუზის – მიერ დაწესებულ საზღვრებს (ლექსი „პოეტი“):

В науке царственной, крепящей дух державный,  
 В повиновении, сей доблести владык,  
 Ты Музами, поэт, наставлен и привык  
 Их мере подчинять свой голос своенравный.

1856-1902

# კონსტანტინე ბალმონტი КОНСТАНТИН БАЛЬМОНТ

1856-1909



კონსტანტინე ბალმონტი რუსული სიმბოლიზმის, რუსული პოეზიის „ვერცხლის საუკუნის“ [119] ბრწყინვალე წარმომადგენელია. ცნობილი პოეტის და რუსული სიმბოლიზმის იდეოლოგის, აკმეისტების წინამორბედის, ინოკენტი ანენსკის (Инокентий Анненский, 1856-1909) აზრით, ბალმონტმა რუსულ პოეზიაში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო არაცნობიერის ბნელი სამყაროს შესწავლა.

მეორე მხრივ, როგორც აღნიშნავენ სხვა მკვლევრები, ბალმონტი, „ადრეული“ ბრიუსოვის მსგავსად, თავისი „იდეური გენეალოგიით“ ობრი ბერდსლეისა და ოსკარ უაილდის დროინდელ ლონდონურ ესთეტიზმთან თუ დენდიზმთანაც არის დაკავშირებული; მისი ლექსი დახვეწილი და არტისტულია, ზოგჯერ – ექსცენტრული და ეგოცენტრულიც კი (ამ თვალსაზრისით ბალმონტი მომავალი ეგოფუტურისტების წინამორბედადაც შეიძლება დასახელდეს [131]):

Мою мечту страдания пробудили,  
Но я любим за то.  
Кто равен мне в моей певучей силе?  
Никто, никто.

ან:

Я – изысканность русской медлительной речи,  
Предо мною другие поэты – предтечи,  
Я впервые открыл в этой речи уклоны,  
Перепевные, гневные, нежные звоны.  
Я – внезапный излом,  
Я – играющий гром,

Я – прозрачный ручей,  
Я – для всех и ничей.

საინტერესო ისაა, რომ ამ ბოლო ლექსში ბალმონტი „სიმართლეს ამბობს“: მისი პოეზია სავსეა ბგერნერული (მათ შორის, ალიტერაციულ-ასონანსური) და პროსოდიული აღმოჩენებით. ამასთან, ბალმონტის პოეზია უფროსი სიმბოლისტების ზოგად-პოეტიკურ ჩარჩოებში მაინც ეტევა: სიმბოლისტურ-მისტიკური სახე –

Моя душа оазис голубой,  
Средь бледных душ других людей, бессильных.  
Роскошный сон ниспослан мне судьбой,  
Среди пустынь, томительных и пыльных.

იმპრესიონიზმი –

Я не знаю мудрости годной для других,  
Только мимолетности я влагаю в стих.

ყველივე ამან სახელი მოუხვეჭა ბალმონტს: რუსი ლიტერატურის ისტორიკოსები იმასაც აღნიშნავენ, რომ ბალმონტი ყველაზე პოპულარული პოეტი იყო 1895-1905 წლების რუსეთში [132]; მას უამრავი მიმდევარი, მიმბაძველი და თაყვანისმცემელი ჰყავდა.


პოეტი ბევრს მოგზაურობდა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ დედამიწის სხვა მხარეებშიც. მან თავისი ლექსების არა ერთი წიგნი გამოსცა და, იმავდროულად, მეტად ნაყოფიერი მთარგმნელიც იყო: ჰაინე, იბსენი, შელლი, კალდერონი, ჰოფმანი, პო, უაილდი, ბოდლერი, ჰაუპტმანი – აი, იმ მწერალთა არასრული სია, რომელთა ნაწარმოებებიც თარგმნა ბალმონტმა.

მან საქართველოშიც რამდენჯერმე იმოგზაურა, სადაც, ასევე, დიდად პოპულარული იყო: მის ნაწარმოებებს თარ-

გმნიდნენ იროდიონ ედოშვილი, ბაბილინა (ბარბარე ხოსიტაშვილი), სანდრო შანშიაშვილი და სხვა [133].

ბალმონტს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის „რუსეთის მიერ“ რუსთაველის „აღმოჩენაში“ და საერთოდ, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში [134]. პოეტმა ქართულიც ისწავლა, რის შემდეგაც – ედგარ პოს „ყორანისეული“ მეტრიტა და რიტმით (გასაგებია, რომ რეფრენის ელემენტის გარეშე) – „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმანიც შექმნა, რომელიც 1917 წელს მოსკოვში, ხოლო 1933 წელს პარიზში ცნობილი მოღვაწის, დავით ხელაძის მიერ გამოცა:

Он, что создал свод небесный,  
он, что властью чудесной  
Людям дух дал бестелесный, –  
этот мир нам дал в удел.  
Мы владеем беспредельным,  
многообразным, в разном цельным.  
Каждый царь наш, в лике дельном,  
лик его среди царских дел.



„ვეფხისტყაოსნის“ პარიზული გამოცემა

ბალმონტისეულ თარგმანში, რამაც „ცისფერყანწელები-სა“ და ნიკო მარის მოწონება დაიმსახურა, პოემას «Носящий барсову шапку» [135] ჰქვია (ანუ „ჯიქისტყაოსანი“; ისე, საქართველოს მთაში ჯიქს (ანუ ლეოპარდს), მართლაც, „ვეფხს“ ეძახიან [136], ეს თარგმანი მოგვიანებით სასტიკად გააკრიტიკა ვიქტორ გოლცევემა – მას უწოდა „შოთა რუსთაველის პოემის გადამღერება, საიდანაც განდევნილია მთელი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი“ [44]: აშკარაა, რომ საბჭოთა კრიტიკოსს სიმბოლისტები და განსაკუთრებით „ესთეტი“ ბალმონტი არ მოსწონდა. თუმცა, ობიექტურადაც ზაბოლოცკის თარგმანი სჯობია – ზაბოლოცკი, გარდა პოეტიკური ნიუანსების უკეთ გადმოცემისა, უკეთ სწვდება „ვეფხისტყაოსნის“ სიღრმისეულ შინაარსსაც [137, 138].

საქართველოსთან მიმართებით ვერც ბალმონტი ასცდა რომანტიკულ-ეგზოტიკურ კლიშეებს, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მოდერნისტები უკეთ იცნობდნენ და მეტ პატივსაც სცემდნენ კავკასიის ქვეყნების ისტორიასა და კულტურას, რაც ამ სამიჯნურო სონეტშიც იგრძნობა [139]:

Скажите вы, которые горели,  
Сгорали и сгорели, полюбив, –  
Вы, видевшие солнце с колыбели,  
Вы, в чьих сердцах горячий пламень жив, –  
Вы, чей язык и странен и красив,  
Вы, знающие строки Руставели, –  
Скажите, как мне быть? Я весь – порыв,  
Я весь – обрыв, и я – нежней свирели.  
Мне тоже в сердце вдруг вошло копье,  
И знаю я: любовь постигнуть трудно.  
Вот, вдруг пришла. Пусть все возьмет мое.  
Пусть сделаю, что будет безрассудно.  
Но пусть безумье будет обоюдно.  
Хочу. Горю. Молюсь. Люблю ее.

\* \* \*

ბალმონტი, ერთი მხრივ, შედარებით ლიბერულ-დემოკრატიულად განწყობილი შემოქმედი იყო: ის ვერც ცარისტულ რეჟიმს ეგუებოდა (რის გამოც რამდენჯერმე გასახლებულიც იყო ცენტრალური ქალაქებიდან) და ვერც ბოლშევიკურ დიქტატურას შეეგუა (იგი ერთხელ დასახვრეტთა სიაშიც კი მოხვდა). 1920 წელს მან საბოლოოდ დატოვა რუსეთი. საფრანგეთში, ემიგრაციაში 30-იანი წლების დასაწყისამდე ის აქტიურად მუშაობდა – მანამდე, ვიდრე პოეტი სულიერად დაავადდა (მძიმედ დაავადებული ბალმონტი სილატაკეში გარდაიცვალა 1942 წელს).

მეორე მხრივ, სიმბოლისტების და კერძოდ, ბალმონტის ტიუტჩევიტ „მოჯადოება“ (Есть Тютчев, чаровник железных строк (არის ტიუტჩევი, რკინის სტრიქონების მომჯადოებელი)), როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ტიუტჩევის პოეტიკით აღტაცებას ვერ მიენერება: მოდერნისტებმა და მათ შორის ერთ-ერთმა პირველმა ბალმონტმა, შემოიტანეს რა რუსულ პოეზიაში ველური, სკვითურ-მონღოლური გენებით თავმოწონების დისკურსი, განავითარეს ტიუტჩევის მიერ „მინიშნებული“ რუსული სულის ევრაზიულობის მითი. აი, რას ვკითხულობთ ბალმონტის ლექსში „სკვითები“ («Скифы»):

Мы блаженные сонмы свободно кочующих Скифов,  
Только воля одна нам превыше всего дорога.  
Бросив замок Ольвийский с его изваяньями грифов,  
От врага укрываясь, мы всюду настигнем врага.  
Нет ни капищ у нас, ни богов, только зыбкие тучи  
От востока на запад молитвенным светят лучом.  
Только богу войны темный хворост слагаем мы в кучи,  
И вершину тех куч украшаем железным мечом.  
Саранчой мы летим, саранчой на чужое нагрянем,  
И бесстрашно насытим мы алчные души свои.

И всегда на врага тетиву без ошибки натянем,  
 Напитавши стрелу смертоносною желчью змеи.  
 Налетим, прошумим, и врага повлечем на аркане,  
 Без оглядки стремимся к другой непочатой стране.  
 Наше счастье – война, наша верная сила – в колчане,  
 Наша гордость – в не знающем отдыха быстром коне.

ჩვენ ვართ თავისუფლად მომთაბარე სკვითების  
 ნეტარი გუნდები,  
 ჩვენთვის ნებაა (ნება-სურვილია) სხვა ყველაფერზე  
 ძვირფასი რამ.

მივატოვეთ ოლვიური სასახლე,  
 სვავების ქანდაკებებით მორთული  
 და, მტრისაგან შეფარებულნი,  
 ჩვენ ყველგან მივწვდებით მტერს.  
 არც ბომონები გვყავს, არც ღმერთები,  
 მხოლოდ მერხევი ღრუბლები  
 აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ანათებს  
 ღვთიური სხივით.  
 მხოლოდ ომის ღმერთს ვუნნავთ გროვებად  
 კოცონის ფიჩხებს  
 და იმ გროვების მწვერვალს რკინის მახვილით ვამშვენებთ.  
 კალიასავით მოვფრინავთ, კალიასავით თავს  
 დავატყდებით სხვისას,  
 და უშიშრად გავაძლობთ ხარბ სულელებ ჩვენსას.  
 და მტერს ყოველთვის შეუცდომლად დავუმიზნებთ ისარს,  
 გველის სასიკვდილო შხამში ამოვლებულს.  
 დავაცხრებით, ვიგუგუნებთ, ქამანდს გამოვდებთ და  
 მტერს გამოვრეკავთ,  
 უკანმოუხედავად მივისწრაფით სხვა მდიდარი ქვეყნისაკენ.  
 ჩვენი ბედნიერება – ომია, ჩვენი ერთგული ძალა –  
 კაპარჭია (საისრეა),  
 ჩვენი სიამაყე – ცხენია, რომელმაც არ იცის, რაა შესვენება.

(მივატოვეთ ოლვიური სასახლე – ოლვია იყო ძველბერძული  
 კოლონია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, რომელთანაც, ისტო-  
 რიული გადმოცემების მიხედვით, ურთიერთობდნენ სკვითები: აქ,  
 როგორც ჩანს, ბალმონტი მინიშნებს იმას, რომ სკვითების „ვე-  
 ლურობა“ მისთვის (= რუსებისთვის) ძველი ბერძნების „ცივილიზე-  
 ბულობაზე“ ძვირფასია).

ამ ლექსში სკვითების რუსებთან, რუსეთთან გაიგივება  
 საკმაოდ გამჭვირვალეა და დეტალური განხილვის გარეშეც  
 იოლად იკითხება; პორტრეტი ზუსტადაა დახატული: მხო-  
 ლოდ ნებაა ძვირფასი, აღმოსავლეთ-დასავლეთის უყრობა,  
 ომის ღმერთის თავყვანისცემა, ახალი ქვეყნების დაპრო-  
 ბის წყურვილი და ა. შ. და თან პოეტის დამოკიდებულება  
 ყოველივე ამისადმი აშკარად პოზიტიურია, უფრო მეტიც  
 – პოეტი აღფრთოვანებულია ამით; და ეს არ არის რალაც  
 შემთხვევითი, გამონაკლისი, ბალმონტს მანამდეც აქვს  
 დაწერილი – უფრო ლირიკული ყაიდის – ლექსი სათაურით  
 „სკვითი“ («Скиф»), რომელიც ასე მთავრდება:

А мета моя – высокая  
 Византийская княжна,  
 Черноокая, далекая,  
 Будет мне мечом дана.  
 Полетим как два мы сокола,  
 Звон бубенчиков трезвонь.  
 Кто вдали там? Кто здесь около?  
 Прочь с пути! Огонь не тронь.

ხოლო სამიზნე ჩემი – მაღალი  
 ბიზანტიელი თავადის ქალია,  
 შავთვალეა, შორეული,  
 ვისაც მახვილით მოვიპოვებ.

გავფრინდებით ჩვენ ორი შევარდენივით,  
უფრო ხმამაღლა იჟღარუნეთ ეუფნებო.  
ვინ მოჩანს იქ, შორს? ვინ არის აქ, ახლოს?  
გზიდან გამეცალეთ! ხელი არ ახლოთ ცეცხლს!

ლირიკულ-რომანტიკულ ფონზე, შესაბამის „მილიტარისტულ“ მინიშნებას თუ მიზანმიმართულებას ეს ლექსიც შეიცავს.

\* \* \*

**ექსკურსი:** აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსების „სკვითობის“ მითი, უპირატესად, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ნელ-ნელა „ამოტივტივდა“ – სამხრეთ რუსეთში არქეოლოგიური კვლევის შედეგებისა და ზოგიერთი ცნობილი რუსი ისტორიკოსის მიერ ამ ფაქტების საეჭვო ინტერპრეტაციების „დაგროვების“ კვალდაკვალ. XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ამ „თეორიის“ ერთ-ერთი მთავარი აპოლოგეტი თბილისში დაბადებული ლიტერატურისმცოდნე და სოციოლოგი ივანოვ-რაზუმნიკი იყო (Р. Иванов-Разумник (1878-1946) ნამდვილი სახელი და გვარია რაზუმნიკ ივანოვი [140]). ნატალია სოლნცევა თავის წერილში „სკვითები და სკვითობა რუსულ ლიტერატურაში“ [141] აღნიშნავს: „სკვითი – ერთ-ერთი იმ მითთაგანია, რაც 1910-1920-იანი წლების მხატვრულ აზროვნებაში მომწიფდა. ძველი სკვითები მოექცნენ არა მხოლოდ იმ შემოქმედთა ინტენციითა სფეროში, ვინც რ. ვ. ივანოვ-რაზუმნიკის სკვითურ წრეს მიეკუთვნებოდა, არამედ სხვებისაც, ვინც ამ წრესთან დაკავშირებული არ იყო. სკვითის თემა მეტად თუ ნაკლებად აისახა ა. ახმატოვას, კ. ბალმონტის, ვ. ბრიუსოვის, ი. ბუნინის, ე. გერმანის, ზ. გიპიუსის, რ. გულის, ნ. გუმილიოვის, ს. ესენინის, ფ. ზელინსკის, ვიაჩ. ივანოვის, ნ. კლიუევის, ე. კუზმი-

ნა-კარავაევას, ბ. ლევშიცის, ო. მანდელშტამის, დ. პინესის, ფ. სოლოგუბის, ო. ფორშის, ვ. ხლებნიკოვის, მ. ცვეტაევას, გ. შენგელის და სხვათა მხატვრულ ტექსტებში, სტატიებსა და ეპისტოლური ჟანრის წერილებში“.

გასაგები მიზეზების გამო, სოლნცევას ამ წერილში ვერ იპოვით იმის ანალიზს, თუ რატომ დაიპყრო ასე ფართოდ სკვითობის მითმა რუსული მხატვრული აზროვნება. თუმცა, წერილის ბოლოს მოიძებნება ერთგვარი „რბილი“ მინიშნებები: „იყო სკვითობისაგან გამიჯვნაც. (...) ბლოკისაგან განსხვავებით, პასტერნაკი სკვითობაში ხედავს არა სკვითურ რუსეთს, არამედ პუშკინის წინაპრის სახეს. (...) ბერდიაევი ემიჯნებოდა სკვითობის იდეოლოგიას – „დონისეს ნიღაბს“: „თანამედროვე სკვითები ჰიმნებს უმღერიან კულტურამდელ მდგომარეობას, მათშია „არაქრისტიანულ და ანტიქრისტიანულ მესიანიზმში გარდამავალი, წარმართული ნაციონალიზმი“ – წერს ის (ხაზგაზღავსა ჩვენია – ნ. ზ.). – (...) მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, XX საუკუნის პირველი მესამედის ადამიანის ცნობიერებაში სკვითი არის ძნელად განსამარტავი ძალა, ხოლო სკვითია – ქვეყანა, რომელიც ლამაზ ლეგენდებს წარმოშობს (...)“.

რამდენად „ლამაზი“ და უწყინარია ეს მითი, ჩვენ ქვემოთ კიდევ ვიხილავთ, განსაკუთრებით – ბლოკთან.

# ვალერი ბრიუსოვი ВАЛЕРИЙ БРЮСОВ

1873-1924



**3**ალერი ბრიუსოვი – პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, ლიტერატურისმცოდნე – რუსული მოდერნიზმის ერთ-ერთ „ბურჯთაგანია“. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ახალგაზრდა ბრიუსოვის პოეზია თანაბრად ეყრდნობა როგორც რუსულ პოეტურ ტრადიციას (ძირითადად ფეტის ლირიკას), ასევე ფრანგულ სიმბოლიზმს (განსაკუთრებით ვერლენისა და მალარმეს შემოქმედებას) [142].

რუსული სიმბოლიზმის ისტორიაში ნიშანსვეტად მიიჩნევა 1894-1895 წლებში ბრიუსოვის მიერ გამოცემული სამი მომცრო კრებული სათაურით „რუსი სიმბოლისტები“ («Русские символисты»). საინტერესოა, რომ ამ კრებულებში შესული ლექსების უმრავლესობის „სხვადასხვა“ ავტორი ერთია – თვით ბრიუსოვია: ეს სიმბოლიზმის დასამკვირდებლად შესრულებული ერთგვარი პოეტური მისტიფიკაციაა (სწორედ აქ დაიბეჭდა ბრიუსოვის, შესაძლოა, ყველაზე გახმაურებული ლექსი – „მონოლექსი“, ლექსი-სტრიქონი – რომელმაც კრიტიკისა და მკითხველთა აუდიტორიის არაერთგვაროვანი ემოციური რეაქცია გამოიწვია: О закрой свои бледные ноги [143]).

ამ დიდად განსწავლულმა პოეტმა – რომლის შემოქმედება სტილისტურად და მსოფლმხედველობრივად განსხვავებული მონაკვეთებისაგან და ნაწარმოებებისაგან შედგება – ბევრი იღვანა, დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა ლიტერატურულ წრეებში (მაქსიმ გორკი მას „რუსეთში ყველაზე კულტურულ მწერლად“ მიიჩნევდა) და მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა რუსი პოეტების შემდგომ თაობებზე. მისი შემოქმედების კვალი ქართველ „ცისფერყანწელებთანაც“ გვხვდება,

რისი ყველაზე ნათელი მაგალითი – პაოლო იაშვილის „ელენე დარიანის დღიურებია“: ბრიუსოვმა 1913-1916 წლებში შექმნა „ნელის ლექსები“ («Стихи Нелли»), სადაც ლირიკული გმირი ქალია – მოდური მიმდინარეობებით გატაცებული კურტიზანი ქალი.

ბრიუსოვი რუსულ პოეზიაში პირველ პოეტ-ურბანისტადაც მიიჩნევა: მან დაამკვიდრა რუსულ პოეტურ სივრცეში „ქალაქის ხატი“, რაც – როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს – ერთხანს მისი ვერჰარნის (ვერჰარენის) პოეზიით გატაცების გამოძახილადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ის, ასევე, შესანიშნავი მთარგმნელი და თარგმნის ხელოვნების თეორეტიკოსიც იყო. მან თარგმნა ვერჰარნი, ვერლენი, მეტერლინიკი, პო, უაილდი და მრავალი სხვა. ბრიუსოვი სომხური პოეზიის ცნობილი მთარგმნელიცაა: მან მოსკოვის სომხური კომიტეტის (იხ. ქვემოთ ექსკურსი [144]) წინადადებით შეადგინა სომხური პოეზიის ანთოლოგია და გამოსცა კიდევ ის სომხებისათვის უმძიმეს ყამს (1916 წელს); ანთოლოგიაში შესული ნაწარმოებების დიდი ნაწილი თვით ბრიუსოვის თარგმნილია, ნაწილი კი – ბრიუსოვის მიერ მოწვეული რუსი პოეტებისა (იხ. „სომხური პოეზია უძველესი დროიდან დღემდე, თარგმნილი რუსი პოეტების მიერ, ვალერი ბრიუსოვის რედაქციით, შესავალი ნარკვევით და კომენტარებით“ [145]; თავის დროზე ამ წიგნს ალი არსენიშვილმა თურმე „სომხეთის ბიბლია“ დაარქვა [146]; საინტერესოა ისიც, რომ ამ გამოცემას მოჰყვა ბრიუსოვის ნაშრომი „სომეხი ხალხის ისტორიული ბედის მატთანე ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნიდან ჩვენ დრომდე“ [147]). ამ პრობებისათვის, საბჭოთა პერიოდში, ბრიუსოვს სომხეთის სახალხო პოეტის წოდება მიენიჭა.

\* \* \*

**ექსკურსი:** მოსკოვის სომხური კომიტეტი 1914 წელს დააარსეს მოსკოვში მცხოვრებმა სომეხმა ბიზნესმენებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, თავდაპირველად, (თურქეთიდან) სომეხი ლტოლვილების დახმარების მიზნით; კომიტეტმა შემდგომ კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკური მოღვაწეობაც გააჩალა: მაგალითად, ცნობილია ამ კომიტეტის დეკლარაცია ბრესტ-ლიტოვსკის ზავის იმ პუნქტების წინააღმდეგ, რითაც თურქეთს ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქები გადაეცემოდა (თვით ამ საზავო ხელშეკრულებას – რითაც გაფორმდა რუსეთის დამარცხება პირველ მსოფლიო ომში და ომიდან გამოსვლა – 1918 წლის 3 მარტს ხელი მოაწერეს, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთმა და მეორე მხრივ, მოკავშირეებმა – გერმანიამ, ავსტრო-უნგრეთმა, თურქეთმა და ბულგარეთმა; ეს ხელშეკრულება შემდგომში, იმავე წლის ნოემბერში ცალმხრივად ანულირდა რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ) [144].

\* \* \*

1916 წლითვე თარიღდება ბრიუსოვის ლექსი „თბილისში“; თუმცა, მასში დიდად ორიგინალური არაფერია: ბრიუსოვიც აქ ძირითადად ეგზოტიკას ამჩნევს – ბაზრის ხმაურს, აქლემს, თამარის „ხმამალალი საუკუნის“ გვერდით „საიათნოვას საუკუნეს“ და მისთ.; პოეტის წარმოსახვაში საქართველოს ისტორიაც ეგზოტიკურ ასოციაციებს იწვევს: „ქრელი თქმულებები“, „საუკუნეთა ფერადი ორნამენტი“.

ბრიუსოვი „ნოვაციების მოყვარული“ იყო; და, ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ პოეტმა დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ახალ, საბჭოთა რეჟიმთან. იგი 1920 წელს ბოლშევიკური პარტიის წევრიც გახდა. აქ ალბათ, საინტერ-

სო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ბრიუსოვის ინიციატივით 1921 წელს დაარსდა უმაღლესი ლიტერატურულ-მხატვრული ინსტიტუტი (მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის „წინამორბედი“), რომელსაც პოეტი სიცოცხლის ბოლომდე ედგა სათავეში: ქართველი პოეტებიდან აქ ლიტერატურული განათლება ალიო მირცხულავამ მიიღო. ამ პერიოდში იცვლება ბრიუსოვის პოეტიკურ-მსოფლმხედველობრივი „პრიორიტეტები“: ის უკვე მკაცრად აკრიტიკებს თავის ყოფილ თანამეკალმე სიმბოლისტებს – სოლოგუბს, ბალმონტს, ბელის, ვიაჩესლავ ივანოვს, ასევე, აკმეისტებს; იწუნებს მათ „განყენებულ“ საზოგადოებრივ თუ სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესებსა და პოზიციებს.

ყოველივე ამასთან, დერჟავნიკული ვირუსით ბრიუსოვიც იყო „მძიმედ ინფიცირებული“. მისი შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ, წაიკითხოს დიმიტრი მაქსიმოვის ვრცელი ნარკვევი „ბრიუსოვი. პოეზია და პოზიცია“ [148]; აქ ასეთ პასაჟსაც მიაკვლევთ: „აკავშირებდა რა შეხედულებას რუსეთის სახელმწიფოს სიდიადეზე მონარქისტულ ხელისუფლებასთან, ახალგაზრდა ბრიუსოვი თანაუგრძნობდა ამ ხელისუფლებას და ოცნებობდა მის მსოფლიო პროვიდენციულ როლზე. ეს განწყობილება საფუძვლად დაედო ბრიუსოვის ლექსებს „გაელვება“ («Проблеск») და „ივლისი, 1903 წ.“ («Июль 1903 г.»), სადაც გამჟღავნებულია ცარგრადის, ანუ კონსტანტინოპოლის, რუსეთთან მიერთების მილიტარისტული იმედები. ბრიუსოვის კონსერვატიულმა ორიენტაციამ ასახვა ჰპოვა რუბრიკაშიც „პოლიტიკური მიმოხილვები“, რასაც ის ერთხანს უძღვებოდა სიმბოლისტ-ნეოქრისტიანთა [149] ჟურნალში „ახალი გზა“ («Новый путь»)“.

ამ მხრივ, ბრიუსოვისთვის ერთგვარი გამომაფხიზლებელი გახდა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომი. თუმცა, ჩვენი შეხედულებით, რუსული მესიანიზმის, ამ შემთხვევაში, ბრიუსოვში გამჯდარ ვირუსზე ამას არსებითი გავლენა

არ მოუხდენია – უბრალოდ, თანდათან გადაინაცვლა მისმა „ფოკუსმა“: „ჩამავალი“ ცარისტული იმპერიიდან „ამომავალი“ წითელი იმპერიისაკენ.

აი, რას წერს რევოლუციამდელი ბრიუსოვი:

О, страшен был твой недвижимый,  
На смерть похожий, черный сон!  
Но вдруг пронесся гул Цусимы,  
Ты задрожала вся, и мнимый  
Мертвец был громом пробужден. (...)

ო, საზარელი იყო შენი (= რუსეთის) უმოძრაო, სიკვდილის მსგავსი, შავი სიზმარი! მაგრამ უეცრად დაიგუგუნა ცუსიმამ (განმარტება იხ. ქვემოთ), შენ თავით ფეხებამდე აკანკალდი და ცრუ მიცვალებული ქუხილმა გამოაღვიძა. (...).

აი, ამ ლექსის ბოლო ტაეპებიც:

И как недужному, сквозь бреды,  
Порой мелькают имена, –  
Ты вспомнила восторг победы,  
И то, о чем сказали деды:  
Что ты великой быть – должна!

და როგორც სნეულს ბოდვისას ზოგჯერ ჩაესმის მივინყებული სახელები, შენ (= რუსეთი) გაგახსენდა გამარჯვებისას განცდილი აღტაცება და ის, რაც გიანდერძა მამა-პაპამ: რომ შენ ვალდებული ხარ, იყო დიადი!

(ცუსიმა - 1905 წლის 14-15 მაისს გამართული რუსეთ-იაპონიის საზღვაო ბრძოლა, კუნძულ ცუსიმასთან, ცუსიმას სრუტეში, რომელიც კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და იაპონიის არქიპელაგის სამხრეთ კუნძულებს შორის მდებარეობს. ამ ბრძოლაში იაპონიის ფლოტმა გაანადგურა რუსეთის საზღვაო ძალები).

აქ „ბოლო აკორდი“ წარსულისა და თანამედროვე რუსი რეაქციონერების ცნობილი ფორმულის ერთგვარი „პოეტური ილუსტრაციაა“; თვით ფორმულა კი ასეთია: რუსეთი ან დიადი, დიდი (ანუ იმპერია) უნდა იყოს (великой быть должна), ან ის საერთოდ არ იარსებებს. ასეთი „ფორმულირების“ წაკითხვისას დემოკრატიულად განწყობილი ადამიანის გონებაში ბუნებრივად წარმოიშობა კითხვა - რატომ?.. და, ასევე ბუნებრივად, „მოდის“ პასუხიც - არავინ იცის... სხვანაირად რომ ვთქვათ - არავინ იცის, რატომ უნდა იყოს რუსეთი მაინცდამაინც იმპერია; თორემ მძლავრი ავტორიტარულ-რეპრესიული მმართველობის გარეშე იმპერიის შენარჩუნება რომ შეუძლებელია - ეს ცხადია.

ეს კი უკვე რევოლუციის შემგომდროინდელი, მაგრამ იმავე სულისკვეთების მქონე ბრიუსოვია:

Но из глухих глубин позора,  
Из тьмы бессменных унижений,  
Вдруг, ярким выкриком костра, -  
Не ты ль, с палящей сталью взора,  
Взнеслась к державности велений  
В дни революции Петра?  
И вновь, в час мировой расплаты,  
Дыша сквозь пушечные дула,  
Огня твоя хлебнула грудь, -  
Всех впереди, страна-вожатый,

Над мраком факел ты взметнула,  
Народам озаряя путь.  
Что ж нам пред этой страшной силой?  
Где ты, кто смеет прекословить?  
Где ты, кто может ведасть страх?  
Нам - лишь вершить, что ты решила,  
Нам - быть с тобой, нам - славословить  
Твое величие в веках!

მაგრამ სირცხვილის ყრუ სიღრმეებიდან, გაუთავებელი დამცირების წყვდიადიდან, უეცრად, ალის კაშკაშით, - განა შენ არ იყავი, რომ,

მწველი ფოლადის მსგავსი მზერით, ააღნიე დერჟავულობის მწვერვალებამდე პიოტრის (= პეტრე I-ის) რევოლუციის დღეებში? და ისევ, მსოფლიო ანგარიშის გასწორებისას, ზარბაზნის ლულებიდან ცეცხლი მოხვრიპა შენმა მკერდმა, - ყველაზე წინ ხარ, ქვეყანა-წინამძღოლო, წვდიადი ჩირაღდნით გაჰკვეთე, და გაუცისკროვნე გზები ხალხებს. რა ვართ ჩვენ ამ უცნაური ძალის წინაშე? სადაც შენ ხარ - ვინ გაგიბედავს შესიტყვებას? სადაც შენ ხარ - ვინ შეიძლება შიშმა შეიპყროს? რა დაგვრჩენია? - ჩვენ მხოლოდ უნდა აღვასრულოთ, რაც შენ გადანყვიტე, ვიყოთ შენთან, სიტყვით განვადიდოთ შენი სიდიადე საუკუნოდ!

\* \* \*

ბრიუსოვის გარდაცვალების წლითაა დათარიღებული ტიციან ტაბიძის მცირე ლიტერატურული პორტრეტის ყაიდის წერილი „ვალერი ბრიუსოვი“, ავტორი წერილში საუბრობს ბრიუსოვის შემოქმედების მასშტაბურობაზე. ბოლოს კი აღნიშნავს, რომ ბრიუსოვი უკვე გუშინდელი ფიგურაა, „მაგრამ დასაფასებელია ის, რომ დღემდე ვალერი ბრიუსოვი სერჟანტივით დგას პოეზიის ფრონტზე და ნურბელასავით არ ეშვება მას. ეს არის მისი სტიქია, მისი დანყევლა და მისი ბედიც მას კიდევ ესიზმრება: и замыслов незавершенных тени... ასეთ აღტაცებულს მოუსწრებს მას სიკვდილი“ [146].

ვფიქრობთ, ეს შეფასება მთლად ზუსტი არ არის: როგორც ზემოთ ნათქვამიდანაც ირკვევა, ბრიუსოვი წარსულში არ დარჩენილა (შესაძლოა – სამწუხაროდაც) – ის რევოლუციის აპოლოგეტების რიგში ჩადგა; თუმცა, მეორე მხრივ, ეს უთუოდ იყო წარსულიდან გადმოყოლილი ხმაც, ერთგვარი ინერცია, იმპერიალისტური დისკურსის განვრცობის მცდელობა.

7

# წითელი იზვერიის მითოსის სათავე

რუსი, ეგრეთ ნოდებული, უმცროსი სიმბოლისტების თაობაში უთუოდ განცალკევებულად ბრწყინავს ორი სახელი: ალექსანდრე ბლოკი და ანდრეი ბელი. ამ ორმა, ერთსა და იმავე - 1880 წელს დაბადებულმა, დიდად ერუდირებულმა და დიდად ნიჭიერმა შემოქმედმა ბევრი სიახლე შეიტანა რუსულ ლიტერატურაში.

იმავედროულად, მათ გააგრძელეს რუსული მისტიკურ-იმპერიალისტური მითისქმნის ტრადიცია. ამასთან, ისტორიული კატაკლიზმების კვალდაკვალ, ისინი შეეცადნენ ტიუტჩევის მეტამითის ჯადოს ზემოქმედების განვრცობას, ახლა უკვე წითელ იმპერიაზე, თუ პირიქით - წითელი იმპერიის „შემოყვანას“ ტიუტჩევის მეტამითის „ენერგეტიკულ ველში“. სხვანაირადაც შეიძლება ითქვას: იმავე მეტამითის ჩარჩოში მათ სათავე დაუდეს წითელი იმპერიის მითის შექმნას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება შემოგვედავონ: ამ საქმეში „პიონერი“ ბრიუსოვი იყო; შესაძლოა ასეცაა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ბრიუსოვი ამ მიმართულებით უფრო „ძველი ინერციით“ მოძრაობდა, უმცროსმა სიმბოლისტებმა კი ამ მხრივაც სრულიად ახალი სიტყვა თქვეს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ, ბრიუსოვის მსგავსად, ბლოკიც და ბელიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან... თუმცა ეს არც მათ შემოქმედებაზე და არც მათ პირად ცხოვრებაზე კეთილისმყოფლად არ აისახა...

## ალექსანდრე ბლოკი АЛЕКСАНДР БЛОК

1880-1921



ალექსანდრე ბლოკი „პოეტად დაიბადა“: პირველი ლექსი მან 5 წლისამ შეთხზა. ბლოკი რუსული პოეზიის „ვერცხლის საუკუნის“ [119], ალბათ, ყველაზე მეტად ნიჭიერი, ბრწყინვალე წარმომადგენელია, რომლის შემოქმედებამ (განსაკუთრებით – ადრეული პერიოდის) ქართულ სიმბოლისტურ პოეზიაზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. პოეზიის მოყვარულებს ახსოვთ მისი შედევრები, როგორიცაა «Девушка пела в церковном хоре», «Ночь, улица, фонарь, аптека» და სხვ.

ბლოკი „ახალი სიმბოლისტების“ ლიდერი იყო. უმცროსები აკრიტიკებდნენ უფროს თაობას, ბრალს სდებდნენ „უფროს სიმბოლისტებს“ ზედმეტ რაციონალიზმში, ინტუიციურ-მისტიკურ-რელიგიური მჭვრეტელობის მივიწყებაში. შესაბამისად, უმცროსების ესთეტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ისევ და ისევ ვლადიმირ სოლოვიოვის სწავლებამ სოფიის შესახებ, ასევე, ელენე ბლავატსკაიას თეოსოფიამ, შტაინერის ანტროპოსოფიამ და ვიანესლავ ივანოვის „მარადიული ქალურობის“ მისტიკურ-მა სწავლებამ (იხ. ზემოთ) [96, 150]. ასეთ, შემზადებულ, მითოლოგიურობით გამსჭვალულ საფუძველზე, ვის თუ არა უმცროს სიმბოლისტებს უნდა აეტაცათ ტიუტჩევის მიერ „გვირგვინდადგმული“ რუსეთის იდუმალი, ღვთიური არსის, რუსეთის – ხალხთა მაგიური შემეკრებლის იდეა?! ბლოკი გამოხატავს არ აღმოჩნდა:

Ты и во сне необычайна.  
Твоей одежды не коснусь.  
Дремлю – и за дремотой тайна,  
И в тайне – ты почиешь, Русь.

(...)

Где разноликие народы  
Из края в край, из дола в дол  
Ведут ночные хороводы  
Под заревом горящих сел.

შენ სიზმარშიც განსაკუთრებული ხარ.

შენს სამოსს არ შეეცეხები.

ძილ-ბურანში ვარ – და მის იქით საიდუმლოა,  
და საიდუმლოში შენ სუფევ, რუსეთო.

(...)

სადაც მრავალსახოვანი ხალხები  
სხვადასხვა მხარეში, მთასა და ბარში  
ღამეულ ფერხულში არიან ჩაბმული  
აალებული სოფლების შუქში.

ამასთან, ბლოკმა განავითარა რუსეთის „წარმართული ფესვების მითოლოგემა“: ის, რუსეთს სკვითურ და მონღოლურ წარსულთან რომ აკავშირებდა, ხშირად უბრუნდებოდა რუსეთის წარმომავლობის, „გენეალოგიის“ საკითხს.

მან 1918 წელს, როგორც ჩანს, სისხლიანი რევოლუციური მოვლენებით გამძაფრებული გრძნობით, 19-სტროფიანი დიდად საყურადღებო ლექსიც დაწერა იმავე ნიშნული სათაურით „სკვითები“ («Скифы»). ამ ლექსს ეპიგრაფად ვლადიმირ სოლოვიოვის ცნობილი, ზემოთ ციტირებული, სტრიქონები აქვს წამძღვარებული – «Панмонголизм! Хотя имя дико, Но мне ласкает слух оно»; თუმცაღა, ინტერპრეტაცია უფრო ბალმონტისეულია, მეტიც – ბლოკი უფრო შორსაც მიდის.

Милыоны – вас. Нас – тьмы, и тьмы, и тьмы.

Попробуйте, сразитесь с нами!

Да, скифы – мы! Да, азиаты – мы,

С раскосыми и жадными очами!

Для вас – века, для нас – единый час.

Мы, как послушные холопы,

Держали щит меж двух враждебных рас

Монголов и Европы!

(...)

Россия – Сфинкс! Ликуя и скорбя,

И обливаясь черной кровью,

Она глядит, глядит, глядит в тебя

И с ненавистью, и с любовью!..

(...)

Мы любим плоть – и вкус ее, и цвет,

И душный, мертвый плоти запах...

Виновны ль мы, коль хрустнет ваш скелет

В тяжелых, нежных наших лапах?

(...)

Придите к нам! От ужасов войны

Придите в мирные объятия!

Пока не поздно – старый меч в ножны,

Товарищи! Мы станем – братья!

А если нет – нам нечего терять,

И нам доступно вероломство!

Века, века – вас будет проклинать

Больное позднее потомство!

Мы широко по дебрям и лесам

Перед Европою пригожей

Расступимся! Мы обернемся к вам

Своею азиатской рожей!

Идите все, идите на Урал!

Мы очищаем место бою

Стальных машин, где дышит интеграл,

С монгольской дикою ордою!

Но сами мы – отныне вам не щит,

Отныне в бой не вступим сами,  
Мы поглядим, как смертный бой кипит,  
Своими узкими глазами.  
Не сдвинемся, когда свирепый гунн  
В карманах трупов будет шарить,  
Жечь города, и в церковь гнать табун,  
И мясо белых братьев жарить!..  
В последний раз – опомнись, старый мир!  
На братский пир труда и мира,  
В последний раз на светлый братский пир  
Сзывает варварская лира!

თქვენი რიცხოვნება მილიონებია;  
ჩვენ კი უთვალავი ვართ.  
სცადეთ, შეგვებრძოლეთ ჩვენ!  
ღიახ, სკვითები ვართ! ღიახ, აზიელები ვართ –  
ირიბი და ხარბი თვალებით.  
თქვენთვის საუკუნეებია, ჩვენთვის – ერთიანი დრო  
(განუყოფელი ერთი საათი).

ჩვენ, თქვენი მორჩილი ყმებივით,  
გვეჭირა ფარი ორ მტრულ რასას –  
მონღოლებსა და ევროპას შორის!

(...)

რუსეთი სფინქსია! ზეიმითა და გლოვით,  
და შავი სისხლით დაბანილი პირით,  
ის იცქირება, იცქირება, იცქირება შენში  
სიძულვილითაც და სიყვარულითაც!..

(...)

ჩვენ გვიყვარს სხეული – მისი გემოც და ფერიც,  
მისი შემხუთავი, გვამური სუნიც...

განა ჩვენ დაგვბრალდება, თუ დაიმსხვრევა თქვენი ჩონჩხი  
ჩვენს მძიმე, ფაქიზ თათებში?

(...)

ჩვენთან მოდით! ომის საშინელებიდან  
მოდით, მშვიდობიანად ჩავეკონოთ ერთმანეთს!  
ვიდრე არ არის გვიან – ქარქაშში ჩააგეთ ძველი მახვილი,  
ამხანაგებო! ჩვენ ძმები გავხდებით!  
თუ არადა – ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს,  
და ჩვენთვის არც ვერაგობაა უცხო ხილი!  
საუკუნეების განმავლობაში წყევლა-კრულვით  
მოგხსენიებთ

ავადმყოფი შორეული შთამომავლობა!

ჩვენ ტევრებისკენ და ტყეებისკენ  
ლამაზ ევროპას

გზას გავუხსნით! და შემოგბრუნდებით თქვენკენ  
ჩვენი აზიური სიფათით!

მოდით ყველა, მოდით ურალისკენ (ურალის მთებში)!

ჩვენ გავწმენდთ ადგილს

ფოლადის მანქანების ბრძოლისთვის, – იქ სადაც სუნთქავს  
ინტეგრალი, –

მონღოლურ ველურ ურდოსთან!

მაგრამ ჩვენ დღეიდან თქვენთვის აღარა ვართ ფარი,  
დღეიდან ჩვენ თვითონ ბრძოლაში აღარ ჩავებმებით,  
ჩვენ შორიდან ვუყურებთ, თუ როგორ დულს სასიკვდილო  
ბრძოლა,

ჩვენი ვინრო თვალებით.

ფებს არ მოვიცვლიც, როდესაც მძვინვარე ჰუნი  
დაიწყებს გვამების ჯიბების დაცლას,

ქალაქების გადანვას, ეკლესიაში ცხენების რემას შერეკავს,  
და თეთრი ძმების (= ევროპელების) ხორცს შეწვავს!..

უკანასკნელად გაფრთხილებ – გონს მოეგე,

ძველო სამყაროვ (ძველო ქვეყანავ = ევროპავ)!

შრომისა და მშვიდობის ძმურ ნადიმზე,  
უკანაკსნელად ნათელ ძმურ ნადიმზე  
გიხმობს ბარბაროსის (= სკვითის = რუსის) ქნარი!

ლექსში ჩვენთვის ორ საინტერესო მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება. პირველი – ეს კიდევ ერთი მითის „გაპოეტურებაა“, მითისა რუსეთის მიერ ევროპის მონღოლუბისაგან გადარჩენის შესახებ: რუსეთმა თავის თავზე აიღო მონღოლების დარტმა, რითაც გადაარჩინა ევროპა ურდოს შემოსევისა და განადგურებისაგან; რაც – რუსულივე გამოთქმის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ – რეალური ისტორიული სურათის არარეალურ, რუსეთისთვის მომგებიან ჭრილში წარმოჩენაა. რუსეთს არავითარი დარტყმა თავის თავზე არ აუღია, ის იოლად დაიპყრეს (ისევე როგორც საქართველო), რის შემდეგაც აქტიურად თანამშრომლობდა დამყრობელთან დიდი ხნის განმავლობაში (ამას ზოგიერთი რუსი მეცნიერი და კულტურის მოღვაწეც აღიარებს, მაგალითად, ამაზე საუბრობს კინორეჟისორი ანდრონ/ანდრეი კონჩალოვსკი თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში [151]), რასაც მოჰყვა მოსკოვის, მოსკოვის რუსეთის დანინაურება – ქვეყნის, რომელიც მონღოლური ურდოს ყაიდაზე იმართებოდა [152]. მონღოლებს კი ევროპის დასაპყრობად უბრალოდ ძალა არ შესწევდათ. ამის გარდა, რუსეთი XIV საუკუნეში ოქროს ურდოს ძალაუფლების რღვევას სწორედ ევროპელებს – ლიტვის დიდ სამთავროსა და პოლონეთის სამეფოს – უნდა უმადლოდეს.

მეორე მომენტი კი პოეზიაში ბალმონტისა და სხვათა დამკვიდრებული ტრადიციის ერთგვარი განვრცობაა – რუსული წარმართული, ბარბაროსული წარსულით, ბარბაროსული წარმომავლობით, „ბარბაროსული გენეტიკით“ ტკობა და ცივილიზებული მსოფლიოს „შანტაჟია“, დაშინებაა, რაც

რუსეთის, რუსული „იდუმალი სულის“ ევრაზიულობის მითის „გამყარებას“ ემსახურება.

სინამდვილე კი, ვფიქრობთ, სხვაგვარია: რუსების, რუსული კულტურის აზიურ თუ ევრაზიულ „გენეტიკას“ (თუ მემკვიდრეობას) სკვითებთან საერთო არაფერი აქვს – ეს, უბრალოდ, პოეტური მითია. სლავები, მათ შორის, რუსები, ევროპელი ხალხია – მსოფლიო ისტორიულ ველზე სლავების გამოჩენის თითქმის ყველა კონცეფცია თუ ჰიპოთეზა გეოგრაფიულად აღმოსავლეთ ევროპითაა „შემოსაზღვრული“, რომლის ბირთვი ემთხვევა თანამედროვე უკრაინის, ბელარუსისა და პოლონეთის ტერიტორიებს. იმ დროს სლავებზე არანაკლებ „ველურები“ იყვნენ, მაგალითად, მათი მეზობელი სკანდინავიური თუ გერმანული ტომები, მაგრამ ვინ იტყვის, რომ გერმანული, შვედური, ნორვეგიული ან ფინური კულტურა ევროპული არ არის?

ამ კონტექსტში, უფრო სწორედ კი – მის პოლიტიკურ ნაწილში რუსეთის უშუალო წინაპარი სკვითი კი არა, მონღოლია, ოქროს ურდოა; მონღოლთა ხანგრძლივადიანმა ბატონობამ საფუძვლიანი ზემოქმედება მოახდინა ქვეყნის პოლიტიკური მართვისა და მოწყობა-ფუნქციონირების „სტილზე“: ამ ასპექტით, მაგალითად, ბორის აკუნინი, რომელიც აღიარებს რუსეთის განვითარების ევრაზიულ „ხასიათს“, აზიურ თუ მონღოლურ „მემკვიდრეობაში“ გარკვეულ დადებით მხარეებსაც ხედავს. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რუსეთი აღარ დამდგარა დემოკრატიის, სახელმწიფოს მართვაში საზოგადოების მეტი ჩართულობის გზაზე; ის დღემდე დარჩა მკაცრად ცენტრალიზებულ ქვეყნად. აკუნინი ამასაც წერს: „რუსეთის ძირითადი „აზიური“ მემკვიდრეობა სახელმწიფო ხელისუფლების, როგორც სტაბილურობის გარანტის, საკრალიზაცია და, აქედან გამომდინარე, პირადი თავისუფლების შეზღუდვაა. სახელმწი-

ფო კი არ ემსახურება თავის მოსახლეობას, არამედ მოსახლეობა ემსახურება სახელმწიფოს – აი, პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყველა პერიოდში იყო მოწყობილი რუსეთის შინაგანი ცხოვრება“ [153].

აკუნინის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ შუა საუკუნეებში ასევე იყო საკრალიზებული ბევრი ევროპული სახელმწიფოს ხელისუფლებაც [154]; მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ შუა საუკუნეების შემდეგ ევროპაში ამ მხრივ სიტუაცია აბსოლუტურად შეიცვალა, რუსეთში კი, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. პირიქით – ბიზანტიის მსოფლიო რუკიდან გაქრობის შემდეგ რუსეთის კულტურა და პოლიტიკა ნელ-ნელა ზემითოლოგიზებული, ზესაკრალიზებული, ზემამბიციური გახდა, რაც დროთა განმავლობაში კულტურულ-სოციოფსიქოლოგიურ ანაქრონიზმად იქცა, ანაქრონიზმად, რომელიც აფერხებს რუსული კულტურის სრულ ჩადგომას მისთვის ბუნებრივ, ევროპულ, დემოკრატიულ კალაპოტში.

მიუხედავად ზემოთქმულისა, პოეტის უაღრესად მგრძნობიარე, მონყვლადი სული ვერაფრით შეეგუა ცარისტულ რეჟიმს; ხოლო 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის გადატრიალების მიმართ ბლოკი არაერთგვაროვნად განენყო: ერთი მხრივ, ის ხედავდა და მტკივნეულად აღიქვამდა ძმათამკვლელ ომსა და მის შედეგებს, ხოლო, მეორე მხრივ, პოეტი იმედიანად შესცქეროდა ახალ, თითქოსდა გამათავისუფლებელ რევოლუციურ გარემოს და მგზნებარედ მოუწოდებდა მკითხველს, „ყური დაეგდო რევოლუციის მუსიკისათვის“ [155].

ის თავიდანვე მჭიდროდ თანამშრომლობდა ახალ ხელისუფლებასთან: ოქტომბრის გადატრიალებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ახლად ჩამოყალიბებულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ სმოლნიში მოიწვია პეტროგრადის (ასე

ერქვა პეტერბურგს იმ პერიოდში) ხელოვნების სფეროს მოღვაწეები – მწერლები, მხატვრები, რეჟისორები, მსახიობები – ამ „დაძახილს“ სულ 7-8 კაცი გამოეხმაურა, მათ შორის – ბლოკი და მაიაკოვსკი.

შესანიშნავი პოეტი ზინაიდა გიპიუსი (Зинаида Гиппиус, 1869-1945) – უფროსი სიმბოლისტების თვალსაჩინო წარმომადგენლის, დიმიტრი მერეჟკოვსკის (Дмитрий Мережковский, 1865-1941) მეუღლე – დიდი გულდანყვევით, მაგრამ მწვავედ სდებდა ბრალს ბლოკს, ბრიუსოვსა და ბელის ბოლშევიკებთან თანამშრომლობის გამო, განსაკუთრებით კი – ბლოკს, ვისაც პოეზიაში გზა სწორედ გიპიუსმა დაულოცა – პირველად გამოუქვეყნა ლექსები. აი, ბლოკისა და ბელისადმი მიძღვნილი გიპიუსის სტრიქონები (1918 წელს დაწერილი ლექსიდან):

Покрывало в ветре билось,  
Божьи волосы крутя...  
Не хочу, чтоб заблудилось  
Неразумное дитя...  
В покрывале ветер свищет,  
Гонит с севера мороз...  
Никогда их не отыщет,  
Двух потерянных, – Христос.

თხელი საბანი ქარს ეურჩებოდა,  
ღმერთის თმა ქარში იყო გაშლილი...  
არ მინდა, რომ გზა აერიოს  
უგუნურ ბავშვს...  
თხელ საბანში ქარი სტვენს და  
ჩრდილოეთის ყინვა მოაქვს...  
მათ ველარასდროს ველარ მიაგნებს,  
ორ დაკარგულს, – ქრისტე.

ბლოკი ზინაიდა გიპიუსის ლექსს გამოეხმაურა:

Женщина, безумная горячка!  
 Мне понятен каждый ваш намек,  
 Белая весенняя горячка  
 Всеми гневами звенящих строк!  
 (...)

Страшно, сладко, неизбежно, надо  
 Мне – бросаться в многопенный вал,  
 Вам – зеленоглазою наядой  
 Петь, плескаться у ирландских скал.

Высоко – над нами – над волнами,-  
 Как заря над черными скалами –  
 Веет знамя – Интернационал!

ქალბატონო, შეშლილო ამპარტავანო!  
 ჩემთვის გასაგებია თქვენი ყოველი მინიშნება,  
 თეთრი საგაზაფხულო ცხელება  
 ყველანაირი რისხვის ხმაურიანი სტრიქონებითურთ!  
 (...)

შიშით, ტკბილად, გარდაუვალად, საჭიროა,  
 მე – გადავეშვა აქაფებულ ზვირთებში,  
 თქვენ – მწვანეთვალება ნაიადად  
 იმღეროთ და იჭყუმპალაოთ ირლანდიის კლდეებთან.  
 მალლა – ჩვენ ზევით – ტალღების ზევით –  
 როგორც განთიადი შავი კლდეების თავზე –  
 ფრიალებს დროშა – ინტერნაციონალი!

*(ირლანდიის კლდეებთან – მინიშნება უნდა იყოს ზინაიდა გიპიუსისა და დიმიტრი მერეჟკოვსკის მოსალოდნელ ემიგრაციაზე).*

\* \* \*

ეს გაორებული დამოკიდებულება, ალბათ, ყველაზე მკვეთრად თუ მკაფიოდ აისახა მის მოკლე პოემაში „თორმეტნი“ («Двенадцать»), სადაც ბლოკი, ამჯერად უკვე წითელი ექსტრემისტულ-იმპერიალისტური ძალის კვლავ და კვლავ მითოლოგიზირების გზით, შეუთავსებელთა შეთავსებას ცდილობს, რისთვისაც ქრისტეს სახებას იშველიებს (თვით ციფრი 12-ც თორმეტ მოციქულთან ასოცირდება); დაფუკვირდეთ პოემის ბოლო სტრიქონებს:

Так идут державным шагом,  
 Позади – голодный пес,  
 Впереди – с кровавым флагом,  
 И за выюгой невидим,  
 И от пули невредим,  
 Нежной поступью надвьюжной,  
 Снежной россыпью жемчужной,  
 В белом венчике из роз –  
 Впереди – Иисус Христос.

ასე დერჟავულად მოაბიჯებენ,  
 უკან მოსდევთ მშიერი ძაღლი,  
 წინ – სისხლიანი დროშით,  
 ქარბუქისთვის უხილავი,  
 ტყვიისათვის შეუვალი,  
 ფაქიზი, ჰაეროვანი სვლით,  
 მარგალიტებად მიმობნეულ თოვლის ფიფქებზე,  
 თეთრი ვარდების გვირგვით თავზე –  
 წინ იესო ქრისტე მიუძღვით.

მაინც - ქრისტე; მიუხედავად იმისა, რომ თორმეტი ულმერთო, ღვთისმგმობი წითელგვარდიელი (= „ანტი-მოციქული“) მას ვერ ხედავს, ის მაინც წინ მიუძღვის მათ!..

როგორც ვლ. ორლოვი აღნიშნავს ბლოკის რვატომეულის შესავალ წერილში [156], პოეტი არ იყო მთლად კმაყოფილი ამ ხატით, მაგრამ მას ამის შეცვლა არასოდეს განუზრახავს: ბლოკი ამბობდა - „ის, რომ მათ წინ ქრისტეა - ეჭვგარეშეა. საქმე ის კი არ არის, „არიან თუ არ ისინი მისი ღირსი“, არამედ საშიშია ის, რომ კვლავ იგი არის მათთან და სხვა ჯერჯერობით არავინაა; სხვა კი საჭიროა - ?“ (ხაზგასმა ბლოკისეულია - ნ. ზ.).

ორლოვი წერს, რომ ბლოკს ქრისტე ისტორიულ პიროვნებად, „ახალი დროის მაცნედ“ მიაჩნდა, რომელიც მისთვის ადრექრისტიანობის მემბოხე, მაღალზნეობრივ სულს ასახიერებდა, რომელმაც ულმობელი განაჩენი გამოუტანა რომის წარმართ, დანაშაულებრივ და გარყვნილ სახელმწიფოებრიობას თუ ცივილიზაციას. ორლოვი განაგრძობს: „საერთოდ ქრისტესა და წარმართული ცივილიზაციის რღვევის თემა, რუსულ რევოლუციასთან კავშირში, წითელ ხაზად გასდევს ბლოკის იმ პერიოდის ნაწერებს. ქრისტე - როგორც ახალი რელიგიის, ახალი მორალის სახეა - პოეტისათვის ხდება სიცოცხლის განახლების სიმბოლო და „თორმეტნი“-ს ფინალში ამ მნიშვნელობით ჩნდება“.

შესაძლოა, მართლაც ასეა, მაგრამ ასევე შესაძლებელია, არსებობდეს უფრო მარტივი ინტერპრეტაცია: რა ექნა სათუთი, გაორებული სულის მატარებელ პოეტს, სურდა რამ ქრისტიანული, ადამიანური დაენახა - ისევ და ისევ - დერჟავულ, კიდევ უფრო მეტად პირსისხლიან, ახალ მოძრაობაში... თუმცაღა, უფრო ხისტი ნაკითხვით იმავე დერჟავულობისა და რუსული მესიანიზმის კვალს ამ სტრიქონებშიც იოლად აღმოვაჩინო.

„თორმეტნი“ 1918 წლის მარტში გამოქვეყნდა. პოემას აღმწვითებით შეხვდა რუსული ინტელიგენციის დიდი, „არაბოლშევიკური“ ნაწილი. საგულისხმოა ისიც, რომ ამ მოკლე პოემის გამოქვეყნების შემდეგ პოეტი თანდათან მძიმე დეპრესიამ შეიპყრო. მან ვერც სასმელში ჰპოვა შვება და ეს უდავოდ ბრწყინვალე პოეტი სამ წელიწადში სრულიად დაუძლურებული გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ბლოკი თურმე დიდხანს ბოდავდა და ამ ბოდავაში ერთსა და იმავეს იმეორებდა: მოესწრო თუ არა „თორმეტნის“ ყველა ეგზემპლარის დანვა-განადგურებაო... [157]

# ანდრეი ბელი АНДРЕЙ БЕЛЫЙ

1880-1934



**ანდრეი ბელი**<sup>1</sup> – პოეტი, მწერალი, ლექსმცოდნე, რუსული სიმბოლიზმის თეორეტიკოსი [158] – ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო რუსულ სიმბოლისტურ ნაკადში. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ბელიმ რუსულ პოეზიაში ბევრი სიახლე შეიტანა, როგორცაა ცალკეული სიტყვისა და ტაეპის რიტმული აქცენტირება, წყვეტილი რიტმი და რიტმების ცვლა, ლირიკის, ირონიისა და პათოსის კონტრასტული დაპირისპირება და სხვ. ეს ფართო განათლების მქონე შემოქმედი უცხოეთში ხშირად მოგზაურობდა, ერთხანს შტაინერის ანტროპოსოფიით იყო გატაცებული.

ანდრეი ბელის „საიდუმლოს“ გრიგოლ რობაქიძემ თავის დროს (1919 წ.) ვრცელი წერილი მიუძღვნა, რასაც ასეთი ეპიგრაფი წაუმიძღვარა:

„მე სამი წიგნი მახლავს თან: „სახარება“,  
„ზარათუსტრა“ და „გოგოლი“.

ანდრეი ბელი

აი, ერთი ამონარიდი ამ წერილიდან [159]: „შესაძლებელია პოეტის სხვა ტიპიც, სულის აპოკალიფსური რიტმით. ისიც მთლიანად აპოკალიფსიდანაა, მაგრამ მისი სულის რიტმი გადის არა სამყაროს სხეულისადმი სიყვარულზე, არამედ მიწის სხეულისადმი სიძულვილზე (...) ის ახლოსაა პოეტ აპოკალიპტიკოსებთან; მაგრამ იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელნი „ახალ ცასა და ახალ მიწას“ ნატრობენ, სამყაროს სხეულის სახეცვლილების გზით, აღნიშნულ პო-

<sup>1</sup> ფსევდონიმია: ნამდვილი სახელი და გვარია ბორის ბუგაევი.

ეტს სურს, რომ „ახალი ცა და ახალი მინა“ [106] გაჩნდეს იმავე სამყაროს დაფერფვლის მეშვეობით. ასეთ პოეტად გვევლინება ანდრეი ბელი. მას შემთხვევით არ ამოურჩევია ამგვარი ფსევდონიმი: „ბელი“ – აპოკალიფსური ხატი: „(...) ახალი სახელი, რომელიც არავინ უწყის, იმის გარდა, ვინც მას იღებს“; იგი სულის „თეთრ ქვაზეა“ ამოტვიფრული; „ანდრეი“: უნებლიეთ გახსენდება „პირველნოდებული“ (ანდრია პირველნოდებული). ანდრეი ბელიმ ნამდვილად გაამართლა თავისი ფსევდონიმი“.

ანდრეი ბელი საბოლოოდ დაბრუნდა რუსეთში და სიკვდილამდე თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ის თითქოსდა არ აიდეალებდა რუსეთს:

Те же возгласы ветер доносит;  
 Те же стаи несъятых смертей  
 Над откосами косами косят,  
 Над откосами косят людей.  
 Роковая страна, ледяная,  
 Проклятая железной судьбой –  
 Мать-Россия, о родина злая,  
 Кто же так подшутил над тобой?

ქარს მოაქვს იგივე ძახილი;  
 გაუმადლარი სიკვდილების იგივე ხროვები  
 ხევების თავზე ცელებით ცელავენ,  
 ცელებით ცელავენ ადამიანებს.  
 საბედისწერო ქვეყანავ, ყინულოვანო,  
 დაწყევლილო რკინის განგებით –  
 დედა-რუსეთო, ო, ბოროტო სამშობლოვ,  
 ნეტავ, ვინ გაგამასხარავა ასე?

ანდა:

Просторов простертая рать:  
 В пространствах таятся пространства.

Россия, куда мне бежать  
 От голода, мора и пьянства?  
 От голода, холода тут  
 И мерли, и мрут миллионы.  
 Покойников ждали и ждут  
 Пологие скорбные склоны.  
 Там Смерть протрубила вдали  
 В леса, города и деревни,  
 В поля моей скудной земли,  
 В просторы голодных губерний.

სივრცეები სივრცეებს მოსდევს:  
 სივრცეები სივრცეებს იტევს.  
 რუსეთო, ნეტავ, სად გავექცე  
 შენს შიმშილს, შავ ჭირს და ლოთობას?  
 შიმშილისაგან, სიცივისაგან აქ  
 იხოცებოდნენ და იხოცებიან მილიონები.  
 მიცვალებულებს ელოდებოდნენ და ელოდებიან  
 დამრეცი, დამწუხრებული ფერდობები.  
 იქ, შორს სიკვდილის საყვირები გაისმა  
 ტყეებსა, ქალაქებსა და სოფლებში,  
 ჩემი მწირი მინის მინდვრებში,  
 მშვიერი გუბერნიების სივრცეებში.

თუმცა მან, ალბათ, თავისი ყველაზე ცნობილი პოეტური სტრიქონები 1917 წლის აგვისტოში დაწერა (ანუ თებერვლის რევოლუციის შემდეგ და ოქტომბრის გადატრიალების მოლოდინში – ლექსი „სამშობლოს“ – «Родине»):

Рыдай, буревая стихия,  
 В столбах громового огня!  
 Россия, Россия, Россия, –  
 Безумствуй, сжигая меня!

В твои роковые разрухи,  
В глухие твои глубины, –  
Струят крылоручки духи  
Свои светозарные сны.

(...)

Сухие пустыни позора,  
Моря неизливаемые слез –  
Лучом безглагольного взора  
Согреет сошедший Христос.

(...)

И ты, огневая стихия,  
Безумствуй, сжигая меня,  
Россия, Россия, Россия, –  
Мессия грядущего дня!

იბღავლე, ქარიშხლურო სტიქიავ,  
გაშმაგებული ცეცხლის გრიალში.  
რუსეთო, რუსეთო, რუსეთო,  
გადაირიე (იმძვინვარე), ცეცხლს მიეც ჩემი თავიც.  
შენს საბედისნერო ნგრევებში,  
შენს ყრუ სიღრმეებში  
ღვრიან ხელფრთიანი სულები  
თავის ნათელმოსილ სიზმრებს.

(...)

სირცხვილის მშრალ უდაბნოებს,  
დაულვრელი ცრემლების ზღვებს  
მზერის უზმნო სხივით  
გაათბობს ზეცით ჩამოსული ქრისტე.

(...)

და შენ, ცეცხლოვანო სტიქიავ,  
გადაირიე (იმძვინვარე), ცეცხლს მიეც ჩემი თავიც,  
რუსეთო, რუსეთო, რუსეთო, –  
მესიავ მყოფადი დღის!

ახალი არც აქაა რამე: კვლავ და კვლავ რუსეთის ღვთი-  
თა და ღვთიური სულებით დალოცვილი, მისტიკური, ცეც-  
ხლოვანი სტიქიონი (ამჯერად უკვე რევოლიუციით განახლე-  
ბული) მომავლის გზას უნათებს კაცობრიობას.

\* \* \*

ანდრეი ბელის, ალბათ, ყველაზე გახმაურებული ნა-  
წარმოებია რიტმული პროზითა და უჩვეულო პუნქტუა-  
ცია-ტიპოგრაფიკით „შესრულებული“ რომანი „პეტერბურგი“  
 («Петербург» – პირველი რედაქციით 1913 წელს გამოქვეყ-  
ნდა, მეორე რედაქციით, დაახლოებით ერთი-მესამედით  
შემცირებული მოცულობით, 1922 წელს; რომანის ვრცელ  
ანალიზს შეიცავს დიმიტრი მაქსიმოვის წერილი „ანდრეი  
ბელის რომანი-პოემა „პეტერბურგის“ შესახებ, რომელიც  
შეტანილია მაქსიმოვის წიგნში „საუკუნის დასაწყისის რუსი  
პოეტები“ [160]).

ამ მართლაცდა უჩვეულო, ალუზიებით, რემინისცენ-  
ციებით და ცნობიერების ნაკადის ელემენტებით გაჯერებულ  
მოდერნისტულ (და გარკვეული ნიშნებით – პოსტმოდერნის-  
ტულსაც კი) რომანს ნაბოკოვი ჯოისის „ულისეს“ ბადალად  
მიიჩნევდა, ხოლო ბელის ნეკროლოგში, რასაც – პირველი  
– პასტერნაკი აწერს ხელს, წერია: „ეხმიანება რა შეგარძნე-  
ბათა პირველყოფილი სამყაროს აღდგენის ოსტატობით მარ-  
სელ პრუსტს, ანდრეი ბელი აკეთებს ამას მეტი სისავსით და  
მეტად სრულყოფილად. უნდა გვახსოვდეს, რომ ჯეიმს ჯოი-  
სი ანდრეი ბელის მოსწავლეა“ [161].

ვერ გეტყვით, რამდენად მართებულია ასეთი მტკიცება,  
მაგრამ ფაქტია, რომ ამ რომანმა რუსულ ლიტერატურაში  
განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა.

ამასთან, ბელი ამ სრულიად ორიგინალურ ნაწარმოებ-  
შიც, ჩვენი აზრით, ვერ გასცადა ტიუტჩევის მეტამითის

ჩარჩოს: აღნიშნავს რა იმას, რომ ამ ნაწარმოების შინაარსობრივი ნაწილის მთავარი ღირსება მისი ანტიტერორისტული მიზანდასახულობაა, დიმიტრი ლიხაჩოვი ამ რომანის ერთ-ერთი ბოლო გამოცემის (1981 წ.) წინასიტყვაობაში წერს: „პეტერბურგი ბელის „პეტერბურგში“ აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის კი არ არის, არამედ ის აღმოსავლეთიც და დასავლეთიცაა, ანუ მთელი მსოფლიოცაა. რუსულ ლიტერატურაში ბელი პირველად აყალიბებს ასე პრობლემას და სწორედ ამის გამო მისი რომანი ახლა უაქტუალურეს მნიშვნელობას იძენს“ [162].

ძნელია დაბეჯითებით მტკიცება იმისა, თუ რას გულისხმობდა ამ „მთელ მსოფლიოში“ რაფინირებული ინტელიგენტი, დემოკრატი, ნამდვილი „მედასავლეთე“ დიმიტრი ლიხაჩოვი.

\* \* \*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცხოეთში წასული ანდრეი ბელი, გარკვეული (პირადი) მიზეზით, უკან ბრუნდება საბჭოეთში (1923 წელს) და რჩება აქ. თუმცა კომუნისტების მას არ სწყალობენ: ლევ ტროცკი თავისი ბელადობის ფაშს (1922-1923 წწ.) შექმნილ ნაწარმოებში „ლიტერატურა და რევოლუცია“ ბელის ფსევდონიმსაც კი კონრრევოლუციურად მიიჩნევს („თეთრებმა“ გაგვიშრეს სისხლით) და წერს, რომ ბელი „მიცვალებულია და არავითარ სულად ის არ აღსდგება“ [163]... ბოლშევიკურ ხანაში ანდრეი ბელი აღარ არის წამყვანი ლიტერატურული ფიგურა, ის უკანა პლანზეა და 54 წლისა ინსულტით კვდება ყირიმში, კოქტებელში, მაქსიმლიან ვოლოჰინის ყოფილ კერძო აგარაკზე, რომელიც ამ უკანასკნელმა საბჭოთა მთავრობას გადასცა აქ შემოქმედთა დასასვენებელი სახლის მოსაწყობად. საბედისწეროა ის, რომ

ინსულტის მიზეზად მზის დარტყმა იქცა, რაც ანდრეი ბელიმ ინანასწარმეტყველა მის ცნობილ კრებულში „ფერფლი“ («Пепел», 1907) [164]:

Золотому блеску верил,

А умер от солнечных стрел.

Думой века измерил,

А жизнь прожить не сумел.

\* \* \*

1927 წელს ანდრეი ბელი საქართველოს ესტუმრა და სამი თვე დაჰყო აქ. საქართველოდან გამოყოლილ შთაბეჭდილებებს მან მალევე მთელი წიგნი მიუძღვა – „კავკასიიდან მობერილი ქარი“ [165]. მის შემოქმედებას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ „ცისფერყანწელები“ და კერძოდ – ტიცციან ტაბიძე, რომელმაც სპეციალური წერილი მიუძღვნა ბელის შემოქმედებას (მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით) [166]. არსებობს, ასევე, შალვა აფხაიძის მოგონება იმის შესახებ, თუ რა აღფრთოვანებული იყო ტიცციან ტაბიძე ბელის ლექსის („სამშობლოს“) გამო: „ტიციანს ძალიან უყვარდა ანდრეი ბელის ერთ-ერთი ლექსი, რომელსაც ხშირად აწეული ხმით იტყოდა ზეპირად. ამ ლექსს უწოდებდა საუკეთესოს და კითხვისას აქცენტს აკეთებდა სიტყვებზე: «Россия, Россия, Россия». რაღაც ინანასწარმეტყველურ ლექსად თვლიდა მას. გასაგებიც იყო: ამ ლექსში იგრძნობა ადრინდელი ტიცციანის სულიერი მოტეხილობა, იდუმალი, პოეტური ცრემლი თუ სწრაფვა რაღაც შორეულისაკენ, ჯერ შეუცნობლისაკენ“ [167]. ასეთი დამოკიდებულება, ჩვენი აზრითაც, ცოტათი არაადეკვატური იყო, რაც თავის დროს კიდევ შეამჩნია და ირონიულად „მოიხსენია“ (სხვა კრიტიკულ შენიშვნებთან

ერთად) თავის ცნობილ ნერილში ოსიპ მანდელშტამმა [72]:  
 „ცისფერყანწელებზე“ უდავო ზეგავლენა მოახდინა ერთადერთმა რუსმა პოეტმა – ესაა ანდრეი ბელი, რომელიც უცხოელთა მიერ რუსული ყაიდის მისტიკურ ვერბიციკაიად აღიქმება“ (ალბათ, იგულისხმება ანასტასია ვერბიციკაია, რევოლუციამდე რუსეთში დიდად პოპულარული მწერალი, რომელიც „ნიცშეანელ ქალთა“ ემანსიპაციონისტურ საკითხებს ეხებოდა – ნ. ზ.). ამას მოჰყვა ტიცციან ტაბიძის ნერილი, სადაც ის დამამცირებელი ეპითეტებით „ამკობს“ მანდელშტამს [168].

8

ТАК ЗА ЦАРЯ,  
 ЗА РОДИНУ,  
 ЗА ВЕРУ!

# 8



თუკი სიმბოლისტების უმრავლესობა ცარისტული რეჟიმისადმი ორჭოფულად იყო განწყობილი (ერთი მხრივ, ისინი უთუოდ „მისტიკური დერჟავნიკები“ იყვნენ, მაგრამ მეორე მხრივ – მაინც რეჟიმის მიერ დაწესებული სოციალურ-პოლიტიკური შეზღუდვების მიმართ, ამ თუ იმ ხარისხით, კრიტიკულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ), XX საუკუნის დასაწყისში ასპარეზზე გამოდიან ძალიან საინტერესო მოდერნისტი პოეტები, ვისთვისაც მონარქია, ცარის ინსტიტუტი და რუსული მართლმადიდებლობა ერთიანად და თავისთავად რამ საკრალურია, ხელშეუხებელია, ასოცირებს რუსეთის იმპერიის დროშის თეთრ ზოლთან, სითეთრესთან, სისპეტაკესთან.

სწორედ ამიტომ გავიტანეთ ამ თავის სათაურად – კუმკინის ერთ-ერთი ლექსის („სიმღერა გრძნეულ ოლეგზე“ – «Песнь о вещем Олеге») „არანჟირებით“, პირველი მსოფლიო ომის წლებში, შექმნილი – ცნობილი თეთრგვარდიული სიმღერის (თუ მარშის) ცნობილი სიტყვები [169]; რაც, ჩვენი აზრით, ზედმინევენით ზუსტად ასახავს ამ რიგის პოეტების მრწამსისა თუ მსოფლმხედველობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს.

მოდერნისტ პოეტთა შორის, ნიჭიერებითა და შემოქმედების მასშტაბურობით, რა თქმა უნდა, გამოირჩევიან ნიკოლოზ გუმილიოვი, ანა ახმატოვა და მარინა ცვეტაევა.

# ნიკოლოზ გუმილიოვი НИКОЛАЙ ГУМИЛЁВ

1886-1921



**ნ**იკოლაი გუმილიოვი რუსული პოეზიის „ვერცხლის საუკუნის“ [119] კიდევ ერთი გამორჩეული წარმომადგენელი და აკმეიზმის მიმდინარეობის დამაარსებელია. აკმეისტები, სიმბოლისტებისაგან განსხვავებით, ერთგვარ ფენომენოლოგიურ, „საგნების ხელახალი აღმოჩენის“ გზას დაადგინეს; მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის ესთეტიკურ იდეოლოგიას მათ საფუძვლად დაუდეს „საკუთარი უმეცრების ბავშვურად ბრძნული, ტკივილამდე ტკბილი შეგრძნება“; შესაბამისად, აკმეიზმის იდეოლოგიაში ცენტრალური ადგილი ეჭირა ადამს, პირველ ადამიანს და პირველ „აკმეისტს“, რომელიც საგნების არსის ცოდნის გარეშე მათ სახელებს არქმევდა. ამ ჯგუფში, გუმილიოვის გარდა, გაერთიანდნენ ანა ახმატოვა (რომელიც იმ დროს მისი მეუღლე იყო), მანდელშტამი, გოროდეცკი და ზენკევიჩი [170]. გუმილიოვის შემდეგ სტრიქონებში აკმეიზმის კონცეფციის ილუსტრაციაა:

Но забыли мы, что осиянно  
Только слово средь мирских тревог,  
И в Евангелии от Иоанна  
Сказано, что слово – это бог

(აქ, ალბათ, უფროსი სიმბოლისტების შესანიშნავი წარმომადგენლის, ფიოდორ სოლოგუბის (Фёдор Сологуб, 1863-1927) ცნობილი სტრიქონების რემინისცენციაზე თუ მათ გავლენაზეც შეიძლება მივანიშნოთ:

Всё ясно только в мире слова,  
Вся в слове истина дана.  
Всё остальное – бред земного  
Бесследно тающего сна).

მკვლევრები რუსული სიმბოლოზმის „დაისის“ ათ-ვლის წერტილად სწორედ პოეზიის ველზე აკმეიზმის გამოჩენას მიიჩნევენ. აკმეიზმის ესთეტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოეტმა და პროზაიკოსმა მიხეილ კუზმინმა თავისი „კლარიზმის თეორიით“ (claris – (ლათ.) ნათელი, მკაფიო): კუზმინი ფიქრობდა, რომ ხელოვნების ნაწარმოები მაშინაა ჭეშმარიტად მშვენიერი, როდესაც მისი შინაგანი სტიქიური თუ ქაოტური, შინაარსობრივი მხარე გამოსახება ნათელი, მკაფიო სტრუქტურის მქონე ფორმით და ამის მაგალითად მას ჰოფმანისა და პოს შემოქმედება მოჰყავდა. ეს შეხედულებები ერთგვარად აისახა აკმეიზმის პროგრამაშიც (სახელდობრ, ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ურთიერთშესაბამისობის, მათ შორის ბალანსის აუცილებლობის აღიარებაში) [120, 170].

პოლიტიკური შეხედულებებით კი გუმილიოვი ჩვეულებრივი მონარქისტი, „რიგითი დერჟავნიკი“ იყო: მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, სადაც ოფიცრის ნოდებას მიაღწია და მამაცობისათვის წმინდა გიორგის ორი ჯვრითაც დაჯილდოვდა. ყველაზე მკაფიოდ მისი მონარქისტულ-იმპერიალისტური მსოფლმხედველობა სწორედ ამ პერიოდში შექმნილ ლექსებში გამომჟღავნდა: „გუმილიოვის ომის დროინდელი ლექსები პრაქტიკულად არ განსხვავდება იმდროინდელი შოვინისტური ლიტერატურისაგან“, – წერს ლიტერატურისმცოდნე ვლადიმირ ენიშერლოვი [171].

საინტერესოა, რომ 1917 წლის მაისში გუმილიოვი გარკვეული დროით საზღვარგარეთ გაემგზავრა. ეს მივლინება სამხედრო საკითხებთან იყო დაკავშირებული (თუმცა გუმილიოვი აქაც – ლონდონსა და პარიზში – დიდ დროს უთმობდა ლიტერატურას); ისე კი, გუმილიოვი ცნობილი მოგზაურიც იყო და ბევრი ეგზოტიკური, მაგალითად, აფრიკული თემა თუ სახე შემოიტანა რუსულ პოეზიაში,

რის გამოც მას ზოგიერთი ლიტერატორი „ცარსკოე სელოს კიპლინგსაც“ უწოდებდა (გუმილიოვი კრონშტადში დაიბადა, მაგრამ შემდგომ მისი ოჯახი კარგა ხანს ცხოვრობდა ცარსკოე სელოშიც). თვითონ გუმილიოვი კი თავის პოეზიას „შორეული მოგზაურობების მუზას“ ეძახდა.

ამ მივლინებიდან ის საკმაოდ მალე დაბრუნდა – ახლა უკვე საბჭოთა – რუსეთში და 1920 წელს ახლად დაარსებული „სრუალიად რუსეთის მწერალთა კავშირის“ პეტროგრადის განყოფილების თავმჯდომარედაც აირჩიეს (ბლოკის ნაცვლად, რომელიც იმ დროისთვის უკვე მძიმედ იყო დაავადებული).

მიუხედავად ამისა, გუმილიოვი არ მალავდა თავის მრწამსს და, მაგალითად, „მშრომელებთან“ [172] გამართულ პოეზიის ერთ-ერთ საღამოზე, დარბაზიდან დასმულ კითხვაზე – როგორია თქვენი პოლიტიკური მრწამსიო, მან მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უპასუხა: მე უთუოდ მონარქისტი ვარო... აკი, კიდევ დახვრიტეს ბოლშევიკებმა ეს შესანიშნავი პოეტი 1921 წელს, როცა გუმილიოვი 35 წლის იყო...

1906 წელს შექმნილ ლექსში, რომელსაც „იმპერატორს“ ჰქვია, და სადაც თითქოს ერთგვარად სახეცვლილია თუ შენიღბულია სივრცე-დროცა და ლირიკული გმირიც, გუმილიოვის მრწამსი სრულიად გულწრფელადაა გადმოცემული:

Призрак какой-то неведомой силы,  
Ты ль, указавший законы судьбе,  
Ты ль, император, во мраке могилы  
Хочешь, чтоб я говорил о тебе?  
Горе мне! Я не трибун, не сенатор,  
Я только бедный бродячий певец,  
И для чего, для чего, император,  
Ты на меня возлагаешь венец?  
(...)

Старый хитон мой изодран и черен,  
Очи не зорки, и голос Мой слаб,  
Но ты сказал, и я буду покорен,  
О император, я верный твой раб.

რალაც იდუმალი ძალების აჩრდილო,  
ნუთუ შენ, ბედის კანონების მწერალო,  
ნუთუ შენ, იმპერატორო, საფლავის წვდიადში  
მოისურვე, რომ მე ვისაუბრო შენზე?  
ვაგლახ! არც ტრიბუნი ვარ, არც სენატორი,  
მე მხოლოდ ბეჩავი, მოხეტიალე მომღერალი ვარ,  
და, ნეტავ, რისთვის, რისთვის, იმპერატორო,  
შენ მაინცდამაინც მე მადგამ გვირგვინს?

(...)

ჩემი ძველი ქიტონი დაგლეჯილი და შავია,  
თვალთ დამაკლდა და ხმაც დამისუსტდა,  
მაგრამ შენ რახან თქვი, მე გემორჩილები,  
ო, იმპერატორო, მე შენი მონა ვარ მარადის.

თუმცა, ამ ყაიდის ბევრ „შეუნიღბავ“ ლექსსაც იოლად მიაკვლევთ გუმბელიოვის შემოქმედებაში; ასეთია, მაგალითად, „თურქესტანის გენერლები“ («Туркестанские генералы»), სადაც გუმბელიოვი აღფრთოვანებასა და ფაქიზ, დაუფარავ სიყვარულს ამჟღავნებს შუა აზიის დამყრობელი რუსი გენერლებისადმი. ნიშანდობლივია, რომ ეს ლექსი ძალიან მოსწონდა ბლოკს – რაც ირკვევა მის მიერ გუმბელიოვისადმი მიწერილი წერილიდან; ბლოკის ეს წერილი ერთგვარი გამოსხმარებაცაა გუმბელიოვის ლექსების წიგნზე „სხვისი ცა“ – «Чужое небо» (1912) [173]. მოვიყვანთ ნაწყვეტს ამ ლექსიდან:

Под смутный говор, стройный гам,  
Сквозь мерное сверканье балов,  
Так странно видеть по стенам  
Высоких старых генералов.

(...)

Они забыли дни тоски,  
Ночные возгласы: «К оружию»,  
Унылые солончаки  
И поступь мерную верблюжью;  
Поля неведомой земли,  
И гибель роты несчастливой,  
И Уч-Кудук, и Киндерли,  
И русский флаг над белой Хивой.  
Забыли? Нет! Ведь каждый час  
Каким-то случаем прилежным  
Туманит блеск спокойных глаз,  
Напоминает им о прежнем.

ხმაშენყობილ ყაყანში, სიტყვებს რომ ვერ გაარჩევ,  
მეჯლისების რიტმულ ელვარებაში,  
უცნაურია, ხედავდე კედლებთან (კედლებს მიყრდნობილ)  
მაღალ ბებერ გენერლებს.

(...)

მათ დაივიწყეს დარდიანი დღეები,  
ღამეული ამოძახილები: „საბრძოლოდ დადექ“,  
უსახური მლაშობები  
და აქლემების გამოზომილი სვლა;  
უცნობი ქვეყნის მინდვრები  
და უიღბლო ასეულის დაღუპვა,  
და უჩ-კუდუკი, და კინდერლი,  
და რუსული დროშა თეთრი ხივის თავზე.

დაივინყეს? არა! ყოველი საათი ხომ  
 რალაც შემთხვევითი მინიშნებით  
 მშვიდ მზერას ამღვრევს  
 და მათ გარდასულ დღეებს ახსენებს.

(ურ-კუდუკი, კინდერლი, ხივა – რუსეთის იმპერიის მიერ შუა  
 აზიის დაპყრობის „მარშრუტი“, „საკვანძო პუნქტები“).

ურვეულო და ტრაგიკულია ის, რომ პოეტმა ზუსტად  
 იწინასწარმეტყველა თავისი აღსასრული 1918 წელს შექ-  
 მნილ, შესანიშნავ, შთამბეჭდავ ლექსში „მუშა“ («Рабочий»):

Он стоит пред раскаленным горном –  
 Невысокий старый человек.  
 Взгляд суровый кажется покорным  
 От миганья красноватых век.  
 Все товарищи его заснули,  
 Только он один еще не спит:  
 Все он занят отливаньем пули,  
 Что меня с землею разлучит.  
 Кончил, и глаза повеселели.  
 Возвращается. Блестит луна.  
 Дома ждет его в большой постели  
 Сонная и теплая жена.  
 Пуля, им отлитая, просвищет  
 Над седою вспененной Двиной,  
 Пуля, им отлитая, отыщет  
 Грудь мою – она пришла за мной.  
 Упаду, смертельно затоскую,  
 Прошное увижу наяву,  
 Кровь ключом захлещет на сухую,  
 Пыльную и мятую траву.  
 И Господь воздаст мне полной мерой

За недолгий мой и горький век.  
 Это сделал, в блузе светлосерой,  
 Невысокий старый человек.

გუმბელიოვის ბიოგრაფიის ჩვენთვის საინტერესო შტრი-  
 ხია ისიც, რომ მისი ოჯახი 1900-1903 წლებში თბილისში  
 ცხოვრობდა, ამ დროს აკმეიზმის მომავალი ლიდერი აქ ჯერ  
 მე-2, შემდეგ კი 1-ლ გიმნაზიაში სწავლობდა და პირველი  
 ლექსიც თბილისში გამოაქვეყნა – 1902 წელს «Тифлисский  
 Листок»-ში.

ანა ახმატოვა  
АННА АХМАТОВА

1889-1966



ერთ-ერთი უგამორჩეულესი რუსი პოეტის, ანა ახმატოვას დერჟავულ სულისკვეთებას, „ცარსკოე სელოს კიპლინგის“ სულისკვეთებისაგან<sup>1</sup> მცირედ განსხვავებული, უფრო რუსული მართლმადიდებლურ-ნაციონალისტური „შეფერილობა“ ახასიათებს.

ანა ახმატოვა უთუოდ ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო:

О, есть неповторимые слова,  
Кто их сказал – истратил слишком много.  
Неистоцима только синева  
Небесная и молосердые Бога.

1916

ასევე ის რუსეთის ჭეშმარიტი პატრიოტიც გახლდათ; ეს ლექსი მეორე მსოფლიო ომის დროსაა დაწერილი:

Мы знаем, что ныне лежит на весах  
И что совершается ныне.  
Час мужества пробил на наших часах,  
И мужество нас не покинет.  
Не страшно под пулями мертвыми лечь,  
Не горько остаться без крова, –  
И мы сохраним тебя, русская речь,  
Великое русское слово.  
Свободным и чистым тебя пронесем,  
И внукам дадим, и от плена спасем Навеки!

1942

<sup>1</sup> გუმბილიოვმა და ახმატოვამ განქორწინებამდე 8 წელი გაატარეს ერთად.

ჩვენ ვიცით, ამჟამად რაცა დევს სასწორზე და რაც აღესრულება ახლა.  
 სიმამაცის დროს აჩვენებს ჩვენი საათი და სიმამაცე არ მიგვატოვებს.  
 არ გვაფრხობს ტყვიისაგან სიკვდილი, არ გვამნუხრებს უსახლკაროდ დარჩენა, – და ჩვენ დაგიცავთ, რუსულო ენავ, დიადო რუსულო სიტყვავ.  
 თავისუფალს და წმინდას გამოგატარებთ, შვილიშვილებს გადაგცემთ და ტყვეობისგან დაგიხსნით მარადის!

როგორც ზოგიერთი რუსი მკვლევარი წერს, – ახმატოვამ ერთგვარი მესამე გზა აიჩრია: ის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა, მაგრამ – მიუხედავად იმისა, რომ მას არ სძულდა ახალი ხელისუფლება – ის ვერც ბოლშევიკურ უღმერთობასა და სისხლიან რეჟიმს შეეგუა ბოლომდე [174].

კომუნისტებიც ადეკვატურად პასუხობდნენ: როგორც პიოტრ სტრუვეს შვილიშვილმა (ეს სახელიც ნიშანდობლივია – იხ. [4]), გამომცემელმა და მთარგმნელმა ნიკიტა სტრუვემ უწოდა ახმატოვას – ეს „დიდი რუსული თავადაზნაურული კულტურის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი“ ფიზიკურად არ გაუნადგურებიათ, მაგრამ მას მუდმივად ავიწროებდნენ და მრავალი სულიერი ტრავმა მიაყენეს: ახმატოვა 1946-1950 წლებში (იმის მიუხედავად, რომ II მსოფლიო ომის პერიოდში მისი ზოგიერთი პატრიოტული ლექსი კომუნისტური პარტიის მთავარ გაზეთ „პრავდაშიც“ კი იბეჭდებოდა) გარიცხული იყო სსრკ-ის მწერალთა კავშირიდან; მისი ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ შორის ლექსების ცნობილი ციკლი „რეკვიემი“) მხოლოდ მისი

გარდაცველებიდან 20 წლის შემდეგ, გარდაქმნის პერიოდში გამოქვეყნდა. ის თვითონაც წერს მოკლე ავტობიოგრაფიაში: „20-იანი წლების შუა ხანიდან თითქმის შეწყვიტეს ჩემი ახალი ლექსების ბეჭდვა და ძველი ლექსების ხელახალი გამოქვეყნებაც“ [175]; მისი შვილი – შემდგომში ცნობილი ისტორიკოს-ეთნოლოგი, გეოგრაფი, ეთნოგენეზის ისევ და ისევ იმპერიალისტური ქვეტექსტის მქონე, პასიონარული თეორიის ავტორი (ასევე, სპარსული პოეზიის მთარგმნელი) – ლევ გუმილიოვი (Лев Гумилёв, 1912-1992) ორჯერ დააპატიმრეს და მან 12 წელი გაატარა ჩრდილოეთის „ლაგერებში“.

და ეს ყველაფერი ახმატოვას პოეტიკაზეც აისახა: როგორც აღნიშნავს მ. გასპაროვი, ამ დროს ის უბრუნდება „მუქ“, „ნიგნიერ“ სტილს ძველი ახმატოვასი, „ვინც თავის თავს აღიქვამს გარდასული ეპოქის მემკვიდრედ უცხო ლიტერატურულ გარემოში“ [176]. აი, რას წერდა ყოველივე ამასთან დაკავშირებით თავად პოეტი 1959 წელს:

Наградили меня немотою,  
 На весь мир окаянню кляня,  
 Окормили меня клеветою,  
 Опои́ли отравой меня.  
 И, до самого края доведши,  
 Почему-то оставили там.  
 Любо мне, городской сумасшедшей,  
 По предсмертным бродить площадям.

\* \* \*

ანა ახმატოვას ცხოვრება – ეს იყო წმინდა რუსეთის არაამქვეყნიური ხატისადმი თავგანწირული სიყვარულის ერთგვარი გამოსახულება. ის თავის ახლო მეგობარს, მხატ-

ვარ ბორის ანრეპს (Борис Анреп, 1883-1969), რომელმაც ნითლების ხელისუფლებასთან შეგუებას ემიგრაცია არჩია, მიმართავს:

Для чего ты, лихой ярославец,  
Коль еще не лишился ума,  
Загляделся на рыжих красавиц  
И на пышные эти дома?  
Так теперь и кощунствуй, и чванься,  
Православную душу губи,  
В королевской столице останься  
И свободу свою полюби.

რისთვის, ყოჩაღო იაროსლაველო,  
თუკი ჭკუიდან ჯერ არ გადასულხარ,  
გრჩება თვალი ჟღალ ლამაზმანებზე  
და ამ გაპრანჭულ სახლებზე?  
მაშ, ახლა კიდევ იმკრეხელე და იყოყორე,  
დალუპე მართლმადიდებელი სული,  
დარჩი სამეფო დედაქალაქში  
და შეიყვარე შენი თავისუფლება.

(დედაქალაქი - ანრეპი ლონდონში ცხოვრობდა; თავისუფლება - ინგლისური დემოკრატია მართლმადიდებლობის სანაცვლოდ - ნ. ზ.).

იგულისხმება: რუსეთის დატოვება, არსებითად, ეშმაკისთვის სულის მიყიდვის ტოლფასია. ცოტა ხნის შემდეგ იმავე ანრეპს:

Высокомерьем дух твой помрачен,  
И оттого ты не познаешь света.  
Ты говоришь, что вера наша - сон  
И марево - столица эта.

Ты говоришь - моя страна грешна,  
А я скажу - твоя страна безбожна.  
Пускай на нас еще лежит вина, -  
Все искупить и все исправить можно.

სული შენი დაიბინდა ამპარტავნებით  
და ამის გამო შენ ვერ შეიცნობ სინათლეს.  
შენ ამბობ, რომ ჩვენი რწმენა სიზმარია  
და მოჩვენებაა ეს დედაქალაქი.

შენ ამბობ, რომ ჩემი ქვეყანა ცოდვილია,  
მე კი ვიტყვი - უღმერთოა შენი ქვეყანა.  
და თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ გვამძიმებს ბრალი, -  
ყველაფრის მონანიება და გამოსწორება შესაძლებელია.

და სწორედ ეს არის ახმატოვას „სასიცოცხლო კონცეფცია“: დასავლეთი უღმერთოა, რუსეთი - წმიდა; ბოლშევიკური ცოდვების გამოსყიდვა და ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია ერთგულებით, თავგანწირვით...

ასეთი კრედოს გასამყარებლად ახმატოვა ბიბლიასთან ალუზიებსაც არ ერიდება (ბიბლიური ლოთის მარილის სვეტად ქცეულ ცოლს იხსენებს):

Лишь сердце мое никогда не забудет  
Отдавшую жизнь за единственный взгляд.

მხოლოდ ჩემი გული ვერასოდეს დაივიწყებს  
მას, ვინც ერთადერთი გამოხედვისთვის გასწირა  
სიცოცხლე.

აქ ქვეტექსტი გამჭვირვალეა: ცოდვით დაცემული ქალაქი ბოლშევიკური რუსეთია, მაგრამ ის მაინც რუსეთია

და მის უკანმოუხედავად მიტოვებას სიცოცხლის დათმობა სჯობია.

ამ მშვენიერ, პატრიოტულ პოზიციასთან არ შეიძლება სადავო იყოს რამე, გარდა ერთისა – ახმატოვასთვის ძველი რუსეთი ლამის უცოდველია;

ნავიკითხობთ 1935 წელს დაწერილი, „რეკვიემის“ შესავალი ნაწილის სტრიქონები:

Звёзды смерти стояли над нами,  
И безвинная корчилась Русь  
Под кровавыми сапогами  
И под шинами чёрных марушь.

ჩვენს თავზე სიკვდილის ვარსკვლავი იდგა  
და იკრუნჩხებოდა უდანაშულო რუსეთი  
შავი მარუსიების სისხლიანი ჩექმების  
და სალტეების ქვეშ.

(შავი მარუსიები – მეტაფორაა; შავი, როგორც ჩანს, მიანიშნებს როგორც ჭუჭყიან სხეულს, ასევე გაუნათლებლობას და ბნელ, დაუნდობელ სულს; მარუსიები, მარუსია – ქალის გავცელებული სახელი რუსეთში, ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, კვლავ გაუნათლებლობას, აზროვნების პრიმიტიულობას, უკულტურობას მიანიშნებს; იმავდროულად, ეს სახელი ალუზიურიცაა: *маруся – мараюсь, мараются – ვისვრები, გასვრა*).

\* \* \*

ახმატოვას – ანა ანდრეის ასული გორენკოს – ბიოგრაფიის საინტერესო და საგულისხმო შტრიხი ისიცაა, რომ ის დედის მხრიდან თავის წინაპრად ახმად-ხანს, XV საუკუ-

ნის დიდი ურდოს ერთ-ერთ წინამძღოლს მიიჩნევდა, ვისი სახელიც გამოიყენა ფსევდონიმის შერჩევასა.

„მას ჩუმად და უმნიკვლოდ, მოჩვენებითი აღფრთოვანების, დაფდაფებისა და სენტიმენტალობის გარეშე უყვარდა თავისი სამშობლო, მაგრამ ამასთანავე მისთვის სრულიად უცხო იყო შლეგური ნაციონალიზმი და შეუწყნარებლობა სხვა ერების მიმართ“, – წერს დიმიტრი მაქსიმოვი [128].

# მარინა ცვეტაევა МАРИНА ЦВЕТАЕВА

1892-1941



**3**ინც მეტ-ნაკლებად ახლოს არ იცნობს მარინა ცვეტაევას შემოქმედებას, ის ვერასოდეს ნარმოიდგენს, რომ ეს ბრწყინვალე, ფაქიზი, ტანჯული ლირიკოსი [177], რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, ერთმნიშვნელოვნად დერეჟინიკულ-ცარისტული იდეოლოგიის მტარებელი და, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, იმავდროულად ჩეკა/გპუ/ნკვდ-ს ჯაშუშის ცოლი იყო.

იოსიფ ბროდსკიმ მარინა ცვეტაევას XX საუკუნის რუსული პოეზიის „დიად ოთხეულში“ მეორე ადგილი მიაკუთვნა (великая четверка: მანდელშტამი, ცვეტაევა, ახმატოვა, პასტერნაკი); ამასთან, ცვეტაევას ბროდსკი მისთვის ყველაზე ახლობელ პოეტად მიიჩნევდა (იხ. ქვემოთ ექსკურსი) [178]; ხოლო ევგ. ევტუშენკოს შეფასებით, ცვეტაევა არის „დიადი ქალი (великая женщина), შესაძლოა ყველაზე დიადი ქალი მათ შორის, ვინც კი ოდესმე ცხოვრობდა ამქვეყნად“ [179].

\* \* \*

**ექსკურსი:** ბროდსკის, მართლაც, განსაკუთრებით უყვარდა ცვეტაევას პოეზია და მან ვრცელი ესეიც დაწერა ცვეტაევას ერთ ლექსზე („საახალწლო“ «Новогоднее»), რომელიც რილკეს ხსოვნას ეძღვნება და რომლის ადრესატიც რილკეა; რილკესთან მისი სიცოცხლის ბოლოს, 1926 წელს ცვეტაევას და პასტერნაკს მიმონერა ჰქონდათ). ამ ესეში, რომელიც, მიგვაჩნია, რომ ბროდსკიზე უფრო მეტს „მეტყველებს“, კიდრე ცვეტაევაზე – ერთი პასაჟია მნიშვნელოვანი: „ცვე-

ტაევას აზროვნება უნიკალურია მხოლოდ რუსული პოეზიისათვის: რუსული ცნობიერებისთვის ის ბუნებრივია, მეტიც – წინასწარ განსაზღვრულია რუსული სინტაქსით. (...) გარდა ამისა, რუსული პოეტური ტრადიცია მუდამ გაურბის უნუგეშობას – და არა იმდენად უნუგეშობის თანმდევი ისტერიკის შესაძლებლობის გამო, რამდენადაც – მსოფლწესრიგის (...) გამართლების მართლმადიდებლური ინერციის შედეგად. ცვეტაევა კი უკომპრომისო და უკიდურესად არაკომფორტული პოეტია. მისთვის სამყარო და ბევრი რამ, რაც ხდება სამყაროში, მოკლებულია ყოველგვარ გამართლებას, თეოლოგიურის ჩათვლით; რადგან ხელოვნება ბევრად უფრო ძველი და უნივერსალური რამაა, ვიდრე რწმენა, რომელთანაც ის შეუღლებდა, ამრავლებს შვილებს, მაგრამ რომელთან ერთადაც არ კვდება. ხელოვნების სამსჯავრო – უფრო მომთხოვნი სამსჯავროა, ვიდრე განკითხვის დღე. „საახალწლოს“ დაწერის დროისათვის (1927 წ. – ნ. ზ.) რუსული პოეტური ტრადიცია კვლავ ქრისტიანობის მართლმადიდებლური ვარიანტის მიმართ (რომელსაც ის მხოლოდ სამასი წელია, რაც გაეცნო) გრძნობებითაა შეპყრობილი. ბუნებრივია, რომ ასეთ ფონზე პოეტი, რომელიც გაჰყვირის «не один ведь Бог? Над ним другой ведь Бог?» – გაირიყება» [178].

\* \* \*

მარინა ცვეტაევას ყველაზე აშკარა თუ კაშკაშა თეთრ-გვარდიულ-იმპერიალისტური ლექსები (რომლებიც რუსულ ემიგრანტულ გამოცემებში ძირითადად 20-იან წლებში ქვეყნდებოდა) საბოლოოდ თავმოყრილია ორ კრებულში, სათაურებით – «Лебединый стан» და «Перекоп».

Перекоп (პერეკოპი), მოგეხსენებათ, ტოპონიმია (უკრაინული; მას ყირიმულ-თათრული სინონიმებიც გააჩნია) – აღ-

ნიშნავს ყირიმის ნახევარკუნძულის მატერიკთან შემაერთებულ მიწის ვიწრო, სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მონაკვეთს, ყელს; სადაც 1920 წლის ნოემბერში სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა ფრუნზეს წითელ არმიასა და ვრანგელის თეთრ გვარდიას შორის – ცარიზმის ბოლო მნიშვნელოვანი პლაცდარმის – ყირიმისათვის.

აი, «Лебединый стан»-ის გადმოქართულება კი ჭირს. შეიძლებოდა, გვეგულისხმა „გედისებრი აღნაგობა“; მაგრამ «стан» რუსულად ბანაკსაც ნიშნავს, მათ შორის – სამხედრო მნიშვნელობითაც. ცვატაევასეული «Лебединый стан» მეტაფორაა, რაც, ერთდროულად, გედის, გედისებრი სინატიფის, „სითეთრის“, სისუფთავის, უკანასკნელი სიმღერის შინაარსებსაც აკოდირებს და სამხედრო ბანაკის, ბრძოლის, „სითეთრე-სისპეტაკის“ მაღალი იდეალებისთვის თავგანწირვის კონოტაციებსაც შეიცავს; აი, ამ ინტერპრეტაციის ცვეტაევას მიერ 1918 წელს შექმნილი საბუთიც:

Белая гвардия, путь твой высок:

Черному дулу – грудь и висок.

Божье да белое твое дело:

Белое тело твое – в песок.

Не лебедей это в небе стая:

Белогвардейская рать святая

Белым видением тает, тает...

თეთრო გვარდიაჲ, შენი გზა მაღალია:

შავ ლულას ახვედრებ მკერდსა და საფეთქელს.

ღვთიურად თეთრია შენი საქმე:

თეთრი სხეული შენი ებარება ქვიშას.

ცაში გედების გუნდი კი არა:

თეთრგვარდიული ლაშქარი წმინდა

თეთრ ზმანებად დნება, დნება...

ეს კი პირველი ლექსია ამ წიგნიდან, რომლის „იმპერიალისტურობის დონის“ განსაზღვრა მკითხველისთვის მიგვიანდება (ლექსი ცვეტაევამ მეუღლეს, სერგეი ეფრონს მიუძღვნა, რომელიც თავის დროს თეთრგვარდიელების რიგებში იბრძოდა – არ ვიცი, ამ პერიოდში უკვე იყო „შეკრული“ ჩეკასთან, თუ ამის შემდგომ ჩადგა ძერჟინსკის შექმნილი უწყების რიგებში):

На кортике своем: Марина –  
 Ты начертал, встав за Отчизну.  
 Была я первой и единой  
 В твоей великолепной жизни.  
 Я помню ночь и лик пресветлый  
 В аду солдатского вагона.  
 Я волосы гоню по ветру,  
 Я в ларчике храню погоны.

შენს ქორდიკზე (სამხედრო მეზღვაურ ოფიცერთა ხანჯალზე): მარინა –  
 შენ ამოტიფრე, დადექ რა ოტჩინის სადარაჯოზე.  
 მე ვიყავი პირველი და ერთადერთი  
 შენს დიდებულ ცხოვრებაში.  
 მე მახსოვს ღამე და უნათლესი სახე  
 სალდათების ვაგონის ჯოჯოხეთში.  
 მე ქარში თმას ვაფრიალებ,  
 მე პატარა ყუთში ვინახავ „პაგონებს“ (სამხრებს).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ – როგორც ცვეტაევასავე წერილებიდან ირკვევა – პოეტი 1924 წელს ამ კრებულის გამოცემისათვის ხელშეწყობას პიოტრ სტრუვეს სთხოვდა (სტრუვე მაშინ ემიგრანტული რუსულენოვანი ჟურნალის „რუსული აზრი“ – «Русской Мысль» – რედაქტორი იყო, სადაც ის ცვეტაევას ლექსებსაც ბეჭდავდა და მცირე ჰონო-

რარსაც უხდიდა ავტორს). საბოლოოდ, ეს წიგნი სრული სახით დიდი ხნის შემდეგ, გასული საუკუნის 50-იან წლებში მიუნხენში გამოიცა, პიოტრ სტრუვეს შვილის, ემიგრანტი ლიტერატორის, გლებ სტრუვეს ხელშეწყობით. საერთოდ, ამ წიგნმა დიდი თავგადასავალი გამოიარა [180]. აქვე შეიძლება ვახსენოთ ცვეტაევას მიერ გლებ სტრუვესადმი 1923 წელს გაგზავნილი ერთ-ერთი წერილის ნიშანდობლივი მონაკვეთი, სადაც ცვეტაევა წერს, რომ მას დიდად არ უყვარს „ევეგენი ონეგინი“ და ძალიან უყვარს დერჟავინი [181].

წავიკითხოთ ამ ლექსის ფრაგმენტებიც, რომელიც ცვეტაევამ თეთრგვარდიელებზე დაწერა, თუმცა ბოლშევიკური „რევოლუციის“ პირველ წლებში მას სახელი გადაარქვა (დაარქვა „წითელი ოფიცრის შესახებ“) და წარმატებით უკითხავდა მას წითლების სხვადასხვა აუდიტორიას 20-იანი წლების დასაწყისში (ემიგრაციამდე):

Есть в стане моем – офицерская прямоть,  
 Есть в ребрах моих – офицерская честь.  
 На всякую муку иду не упрямясь:  
 Терпенье солдатское есть!  
 Как будто когда-то прикладом и сталью  
 Мне выправили этот шаг.  
 Недаром, недаром черкесская талья  
 И тесный ремённый кушак.  
 (...)  
 И так мое сердце над Рэ-сэ-фэ-сэром  
 Скрежещет – корми-не корми! –  
 Как будто сама я была офицером  
 В Октябрьские смертные дни.

ჩემ აღნაგობაში არის ოფიცრის გამართულობა, არის ჩემს ნეკნებში ოფიცრის ღირსება.

ყოველი სატანჯველისკენ მივდივარ უყოყმანოდ:  
საღდათის მოთმინებაც მაქვს.

თითქოსდა ოდესღაც კონდახითა და ფოლადით  
მასწავლეს მწყობრი ნაბიჯით სვლა.

ტყუილად კი არ მეზობა ჩერქეზული წელი  
და ვინრო საქამრე „კუშაკი“ (სარტყელი).

(...)

და ასე ჩემი გული რე-სე-ფე-სერისთვის

(= საბჭოთა რუსეთისთვის)

ძგერს – მშიერი ვარ თუ მაძლარი! –

თითქოს მე თვითონ ვიყავი ოფიცერი

ოქტომბრის (= ბოლშევიკური გადატრიალების)

საბედისწერო დღეებში.

როგორც ხედავთ, აქ ცვეტაევას „ჩერქეზების წელით“  
და „კუშაკით“ მოაქვს თავი, იმ ჩერქეზებისა, რომელთა სის-  
ხლით მორწყა კავკასიონის მიწა დერჟავამ.

აი, კიდევ ერთი ასეთი და უფრო უარესი, 1918 წელს  
ბოლშევიკების მიერ ნიკოლოზ II-ის ოჯახის ბარბაროსულ  
ამონყვეტამდე 3 თვით ადრე დაწერილი; ამ ლექსზე ცვე-  
ტაევას მინაწერიც გაუკეთებია – „7 მაისი, 1918, აღდგომის  
მე-3 დღე (მას კი სამ თვეზე ნაკლები სიცოცხლე რჩებოდა)“;  
გასაგებია, რომ იგულისხმება ნიკოლოზ II:

Это просто, как кровь и пот:

Царь – народу, царю – народ.

Это ясно, как тайна двух:

Двое рядом, а третий – Дух.

Царь с небес на престол взведен:

Это чисто, как снег и сон.

Царь опять на престол взойдет –

Это свято, как кровь и пот.

ეს მარტივია, როგორც სისხლი და ოფლი:

ცარი – ხალხისთვის, ხალხი – ცარისთვის.

ეს ნათელია, როგორც ორთა საიდუმლო:

ორი გვერდიგვერდ, მესამე კი – სული.

ცარი ზეცითაა ტახტზე აყვანილი:

და ეს სუფთაა, როგორ თოვლი და სიზმარი.

ცარი ისევ ავა ტახტზე:

და ეს წმინდაა, როგორც სისხლი და ოფლი.

იგულისხმება: ცარი მამა-ლმერთია, რუსი ხალხი –  
ძე-ლმერთი, მესამე კი, რუსული «Дух» – სული წმიდა (აი,  
ეს არის ის სუპერსაკრალიზაცია, რაზეც ზემოთ ვსაუბრობ-  
დით).

საინტერესოა ასეთი ისტორიული „წიაღსვლაც“ პეტრე  
I-ის შესახებ:

Вся жизнь твоя – в едином крике:

На дедов – за сынов!

Нет, Государь Распроеликий,

Распорядитель снов,

Не на своих сынов работал, –

Бесам на торжество!

(...)

Родоначальник – ты – развалин,

Тобой – скиты горят!

Твоею же рукой провален

Твой баснословный град.

(...)

Ты, Государь – кустарь!

Державного однофамильца

Кровь на тебе, бунтарь!

Но нет! Конец твоим затеям!

У брата есть – сестра...

На Интернационал – за терем!

За Софью – на Петра!

მთელი შენი ცხოვრება ერთიანი შეძახილია:  
დასცხეთ პაპებს – ძეებისათვის!  
არა, ხელმწიფევ, ვითომ დიადო,  
სიზმრების განმგებლო,  
შენი ძეებისათვის კი არ გიღვანია,  
არამედ – ქაჯების საზეიმოდ!

(...)

შენ ხარ ნანგრევების ფუძემდებელი,  
ძველი სავანეები იწვის!  
შენივე ხელით ჩაიქცა  
შენი საარაკო ქალაქი (= პეტერბურგი).

(...)

შენ ხარ კუსტარული (უხეირო) ხელმწიფე!  
დერჟავული მოგვარის (= ნიკოლოზ II-ის)  
სისხლი შენზეა, მემამბოხე!  
მაგრამ არა! დასრულდა შენი წამოწყებები!  
ძმას ჰყავს და...

დაჰკარ ინტერნაციონალს – რუსული ქოხისთვის!  
დაჰკარ პიოტრს (პეტრე I-ს) – სოფიასათვის!

*(იგულისხმება პეტრე I-ის და, სოფია აღექსევენა, რომელიც ძმის მცირეწლოვანების პერიოდში, რეგენტის როლში შვიდი წლის განმავლობაში მართავდა რუსეთს, შემდგომ კი პეტრე I-მა მონასტერში გამოკეტა, სადაც მონაზვნად აღიკვეცა და სიცოცხლის ბოლოს დიდი სქიმაც მიიღო; იგი სტაროვერების ერთ-ერთ სათაყვანებელ პაროვნებად იქცა).*

ცვეტაევა ფიქრობს, რომ პეტრე I-ის პროდასავლური ორიენტაციის გამო მოხდა რევოლუცია, მის კისერზეა ნიკოლოზ II-ის სისხლი და 1917 წელს დერჟავის რღვევა: რუსეთი ჩამორჩენილ, პატრიარქალურ, „სტაროვერულ“ მდგომარეობაში რომ დარჩენილიყო, მსგავსი არაფერი მოხ-

დებოდა. ამაზე მეტად რეაქციული „პოეტური პოზიციის“ წარმოდგენაც კი ძნელია.

დაკვირვებული მკითხველი აქ ნიკოლოზ ტრუბეცკო-ის „ევრაზიულობის“ ძირითად პოსტულატებსაც იოლად ამოიკითხავს (იხ. ზემოთ ვლადიმირ სოლოვიოვისადმი მიძღვნილი თავი).

აღსანიშნავი ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირს – მთელი თავისი სიმხეცის, დაუნდობლობის და ტერორის, ასევე, მკაფიო იმპერიალისტური „ხასიათის“ მიუხედავად – ფორმალურად მაინც, რუსეთის იმპერიაზე გაცილებით უფრო მეტად დემოკრატიული სამართლებრივი საფუძველი გააჩნდა: რესპუბლიკებს ჰქონდათ გარკვეული თვითმმართველობა, ფორმალური, მაგრამ მაინც რუკებზე ოფიციალურად აღნიშნული საზღვრები (გეოგრაფიულად მეტ-ნაკლებად მკაფიოდ განსაზღვრული იურისდიქციის არე) და სახელმწიფოებრიობის ზოგიერთი სხვა სიმბოლო; ხოლო სსრკ-ის კონსტიტუცია, სიტყვით მაინც, აღიარებდა თვითგამორკვევის, ანუ – სსრკ-ის შემადგენელი 15 ეგრეთ წოდებული „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისთვის“ კავშირიდან გასვლის შესაძლებლობას, რითაც კიდევ ისარგებლეს „სსრ-ებმა“ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში.

\* \* \*

ცვეტაევას მონარქისტული ყაიდის იმპერიალისტობა არავისთვის დაფარული არ ყოფილა და არ არის:

ინგლისურენოვან ვიკიპედიაში პოეტის პოლიტიკური მრწამსი მარტივად და ნათლად არის განსაზღვრული – იმპერიალიზმის მხარდამჭერი, ანტიბოლშევიკური [182].

ასეა, მაგრამ „ანტიბოლშევიკური“ შესაძლოა ოდნავ გადაჭარბებულიც იყოს – ყოველ შემთხვევაში, ცვეტაევას

რეპატრიაციის (საბჭოთა რუსეთში დაბრუნების) პირველი პერიოდის დასახასიათებლად.

მართალია, თავიდან ცვეტაევა ვერაფრით შეურიგდა ბოლშევიკებს და 1922 წელს ემიგრაციაში წავიდა, სადაც ის, სხვათა შორის, დაუახლოვდა რუსეთის „ევრაზიულობის“ კონცეფციის მიმდევრებს და მათ ფართო ქსელს, რაც 30-იანი წლების ბოლომდე არსებობდა ევროპაში, და რომლის მემარცხენე ფრთაში „ჩანერგილი“ იყო სერგეი ეფრონიც – ცვეტაევას მეუღლე; ამ ქსელის დაშლას, მისი რამდენიმე ლიდერის სსრკ-ში დაბრუნებას და აქ მათ ლიკვიდაციას მკვლევართა ნაწილი სწორედ ეფრონის „ემიგრანტულ მოღვაწეობას“ უკავშირებს.

XX საუკუნის „ევრაზიულობასა“ და „ევრაზიელებზე“, რასთანაც დაკავშირებული იყო რუსული ემიგრაციის არა ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა (მოაზროვნე, ფილოსოფოსი, მწერალი და სხვ.), ასევე, ამ მიმდინარეობასთან ეფრონის დამოკიდებულებაზე ბევრი დაინერა [183]. საინტერესო ისიცაა, რომ ამ დოქტრინასთან და ორგანიზაციების შესაბამის ქსელთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და 1931 წლიდან მისი ერთ-ერთი ლიდერიც კი გახდა 1916-1917 წლებში რუსეთის არმიის ოფიცერი, შემდგომში კი ემიგრანტი, რუსულენოვანი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი და პროზაიკოსი კონსტანტინე ჩხეიძე [184].

მაგრამ დავუბრუნდეთ ცვეტაევას: ის 1939 წელს ბრუნდება საბჭოეთში (და სადგურშივე იგებს დის დაპატიმრების ამბავს). ცვეტაევას დაბრუნების მიზეზად რუსი მკვლევრები ძირითადად ემიგრაციაში ყოფნისას პოეტის ეკონომიკურ გაჭირვებას ასახელებენ; ასევე – იმას, რომ რუსულმა ემიგრაციამ „გაშიფრა“ ბოლშევიკური რუსეთის ჯაშუში სერგეი ეფრონი, რის გამოც მას იქ აღარ დაედგომებოდა (ბედის ირონიაა ის, რომ ეს ადამიანი ბოლშევიკებმა, ისევ და ისევ, ჯაშუშობის ბრალდებით დახვრიტეს) [185].

ყოველივე ამასთან დაკავშირებით გამოვთქვამთ ვარაუდს: ცვეტაევას ემიგრაციიდან საბჭოეთში დაბრუნებას შესაძლოა იმანაც მისცა ბიძგი, რომ პოეტი დარწმუნდა (იქნებ ის ამაში მისმა მეუღლემაც დაარწმუნა) ბოლშევიკების იმპერიალისტურ ზრახვებში; აი, ფრაგმენტი იმ პერიოდში დაწერილი ერთ-ერთი ლექსისა, რომელიც ცვეტაევამ – „არქტიკის გმირებს“ – „ჩელუსკინელებს“ მიუძღვნა (1933 წლის ბოლოსა და 1934 წლის დასაწყისში არქტიკის ყინულების „ტვეობაში“ მოხვედრილ მკვლევრებს, ექსპედიციის დამხმარე პერსონალს და მათ გადამრჩენ მფრინავებს):

«Европа, глядишь?

Так льды у нас колются!»

Щекастый малыш,

Спеленатый – полюсом!

(...) Сегодня – смеюсь!

Сегодня – да здравствует

Советский Союз!

За вас каждым мускулом

Держусь – и горжусь,

Челюскинцы – русские!

„ევროპავ, ხედავ?

ასე იჭრება ყინული ჩვენში!“

ლოყებლაჟლაჟა ჩვილი,

პოლუსით შეხვეული!

(...)

დღეს – ვიცინი!

დღეს – გაუმარჯოს

საბჭოთა კავშირს!

თქვენა ხართ ჩემი მთავარი საყრდენი,

გეჭიდებით – ვამაყობ თქვენით,  
ჩელუსკინელებო – რუსებო!

ამ ნაწყვეტის პირველი სტროფი მეტად საგულისხმო სიმბოლო-მინიშნებებს შეიცავს: სსრკ-ს ძალუძს, მოერიოს არქტიკულ ყინულებსაც კი, რისი სიმბოლოცაა ლოყებლაჟ-ლაჟა ჩვილი (ერთ-ერთ „მედრეიფე“ ქალბატონს მაშინ, მართლაც, შეეძინა შვილი), რომელიც თავად დედამიწის პოლუსითაა შეხვეული (ეს სიმბოლო შესაძლოა, ალუზიურიც იყოს – ვიარჩესლავ ივანოვის ზემოთ მოყვანილ „ღვთაებრივ ჩვილზეც“ მინიშნებდეს).

\* \* \*

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც არსებობს ემოციური ზღვარი... 1941 წელს ქმრის დახვრეტას და ქალიშვილის (არიადნას, იმავე ალიას) დაპატიმრებას, რომელიც მამის მსგავსად ჯაშუშობის მუხლით იყო გასამართლებული, პოეტის ისედაც გატანჯულმა, მრავალჭირგამოვლილმა სულმა ველარ გაუძლო (მას უმცროსი ქალიშვილი ირინა, რომლის დაპურება მძიმე წლებში დიდად გაუჭირდა, და რომელიც მან ამის გამო ბავშვთა სახლს მიაბარა, ამ სახელმწიფო დაწესებულებაში 1920 წელს შიმშილისაგან მოუკვდა:

Светлая – на шейке тоненькой –  
Одуванчик на стебле!  
Мной еще совсем не понято,  
Что дитя мое в земле. [192])...

მარინა ცვეტაევამ იმ თოკზე ჩამოიხრჩო თავი, რომელიც მისმა მეგობარმა ბორის პასტერნაკმა მიუტანა ჩემოდნის შესაკრავად მაშინ, როდესაც ის ბარგს აგროვებდა ევაკუაციაში, მდ. კამის ნაპირებზე მდებარე პატარა ქალაქ

ელაბუგაში გასამგზავრებლად. ამ დროს პასტერნაკს შეუქია თოკის სიმაგრე და თან კიდევ უხუმრია – თოკი ყველაფერს გაუძლებს, გინდა თავის ჩამოსახრჩობად გამოგიყენებიაო... მას შემდეგ, რაც შეიტყო ის, რომ ცვეტაევას სწორედ ეს თოკი გამოუყენებია თვითმკვლელობისთვის, პასტერნაკმა დიდხანს ვერ აპატია თავის თავს ეს საბედისწერო ხუმრობა [179].

\* \* \*

რუსეთში დაბრუნებულ, მეტისმეტად შეჭირვებულ ცვეტაევას, პასტერნაკის შუამდგომლობით, მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობაში (ე. წ. გოს-ლიტიზდატში, ამჟამად – გამომცემლობა «Художественная литература») თარგმანის სფეროში ასაქმებდნენ. ამ დროს მან თარგმნა ვაჟა ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“ (რომელიც, ასევე, თარგმნა – და ჩვენი აზრით, უკეთესადაც – მანდელ-შტამმა), „ეთერი“ და „დაჭრილი ვეფხვი“. ამასთან, ცვეტაევა თურმე ქართული ენის სირთულეს უჩიოდა, რაც გაუგებარი არ არის [187].



— ინფორმაცია  
 კონსტრუქციული  
 ინფორმაცია

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთში ფუტურიზმიც კი „განსაკუთრებული“, რუსული გზით განვითარდა და ეს ეხება არა მხოლოდ პოეტიკას (რაც, მართლაც, ბევრი სიახლით გაამდიდრა რუსულმა ფუტურიზმმა), არამედ – იდეოლოგიასაც.

გასაკვირი ის კი არაა, რომ რუსული ფუტურიზმი მიესაღწეოდა ომს, რევოლუციას, ძველის ნგრევას, ბრბოს „დანინაურებას“ – არა, ეს ყველაფერი ლამის სიტყვასიტყვით იყო „გადმოწერილი“ ფუტურიზმის „თეორიული საფუძვლებიდან“, ზედმინევენით ზუსტად შეესაბამებოდა ფუტურიზმის ესთეტიკას. გასაკვირია ისაა, რომ ამ, თავისი არსით, „ზეკაცურმა“, „ინტუიციურმა“ და ანარქიულმა მიმდინარეობამ რუსეთში დერჟავულ-ნაციონალისტური ფერისცვალება განიცადა და ამგვარად რუსული ფუტურიზმი „დომინანტი იდეოლოგიის“ სამსახურში ჩადგა, მის რუპორად იქცა; რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, წითელი იმპერიის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, რუსულმა ფუტურიზმმა არა ერთი ნიჭიერი პოეტის სახელი შეჰმატა პოეზიის ისტორიას, მათ შორის ორი სრულიად გამორჩეული – ველიმირ ხლეზნიკოვი და ვლადიმირ მაიაკოვსკი.

# ველიმირ ხლებნიკოვი ВЕЛИМИР ХЛЕБНИКОВ

1885-1922



**3**ელიმირ ხლებნიკოვი, ჩვენი აზრით, რუსული პოეზიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და საინტერესო პოეტია. მან სახელი გაითქვა, როგორც რუსული ფუტურიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელმა და რუსული პოეტური ენის რეფორმატორმა. იმ დროს რუსულ ლიტერატურულ ასპარეზზე რამდენიმე ფუტურისტული ჯგუფი გამოჩნდა. ხლებნიკოვი – მაიაკოვსკისთან, ძმებ ბურლიუკებთან, კრუჩონისთან და სხვებთან ერთად – გაერთიანდა ე. წ. კუბოფუტურისტების ჯგუფში: რუსი მკვლევრები სწორედ ამ ჯგუფის წარმომადგენლებს მიიჩნევენ მკაფიო და თანმიმდევრულ ფუტურისტებად.

ხლებნიკოვი „სიტყვათშემოქმედების“ (словотворчество) და „ზაუმის“ (заямы) ერთ-ერთ ფუძემდებლადაც მოგვევლინა: „ზაუმური“, ანუ გონების მიღმიერი ლექსი წმინდა რუსული ფენომენი იყო, მარტივად თუ ვიტყვით – ამ დროს ხდება კონვენციური ფონეტიკურ-სინტაქსური ქსოვილის რღვევა, ჩვეულ კონსტრუქციებს უჩვეულოები ანაცვლებს და მკითხველს ტექსტის ემოციური ინტერპრეტაციისათვის ფართო ადგილს უტოვებს.

„ზაუმის“ კონცეფცია მჭიდროდ უკავშირდება რუსი ფუტურისტების შეხედულებას პოეზიაში სიტყვის მნიშვნელობის შესახებ: მათთვის სიტყვა ლექსის „საშენი მასალა“ არ არის, სიტყვას თავისთავადი ესთეტიკურ-ინფორმაციული ღირებულება გააჩნია, მათ შორის, როგორც ფუტურისტების მანიფესტიდანაც ჩანს – „მითისმქმნელიც“. „(...) ბუდეტლიანელ [188] ფერმწერებს უყვართ სხეულის ნაწილების, ქრილების გამოყენება, ხოლო მეტყველების ბუდეტლიანელ

შემოქმედებს (печетворцы) – დაჩეხილი სიტყვების, ნახევრადსიტყვების და მათი უცნაური, თავსატეხი შეხამებებისა (ზაუმური ენა)“, – წერია ბუდეტლიანელთა კრუჩონიხის და ხლებნიკოვის მიერ შედგენილ კიდევე ერთ მანიფესტში თუ დეკლარაციაში [195]. ამ ყაიდისაა ხლებნიკოვისეული ერთ-ერთი ცნობილი, მშვენიერი ლექსი, რომელსაც „ჭრიჭინა“ ჰქვია:

Крылышкүя золотиписьмом  
Тончайших жил,  
Кузнечик в кузов пуза уложил  
Прибрежных много трав и вер.  
«Пинь, пинь, пинь!» – тарарахнул зинзивер.  
О, лебедиво!  
О, озари!

აქ პოეტი, ვიზუალური ასოციაციებით გამოწვეულ, სიტყვებითა და ბგერებით თამაშში ჩართვას გვთავაზობს; ეს თამაში მარტივი არ არის, მაგრამ იმავდროულად „ჰაეროვანი“ თუ ელევანტურია: მხოლოდ ერთს განვმარტავთ – „ზინზივერი“ წინკანას რუსულ-ხალხური სახელია; ამასთან, ამ ფრინველს რუსეთში ჭრიჭინასაც (кузнечик) ეძახიან.

\* \* \*

ხლებნიკოვი კატეგორიულად უარყოფდა რუსული ფუტურიზმის ევროპულ წარმომავლობას. მან ამის დემონსტრირებაც მოახდინა, როდესაც არ დაესწრო 1914 წლის დასაწყისში რუსეთში ვიზიტად მყოფი – „ფუტურიზმის მამის“ – ფილიპო ტომაზო მარინეტის ლექციებს [190]. ამის მიუხედავად, მისი მსოფლალქმა თუ შეხედულებები ფუტურიზმისათვის ჩვეული ჰიპერბოლურობით ხასიათდებოდა და იმავე ძირითადი წყაროებით იკვებებოდა: ნიცშე, ბერგსონი,

ბაკუნინი. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ხლებნიკოვთან ამ ყველაფერს სლავიანოფილური და, ალბათ, რუსული შოპინისტური ელფერიც დაჰკრავდა.

1908 წლის ბოსნიური კრიზისის დროს ხლებნიკოვი საზოგადოებას პანსლავისტურ აგიტატორადაც კი მოეგლინა [191]; ამ პერიოდშივე იქმნება მისი ლექსი – რუსული მოდერნიზმისთვის უკვე ტრადიციად ქცეული სათაურითა და შინაარსით – „სკვითური“. ხლებნიკოვის სლავანოფილობამ პირველი მსოფლიო ომის დროსაც მკაფიოდ იჩინა თავი; მის შესახებ ლიტერატურისმცოდნე მარკ პოლიაკოვი ხლებნიკოვის ერთტომეულის შესავალ ნარკვევში წერს [192]: „1914-1917 წლები ხლებნიკოვის შემოქმედებაში გარდამავალი პერიოდია. რუსეთის თანამედროვე ისტორიის გამოცდილებით გაცისკროვნებული და იმპერიალისტური სასაკლავოს შემლილობით გონებაშერყეული – პოეტი აჯამებს ყველა თავის ნაფიქრ-ნააზრევს. ომმა იგი ომის მხუთავი გონებადაბინდულობიდან გამოაფხიზლა; გამოაფხიზლა იგი ბევრი მცდარი შეხედულებიდანაც, რასაც სლავანოფილური შეფერილობა ჰქონდა“.

ეს შეფასება ცოტათი უზუსტოდ გვეჩვენება; ვფიქრობთ, თუკი „სლავიანოფილობის“ ფართო (არა ვინრო, ცარისტულ-მილიტარისტულ) გაგებას მოვიშველიებთ, ხლებნიკოვი ბოლომდე სლავიანოფილად დარჩა.

სლავური თუ რუსული უპირატესობის კომპლექსი ხლებნიკოვის სულიერ სამყაროში ზემამბიციურ-ეპატაჟური მიდრეკილებებითაც მძაფრდებოდა. ხლებნიკოვმა თავის თავს „მსოფლიოს თავმჯდომარის ტიტულიც“ უბოძა: ამ უტოპიის თანახმად, უნდა შექმნილიყო კულტურის მოღვაწეთა მსოფლიო კავშირი („დედამინის თავმჯდომარეთა საზოგადოება“), რომლის 317 წევრიც მსოფლიო ჰარმონიის იდეას „დანერგავდა“ (ეს ციფრი ხლებნიკოვს აკვიატებული ჰქონდა – „317“

საკრალურად მიაჩნდა და იგი ამ ციფრს იყენებდა უცნაური, ისტორიული „გამოთვლებისთვისაც“) [193, 194].

თუმცა, ჩვენთვის აქ მთავარი ისევ და ისევ „რუსული აზიურობის“ (= ევრაზიულობის = განსაკუთრებული რუსული გზის) მითის განვითარებაა: „დღეს ზოგიერთი აბორიგენი და ნევაზე გაშენებული იტალიური დაბა (იგულისხმება სანქტ-პეტერბურგი - ნ. ზ.) (...) მარინეტის ფეხებს უკოცნიან, რითაც დალატობენ რუსული ხელოვნების მიერ თავისუფლებისა და ღირსებისაკენ გაგადგმულ პირველ ნაბიჯს და ცდილობენ, ევროპის უღლისაკენ მოხარონ აზიის კეთილშობილი ქედი“, - ეწერა ხლებნიკოვისა და ბენედიქტ ლივშიცის (Бенедикт Лившиц, 1887-1938) - პოეტისა და მთარგმნელის, შემდგომში საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის - მიერ შედგენილ პროკლამაციაში, რომელიც მარინეტისთან ერთ-ერთ შეხვედრაზე გავრცელდა [195].

1920 წელს იქმნება ამ იდეოლოგიის ორიგინალური ილუსტრაცია - პოემა „რაზინი“, სადაც ყველა სტრიქონი პალინდრომია:

Сетуй, утѣ!  
Утро чорту!  
Мы, низари, летели Разиным.  
Течѣт и нежен, нежен и течѣт,  
Волгу див несѣт, тесен вид углов да а.შ.

გასაკვირი არაა, რომ ხლებნიკოვის მსოფლალქმა 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იანი წლების დასაწყისის რევოლუციურ იდეებს ჰარმონიულად შეერწყა. მოვიტანოთ, ფრაგმენტი მისი ლექსიდან „ახალგაზრდობის კავშირს“:

Русские мальчики, львами  
Три года охранявшие народный улей,  
Знайте, я любовался вами,  
Когда вы затыкали дыры труда  
Или бросались туда,

Где львиная голая грудь -  
Заслон от свистящей пули.

რუსო ბიჭებო, ლომებივით  
სამი წელი რომ იცავდით სახალხო სკას,  
იცოდეთ, მე ვტკბებოდი თქვენი ცქერით,  
როდესაც თქვენ შრომის ხვრელებს ავსებდით  
ან იქით გასწევდით,  
სადაც ლომის შიშველი მკერდი  
არის ფარი მსტვინავი ტყვიებისაგან.

\* \* \*

ამ პერიოდში ხლებნიკოვი კიდევ უფრო „უახლოვდება“ აზიას: ესწრება აზიის ხალხების ყრილობას ბაქოში, შემდეგ კი სპარსეთში განაგრძობს „საქმიანობას“. 1920 წლის აპრილში ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვასთან, გილიანის პროვინციაში წითელი რუსეთის პროვოცირებულმა ანტისახელისუფლებო აჯანყებამ იფეთქა. იმავე წლის 5 ივნისს აქვე გამოცხადდა გილიანის საბჭოთა რესპუბლიკის „დაბადება“. ამას მოჰყვა ის, რომ 1921 წლის დასაწყისში ბოლშევიკებმა ბაქოში ჩამოაყალიბეს სპარსული წითელი არმია და გაგზავნეს კიდევ ის სპარსეთში. ხლებნიკოვი არმიაში „ლექტორის რანგით“ ჩაენერა და გაჰყვა ჯარს თეირანის ასაღებად. თუმცა, ხანმოკლე თავგადასავლების შემდეგ მას 1921 წელსვე უკან დაბრუნება მოუწია: ბოლშევიკების სპარსული კამპანია მალევე მიინავლა (საინტერესოა აღინიშნოს, რომ სპარსეთის წითელ არმიას, ავადსახსენებელი მე-11 არმიის „ხელდასმით“, მოკლე დროით ვასილ კარგარეთელი მთავარსარდლობდა - რუსეთის იმპერიის პოლკოვნიკი, შემდგომ კი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ატაშე აზერბაიჯანში და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალიც; თუმცა, ორჯონიკიძემ ის მალევე გაათა-

ვისუფლა დაკავებული თანამდებობიდან [191, 196, 197]).

ამ პერიოდშია შექმნილი ლექსი „შრომის ნავრუზი“, რომელიც გვაუწყებს, რომ ირანელი ქალები თურმე ბალაღაიკის ხმის გაგონებას ნატრობდნენ:

Это день мирового Байрама.  
Поодаль, как будто у русской свободы на паперти,  
Ревнивой темницею заперты,  
Строгие, грустные девы ислама.  
Черной чадрую закутаны,  
Освободителя ждут они.

(...)

Так смуглые воины горных кочевий  
По-братски несутся, держась за нагайку,  
Под низкими сводами темных деревьев,  
Под рокот ружейный и гром балалайки.

ეს არის მსოფლიო ბაირამის დღე.  
მოშორებით, თითქოს რუსული თავისუფლების

წინკარში მიყუჟულან

ეჭვიანობის დილეგში დამწყვდეული,  
ისლამის მკაცრი, ნალვლიანი ქალწულები.  
შავი ჩადრით დაბურულები  
გამათავისუფლებელს ელოდებიან ისინი.  
(...)

შავგვრემანი მომთაბარე მეომრები ასე  
ძმურად მოქრიან, მათრახებით ხელში,  
მუქი ხეების დაბალ თალებქვეშ,  
თოფების გრაილით და ბალაღაიკის ქუხილით.

ამგვარად, „გვიანდელი ხლებნიკოვი“, ფაქტობრივად, ტროცკის მსოფლიო რევოლუციის მანიაკალური იდეის მიმდევარიც და შეძლებისდაგვარად განმხორციელებელიც იყო, ოღონდ – ნაციონალისტური „ქვეტექსტებით“ (მეორე

მხრივ, თვით ეს იდეა თუ idee fixe-ც, რუსული მესიანისტური „თეორიის“ ერთ-ერთ განშტოებად თუ ინტერპერტაციადაც შეიძლება მოვიხაზოთ). ისიც საგულისხმოა, რომ ხლებნიკოვმა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისას მხოლოდ სახელი შეიცვალა: „უბრალო“ ვიქტორი „დერჟავულ“ ველიმირად იქცა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ის უთუოდ სრულიად გამორჩეული შემოქმედი იყო და ასეთ ბრწყინვალე სტრიქონებსაც ქმნიდა:

Мне мало надо!  
Краюшку хлеба И каплю молока.  
Да это небо,  
Да эти облака!

(ეს მინიმალისტური ლექსი შესანიშნავად თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა... სიზმარში – როგორც თვითონ „ალიარებს“ მისი წიგნის „ვერცხლის საუკუნე + ბროდსკი“ წინასიტყვაობაში; ამ კრებულშია თავმოყრილი, ასევე, ანენსკის, ვოლოშინის, გუმილიოვის, მანდელშტამის, პასტერნაკის და ცვეტაევის ლირიკული ლექსები და მათი თარგმანი + ბროდსკისა და პასტერნაკის პოეზიას წიგნის უმეტესი ნაწილი უჭირავს [198]).



ველიმირ ხლებნიკოვი.  
ავტოპორტრეტი

ვლადიმერ მაიაკოვსკი  
ВЛАДИМИР МАЯКОВСКИЙ



1893-1930



**3** ლადიმერ მაიაკოვსკი ახალი, ბოლშევიკური ყაიდის პირნავარდნილი დერჟავნიკი იყო: როგორც ცნობილია, შესანიშნავი ფუტურისტული პერიოდის შემდგომ იგი მყარად დადგა „ბოლშევიკურ რელსებზე“ და, სამწუხაროდ, ამ უნიჭიერესმა პოეტმა თავისი შემოქმედების ყველაზე მეტად ნაყოფიერი პერიოდი მთლიანად აგიტაციურ-პლაკატურ-ბოლშევიკური „პროდუქციის ნარმოებას“ მიუძღვნა; ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ის სოცრეალისტური პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა.

ამ პერიოდში მაიაკოვსკი ცდილობს, დერჟავნიკული დოქტრინა ბოლშევიკური იდეოლოგიისა და სოცრეალისტური დისკურსისათვის დამახასიათებელი რიტორიკით შენიღბოს (იყენებს ცნობილ კლიშეებს – „ხალხთა ძმობა“, „რევოლუციური ცეცხლი“ და მისთ.), მაგრამ ეს ყველაფერი – სწორედ დიდი ნიჭის გამო – პოეტს მეტისმეტად ხელოვნურად გამოსდის:

Но нету места  
злости мазку,  
не мажьте красные души!  
Товарищи юноши,  
взгляд – на Москву,  
на русский вострите уши!  
Да будь я  
и негром преклонных годов,  
и то,

без унынья и лени,  
я русский бы выучил  
только за то,  
что им  
разговаривал Ленин.

Когда  
Октябрь орудйных бурь  
по улицам  
кровью лился,  
я знаю,  
в Москве решали судьбу  
и Киево  
и Тифлисов.

Москва  
для нас  
не державный аркан,  
ведущий земли за нами,

Москва  
не как русскому мне дорога,  
а как огневое знамя!

მაგრამ ადგილი არ დარჩა  
გაბოროტების მონასმს,  
ნუ თითხნით წითელ სულებს!  
ამხანაგო ყმანვილებო,  
მზერა – მოსკოვისკენ,  
რუსულის მოსასმენად დაცქვიტეთ ყურები!  
გინდ ვიყო  
ზანგი ხანშიშესული,  
მაშინაც კი,  
მონყენისა და სიზარმაცის გარეშე,  
მე რუსულს ვისწავლიდი,

იმის გამო მაინც,  
რომ ამ ენაზე ლაპარაკობდა ლენინი.  
როდესაც  
ქვემეხების გრიგალიანი ოქტომბერი  
ქუჩებში  
სისხლისგან იცლებოდა,  
მე ვიცი,  
მოსკოვში წყვეტდნენ ბედს  
კიევებისაც,  
თიფლისეებისაც.  
მოსკოვი  
ჩვენთვის  
დერჟავული ქამანდი არ არის,  
მინები რომ მოჰყავს (= ქვეყნებს იპყრობს),  
მოსკოვი  
არა როგორც რუსისთვისაა ჩემთვის ძვირფასი,  
არამედ როგორც ცეცხლოვანი დროშა!

კარგად იცოდა მაიაკოვსიმ, რომ მაიაკოვსკი დემაგოგობდა და თვალთმაქცობდა: კიევების და თბილისეების ბედი თუკი მოსკოვში წყდება, თუ სწორედ (ლენინის) რუსული უნდა ისწავლოს ყველამ, მაშინ როგორღა არაა მოსკოვი „დერჟავული ქამანდი“ (державный аркан)?! და, როგორც ვარაუდობს ზოგიერთი რუსი მკვლევარი, მაიაკოვსკი, არეული პირადი ცხოვრების ფონზე, საბოლოოდ ამ სიყალბის გაცნობიერებამაც მიიყვანა თვითმკვლელობამდე.

თუმცა, ამის შესახებ არსებობს უფრო ღრმა და საყურადღებო გამოკვლევებიც; მაგალითად, მიიჩნევენ რა მაიაკოვსკის „ხმაურს“ არასრულფასოვნების კომპლექსის მაკომპენსირებელ გამოვლინებად, აი, როგორ ანალიზს ურთავს ამას რუსულენოვანი ემიგრანტი მწერალი, ლინგვისტი და ლიტერატურისმცოდნე ალექსანდრე ჟოლკოვსკი (Александр

Жолковский, დაიბ. 1937): „(...) თავის თავითა და გარემოთი უკმაყოფილო, მაიაკოვსკი ორმაგ ბრძოლაში ინვეეს სამყაროს: ერთი მხრივ, ის უარყოფს სამყაროსა და ღმერთს და თავს ესხმის მათ ყველა შესაძლო საშუალებით (...); მეორე მხრივ კი, ის განუხორციელებადი პროგრამით გამოდის, სადაც იგი თავად ჩაანაცვლებს ღმერთს; მეცნიერება, ტექნიკა და კომუნიზმი ჩაანაცვლებენ სოციალურ პროგრესს; იდეალური სიყვარული და ეროტიკული ფანტაზიები – სიყვარულისა და ქორწინების რეალურ პრობლემებს; ხოლო სალექსო ექსპერიმენტები – ადამიანურ, ბუნებრივ ხმოვანებას. იმის გამო, რომ ამ გზით წარმატებას ვერ აღწევს, (...) მაიაკოვსკი მიმართავს ტერორს, ცდილობს, თავს მოახვიოს თავისი თავი ქალს, სიცოცხლეს, ლიტერატურას (...); როდესაც ესეც მარცხით მთავრდება, რჩება ლიტერატურულად ორკესტრირებული თვითმკვლელობა, მცდელობა – ერთბაშად და მაუზერისათვის ფინალური სიტყვის მიცემით – საკუთარი თავისა და სამყაროს უარყოფის შეთავსებისა (...) მარადიული ახალგაზრდობისა და დიდების მოპოვებასთან“ [199].

ამ ციტატაში გამოყენებულია მეტაფორა („მაუზერისათვის სიტყვის მიცემა“) მაიაკოვსკის, 1918 წელს შექმნილი, ბოლშევიკურად აგრესიული, მილიტარისტული სულისკვეთებით გაჟღერებული ლექსიდან „მემარცხენე მარში“ («Левый марш»):

Разворачивайтесь в марше!  
 Словесной не место кляузе.  
 Тише, ораторы!  
 Ваше  
 слово,  
 товарищ маузер.  
 Довольно жить законом,  
 данным Адамом и Евой.

Клячу историю загоним.

Левой!

Левой!

Левой!

Пусть, оскалюсь короной,  
 вздымает британский лев вой.

Коммуне не быть покоренной,

Левой!

Левой!

Левой!

Там,

за горами горя,  
 солнечный край непочатый.

За голод,

за мора море

шаг миллионный печатай!

(...)

Глаз ли померкнет орлий?

В старое ль станем паяться?

Крепи

у мира на горле

пролетариата пальцы!

Грудью вперед браво!

Флагами небо оклеивай!

Кто там шагает правой?

Левой!

Левой!

Левой!

დაეწყვეთ მარშისთვის!

ადგილი არ ჰქონდეს სიტყვიერ კლიაუზებს.

ჩუმად, ორატორებო!

თქვენ გეძლევათ

სიტყვა,

ამხანაგო მაუზერ (აქ = პისტოლეტი,  
საბრძოლო იარაღი).

გათავდა ცხოვრება კანონით,  
ადამმა და ევამ რომ დაგვიწესა.

ჯაგლაგ ისტორიას ქანცს გავუწყვეტ  
(= სიკვდილამდე მივიყვანთ).

მარცხენით!

მარცხენით!

მარცხენით!

დაე, გვირგვინდარეჭილმა,  
იღმუვლოს ბრიტანეთის ლომმა.

არ გამოვა კომუნის დამორჩილება!

მარცხენით!

მარცხენით!

მარცხენით!

იქ,

მთების იქით,

მზიანი მხარეა ხელუხლებელი (საოცნებო).

შიმშილის,

ზღვა ვარამის გამო,

მილიონებო, ნაბიჯით იარ!

(...)

განა, ქორის თვალი დაგვეცხება?

განა, წარსულს მივაშტერდებით?

მოუჭირე

მსოფლიოს კისერს

პროლეტარიატის თითები!

მამაცი მკერდი წინ!

დროშები ცას მიაწებე! ვინ ოხერი მიაბიჯებს

მარჯვენით?

მარცხენით!

მარცხენით!

მარცხენით!..

\*\*\*

მაიაკოვსკის აგდებულ დამოკიდებულებაზე საქართვე-  
ლოს ისტორიის მიმართ შეიძლება ცოტა რამ ითქვას.

ბალდათში დაბადებული მაიაკოვსკი ხანდახან თავის  
თავს ქართველადაც მოიხსენიებდა, მაგალითად, 1924 წელს  
დაწერილი ცნობილი ლექსის „ვლადიკავკაზი-თბილისი“  
(«Владикавказ-Тифлис») პირველ სტრიქონებში:

Только

нога

ступила в Кавказ,

я вспомнил,

что я –

грузин.

როგორც კი

შევდგი

ფეხი კავკასიაში,

გამახსენდა,

რომ მე ქართველი ვარ.

ხოლო როგორი ქართველია ამავე ლექსის მომდევნო  
სტრიქონებიდან ირკვევა:

От этих дел

не вспомнят ни зги.

История –

врун даровитый,

бубнит лишь,

что были

царьки да князьки:

Ираклии,

Нины,

Давиды.

Стена –  
и то  
знакомая что-то.

В тахтах  
вот этой вот башни –

я помню:  
я вел

Руставели Шóтой

с царицей

с Тамарою  
шашни.

А после

катился,  
костьями хрустя,

чтоб в пену

Тереку врыться.

Да это что

Любовный пустяк!

И лучше  
резвилась царица.

ამ საქმეებიდან  
არაფერს გაიხსენებენ.  
ისტორია –  
ნიჭიერი მატყუარა,  
ბუტბუტებს მხოლოდ,  
რომ იყვნენ  
მეფიკოები და თავადიკოები:  
ერეკლეები,  
ნინოები,  
დავითები.  
კედელი –

ისიც კი  
რაღაც მეცნობა.  
აი, ამ კოშკის  
ტახტებზე –  
მე მახსოვს:  
მე ვუტარებდი  
რუსთაველ შოთასთან ერთად  
ცარიცა (აქ = მეფე)  
თამარს  
სატრფიალო ოინებს.  
მერე კი  
მივგორავდი,  
ძვლების ლანალუნით,  
რომ ქაფში  
თერგისა შევთხრილიყავი.  
მაგრამ ეს არაფერი –  
სასიყვარულო წვრილმანი!  
და უკეთესად  
ნავარდობდა ცარიცა (= თამარ მეფე).

მაიაკოვსკისთვის ერეკლეები, ნინოები (როგორც ჩანს, წმინდა ნინოც იგულისხმება) და დავითები – ისტორიის „კნინი პერსონაჟებია“. ამასთან, იგი იმეორებს რუსულ ლიტერატურაში ლერმონტოვის დამკვიდრებულ აზრს თამარ მეფის ავზნიანობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მაიაკოვსკის პოეზიაში „ხატი მეტყველი კაცისა = ადამიანს უენო ქუჩისა, ადამიანს უბრალოს, ჩვენებურს (свойский) და უკმენს და აქედან მომდინარეობს სალაპარაკო-ფამილიარული სტილის, ვულგარულობის და უხეშობის მიზანდასახულობა“ [200], გაუგებარია, რისთვის არის საჭირო ასეთი ზღვარგადასული ფამილარობა და საქართველოს დიდი ისტორიული ფიგურების უკიდურესი დამდაბლება?

მიგვაჩნია რომ, არც ის გამოდგება გამართლებად, თითქოს „ფამილიარული მეტყველება მაიაკოვსკის პოეზიაში – ეს არც (...) სტილიზაციაა და არც ენის გამოყენების სფეროში ცნობილი მოვლენების ნატურალისტური კვლავნარმოება, არამედ განსაკუთრებული მხატვრული პრინციპია“ (ხაზგასმა ავტორისაა – ნ. ზ.) [201]. რომც დავეთანხმოთ ამ საექვო „პოსტულატს“, მაინც ჩნდება კითხვა – რა მიზანს ემსახურება ეს „მხატვრული პრინციპი“ ამ კერძო შემთხვევაში?..

1924 წელს მაიაკოვსკი ლერმონტოვის „დემონის“ „რემეიქსაც“ ქმნის – „ტამარა და დემონი“ («Тамара и Демон»); ლექსი თითქოსდა იმის შესახებაა, რომ პოეტს პირველყოფილ, ხელუხლებელ ბუნებაში დარჩენა ურჩევნია ყოველდღიურ დრტივნებაში დაბრუნებას, „დიდებას, რეცენზიებსა და დისპუტებს“; და რომ მის – „საძაგელი ტონის“, მაგრამ „მძვინვარე ძალის“ მქონე – ხმას უთუოდ გაიგონებდა ველურ დარიალში თამარის ციხის ბინადარი; მერე კი, აი, რა წერია:

Царица крепится,  
взвинчена хоть,  
величественно  
делает пальчиком.

Но я ей  
сразу:  
– А мне начхать,  
царица вы  
или прачка!

(...)  
Взярилась царица,  
к кинжалу рука.

(...)  
Но я ей  
по-своему,  
вы ж знаете как –

под ручку...  
любезно...  
– Сударыня!

Чего кипятитесь,  
как паровоз?

Мы  
общей лирики лента.

Я знаю давно вас,  
мне  
много про вас

говаривал  
некий Лермонтов.

Он клялся,  
что страстью  
и равных нет...

Таким мне  
мерещился образ твой.

Любви я заждался,  
мне 30 лет.

Полюбим друг друга.  
Попросту.

Да так, чтоб скала  
распостелилась в пух.

(...)  
История дальше  
уже не для книг.

Я скромный,  
и я бастую.

Сам Демон слетел,  
подслушал,

и сник,

и скрылся,  
смердя

впустую.

К нам Лермонтов сходит,  
презрев времена.

Сияет –

«Счастливая парочка!»

Люблю я гостей.

Бутылку вина!

Налей гусару, Тамарочка!

ცარიცა გულს იმაგრებს,

თუმცა ატაცებულია,

მედიდურად

მიქნევს თითს.

მაგრამ მე მას

ეგრევე ვახლი:

– მე ფეხზე მკიდია,

ცარიცა ხართ თქვენ

თუ მრეცხავი!

(...)

გააფთრდა ცარიცა,

ხელი ხანჯლისკენ წაიღო.

(...)

მაგრამ მე მას

ჩემებურად,

თქვენც რომ იცით, ისე –

ხელკავით...

თავაზიანად...

– ქალბატონო!

რა აზრი აქვს დუღილს (ბოლვას)

ორთქლმავალივით (აქ = აღშფოთებას, ბობოქრობას)?

ჩვენ ხომ

ლირიკის საერთო

ზოლში ვართ.

მე დიდი ხანია, გიცნობთ,

მე

თქვენ შესახებ

ბევრს

მიყვებოდა

ვინმე ლერმონტოვი.

ის იფიცებოდა,

რომ ვნებაში

თქვენ სწორი არ გყავთ...

მე

მელანდება შენი სახე.

დიდხანს ველოდი სიყვარულს,

უკვე 30-ის ვარ.

მოდო, მარტივად შევიყვაროთ ერთმანეთი.

თან ისე,

რომ კლდე

დაიმსხვრეს და ბუმბულის ლოგინად იქცეს.

(...)

ამის შემდეგ ეს ისტორია

სახალხოდ აღარ ითქმის.

მე მორიდებული ვარ

და მე გავიფიცე.

თვით დემონი ჩამოფრინდა,

მიაყურადა

და დალონდა

და გაუჩინარდა,

ტყუილად გაისარჯა –

ტყუილად ააყროლა აქაურობა.

ჩვენთან ლერმონტოვი ჩამოდის,

დროის მოძულე.

მას სახე უბრწყინავს –

„ბედნიერ წყვილს“ ხედავს!  
 მიყვარს სტუმრიანობა.  
 შემოგვაშველე ბოთლი ღვინო!  
 დაუსხი ჰუსარს, ტამაროჩკა (დაახლ. = თამრიკო).

ვფიქრობთ, ეს, თავის აგდების მეტი, არაფერია; ან რა პოეტური ფუნქცია აქვს ამ ბოლო „პასაჟს“, ან საერთოდ რა მხატვრული ღირებულება აქვს ამ ტექსტს?

\* \* \*

გარდა საქართველოს „ფემინიზაციის“ გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელი მცდელობისა, რაზეც ზემოთ საკმაოდ დეტალურად ვისაუბრეთ (იხ. ლერმოტოვისადმი მიძღვნილი ქვეთავი), პუშკინ-ლერმონტოვ-მაიაკოვსკის და სხვათა „ფამილიარული“ დამოკიდებულება ქართველი ქალისა თუ თამარ მეფისადმი, მიგვაჩნია, გამონვეული იყო იმდროინდელი სამხრეთელი ქალის, შედარებით, ძნელად მისანვდომობითაც („პატრიარქალურობით“ თუ ჩაკეტილობით), რაც უთუოდ გამაღიზინებელი იყო „თავისუფალ სიყვარულს“ მეტად შეჩვეული ჩრდილოელი პოეტებისათვის; და ამის უტყუარი დასტურია ესენინის შემდეგი სტრიქონები:

Мы в России девушек весенних  
 На цепи не держим, как собак,  
 поцелуям учимся без денег,  
 Без кинжальных хитростей и драк.

ჩვენ რუსეთში გოგოებს გაზაფხულისას  
 (= ყმანვილქალებს)

ძალღებავით ჯაჭვით არ ვაბამთ,  
 კოცნას უფასოდ ვსწავლობთ,  
 ხანჯლის ტრიალისა და ჩხუბის გარეშე.

# 10

## „ახადგდუხური“ მითოლოგია

01

დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი პოეტიკის შესახებ. მისი პოეტიკის შესახებ. მისი პოეტიკის შესახებ. მისი პოეტიკის შესახებ.

„იუნკერბერგის“  
ლიბრერიის

რუსული მოდერნისტული პოეზიის ნაკადში იყო კიდევ ერთი გამოკვეთილი მიმდინარეობა, რომელსაც უფრო ხშირად „ახალგლეხურს“ უწოდებენ (Новокрестьянские поэты) [202]. ასე კრებითად ეძახიან „ვერცხლის საუკუნის“ იმ პოეტების ჯგუფს, ვინც სოფლიდან მოვიდა ან ვისაც გლეხური წარმომავლობა ჰქონდა. ისინი ფორმალურად არასოდეს გაერთიანებულან, მაგრამ მათ შემოქმედებას მაინც გააჩნდა გარკვეული საერთო ნიშნები, როგორცაა: რუსული სოფლის თემატიკა, სოფლის დაპირისპირება ქალაქთან (სოფლის სასარგებლოდ), კავშირი ბუნებასთან, ბუნებრივ სამყაროსთან და რუსულ ზეპირსიტყვიერებასთან [203].

დავამატებთ: ამ მიმართულების პოეტები ტიუტჩევის მეტამითის იმ „ნაწილს ამუშავებდნენ“, რამაც ყველაზე მკაფიოდ „გაიჟღერა“ ტიუტჩევის ერთ-ერთ ცნობილ ლექსში – „ეს სანყალი სოფლები“ («Эти бедные селенья»): ამ ლექსში ჩართულმა ყოველმა მისტიკურმა ნიშანმა, თუ მისტიფიცირებულმა ნიშნეულმა პოეტურმა ფიგურამ შემდგომი „დამუშავება ჰპოვა“ „გლეხი მოდერნისტების“ შემოქმედებაში; ასეთებია:

- თვით „სანყალი სოფელი“ (იგულისხმება – „ნეტარ არიან – შემდეგ – „მწირი ბუნება“ (იგულისხმება – იმავდროულად იდუმალი „თავის სიმწირეში“);
- „ჭირთა თმენის უვადობა“ (ერთგვარი რუსული ყაიდის სტოიციზმი);

• „თვინიერი, მორჩილი სიშიშვლის საიდუმლო, გამჭვირვალე ნათება, რაც უცხო (ამპარტავანი უცხოელის) თვალისთვის შეუმჩნეველი და გაუგებარია“;

• „მშობლიური მიწა, რომლის ყოველი მტკაველი მონად გარდასახულმა ცათა მეუფემ მოიარა და აკურთხა“.

მოკლედ, ეს ლექსი ამ მიმართულების პოეტებისთვის ნამდვილი პროგრამაა: თუმცა, რალა თქმა უნდა, XX საუკუნის დასაწყისში, როცა ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგლეხური ჯგუფის წარმომადგენლები, ეს პროგრამა მოდერნისტულ „ფორმაში გამოეწყო“ და იმდროისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც შეიძინა.


გაცილებით უფრო მეტად პრობლემური გახდა „გლეხი პოეტებისათვის“ ბოლშევიკური ხანა, თავისი ინდუსტრიულ-ტექნოკრატიული მიზანდასახულობით, რომლის ერთ-ერთ ლოზუნგად დროთა განმავლობაში იქცა ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების ნაშლა, ანუ „სოფლური რუსეთის“ ინდუსტრიულ, „ქალაქურ რუსეთად“ გადაქცევა.

ამ ჯგუფის ყველაზე ნიჭიერი და ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან – ნიკოლოზ კლიუევი და სერგეი ესენინი.



„გლეხი პოეტები“.

სერგეი ესენინი, გეორგი პილაევი, ვალერიან ნაუმოვი



## ნიკოლოზ კლიუევი НИКОЛАЙ КЛЮЕВ

1884-1937

ნიკოლოზ კლიუევი ცნობილი რუსი პოეტი, „ახალ-გლებური“ მიმართულების ლიდერი და შესაბამისი დისკურსის ერთგული, თანმიმდევრული დამწერგავი და გამტარებელი იყო. ესენინი მას თავის მასწავლებლად მიიჩნევდა. კლიუევი დაიბადა რუსეთის ჩრდილო-დასავლეთში, იმდროინდელი ოლოვეცის გუბერნიის (დღევანდელი ვოლოგდის ოლქის) ერთ-ერთ სოფელში. მამამისი – რუსეთის იმპერიის პოლიციის ყველაზე „დაბალჩინოსანი“ – ურიადნიკი და იმავდროულად ღვინის სახელმწიფო სავაჭრო დუქნის მეთვალყურე იყო. კლიუევი სწავლობდა ვიტერგის სასულიერო და პეტროზავოდსკის 2-კლასიან საერო სასწავლებლებში. მეტი მას არსად უსწავლია, არადა ის ფართოდ განათლებული პიროვნება იყო. ალბათ, მისი ბიოგრაფიის ნიშნული ფაქტია ისიც, რომ მისი წინაპრები სტაროვერები იყვნენ [204].

ცნობილია, რომ კლიუევი მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც არაერთხელ დააპატიმრეს. დაახლოებით ამ დროს გამოჩნდა მისი პირველი ლიტერატურული პუბლიკაციებიც. თუმცა პოეტის სიყმაწვილისა და ახალგაზრდობის პერიოდის ბიოგრაფია ბურუსითაა მოცული. მკვლევრები ფიქრობენ, რომ კლიუევი თავისი ბიოგრაფიის მისტიფიცირებას ახდენდა, სხვადასხვა არარეალურ ამბებსაც თხზავდა. მათ შორის არის ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ გაიცნო მან კავკასიაში მზეჭაბუკი ალი, რომელსაც იგი თავდავინყებით შეუყვარდა, ისე „როგორც ასწავლის ამას კადრის ღამე [205], რომელიც ათას თვეზე მეტ ხანს გრძელდება. ეს არის ფარული აღმოსავლური სწავლება ანგელოსთან დაქორწინებაზე, რაც რუსულ

თეთრ ხრისტოვსტვოში [206] აღინიშნება სიტყვებით: ადამის მოპოვება...“; შემდეგ კი თურმე კლიუევში უგონოდ და უიმედოდ შეყვარებულმა ალიმ თავი მოიკლა [207].

კლიუევი ყველაზე გამორჩეული „გლეხი პოეტი“ იმით შორის, ვინც 1910-იანი წლების ბოლოს საესეებით მოდერნისტული, რელიგიურ-პოეტური ხატუნითა და დიალექტური ლექსიკით გამდიდრებული ნაწარმოებებით გამოდის ასპარეზზე. და ეს არ დარჩენილა შეუმჩნეველი: „სახალხო კულტურის მაცნის“ გამოჩენას მიესალმნენ ბლოკი, ბრიუსოვი, გუმბილიოვი და სხვა უკვე სახელგანთქმული მოდერნისტი პოეტები და კრიტიკოსები [207-211].

კლიუევის დიალექტიზმებით „დახუნძლული“, ეპიკური პოეტური მეტყველების საილუსტრაციოდ მოგვყავს ნაწყვეტი ერთ-ერთი მისი ტიპობრივი ლექსიდან:

Только раз принесли мережи  
Запёклый багровый ком.  
С той поры полевые омежи  
Дыбят жёлчь и траву костолом.  
Я прохожий, тельник на шее,  
Светлоярной кувшинке молюся:  
Кличь кукушкой царя от Рассеи  
В соловецкую белую Русь!  
Иль навеки шальная рубаха  
И цыганского плиса порты  
Замели, как пургою, с размаха  
Мономаховых грамот листы?!

ჩვენი აზრით, ამ ერთი ნაწყვეტიდანაც ჩანს „იზბუშკებისა“ და რუსული „პეჩკების“ მებოტბის, ნიკოლოზ კლიუევის „მითოლოგია“ – მისთვის რუსეთი მხოლოდ „საკრალური“ რუსული სოფელი იყო; კლიუევი უცხოოდ გრძნობდა

თავს მოსკოვისა და პეტერბურგის ევროპეიზებულ გარემოში, რასაც არც მაღავდა, მაგალითად, „გლეხი“ პოეტებისადმი, განსაკუთრებით კი – ესენინისადმი, გაგზავნილ პირად წერილებში [212].

ნიშანდობლია პოეტის სიახლოვე ივანოვ-რაზუმნიკის ჯგუფთანაც: ბერლინის გამომცემლობაში 1920-1922 წლებში დაიბეჭდა კლიუევის სამი კრებული სახელად „სკვითები“. გასაგებია, რომ ივანოვ-რაზუმნიკისთვის კლიუევი ნამდვილი აღმოჩენა უნდა გამხდარიყო. ის თავის პუბლიკაციებში არაერთხელ ახსენებს პოეტს და ცალკე წერილსაც უძღვნის მას [211, 213].

თავიდან ნიკოლოზ კლიუევი (რომელიც რამდენიმე წლით ადრე, ესენინთან ერთად, იმპერატრიცას წინაშე გამოდიოდა თავისი ლექსებით) ოქტომბრის გადატრიალებას თავისებური, – როგორც მკვლევრები წერენ, – მუჟიკურ-რელიგიური ოპტიმიზმით შეხვდა და თავის ლექსებს ლენინსაც კი უგზავნიდა (ამ პერიოდში მან ლექსების მთელი წიგნიც მიუძღვნა ბელადს) [214].

კლიუევი, ალბათ, ასე განაწყობო ბოლშევიკების ერთ-ერთმა თავდაპირველმა პროგრამულმა ლოზუნგმა „მინა – გლეხებს“, რაც საბჭოეთში არასოდეს განხორციელებულა. პირიქით, საბჭოეთი კოლექტივიზაციის, ანუ მინის გლეხისაგან გაუცხოების გზით წავიდა, რაც ერთ-ერთი მიზეზი გახდა იმისა, რომ პოეტმა თანდათან შეიცვალა პოზიცია ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ.

კლიუევი იმდენად ღრმად შევიდა გლეხი მოდერნისტის როლში [96], რომ იგი ვერ გაერკვა საბჭოეთის, არსებითად, კვლავ და კვლავ ძველებურ, მონოლოური მმართველობის ტრადიციაში ფესვგადგმულ, იმპერიალისტურ არსში.

ასე იყო თუ ისე, კლიუევი, განსაკუთრებით 30-იანი წლების პირველ ნახევარში, მოუხშირა ბოლშევიკური იდე-

ოლოგიისათვის ყოვლად მიუღებელი ნაწარმოებების გამოქვეყნებას. მაგალითად, ერთ-ერთ მის ლექსში მოხსენიებულია ბელომორის არხი, რომელიც 30-იანი წლების დასაწყისში აშენდა პოლიტმატიზმის, მათ შორის „განკულაკებულთა“ (ანუ რეპრესირებული მუყაითი, შედარებით მდიდარი გლეხების) ხელით:

То Беломорский смерть-канал,  
Его Акимушка копал,  
С Ветлуги Пров да тётка Фёкла.  
Великороссия промокла  
Под красным ливнем до костей  
И слёзы скрыла от людей,  
От глаз чужих (...) [215]

ეგ ბელომორის სიკვდილ-არხია,  
მას აკიმუშკა,  
ვეტლუგელი პროვი  
და დეიდა ფიოკლა თხრიდნენ.  
ველიკოროსსია ძვლებამდე დასველდა  
ნითელი თქემის ქვეშ  
და მან ცრემლები ხალხს დაუმალა,  
უცხო თვალებს (...)

(აქ კლიუევი, ფაქტობრივად, შავ იუმორს თუ შავ ირონიას გვთავაზობს – შეგნებულად მოჰყავს რა „მარტივი“, „გლეხური“ სახელები, ანუ ხაზს უსვამს, რომ „სიკვდილის არხმა“ სრულიად უდანაშაულო, უბრალო ხალხი შეინირა; ამასთან, იგულისხმება, რომ ნამდვილი, ძველი რუსეთი, რადაც რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთი, აქ მდებარე ძველი რუსული სამთავროების ტერიტორია მიიჩნევა – იგივე ველიკოროსია – ბოლშევიკური სისხლის წვიმებით მოირწყა).

გასაგებია, რომ ასეთ გამოხდომებს 30-იანი წლების საბჭოეთის „მესვეურები“ კლიუევს არ აპატიებდნენ. „ი. გ. გრონსკი (იმ დროს «ВЦИК-ის Известия»-ს რედაქტორი და «Новый мир»-ის მთავარი რედაქტორი [216]) თავის მოგონებებში წერს, რომ კლიუევი, მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დახმარების მიუხედავად, სულ უფრო მეტად გადადიოდა „ანტისაბჭოთა პოზიციებზე“. როდესაც კლიუევმა გაზეთს გაუგზავნა „სიყვარულის ჰიმნი“, რომლის ობიექტი იყო არა „გოგონა“, არამედ „ბიჭი“, გრონსკიმ თავისი აღშფოთება პოეტთან პირად საუბარში გამოხატა, მაგრამ ამ უკანასკნელმა „ნორმალური“ ლექსების წერაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ გრონსკიმ დაურეკა იაგოდას [217] და მას კლიუევის მოსკოვიდან გასახლება სთხოვა (ეს განკარგულება სანქციონირებული იყო სტალინის მიერ). შეხედულებას იმის შესახებ, რომ კლიუევის დაპატიმრების მიზეზი მისი ჰომოსექსუალობა გახდა, მოგვიანებით, ასევე, გამოთქვამდა მ. მ. ბახტინი [218]“ [207].

კლიუევი, რომელიც ბოლშევიკურ ხელისუფლებას თავიდანვე არ ეხატებოდა გულზე (ტროცკი მას „კულაკ პოეტს“ უწოდებდა [163]), ჯერ 1934 წელს დააპატიმრეს – „კონტრ-რევოლუციური ლიტერატურული ნაწარმოებების შედგენისა და გავრცელებისათვის“ [207]; თუმცა ამჯერად ის გადაურჩა მკაცრ სასჯელს; 1937 წელს ხელახალი დაპატიმრების შემდეგ კი – ველარ: ბოლშევიკებმა ეს უდავოდ გამორჩეული, თავისებური პოეტი და წინააღმდეგობრივი, მაგრამ საკუთარი იდეალების ერთგული პიროვნება დახვრიტეს.

ცალკე ეპოპეა კლიუევის და ესენინის ურთიერთდამოკიდებულება. კლიუევმა უთუოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა ესენინზე, განსაკუთრებით – ესენინის „პოეტური ფორმირების“ პირველ ეტაპზე. ისინი ორი წელი ერთადაც ცხოვრობდნენ და ლიტერატურულ საღამოებზე მუდამ ერთად გამო-

დიოდნენ. შემდეგ ესენინმა „მიატოვა“ კლიუევი; ესენინს არაერთგვაროვანი გრძნობები გააჩნდა კლიუევის მიმართ, თუმცა მუდამ თავის მასწავლებლად მიიჩნევდა მას და დიდ პატივსაც სცემდა; ხოლო კლიუევს თავდავიწყებამდე უყვარდა ესენინი და ხედავდა მასში ერთგვარ რუსულ მითოსურ პერსონაჟს თუ „გლეხურ ვარსკვლავს“, რომელსაც უნდა დაეჩრდილა მთელი იმდროინდელი პოეტური ელიტა.

თუმცა, ესენინის უდროო და „არაქრისტიანული“ სიკვდილის გამო კლიუევი იმედგაცრუებული და გულგატეხილი დარჩა [212].



სერგეი ესენინი და ნიკოლოზ კლიუევი

დაიბნენ. შემდეგ ესენინმა „პოეტო“ კლუბის დასაფუძვლებად დაიწყო მოღვაწეობა. ვრწმობები გაიწინა მუდამ თავის მასწავლებლად პატრიარქ სტეფანოს ხოლო კლუბის თავმჯდომარეობაზეც დაიწყო მუშაობა.



# სერგეი ესენინი СЕРГЕЙ ЕСЕНИН

იველია მთავრის აფიშირის იველია

1884-1937



მთავრის იველია მთავრის იველია მთავრის იველია

**ს**ერგეი ესენინი, ალბათ, ყველაზე ნიჭიერი „არაურბანისტი“ რუსი პოეტი: XX საუკუნის დასაწყისის გამორჩეული მოდერნისტი პოეტებიდან „რუსულ ნიადაგზე“, კლიუევის შემდეგ, ყველაზე მყარად მაინც ესენინი იდგა. ის რიაზანის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში დაიბადა და გაიზარდა, დანყებითი განათლებაც იქვე, ახლომახლო მიიღო. და მიუხედავდ იმისა, რომ „ახალგლეხური“ [202] პოეტი უკვე 1918 წელს იმაჟინიზმისკენ [219] გადაიხარა (რაც გახდა მისი კლიუევთან განხეთქილების ძირითადი მიზეზი [212]), მის შემოქმედებაში მაინც მთავარი ადგილი რუსულ „სოფლურ თემატიკას“ ეთმობა და რუსული პატრიარქალური გარემოს მიმართ ნოსტალგიური მოტივები ორგანულად „უღერს“.

სწორედ ესაა ესენინის მისტიფიკაციის „სამიზნე არე“ და ისიც შესაძლებელია, რომ იმდროინდელი რუსული პოეზიის ეს („სოფლის“) ნიშა ესენინმა სპონტანურად კი არა, შეგნებულად, გაცნობიერებულად დაიკავა: ამას ესენინის ცხოვრებისა და პოეზიის ზოგიერთი მკვლევარიც გაკვრით აღნიშნავს; ხოლო მიხეილ გასპაროვი კი ამის თაობაზე თავის შეხედულებას სრულიად მკაფიოდ გამოთქვამს: „ამბიციური (приязательные) კლიუევი და ესენინი მოდერნისტულ ლიტერატურაში აკვირდებოდნენ, უპირველეს ყოვლისა, იმას, თუ როგორია წარმოდგენა ხალხიდან გამოსული პოეტის შესახებ, შემდეგ გულმოდგინედ ერგებოდნენ ამ სახეს და ხმაურიან კარიერას იკეთებდნენ“ [96].

ასეა თუ ისე, უდავოა, რომ ესენინი სრულიად გამორჩეული ნიჭით იყო დაჯილდოებული და მან მალევე გაითქვა სახელი: „ახალგლეხელებს“ „მიკედლებული“ ესენინი 1916

წელს გამოსცემს თავის პირველ კრებულს, ხშირად გამოდის სცენაზე კლიუევთან ერთად, მათ შორის – დეკლამირებს ცარსკოე სელოში იმპერატრიცა ალექსანდრა ფიოდოროვნა-სა და მისი ქალიშვილების წინაშე [220].

თუმცა ესენინმა 1917 წლის რევოლუციებსაც უცებ აუღო ალღო და მისმა პოეზიამ და მსოფლმხედველობამაც სწრაფი მეტამორფოზა განიცადა, რამაც ზოგიერთი იმდროინდელი მკვლევარი ესენინის კონფორმიზმსა და ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ივანოვ-რაზუმნიკის ზეგავლენაზე აალაპარაკა (ესენინი, ფაქტობრივად, „სკვითური დაჯგუფების“ წევრი იყო და ივანოვ-რაზუმნიკის „მფარველობის ქვეშ“ იმყოფებოდა, რაც თავისთავად ნიშანდობლივია). ამ მხრივ, მოულოდნელ დამცველად ესენინს გამორჩეული პოეტი და პოეზიის მკვლევარი ვლადისლავ ხოდასევიჩი (Владислав Ходасевич, 1886-1939) მოეგლინა, რომელიც ესენინის რევოლუციებისადმი დამოკიდებულებას მისი მემამბოხე სულის მარგინალური (თუ ექსტრემალური) ძალებისაკენ ბუნებრივი მიდრეკილების გამოხატულებად მიიჩნევდა. თუმცა, ხოდასევიჩის ამ შეხედულებას არც თავის დროს ეთანხმებოდა ყველა და არც დღევანდელი მკვლევრები ეთანხმებიან მთლიანად: ისინი ასეთ მეტამორფოზებს უფრო ესენინის ზეამბიციურობას, პირველ ნომრად ყოფნის მუდმივ სწრაფვას უკავშირებენ [221].

აი, ესენინის იმდროინდელი პოლიტიკური განწყობილება: „მე კიდევ უფრო შემეყვარდა კომუნისტური მშენებლობა. მე, როგორც რომანტიკოსი, ჩემს პოემებში თუნდაც არ ვიდეგე ახლოს კომუნისტებთან, მე ახლოს ვარ მათთან ჭკუით და ვიმედოვნებ, რომ ახლოს დავდგები ჩემს შემოქმედებაშიც“ [222].

თითქოს დადგა კიდევ. წინა პერიოდში „თავისებურად რელიგიური“ ესენინი „რევოლუციური ფერიცვალების“ ჟამს წერდა:

Не усташуся гибели,  
Ни копий, ни стрел дождей, –  
Так говорит по Библии  
Пророк Есенин Сергей.  
Время мое пришло,  
Не страшен мне лязг кнута.  
Тело, Христово тело,  
Выплываю изо рта.

არ შევუშინდები დაღუპვას,  
არც შუბებს, არც ისრებს წვიმისას, –  
ასე ამბობს ბიბლიურად  
წინასწარმეტყველი ესენინი სერგეი.  
ჩემი დრო მომწიფდა,  
მე არ მაშინებს შოლტის ტკლაცუნი.  
სხეულს, ქრისტეს სხეულს  
ვაფურთხებ პირიდან.

თუმცა ესენინის მსოფლმხედველობა უფრო ზუსტად შემდეგ სტროფში ჩანს:

Небо – как колокол,  
Месяц – язык,  
Мать моя родина,  
Я – большевик.

ცა – როგორც ზარი,  
მთვარე კი – ენა,  
დედაა ჩემი სამშობლო,  
მე ვარ ბოლშევიკი.

რუსული სოფლური შერეული ქრისტიანულ-წარმართული, მღვრიე, „იდუმალი“ რელიგიურობა უკვალოდ არ გამქრალა: ნებსითი თუ უნებლიე „ქრისტიანული ალუ-

ზიაა“ – «Небо – как колокол» (ცა – საეკლესიო ზარი); ქრისტიანულ-წარმართული – «Месяц – язык» (აქ «язык» უშუალო კონტექსტის მიხედვით язык колокола-ს ანუ ზარის ენას ნიშნავს; კონოტაციურად და ასოციაციურად კი ამას ემატება «язык» – როგორც მხოლოდ ენა, ამ შემთხვევაში – „იდუმალი“ რუსული ენა; აქვე ჩნდება ფონეტიკური ასოციაცია წარმართობასთან: язык-язычество და უფრო ღრმა „უკუასოციაცია“ – язычество-месяц (= луна) – მთვარესთან, მთვარის წარმართულ სიმბოლიკასთან). მესამე სტრიქონიც («Мать моя родина») არაერთგვაროვანი ნაკითხვის საშუალებას იძლევა – გააჩნია, სად დავსვამთ ცეზურას: თუკი ასე – «Мать моя/ родина», მაშინ ამას ცნობილ მითოლოგიურ სიბრტყეზე გადავყავართ: დედასამშობლო, დედა, დიდი დედა, მინა, ნაყოფიერება, რაც, გასაგებია რომ, „ექსკლუზიურად“ რუსული ასოციაციური რიგი არ არის; მაგრამ ესენინის წარმომავლობის, პოეტური ტრადიციებისა და მთავარი მრწამსის გათვალისწინებით (მას არაერთხელ უთქვამს, რომ მისთვის უმთავრესი თემაა სამშობლო = რუსეთი), უფრო მართებულად უნდა იყოს, თუკი ცენზურა სხვაგან დაისმება, კერძოდ: «Мать/моя родина», სადაც ესენინი ერთმნიშვნელოვნად რუსეთს და თან, სავარაუდოდ – გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად – იმ რუსეთს, იმ რუსულ მიწას გულისხმობს, „რომლის ყოველი მტკაველი მოიარა და აკურთხა მონად გარდასახულმა ცათა მეუფემ“ (ფ. ტიუტჩივი).

ბოლო სტრიქონში კი ერთნაირად ერთმეება язык-ს „ბოლშევიკიც“ და „მენშევიკიც“. თუმცა, არის ერთი ნიუანსი: სხვა სტრიქონებში გამოყენებულ ჰიპერბოლურ შედარებებს „მეტობა“ (нильше) უფრო უხდება, ვიდრე „ნაკლებობა“ (меньше). მოკლედ, ესენინი პოზიტიურად შეხვდა „ნითელი დერჟავის“ დაარსებასაც და თავისი პოეტური წვლილიც შეიტანა „ამ საქმეში“, მათ შორის – 26 ბაქოელი კომისრის „გმირობისადმი“ [223] მიძღვნილი ლექსით და მონაკვეთით

„ლენინი“ პოემიდან «Гуляй-поле» (ამ პოემის სრული ტექსტი არ არსებობს – ან დაიკარგა, ან არც დაწერილა):

И вот он умер... Плач досаден.  
 Не славят музы голос бед.  
 Из медно лающих громадин  
 Салют последний даден, даден.  
 Того, кто спас нас, больше нет.  
 Его уж нет, а те, кто вживе,  
 А те, кого оставил он,  
 Страну в бушующем разливе  
 Должны заковывать в бетон.  
 Для них не скажешь: Ленин умер.  
 Их смерть к тоске не привела.

.....  
 Еще суровей и угрюмей  
 Они творят его дела...

1924

და, აი, ის მოკვდა... ტირილი ნალვლის მომგვრელია. უბედურების ხმას არ სწყალობენ მუზები. სპილენძი ყეფს და ქუხილით (= ქვემეხებიდან) უკანასკნელი სალუტი გაისმის. ის, ვინც გადაგვარჩინა, აღარ არის. ის აღარ არის, ხოლო მათ, ვინც დარჩნენ, ვინც აქ დატოვა მან, ბობოქარი წყალდიდობისას ქვეყანა ბეტონით უნდა შებორკონ. მათ ვერ ეტყვი; ლენინი მოკვდა. სიკვდილის გამო ისინი უიმედობამ არ შეიპყრო.

.....  
 კიდევ უფრო მკაცრად და პირქუშად (= დაბეჯითებით) ისინი მის (= ლენინის) საქმეს აგრძელებენ.

\* \* \*

ესენინის პოლიტიკურ განურჩევლობას თუ შემგუებლობას, ვფიქრობ, სხვა, უფრო სიღრმისეული მიზეზიც აქვს როგორც ზემოთ „გაშიფრული“ ოთხი სტრიქონიდანაც ჩანს, ესენინი კლიუევივით „მუჟიკური“ ყაიდის დერჟავნიკია და მისთვის სულერთია, ვინ დგას სათავეში: იმპერატორი, დროებითი მთავრობა, ესერები, მენშევიკები. ამას ემატებოდა ის, რომ ბოლშევიკები გლეხებს მიწას დაჰპირდნენ (კლიუევისაგან განსხვავებით, ესენინი ვერ მოესწრო ბოლშევიკური დაპირებების არშესრულებას თუ უკუღმართ შესრულებას, საბოლოოდ – გლეხობის დამონებას)...

ტიუტჩევის მეტამითისადმი ესენინის დამოკიდებულება გამომჟღავნდა ლექსში „რუსეთს“ («Руси») – რუსეთი მოგვთა საიდუმლო მირონ-საკმეველიცა:

Гляжу в простор твоих полей,  
Ты вся – далекая и близкая.  
Сродни мне посвист журавлей  
И не чужда тропинка склизкая.  
(...)  
И хоть сгоняет твой туман  
Поток ветров, крылато дующих,  
Но вся ты – смирна и ливан  
Волхвов, потайственно волхвующих.

გავყურებ შენი მინდვრების სივრცეებს,  
შენ შორეულიც ხარ და ახლობელიც.  
ჩემთვის ნაცნობია წეროების ხმა  
და უცხო არ არის ბილიკი სლიპინა.  
(...)

და თუმცა შენს ნისლს ფანტავს  
ქარების ნაკადი, ფრთოსნად მქროლავი,

მაგრამ შენ მთლიანად ხარ მირონი და საკმეველი მოგვური საიდუმლოს აღმსრულებელ მოგვთა.

შეიძლება ითქვას, რომ ესენინი ტიუტჩევის მეტამითის ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული გამტარებელიც კი არის: მისთვისაც რუსეთი განსაკუთრებული, იდუმალი „მესამეა“ ევროპასა და აზიას შორის. მხოლოდ „აზიურობა“ ესენინს – ტიუტჩევის მსგავსად – მაინცდამაინც „დიდ სიამოვნებას“ არ ჰგვრის: ნავიკითხვით 1922 წელს შექმნილი ლექსი, სადაც „აზიურობის“ პოეტურ სემანტიკაში, რამდენიმე მნიშვნელოვანი, რუსული ხასიათის მიმანიშნებელი, შინაარსი დევს (ეს ლექსი პოეტმა ევროპაში ყოფნისას, რუსული ემიგრაციის „სახებით შთაგონებულმა“ დაწერა):

Снова пьют здесь, дерутся и плачут  
Под гармоника желтую грусть.  
Проклинают свои неудачи,  
Вспоминают московскую Русь.  
(...)  
Ах, сегодня так весело россам,  
Самогонного спирта – река.  
Гармонист с провалившимся носом  
Им про Волгу поет и про Чека.  
(...)

Жалко им, что октябрь суровый  
Обманул их в своей пурге.  
И уж удалью точится новой  
Крепко спрятанный нож в сапоге.  
Где ж вы те, что ушли далече?  
Ярко ль светят вам наши лучи?  
Гармонист спиртом сифилис лечит,  
Что в киргизских степях получил.  
Нет! таких не подмять, не рассеять.

Бесшабашность им гнилью дана.

Ты, Рассея моя... Рас... сея...

Азиатская сторона!

აქ ისევ სვამენ, ჩხუბობენ და ტირიან  
გარმონიკის ყვითელი სევდის თანხლებით.  
თავის წარუმატებლობებს სწყევლიან,  
იხსენებენ მოსკოვის რუსეთს.

(...)

აჰ, დღეს როგორ მხიარულობენ როსები,  
შინაური სპირტის მდინარე მოჩუხჩუხებს.  
ჩაჭყლეტილცხვირიანი გარმონისტი  
ვოლგის და ჩეკას შესახებ უმღერის მათ.

(...)

მათ გული სწყდებათ, რომ პირქუშმა ოქტომბერმა  
ქარბუქში (= ბოლშევიკურმა გადატრიალებამ)

იმედები არ გაუმართლათ.

და უკვე ახალი გზებით იღვსება

ჩექმაში ჩამალული დანა.

სადა ხართ თქვენ, ასე შორს რომ წახვედით?

კაშკაშად ანათებენ კი თქვენთვის ჩვენი სხივები?

გარმონისტი სპირტით მკურნალობს სიფილისს,  
ყირგიზეთის სტეპებში რომ აიკიდა.

არა! ასეთებს ვერ დარაზმავ, ვერ გაფანტავ.

დარდიმანდობა მათი დამპალი ხვედრია.

შენ, რასსეია ჩემო... რას... სეია...

აზიურო მხარევ!

(მოსკოვის რუსეთი = ძველი, პეტრე I-ამდელი რუსეთი, რომელიც, არსებითად, მონღოლების ბატონობისას წარმოიშვა, მოსკოვის დიდი სამთავროს აღზევების შედეგად; როსები = რუსები, ძველი რუსები - ამ შემთხვევაში პოეტური ირონია ცამოსჭვივის

ემიგრანტების მიმართ; ჩეკა - ბოლშევიკების სადამსჯელო უწყება, ნკვდ-ს და კვბ-ს „წინამორბედი“; რასსეია ჩემო... რას... სეია... - რასსეია რუსეთის სახელის სოფლური თუ გლეხური ვარიანტია, ამასთან აქ სიტყვებით თამაშს ვაწყდებით: Рас... сея... ერთიმეზა рассеять-ს, დაფანტავს და სიტყვის ამგვარი გახლეჩით ესენინი სიტყვის მრავალმნიშვნელოვნებას აღწევს - უპირველესად, კვლავ „მოდის“, ძლიერდება დაფანტვის, გაფანტვის შინაარსი).

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, სოციალისტური შრომის გმირი და ლენინის პრემიის ლაურეატი მწერალი, რუსი საბჭოთა „პოჩენიკების“ (იმავე „სოფლური გადახრის მქონე“ დერუაზნიკების) წარმომადგენელი იური ბონდარევი წერდა: „ესენინი, ისევე როგორც ბლოკი, დარწმუნებული იყო, რომ რუსეთს უწერია არა ევროპულ-ამერიკული გზით სვლა, არამედ - თავისებურად - გზით, რომელიც არ ჰგავს არც ერთ სხვას. ის იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ კულტურა არ არის მხოლოდ მოძრაობა წინ - ის, აგრეთვე, სათავეებისკენ მოძრაობაა, ხოლო რუსული სოფლის ცოდნის გარეშე რუსეთის გაცნობა საერთოდ შეუძლებელია“ [224].

\* \* \*

ყოველივე ამის მიუხედავად, დიდმა პოეტურმა ნიჭმა მაინც ბოლომდე ვერ „მოარგო“ მისი „მტარებელი“ პიროვნება მკაცრ, დაუნდობელ „გარემო პირობებს“: სამი განქორწინების შემდეგ (სახელგანთქმული საოპერო მომღერლის, ფიოდორ შალიაპინის შვილთან, სახელგანთქმულ მოცეკვავე აისედორა დუნკანთან და ლევ ტოლსტოის შვილიშვილთან), ბოლო წლებში, რომლებიც შეფასებულია, როგორც „მხოლოდ გზა სიკვდილისაკენ“, ესენინი სრულიად არეულ, „კაბაკურ“ ცხოვრებაში ჩაეფლო. ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ბოლშევიკების ერთ-ერთი იმდროინდელი ლიდერი, შემ-

დგომში დახვრეტილი, ნიკოლოზ ბუხარინი წერდა: „და მაინც მთლიანობაში ეს ესენინობა არის საძაგელი, „დაპუდრული“ და თავხედურად გაფერადებული რუსული გინება, რომელიც უხვადაა დასველებული მთვრალი ცრემლებით და ამის გამო ის კიდე უფრო საზიზღარია“ [222].

და ამ „საზიზღარმა“, „ბილნმა“, ლოთმა სერგეი ესენინმა, მოსკოვში ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ, 1925 წლის 28 დეკემბერს, 30 წლისამ ლენინგრადის „ანგლეტერის“ სასტუმროს ნომერში თავი ჩამოიხრჩო. თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე მან თავისი უკანასკნელი, ცნობილი რვა სტრიქონი შექმნა, ფურცელი თავის მეგობარ პოეტს, ვოლფ ერლიხს გადასცა და სთხოვა, იმ დღეს არ ჩაეხედა მასში, მოგვიანებით წაეკითხა; აი, ეს მოკლე ლექსი:

До свиданья, друг мой, до свиданья.  
Милый мой, ты у меня в груди.  
Предназначенное расставанье  
Обещает встречу впереди.  
До свиданья, друг мой, без руки, без слова,  
Не грусти и не печаль бровей, –  
В этой жизни умирать не ново,  
Но и жить, конечно, не новей.

შემდგომში ესენინის გარდაცვალების შესახებ სხვადასხვა ვერსია გამოითქვა (მათ შორის – მკვლელობის) [225], მაგრამ, როგორც 1989 წელს გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ეგიდით შექმნილი კომისია საბოლოოდ დაასკვნის, ესენინის მკვლელობის ყველა ვერსია ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია [220].

ცნობილი ფილოსოფოსი, ნიკოლოზ ბერდიაევი ესენინის გარდაცვალების შესახებ წერდა: „თვითმკვლელობის მიზე-

ზი ესთეტიკური მოტივებიც შეიძლება გახდეს: კაცმა თავი შეიძლება მოიკლას ლამაზად – ახალგაზრდობაში სიკვდილის თუ ამ ახალგაზრდისადმი განსაკუთრებული სიმპათიის გამოწვევის სურვილის გამო. ესენინის – ბლოკის შემდეგ ყველაზე გამორჩეული პოეტის – თვითმკვლელობამ მისი პიროვნების კულტი გამოიწვია. იგი გახდა თვითმკვლელობის სილამაზის მაიდეალიზირებელი, დაცემულობის განწყობილებების (упадочных настроений) ცენტრი. მაგრამ რა მრავალფეროვანიც უნდა იყოს თვითმკვლელობის მიზეზი, თვითმკვლელობა ყოველთვის ნიშნავს სასოწარკვეთის განცდას და იმედის დაკარგვას“ [227].

\* \* \*

ესენინი თბილისში მცირე ხნით ადრეც ყოფილა, ხოლო 1924 წელს, თვითმკვლელობამდე ერთი წლით ადრე, იგი ბაქოდან თბილისში ჩამოდის და აქ უკვე საკმაო ხანს რჩება. თბილისში შემოქმედებით ის ისევ იწყებს წერას (მანამდე მას შემოქმედებითი კრიზისიც აწამებდა) და საქართველოს შესახებ საინტერესო ლექსსაც ქმნის, რომელიც ასე იწყება:

Издrevле русский наш Парнас  
Тянуло к незнакомым станам,  
И больше всех лишь ты, Кавказ,  
Звенел загадочным туманом.

ამ ლექსში მან გაბოლშევიკებული მაიაკოვსკიც გაკენ-  
ნლა:

Мне мил стихов российский жар.  
Есть Маяковский, есть и кроме,  
Но он, их главный штабс-майор,  
Поет о пробках в Моссельпроме.

ლექსი ასეთი მშვენიერი სტროფით მთავრდება:

И чтоб одно в моей стране  
Я мог твердить в свой час прощальный:  
«Не пой, красавица, при мне  
Ты песен Грузии печальной».<sup>1</sup>

„კაბაკური“ დეპრესიული გარემოდან გამოღწეულმა, ბაქოში მიტოვებული „ამხანაგისაგან“ (ჩეკისტი ბლიუმკინისაგან) თავდაღწეულმა ესენინმა თბილისში, საქართველოს ლიტერატორების მეგობრულ და მზრუნველ ატმოსფეროში, როგორც ჩანს, იგრძნო ნამდვილი შვება და თავისი ბოლო პერიოდის ლექსების დიდი ნაწილიც აქ შექმნა [228] (ფაქტობრივად, ამასვე ამბობს ტიციან ტაბიძეც 1927 წელს გამოქვეყნებულ მოკლე წერილში ესენინის შესახებ [48]).

<sup>1</sup> ბრჭყალებში ჩასმული სტრიქონები პუშკინისაა.

# 11

## გეზ-ნაკდებარ ღისტანსირაბუდნი




ფსიქოლოგი-მედიკოსი  
იპოპოლიტოლოგი



ტიუტჩევის მეტამითი, არსებითად, ყველა მის შემდგომ-  
დროინდელ რუს პოეტზე ზემოქმედებდა და ზემოქმედებს,  
თუმცა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ძალით: ზოგი მეტად  
იყო/არის მიდრეკილი დერჟავნიკული მითისქმნის გაგრძე-  
ლებისაკენ, ზოგი – ნაკლებად. ეს არ არის „ერთგვაროვანი  
პოეტური ნაკრები“ – ეს პოეტები, უმეტესად, განსხვავე-  
ბული ესთეტიკური პრინციპების თუ იდეოლოგიების მიმ-  
დევრები იყვნენ: ანტროფოსოფიით გატაცებული ვოლოშინი  
სიმბოლისტი იყო; კუზმინი თავისი კლარიზმის თეორიით  
კმაყოფილდებოდა და „პოეტური დაჯგუფებებისგან“ გან-  
ცალკევებით იდგა; სევერიანინი ემიგრაციამდე „მყვირალა“  
ეგოფუტურისტი იყო; ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ პას-  
ტერნაკმა ფუტურისმით დაიწყო (თუმცა, „ტიპობრივი ფუ-  
ტურისტი“ ის არც იმ დროს ყოფილა); მანდელშტამი კი, გუ-  
მილიოვთან და ახმატოვასთან ერთად, აკმეიზმით იწყებდა,  
თუმცა შემდგომ მის შემოქმედებას აკმეიზმის პოეტიკიდან  
ცოტა რამდა შემორჩა...

# ოსიპ მანდელშტამი ОСИП МАНДЕЛЬШТАМ

1891-1938



**მ**სიპ მანდელშტამი „მესჩანების“ წრიდან გამო-  
სული, ჰაიდელბერგსა და სორბონაში ნასწავლი,  
ვაჟას გენიით ალტაცებული, „გოგოთურ და აფში-  
ნასა“ და თავისი თანამედროვე ქართველი პოე-  
ტების ნანარმოებების მთარგმნელი, უთუოდ  
დიდად გამორჩეული და, იმავდროულად, მეტისმეტად წინა-  
აღმდეგობრივი მსოფლმხედველობის მქონე პოეტი იყო.

რა მიზეზებიც უნდა მოუძებნოს ამას სერგეი ავერინცევი-  
მა წერილში „და მაინც რატომ მანდელშტამი?“ [229], ან რა  
უმნიშვნელოდ, მეორეხარისხოვნად უნდა მიიჩნიოს ეს (და  
ზოგადად – პოეტის „ამორფული რელიგიურ-მსოფლმხედ-  
ველობრივი შეხედულებები“) მიხეილ ლოტმანმა [230] – მან-  
დელშტამსაც ჰქონდა დერჟავულობით ალტაცების აშკარად  
გამოხატული პერიოდი:

Подем в Царское Село!  
Свободны, ветрены и пьяны,  
Там улыбаются уланы,  
Вскочив на крепкое седло...  
Подем в Царское Село!

წავიდეთ ცარსკოე სელოში!  
თავისუფლები, თავქარიანები და მთვრალეები,  
იქ ილიმებიან ულანები (= რუსეთის იმპერიის  
ჯარში კავალერისტები, მხედრები)  
მყარ უნაგირებზე მსხდომნი...  
წავიდეთ ცარსკოე სელოში.

ვფიქრობთ, ამ კონტექსტში არც მანდელშტამის ტიუტჩევისადმი სიყვარული [122] უნდა იყოს მთლად შემთხვევითი; და არც მანდელშტამისა და ტიუტჩევის პოეზიას შორის პარალელების ძიებისადმი მიძღვნილი ნაშრომების მრავალრიცხოვნება უნდა იყოს მხოლოდ გარკვეული პოეტიკური მსგავსებით გამოწვეული [231].

ეს რომ მართლაც შემთხვევითი არ არის, ამას პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მანდელშტამის შექმნილი ლექსებიც ადასტურებს: „მისი პოეზიისათვის ომი ტიუტჩევისაკენ კიდევ ერთ „მიქცევას“ (обращение к Тютчеву) ნიშნავდა, ამჯერად – ტიუტჩევის რიტორიკული პოეტური პუბლიცისტიკისაკენ (ანუ ყბადაღებული დერჟავულ-იმპერიალისტური დისკურსისაკენ – ნ. ზ.). ასეთებია: ლექსები, მიმართული პოლენელებისადმი, ასევე რეიმისისა და კიოლნის შესახებ; ლექსი, შექმნილი რომის პაპის – მშვიდობის დაცვისადმი მიძღვნილი – ენციკლიკის გამო და სხვ.; ლექსში «В белом раю лежит богатырь...» იმდენად კონცენტრირებულია ოფიციალური ხალხოსნობის მოტივები, რომ ძნელიც კია დაიჯერო ეს“, – ამბობს მიხეილ გასპაროვი წერილში „პოეტი და კულტურა, ოსიპ მანდელშტამის სამი პოეტიკა“ [232] (იგულისხმება – ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს მანდელშტამის დანერილია – ნ. ზ.).

ტიუტჩევის გავლენითაა დანერილი შემდეგი სტრიქონები:

В белом раю лежит богатырь:  
Пахарь войны, пожилой мужик.  
В серых глазах мировая ширь:  
Великорусский державный лик ...

თეთრ სამოთხეში წევს დევგმირი:  
ომის გუთნისდედა, ქარმაგი მუჟიკი (გლეხი).

რუხ თვალეში მსოფლიო სივრცეა:  
ველიკორუსული დერჟავული ხატი..

\* \* \*

ამის გარდა, მანდელშტამი 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იან წლებში აშკარად კონფორმისტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა „წითელი იმპერიის“ მიმართ, რისთვისაც მას მკვეთრად აკრიტიკებდა ცვეტაევა თავის წერილებში [233]; „ნიკოლოზ ჩუკოვსკი (...) სრულიად მართებულად აღნიშნავდა, რომ „მანდელშტამი მიესალმა ოქტომბრის რევოლუციას“, რომელიც მას მიაჩნდა „შემზარავად, მრისხანედ, მაგრამ დიადად და ქებათა ქების ღირსად. და მან კიდევ აღუვლინა მას ქებათა ქება“. 1918 წელს მანდელშტამი აქვეყნებს ლექსებს, რომლებიც სამართლიანად შეიძლება მივაკუთვნოთ იმავე რიგს, სადაცაა ბლოკის „თორმეტი“ და მისი სტატიები რევოლუციის შესახებ, ასევე, ანდრეი ბელის პოეტური მიმართვა „თანამედროვეებს“, – წერს მანდელშტამის ლექსების – 1990 წელს თბილისში, „მერანში“ გამოცემული – ნიგნის შესავალ წერილში ცნობილი ქართველი ლიტერატურისმცოდნე გიორგი მარგველაშვილი [234].

მაგრამ ერთხელაც პოეტის მგრძნობიარე სულმა ველარ გაუძლო და მანდელშტამს „ნამოსცდა“:

Мы живем, под собою не чуя страны,  
Наши речи за десять шагов не слышны,  
А где хватит на полразговорца,  
Там припомнят кремлёвского горца.  
Его толстые пальцы, как черви, жирны,  
А слова, как пудовые гири, верны,  
Тараканьи смеются усища,  
И сияют его голенища.  
А вокруг него сброд тонкошеих вождей,

Он играет услугами полулюдей.  
 Кто свистит, кто мяучит, кто хнычет,  
 Он один лишь бабачит и тычет,  
 Как подкову, кует за указом указ:  
 Кому в пах, кому в лоб, кому в бровь, кому в глаз.  
 Что ни казнь у него – то малина  
 И широкая грудь осетина.

1933 [242]

ჩვენ ვცხოვრობთ, მაგრამ ფეხქვეშ ქვეყანას  
 ვერა ვგრძობთ,  
 ჩვენი სიტყვა ათ ნაბიჯზეც კი არ ისმის,  
 ხოლო, სადაც ოდნავ ამოვიღებთ ხმას,  
 იქ გაგვახსენებენ კრემლის მთიელს (= სტალინს).  
 მისი სქელი თითები, ჭიაყელებივით, ქონიანია,  
 ხოლო სიტყვები, ფუთიანი სანონებივით, მძიმეა,  
 იცინიან ტარაკნის უღვაშები,  
 და ბრწყინავენ მისი ჩექმის ყელები.  
 მის გარშემო კი წვრილყელა ბელადების ბრბოა,  
 იგი თამაშობს ამ ნახევრად ადამიანებით,  
 ვილაც სტვენს, ვილაც კნავის, ვილაც კრუსუნებს,  
 მხოლოდ იგი ბუბუნებს და თითს იქნევს,  
 როგორც ნალს, ჭედავს ბრძანებებზე ბრძანებებს:  
 ვის – მუშტი მუცელში, ვის – შუბლში, ვის – წარბში,  
 ვის – თვალში.  
 ყოველი სიკვდილით დასჯა მისთვის განცხრომაა,  
 ფართომკერდიანი ოსისთვის.

(ფართომკერდიანი ოსისთვის – სტალინს ოსები და, ალბათ, მათი „გავლენით“, რუსების ნაწილიც ოსური ეროვნების წარმომადგენლად მიიჩნევენ).

ამის შემდეგ მანდელშტამს 1937 წელს შექმნილმა ამ სტრიტოქონებმა ველარც უშველა:

И налетит пламенных лет стая,  
 Прошелестит спелой грозой Ленин,  
 И на земле, что избежит тленья,  
 Будет будить разум и жизнь Сталин.

და თავს დაგვეცემა ცეცხლოვანი წლების  
 ფრთოსანი გუნდი,  
 ხმას გაგვაგონებს ჭექა-ქუხილით ლენინი,  
 და დედამიწაზე, რომელიც გადაურჩება ხრწნას,  
 დაიწყებს გონებისა და სიცოცხლის გაღვიძებას  
 სტალინი.

1938 წელს ოსი მანდელშტამი მეორედ დააპატიმრეს<sup>1</sup> და ამავე წლის მიწურულს მძიმედ დაავადებული პოეტი „გულაგისკენ“ გზაზე, ვლადივოსტოკთან, ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა – მას ამჯერად უკვე ხუთი წელი ჰქონდა მისჯილი კონტრრევოლუციური მოღვაწეობისათვის. საფლავის სავარაუდო მდებარეობაც კი უცნობია.

რუსი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მანდელშტამს ჰქონდა წინასწარმეტყველების ნიჭიც: მან 1921 წელს თარგმნა ასევე უსაფლავოდ დარჩენილი ჩვენი ნიკოლო მინიშვილის წინა მდივნისადმი მიძღვნილი ლექსი, სადაც საკუთარი გარდაცვალებაც იწინასწარმეტყველა [236]:

Когда я свалюсь умирать под забором в какой-нибудь яме,  
 И некуда будет душе уйти от чугунного хлада –  
 Я вежливо тихо уйду. Незаметно смешаюсь с тенями.  
 И собаки меня пожалеют, целуя под ветхой оградой.  
 Не будет процессии. Меня не украсят фиалки,  
 И девы цветов не рассыпят над черной могилой...

<sup>1</sup> პირველად იგი 1934 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს მოსკოვიდან, სადაც ის მხოლოდ 1937 წელს დაბრუნდა.

\* \* \*

სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ამ, მსოფლმხედველობრივი თუ რელიგიური შეხედულებების თვალსაზრისით, მართლაცადა, მეტისმეტად წინააღმდეგობრივი პოეტის „ჭეშმარიტმა დერჟავნიკობამ“ დიდხანს არ გასტანა – მას რამდენიმე წელიწადში გადაუარა პირველი მსოფლიო ომის დროს წარმოშობილმა დერჟავულმა პათოსმაც: «С миром державным я был лишь ребячески связан...» (დერჟავულ სამყაროსთან მე მხოლოდ ბავშვურად (ბავშვური გულუბრყვილობის გამო) ვიყავი დაკავშირებული), – შემდგომში დაწერს ის; და, კონფორმისტული დამოკიდებულების მიუხადავად, ვფიქრობთ, მას ბოლომდე არც წითელი იმპერიისა სწამდა არასოდეს: აი, რას წერდა ის 1922 წელს, წერილში „ხორბალი ადამიანისა“: „არც ერთი მესიანისტურად განწყობილი და აღმატებულად მომზირალი ხალხისა არასოდეს ესმოდა სხვას“ («Ни один мессианствующий и витийствующий народ никогда не был услышан другим») [237].

\* \* \*

მანდელშტამი საქართველოს სამჯერ ესტუმრა: ყველაზე ხანგრძლივად, ექვსი თვით, მეუღლესთან ერთად – 1921 წელს. მისი მეუღლის სიტყვებით – სწორედ აქ მოხდა პოეტის სამყაროში მსოფლმხედველობრივი გარდატეხა, რაც პირველად აისახა 12-სტრიქონიან, უსათაურო ლექსში «Умывался ночью на дворе»; ის თითქოსდა გამოვიდა ახალგაზრდული ასაკიდან და ამ ლექსში გამოხატა ახალი მსოფლალქმის შინაარსი: სანდისი, გაჭირვება; რეალური, პირქუში, საზარელი მიწა; სიმართლე, როგორც სიცოცხლის საფუძველი; და ყველაზე წმინდა და უშუალო, რაც ადამიანს ეძლევა – სიკვდილი და უხეში ვარსკვლავები, ციურ სიმკვრივეზე გაბნეული [238].

1922 წელს მანდელშტამი ჩვენთვის კარგად ცნობილ და საგულისხმო წერილში „ორიოდ სიტყვა ქართული ხელოვნების შესახებ“ დაწერს შემდეგს: „საქართველომ მოაჯადოვა რუსი პოეტები თავისებური ეროტიკით, ეროვნული ხასიათისათვის ჩვეული სატრფიალო განწყობილებით, ლალი და უწყინარი ზარხობით, მელანქოლიური და მთვრალი განცხრომით, რომელშიც დანთქმულია ამ ხალხის სული და მისი ისტორია. ქართული ეროსი იზიდავდა რუს პოეტებს. სხვისი სიყვარული ჩვენთვის ყოველთვის უფრო ღირებული და სანუკვარი იყო, ვიდრე საკუთარი განცდა, საქართველოს კი სიყვარულის უნარი ჰქონდა მომადლებული. მისი უძველესი ხელოვნება, მისი ხუროთმოძღვრების, ფერმწერების, პოეტების ნაღვანი სიყვარულის დახვეწილი გრძნობითა და რაინდული სინატიფითაა გამსჭვალული“ (თარგმანი – თამარ ლომიძისა) [72]. ამავე წერილში იგი ურჩევს ქართველ სიმბოლისტებს, მეტი ყურადღება მიაქციონ საკუთარ, მათ შორის ფიროსმანისეულ და ვაჟასეულ, მემკვიდრეობას და ნუ გახდებიან მეორე (რუსული) ხელიდან შემოსული ფრანგული მოდერნიზმის (იგულისხმება – სიმბოლიზმის) ეპიგონები, რითაც დიდად გაანაწყენებს თავის მეგობარ „ცისფერყანწლებს“.

თბილისისადმი მიძღვნილი ლექსი პოეტმა 1920 წელს დაწერა და შემდეგ ორჯერ ცოტათი გადააკეთა (1927 და 1935 წლებში):

Мне Тифлис горбатый снится,  
Сазандарей стон звенит,  
На мосту народ толпится,  
Вся ковровая столица,  
А внизу Кура шумит.

Над Курюю есть духаны,  
Где вино и милый плов,  
И духанщик там румяный  
Подает гостям стаканы  
И служить тебе готов.

Кахетинское густое  
Хорошо в подвале пить, –  
Там в прохладе, там в покое  
Пейте вдоволь, пейте двое,  
Одному не надо пить!

В самом маленьком духане  
Ты обманщика найдешь,  
Если спросишь «Телиани»,  
Поплывет Тифлис в тумане,

Ты в бутылке поплывешь.  
Человек бывает старым,  
А барашек молодым,  
И под месяцем поджарым  
С розоватым винным паром  
Полетит шашлычный дым...

მიუხედავად ტრადიციული ეგზოტიკურობისა, სადაც პოლონსკის მოტივებიც გაისმის (საზანდარი და სხვ.), ჩვენი აზრით, ეს არის თბილისისადმი მიძღვნილი საუკეთესო რუსული ლექსი: ჯერ ერთი, იმიტომ რომ მისი პირველივე სტრიქონი თბილისის „ამსახველი“ ყველაზე ორიგინალური ვიზუალური მეტაფორაა, და მეორეც – ეს არის (ამ პერიოდში) სამშობლოს (რუსეთის) მიერ ერთგვარად გარიყული, მისგან გაუცხოებული პოეტის „იმედის წვეთი“, ამოთქმა

იმისა, რომ გაუცხოება რამ საყოველთაო, რამ აუცილებელი არ არის, და რომ არსებობს ისეთი „დასიზმრებული კუზიანი ქალაქები“, სადაც ადამიანი „მარტო არ სვამს“, სადაც მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია... და ვფიქრობთ, სწორედ ეს იყო (და შესაძლოა, დღესაცაა) მანდელშტამის მიერ ნახსენები ქართული „სატრფიალო განწყობილების“ თუ „სიყვარულის უნარის“ მთავარი სიღრმისეული შემადგენელი...

## ბორის პასტერნაკი БОРИС ПАСТЕРНАК

1890-1960



დიდი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ქართული პოეზიის შესანიშნავი მთარგმნელი და პოპულარიზატორი, ბორის პასტერნაკი 30-იან წლებს გადაურჩა: მაშინ მისი რეპრესირების მოთხოვნას თვით „დიდი სტალინი“ გამოეხმაურა – ხელსწუ ახლებთ ცის ამ ბინადარსო. სტალინის ეს „ფრთიანი ფრაზა“ „წინასწარმეტყველებადაც“ იქცა: მოგვიანებით ასტრონომებმა მარსსა და იუპიტერს შორის მოძრავ ერთ-ერთ პლანეტას „ბორის პასტერნაკი“ დაარქვეს.

აქვე, ალბათ, უნდა გავიხსენოთ ცნობილი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ დაურეკა სტალინმა პასტერნაკს, შეეკითხა მას დაპატიმრებული მანდელშტამის შესახებ (იგულისხმება პირველი დაპატიმრება) და პასტერნაკის არადაძვერებელი პასუხის გაგონებისას, უსაყვედურა: ჩვენ თავს არ ვზოგავდით ჩვენი მეგობრების დასაცავადო (ამ ისტორიის ბევრი, დეტალებით ერთმანეთისაგან განსხვავებული ვერსია არსებობს – იხ. [237]).

რევოლუციამდე პასტერნაკსაც ჰქონდა სლავიანოფილობით გატაცების ერთი პერიოდი, რომლისგანაც ის, მანდელშტამივით, მალევე განიკურნა. ასევე, არსებითად ეპიზოდური გამოდგა უშუალოდ ტიუტჩევით გატაცებაც, რაც მხოლოდ მის პირველ კრებულში („ტყუპისცალი საავდრო ღრუბლებში“ – «Близнец в тучах», 1914 წ.) აისახა [240]; მაგრამ ამ ყოველივეს ურეციდივოდ არ ჩაუვლია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პასტერნაკმა თავისი პოეტური გზა ფუტურიზმით დაიწყო და იგი, სხვა ფუტურისტების მსგავსად, პოზიტიურად განეწყო რევოლუციების მიმართ: რევოლუციებმა ეპიკური პოეტური მეტყველების მოთხოვ-

ნილება აღძრა და 20-იან წლებში პასტერნაკი ქმნის რამდენიმე ისტორიულ-რევოლუციურ პოემას, მათ შორის „მაღალავადმყოფობას“ («Высокая болезнь»), სადაც აღწერილია საბჭოების ერთ-ერთი ყრილობა და ამ ყრილობაზე ლენინის გამოსვლა. ეს პოემა 1924 წელს მაიაკოვსკიმ «ЛЕФ»-ში დაბეჭდა [240, 241]. „რევოლუციაში ჩემთვის ყველაზე ძვირფასია მისი ზნეობრივი არსი. მის ზეგავლენას შევადარებდი ტოლსტოის ზეგავლენას, ოღონდ – უსასრულოდ მაღალ ხარისხში აყვანილს“, – წერდა პოეტი [242].

პასტერნაკს სტალინით აღტაცების პერიოდიც ჰქონდა (აღბათ, ამანაც მოუღობო გული ბელადს „ცის ბინადარის“ მიმართ):

А в те же дни на расстояние  
За древней каменной стеной  
живет не человек, – деянье:  
Поступок, ростом с шар земной.  
Судьба дала ему уделом  
Предшествующего пробел.  
Он – то, что снилось самым смелым,  
Но до него никто не смел.  
(...)

И этим гением поступка  
Так поглощен другой, поэт,  
Что тяжелеет, словно губка,  
Любою из его примет.  
Как в этой двухголосной фуге  
Он сам ни бесконечно мал,  
Он верит в знание друг о друге  
Предельно крайних двух начал.

ხოლო ამავე დღეებში ცოტათი მოშორებით,  
ქვის ძველი კედლის მიღმა (= კრემლში)

ცხოვრობს, კაცი კი არა, – ქმედება:  
საქციელი, სიმაღლით დედამიწის ტოლი.  
მას ბედისწერამ წილად არგუნა  
ნამყოს ხარვეზი.

იგი – სიზმრად ნანახი (საოცნებო) უდიდესი სიმამაცეა,  
რაც მანამადე (= სტალინამდე) ვერავინ გამოიჩინა.  
(...)

და საქციელის ამ გენიოსით  
ისეა შთანთქმული მეორე პოეტი

(= პასტერნაკი; პირველი – სტალინია),

რომ მძიმდება, როგორც ღრუბელი  
(იგულისხმება: ღრუბელი – гүнка – გაჟღენთვისას),  
ნებისმიერი მისი მინიშნებით

(= სტალინის „გენიალური“ აზრებით)

და თუმცა ამ ორხმოვან ფუგაში  
ის თვითონ (= პასტერნაკი) უსასროლოდ მცირეა,  
მას სწამს – ორი უკიდურესი საწყისი  
ერთმანეთს ცნობს (= მათ ერთმანეთის ესმით).

\* \* \*

პასტერნაკი მაინც იყო „საბჭოთა ადამიანიც“ და რუსი პატრიოტიც: მას ეძვირფასებოდა საბჭოთა დერჟავა. ამან განსაკუთრებით აშკარად იჩინა თავი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ამის შესახებ პასტერნაკის შემოქმედების ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი ვლადიმირ ალფონსოვი წერს: „პასტერნაკის ომის პერიოდის ლირიკაში ძლიერია „მითოპოეტური“ (...) ელემენტი (...), ფიქრი რუსეთზე და მისთვის დამახასიეთელ „სივრცელისა და ზოგადადამიანურობის სულისკვეთებაზე“ («духе широты и всечеловечности»), რაც ადრე, ამ პერიოდამდე პასტერნაკის შემოქმედებაში

ასე ღიად, გახსნილად არასოდეს ასახულა. 1944 წელს შექმნილ ლექსში „გაზაფხული“ პასტიერნაკმა პოეტური სუნთქვის ზღვრულ განფენილობას მიაღწია:

Все нынешней весной особое,  
Живее воробьев шумиха.  
Я даже выразить не пробую,  
Как на душе светло и тихо.  
Иначе думается, пишется,  
И громкою октавой в хоре  
Земной могучий голос слышится  
Освобожденных территорий.

ამ გაზაფხულზე ყველაფერი განსაკუთრებულია, უფრო ლაღია ბელურების აურზაური. მე არც კი ვცდილობ, გადმოვცე, თუ რა სინათლეა და სიმშვიდეა სულში. სხვაგვარად მეფიქრება, მენერება, და ხმამალალ ოქტავად მომღერალთა გუნდში მოისმის მიწიერი, მძლავრი ხმა განთავისუფლებული ტერიტორიებისა.

ვიტყოდით: ერთობ საეჭვო განფენილობას მიაღწია – ეს 1944 წელია, როდესაც რუსეთი/სსრკ გადის სსრკ-ის საზღვრებიდან... ალფონსოვი ამ ლექსის მხოლოდ პირველ ორ სტროფს ციტირებს; აი, დანარჩენი:

Весеннее дыхание родины  
Смывает след зимы с пространства  
И черные от слез обводины  
С заплаканных очей славянства.  
Везде трава готова вылезти,  
И улицы старинной Праги

Молчат, одна другой извилистей,  
Но заиграют, как овраги.  
Сказанья Чехии, Моравии  
И Сербии с весенней негой,  
Сорвавши пелену бесправия,  
Цветами выйдут из-под снега.  
Все дымкой сказочной подернется,  
Подобно завиткам по стенам  
В боярской золоченой горнице  
И на Василии Блаженном.  
Мечтателю и полуночнику  
Москва милей всего на свете.  
Он дома, у первоисточника  
Всего, чем будет цвести столетье.

სამშობლოს საგაზაფხულო სუნთქვა რეცხავს (გადარეცხავს, აქრობს)

სივრციდან ზამთრის კვალს და ცრემლებისგან გაშავებულ გუბებს სლავიანობის ნამტირალევი თვალებიდან (= დადგა სლავიანობის გამარჯვების, რევანშის დრო – გაზაფხული) ყველგან მზადაა ბალახი, ამოძვრეს, და ძველებური პრადის ქუჩები დუმან, მიხვეულ-მოხვეულები, მაგრამ მალე ათამამდებიან, როგორც ხეები. თქმულებები ჩეხიისა, მორავიისა და სერბიისა გაზაფხულის სილაღით, უუფლებობის სუდარამოგლეჯილი, ყვავილებად ამოვლენ თოვლის ქვეშიდან. ყველაფერი ზღაპრული ბინდით გაითრთოლებს, ბოიარების მოოქრული მისაღები ოთახის კედლებზე

და ვასილი ნეტარის ტაძარზე გამოყვანილი  
ხვეულებივით.  
მოცნებისა და ღამისმთევლისთვის  
ამქვეყნად მოსკოვი ყველაფერზე საყვარელია.  
იგი შინაა, პირველწყაროსთანაა  
ყველაფრისა, რითაც აყვავილდება საუკუნე.

(აქ ალბათ სტალინიც იგულისხმება - ნ. ზ.).

(ვასილი ნეტარი - სალოსი, რუსული ეკლესიის წმინდანი, და-  
დიოდა შიშველი და მუდმივად მარხულობდა. მას დიდ თაყვანს სცე-  
მდა თვით ცარი ივანე გროზნი, რომლის მეფობის პერიოდშიც, 1552  
წელს, 83 წლისა გარდაიცვალა ვასილი; ვასილი ნეტარის სახელო-  
ბის ტაძარი მოსკოვში, წითელ მოედანზე მდებარეობს).

და ეს უთუოდ პასტერნაკის სლავიანოფილობის „საყ-  
მანვილო სენის“ მძიმე რეციდივიცაა [243]. საინტერესოა  
ისიც, რომ პასტერნაკმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით  
ადრე „დაინუნა“ თითქმის ყველაფერი, რაც 1940 წლამდე  
დანერა [244], ანუ მას ასეთ (1940 წლის შემდგომ) „რეცი-  
დივებზე“ „ხელი არ აუღია“...

ყოველივე ამის მიუხედავად, „პარტიულ ცხოვრებაში“  
პასტერნაკი არასოდეს გარეულა. დაბოლოს, როგორც ცნო-  
ბილია, მან რომანით „ექიმი ჟივაგო“ დაასრულა ცხოვრება:  
ამ ნაწარმოების დასავლეთში პუბლიკაციის გამო საბჭოთა  
ხელისუფლებისა და საბჭოთა ლიტერატურულ-სახელოვნე-  
ბო (მათ შორის, ქართველი [245]) „ბოსების“ მხრიდან თავს  
დამყდარმა კრიტიკის, უფრო სწორედ - ლანძღვის ტალღამ  
მოუსწრაფა სიცოცხლე ამ უთუოდ დიდ პოეტს. თუმცაღა,  
როგორც იგივე ვლადიმირ ალფონსოვი აღნიშნავს, ამ რო-  
მანის „გმირი, რომელიც გაკვირვებითა და აღტაცებით შეხ-  
ვდა ოქტომბერს, შემდეგ „დაშორდა“ რევოლუციას, მან არ-  
სებითად უარყო იგი, მაგრამ ამის გამო ის თეთრგვარდიელი

არ გამხდარა“ [240]. ასეა თუ ისე, „ექიმი ჟივაგო“ მაინც ნამ-  
დვილი „დისიდენტური ნაწარმოებია“.

\* \* \*

პასტერნაკს გულწრფელად უყვარდა საქართველო. ჩვენი  
ქვეყნით იგი ჯერ კიდევ 1917 წელს დაინტერესდა, როცა  
შექმნა ლერმონტოვის „დემონის“ მოკლე „რემეიქი“, 5-სტრო-  
ფიანი „დემონის ხსოვნას“ («Памяти Демона»). პასტერნაკ-  
მა 1930 წლის ოქტომბერში ჯერ პაოლო იაშვილი გაიცნო  
მოსკოვში, შემდეგ კი მისი მოწვევით პირველად ესტუმრა  
საქართველოს 1931 წლის ივლისში და აქ სამი თვე დაჰყო,  
რამაც პოეტზე დიდი, სამუდამო შთაბეჭდილება მოახდინა,  
რაც კიდევ აისახა მის შემოქმედებაში: საქართველოს მასში  
მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

Мы были в Грузии. Помножим  
Нужду на нежность, ад на рай,  
Теплицу льдам возьмем подножьем,  
И мы получим этот край.

И мы поймем, в сколь тонких дозах  
С землей и небом входят в смесь  
Успех, и труд, и долг, и воздух,  
Чтоб вышел человек, как здесь.  
Чтобы, сложившись средь бескормиц,  
И поражений, и неволь,  
Он стал образчиком, оформясь  
Во что-то прочное, как соль.

ცნობილი რუსი ლიტერატურისმცოდნე ლევ ანინსკი  
(Лев Аннинский, დაიბ. 1934) წერს: „ოჯახურმა დრამამ [246]  
მოიყვანა ის თბილისში... საქართველომ ისეთივე ძლიერი

ზემოქმედება მოახდინა მასზე, როგორც რევოლუციამ“, – სიმონ ჩიქოვანი, რომლის მოგონებებიდანაც არის აღებული ეს „ფორმულირება“, გადმოსცემს პასტერნაკის სულიერი ყოფიერების არსს: გამოუთქმელი შინაარსისათვის, ბოლოს და ბოლოს, სულერთია, რად განსხეულდება ის. სამყაროს ცარიელი მოცულობა ადრე რევოლუციით იყო შევსებული – ახლა ის საქართველოთია სავსე. რუსული საქარხნო გარეუბნების სიშავე თბილისის სიჭრელით იცვლება...“ [247].


ასეთი ინტერპრეტაცია სადავოა. ფაქტი კი ისაა, რომ ქართული პოეზიის თარგმნასა და პოპულარიზაციას პასტერნაკმა დიდი დრო დაუთმო: მან თარგმნა ბარათაშვილი მთლიანად, ვაჟას „გველისმჭამელი“ და XX საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტების ბევრი ნაწარმოები. ის აწყობდა ქართული პოეზიის საღამოებს მოსკოვში, გამოსცემდა რუსეთში ქართველი პოეტების კრებულებს და სხვ.

ამასთან, პასტერნაკი პაოლო იაშვილის, ტიცციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ნიკოლო მიწიშვილის, ლადო გუდიაშვილის და სხვა შემოქმედთა ახლო მეგობარი გახდა. მან მძიმედ განიცადა პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა და ტიცციან ტაბიძისა და ნიკოლო მიწიშვილის რეპრესირება; და ის სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა ტიცციანის ქვრივთან, ნინა ტაბიძესთან: ამ უკანასკნელმა 1958 წელს ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა პოეტს ნობელის პრემიის მინიჭება. მანვე უმასპინძლა 1959 წლის 20 თებერვლიდან 2 მარტამდე, ფაქტობრივად, მოსკოვიდან დროებით განდევნილ პასტერნაკს (საქმე ისაა, რომ ამ დროს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი, რომელიც პასტერნაკთან შეხვედრას ითხოვდა, რათა პირადად გაეგო ნობელის პრემიაზე უარის თქმის მიზეზი); და ეს იყო საქართველოში პასტერნაკის ბოლო სტუმრობა [187].

ნობელის პრემია პასტერნაკს მიენიჭა „თანამედროვე ლირიკულ პოეზიაში და დიად, ტრადიციულ რუსულ პროზაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“. ცნობილია, რომ პასტერნაკი სსრკ-ის იმდროინდელმა ხელისუფლებამ აიძულა, უარი ეთქვა პრემიის მიღებაზე. 31 წლის შემდეგ, 1989 წელს შვედეთის აკადემიამ ნობელის მედალი მის შვილს გადასცა [248].

# იგორ სევერიანინი ИГОРЬ СЕВЕРЯНИН

1887-1941



**ბ** ამორჩეული პოეტი-ეგოფუტურისტი – იგორ სევერიანინი – გასული საუკუნის 10-იანი წლების რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი და პოპულარული პოეტი იყო... ის 1918 წელს მოსკოვის პოლიტექნიკურ მუზეუმში გამოსვლისას დამსწრეებმა „პოეტების მეფედაც“ კი „აირჩიეს“ [249]. ამავე წელს მან დატოვა საბჭოთა რუსეთი და ესტონეთში გადასახლდა.

აი, მისი ეგოფუტურისტული პერიოდის ტიპობრივი ლექსი:

Меня отронит Марсельезия,  
Как президентного царя!  
Моя блестящая поэзия  
Сверкнёт, как вешняя заря!  
(...)  
Пусть на турнирах славоборчества  
Стиха титаны и кроты  
Берлинства, Лондонства, Нью-Йорчества  
Меня сразить раскроют рты:  
Я – я! Значенье эготворчества –  
Плод искушённой Красоты!

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ემიგრაციით გატანჯული“ სევერიანინი აღფრთოვანებით შეხვდა 1940 წელს წითელი არმიის მიერ ესტონეთის ოკუპაციას. ამ პერიოდში იგი ცდილობდა ეთანამშრომლა საბჭოთა ლიტერატურულ ჟურნალებთანაც, თუმცაღა ამ მცდელობას დიდი წარმატება არ მოჰყოლია.



სერგეი სევერიანინი  
 - სერგეი სევერიანინი  
 სერგეი სევერიანინი

სერგეი სევერიანინი - სერგეი სევერიანინი  
 სერგეი სევერიანინი - სერგეი სევერიანინი  
 სერგეი სევერიანინი - სერგეი სევერიანინი

რუსეთის მიერ ესტონეთის ოკუპაციისას ყბადაღებული  
 მისტიკურ-დერჟავული, ოლონდ ამჯერად „წითელი“ ქვეტიქ-  
 სტით წერდა:

Только ты, крестьянская, рабочая,  
 Человечекровая, одна лишь,  
 Родина, иная, чем все прочие,  
 И тебя войною не развалишь.  
 Потому, что ты жива не случаем,  
 А идеей крепкой и великой,  
 Твоему я кланяюсь могучему,  
 Солнечно сияющему лику.

მხოლოდ შენ, გლეხურო, მუშურო,  
 ადამიანურსისხლიანო, ერთადერთი ხარ,  
 სამშობლო, სხვა დანარჩენისგან განსხვავებული,  
 და შენ ომით ვერ დაგანგრევენ.  
 იმიტომ რომ, შენ ცოცხლობ არა შემთხვევით,  
 არამედ იდეით, ძლიერით და დიადით,  
 მე მუხლს ვიყრი შენი მძლავრი,  
 მზესავით გაბრწყინებული სახების წინაშე.

სევერიანინი გულის შეტევით გარდაიცვალა გერმანიის  
 მიერ ესტონეთის ოკუპაციის პერიოდშივე.

# მაქსიმილიან ვოლოშინი МАКСИМИЛИАН ВОЛОШИН

1877-1932



**პ**ოეტი და მხატვარი-პეიზაჟისტი, ანტროპოსოფიით გატაცებული მასონი – მაქსიმილიან ვოლოშინი, თავისი პოლიტიკური შეხედულებებით, დღევანდელ სლენგს თუ გამოვიყენებთ, „შუაშისტი“ იყო...

ვოლოშინი სორბონაში ლექციებსაც ესწრებოდა და პარიზშიც ცხოვრობდა. სწორედ აქ მიიღო მან ერთ-ერთი მასონური ლოჟის „კურთხევა“ (თუმცა ის მალევე გადავიდა სხვა ლოჟაში – „სინაის მთა“ №6). 10-იანი წლებიდან ვოლოშინი ყირიმში, კოკტებელში, დედამისის მიერ აშენებულ სახლში იდებს ბინას და ამის შემდეგ „კოკტებელი“ ერთგვარი ნიშნული სახელი, რუსული მოდერნიზმის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი ხდება [250].

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ვოლოშინი „შუაშისტი“ იყო, უფრო სწორედ კი – ის ცდილობდა დაპირისპირებულ მხარეებზე „მალლა დამგდარიყო“: როგორცუცის ხანაში კოკტებელში თავს რიგრიგობით აფარებდნენ „ნითლები“ და „თეთრები“ და ჩვენი შეხედულებით ასეთი პოზიცია, უპირველესად, „ნითლებისა“ და „თეთრების“ „დამტყვევლი“ დიდი რუსეთის ხატისადმი თავყვანისცემის გამოსახულებად უნდა მივიჩნიოთ: როგორც ჩანს, „ნმიდა რუსეთისა“ და „გამოუცნობი რუსული სულის“ მისტიკასთან მიმართებით მასონობაც კი უძღურია.

ვოლოშინის, შესაძლოა, ყველაზე ცნობილი, 1920 წელს შექმნილ ლექსში, რომელსაც „ჩრდილოაღმოსავლეთი“ ჰქვია, («Северовосток»), რუსეთის ისტორია თითქოსდა მკვეთრი კრიტიკული თვალთ არის დანახული:

«Да будет *Благословен* приход твой, *Бич* Бога, которому служу, и не мне *останавливать* тебя».

Слова св. Лу, архиепископа Турского, обращенные к Атилле

Расплясались, разгулялись бесы

По России вдоль и поперек.

Рвет и крутит снежные завесы

Выстуженный северовосток.

(...)

Войте, вейте, снежные стихии,

Заметая древние гроба:

В этом ветре вся судьба

России – Страшная безумная судьба.

В этом ветре гнет веков свинцовых:

Русь Малют, Иванов, Годуновых,

Хищников, опричников, стрельцов,

Свежевателей живого мяса,

Чертогона, вихря, свистопляса:

Быль царей и явь большевиков.

Что менялось? Знаки и возглавья.

Тот же ураган на всех путях:

В комиссарах – дурь самодержавья,

Взрывы революции в царях.

(...)

Ныне ль, даве ль – всё одно и то же:

Волчьи морды, машкеры и рожи,

Спертый дух и одичалый мозг,

(...)

Дикий сон военных поселений,

Фаланстер, парадов и равнений,

Павлов, Аракчевых, Петров,

Жутких Гатчин, страшных Петербургов,

(...)

Сотни лет тупых и зверских пыток,

И еще не весь развернут свиток

И не замкнут список палачей,

Бред Разведок, ужас Чрезвычайек –

Ни Москва, ни Астрахань, ни Яик

Не видали времени горчей.

Бей в лицо и режь нам грудь ножами,

Жги войной, усобьем, мятежами –

Сотни лет навстречу всем ветрам

Мы идем по ледяным пустыням –

Не дойдем и в снежной вьюге сгинем

Иль найдем поруганный наш храм, –

Нам ли весить замысел Господний?

Всё поймем, всё вынесем, любя, –

Жгучий ветер полярной преисподней,

Божий Бич! приветствую тебя.

ეს ტექსტი რთულად აღსაქმელია: შეიცავს ბევრ სპეციფიკურ სიტყვას თუ სახელს, რის გამოც თარგმანს არ ახლავს დანწრილებითი განმარტებები, რაც დიდ ადგილს დაიკავებდა.

„და დაილოცოს შენი მოსვლა, ღვთის მახვილო, რომელსაც მე ვემსახურები, და მე ვინა ვარ, რომ შენ შევაჩერო“.

ნმ. ლუს, ტურის არქიებისკოპოსის, სიტყვები, ატილასათვის თქმული

თავდავინყებით აცეკვდნენ, ღრეობენ ჭინკები

რუსეთის მთელ სიგრძე-სიგანეზე.

გლეჯს და ატრიალებს თოვლის ფარდებს

გადაციებული ჩრდილოაღმოსავლეთი.

(...)

იყმუვლეთ, იქროლეთ, თოვლიანო სტიქიონებო,  
თოვლით დაფარეთ ძველი კუბოები:

ამ ქარშია რუსეთის მთელი ბედისწერა –  
საშინელი, შეშლილი ბედისწერა.

ამ ქარშია ტყვიისფერი საუკუნეების ძალმომრეობა:  
რუსეთი მალიუტების, ივანების, გოდუნოვების,  
მტაცებლების, ოპრიჩნიკების, სტრელეცების,  
ცოცხალი ხორცის გამტყავებლების,  
ეშმათა ჯირითის, გრიგალის, სტვენა-სტვენით  
ბუქნაობის:

ცარების ყოფნა და სინამდვილე ბოლშევიკების.  
რა იცვლებოდა? ნიშნები და სამეთაურო.

იგივე ქარიშხალია ყველა გზაზე:

კომისარებში – თვითმყრობელობის სისულელე,  
რევოლუციის აფეთქებები – ცარებში.

(...)

დღეს თუ უნინ – გამუდმებით ერთია:

მგლის დრუნჩები, მაიმახები და სიფათები,  
შეხუთული სული და გაველურებული ტვინი,

(...)

სამხედრო ქალაქების ველური სიზმარი,  
მწყობრად სვლის, აღლუმების და სწორების,  
პაელების, არაკრეევების, პიოტრების,  
შემზარავი გატჩინების, საშინელი პეტერბურგების,

(...)

ჩლუნგი და მხეცური წამებების ასწლეულები,  
და ჯერ ისევ არ გახსნილა მთელი გრაგნილი

და არ დახურულა ჯალათების სია,

სადაზვერვო ბოძვა, საგანგებო კომისიების საშინელება –

არც მოსკოვს, არც ასტრახანს, არც იაიკს

არ უნახავთ უფრო მწარე დრო.

დაგვარტყი სახეში და დანა ჩაგვასე მკერდში,

ომით, ქიშპით, ამბოხებებით დანვი ყველაფერი –

ასწლეულობით, ქარისკენ მიშვერილი პირისახით  
ჩვენ ყველა მივდივართ ყინულოვანი უდაბნოებით –

მაგრამ მაინც მივალთ და თოვლის ქარბუქში  
გადავიკარგებით,

ანდა მივაგნებთ ჩვენს შელახულ ტაძარს, –

ჩვენ ვინ ვართ, რომ ავნონოთ ღვთის ჩანაფიქრი?

ყველაფერს მივხდებით, ყველაფერს ავიტანთ,

სიყვარულით, –

მწველო ქარო პოლარული ქვესკნელისა,

ღვთის მახვილო! მოგესალმები შენ.


*(Северовосток/ჩრდილოაღმოსავლეთი – როგორც ჩანს, ველიკო-  
როსიის სინონიმადაა გამოყენებული: რუსულ ისტორიოგრაფიაში  
რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ვოლგისა  
და ოკის შუამდინარეთში, მდებარე ძველი რუსული სამთავროები  
გვიანდელი და თანამედროვე რუსეთის ბირთვად მიიჩნევა; ატილა  
– ჩვ. წ. აღ. მე-5 საუკუნეში ჰუნების მმართველი, ლიდერი ჰუნე-  
ბის იმპერიისა, რომელიც მისი მეფობის პერიოდში – 434-453 წწ.  
– მდ. ურალიდან მდ. რაინამდე და მდ. დუნაიდან ბალტიის ზღვამ-  
დე განივრცო; რომის დასავლეთის და აღმოსავლეთის იმპერიების  
მთავარი მტერი).*

ამ ნიშნულ ლექსს მოკლე კომენტარს დავურთავთ: ეს  
ყველაფერი გამოცდაა, განსანმენდელია, ჩვენ, რუსები ყვე-  
ლაფერს გავიგებთ, ყველაფერს ავიტანთ სიყვარულით («Всё  
поймем, всё вынесем, любя») და ბოლოს მაინც მივაგნებთ  
ჩვენს შელახულ (= წმიდა, მისტიკურ) ტაძარს («найдем  
поруганный наш храм»)...

ხოლო რა სიყვარული სჩვევია რუსეთს ამ ტაძრის ძიე-  
ბის გზაზე, განსაკუთრებით შედარებით სუსტი მეზობლების  
მიმართ, ეს ჩვენთვის, ქართველებისთვის ზედმიწევნით კარ-  
გადაა ცნობილი.

# იოსიფ ბროდსკი ИОСИФ БРОДСКИЙ

1940-1996



პკითხველისათვის, ალბათ, კარგადაა ცნობილი ნობელისპრემიისლაურეატის, იოსიფ ბროდსკის ცხოვრების ისტორია: რუსეთის ჩრდილოეთში გადასახლებისა და ფსიქიატრიულ კლინიკებში იძულებითი „მკურნალობის“ შემდგომ, ეს „ანტისაბჭოთა ელემენტი“ 1972 წელს, ფაქტობრივად, განდევნეს სსრკ-დან. სხვათა შორის, ბროდსკის რეპრესიებიც სახელდება სსრკ-ში ადამიანის უფლებების დაცვის მოძრაობის წარმოშობისა და საზღვარგარეთ ამ საკითხისადმი ინტერესის გაძლიერების ერთ-ერთ ფაქტორად [251]. „დისიდენტი“ ბროდსკი წერს:

Холуй смеется, раб хохочет,  
Палач свою секиру точит,  
Тиран терзает каплуна,  
Сверкает зимняя луна.  
То вид отчества: гравюра,  
На лежаке солдат и дура.  
Старуха чешет мертвый бок.  
То вид отчества: лубок.  
Собака лает, ветер носит,  
Борис у Глеба в морду просит,  
Кружатся пары на балу,  
В прихожей – куча на полу.  
Луна сияет, зренье муча,  
Под ней – как мозг отдельный – туча.  
Пускай художник, паразит,  
Другой пейзаж изобразит.

ლაქია იცინის, მონა ხარხარებს,  
ჯალათი თავის ცულს ლესავს,

ტირანი აწამებს გასუქებულ საჭურისს,  
 კაშკაშებს ზამთრის მთვარე.  
 ეს მამულის ხედია: გრავიურა,  
 თივაზე – სალდათი და დურა (= ტუტუცი ქალი).  
 დედაბერი მკვდარ გვერდს იფხანს.  
 ეს მამულის ხედია: ლუბოკი.  
 ძალღი ყეფს, ქარს მიაქვს,  
 ბორისი გლებს სთხოვს – სახეში მუშტს,  
 ტრიალებენ მეჯლისზე წყვილები,  
 შემოსასვლელის იატაკზე ვილაცას მოუსაქმია.  
 მთვარის კაშკაში აწვალებს თვალებს,  
 მთვარის ქვეშ – როგორც განცალკევებული  
 ტვინი – ღრუბელი.  
 დაე, მხატვარმა, პარაზიტმა,  
 სხვა პეიზაჟი გამოსახოს.

*(ლუბოკი/лунок – ხრალი, ლაფანი, გრავიურის „წინამორბედი“ – უმეტესად ხეზე/ხის მასალაზე კვეთილი, ხალხური, მარტივი გრაფიკული გამოსახულება; ბორისი და გლები – კიევის ერთ-ერთი დიდი მთავრის შვილები, რომლებიც ძალაუფლებისთვის ბრძოლაში 1015 წელს საკუთარმა ძმამ დახოცა; რუსული ეკლესიის პირველი წმინდანები).*

თუმცა უკვე ემიგრაციაში, ამერიკაში ბროდსკი წერს სავესებით იმპერიალისტურ ლექსს „უკრაინის დამოუკიდებლობის გამო“ («На независимость Украины», 1992), სადაც ის, არსებითად, დასცინის, აბუჩად იგდებს უკრაინას და მის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ:

Скажем им, звонкой матерью паузы метя, строго:  
 скатертью вам, хохлы, и рушником дорога.  
 Ступайте от нас в жупане, не говоря в мундире,  
 по адресу на три буквы на все четыре стороны.

Пусть теперь в мазанке хором Гансы  
 с лягами ставят вас на четыре кости, поганцы.  
 Как в петлю лезть, так сообща, сук выбирая в чаше,  
 а курицу из борща грызть в одиночку слаще?  
 Прощевайте, хохлы! Пожили вместе, хватит.  
 Плюнуть, что ли, в Днипро: может, он вспять покатит,  
 (...)

ვეტყვით მათ – პაუზებში დედის ხმამალლა ხსენებით  
 (= დედის გინებით) – მკაცრად:  
 „სტოლსაფრად“ თქვენ, ხახოლებო, და რუშნიკად –  
 ეს გზა (= ნაბრძანდით – ჩვენ ფეხზე გვკივია).  
 წადით შემოსილნი ჟუპანით, არ ვიტყვი – მუნდირით,  
 სამი ასოს მიმართულებით (= на хуй) ოთხივე  
 მხარეს (= ჯანდაბამდე გზა გქონიათ). დაე, ახლა მაზანკაში  
 ჰანსების გუნდმა (= გერმანელებმა)  
 ლიახებთან (= პოლონელებთან) ერთად დაგაყენოთ  
 ოთხზე (= გასაუპატიურებელ პოზაში), თქვე საძაგლებო  
 (= „ბაცნებო“).  
 როცა ყულფში თავის გაყოფაა საჭირო –  
 მაშინ ერთად ვართ,  
 ხოლო როცა ბორშიდან ხორცია გასანაწილებელი –  
 მაშინ ცალკე გინდათ ისიამოვნოთ?  
 მშვიდობით, ხახოლებო! ვიცხოვრეთ ერთად და კმარა.  
 დნეპრში ხომ არ ჩავაფურთხო: ეგებ ის უკულმა აგორდეს,  
 (...)

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს რომ: მე-5 სტრიქონიდან ბროდსკი კი აღარ მეტყველებს, არამედ მისი ლირიკული გმირი, ეს გამწარება უკრაინელებისადმი დიდი სიყვარულით არის გამოწვეული და მისთ. [252]. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი არგუმენტები სრულიად უსუსურია: ტექსტი აშკარად და ერთმნიშვნელოვნად რუსულ-იმპერიალისტურია.

## მიხაილ კუზმინი МИХАИЛ КУЗМИН

1872-1936



„**რ**ისტანცირებულთა კონტექსტში“ კიდევ ერთ, მეტად ორიგინალურ მწერალზე უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ეს გახლავთ პოეტი და პროზაიკოსი მიხეილ კუზმინი, რომელიც ლიტერატურული მიმდინარეობების მიღმა იდგა, და რომელმაც, ეპატაუისა და უხამსობის გარეშე, მაგრამ დაუფარავად, პირველმა ასახა ჰომოსექსუალური მიდრეკილებები და კავშირები რუსულ ლიტერატურაში.

საინტერესოა ისიც, რომ მის სექსუალურ პარტნიორებს შორის წითელი რუსეთის ზოგიერთი მაღალჩინოსანიც ფიგურირებს [253] და შესაძლოა, სწორედ ეს გარემოება იქცა იმის მიზეზად, რომ „მარგინალი“ პოეტი რეპრესირებული არ ყოფილა – ის მძიმედ დაავადებული ლენინგრადის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ჩვენთვის საინტერესოა 1916 წელს შექმნილი ლექსი, რომელსაც „ლერმონტოვს“ («Лермонтову») ჰქვია, და სადაც, ვფიქრობთ, კარგად არის „დახატული“ დაუდევარი, მეამბოხე პოეტის პორტრეტი – საინტერესო ავტორისეული ინტერპრეტაციებით (მათ შორის Тамара-ს შესახებ):

(...)

Ты с малых лет стоял у двери,  
Твердя: «Нет, нет, я ухожу», –  
Стремясь и к первобытной вере,  
И к романтическому ножу.

(...)

Ты страсть мечтал необычайной,  
Но, ах, как прост о ней рассказ!  
Пленился ты Кавказа тайной, –

Могилой стал тебе Кавказ.  
 И Божьи радости мелькнули,  
 Как сон, как снежная мятель...  
 Ты выбираешь – что? две пули  
 Да пошловатую дуэль.  
 Поклонник демонского жара,  
 Ты детский вызов слал Творцу.  
 Россия, милая Тамара,  
 Не верь печальному певцу.  
 В лазури бледной он узнает,  
 Что был лишь начат долгий путь.  
 Ведь часто и дитя кусает  
 Кормящую его же грудь.

და, აი, ასეთ პოეტსაც კი – ნარმოშობით არისტოკრატს, ესთეტს, დენდის – ანუხებს ცარგრადის (კონსტანტინოპოლის) მიმართ „ნოსტალგია“:

И даже там, в раю, приснится,  
 О, бедный Византийский брат,  
 Что снова милая столица  
 Окрестится «Святой Царьград»

და იქაც კი, სამოთხეში, დაგვესიზმრება,  
 ო, საბრალო ბიზანტიელო ძმაო,  
 რომ საყვარელი დედაქალაქი კვლავ  
 მოინათლება „წმინდა ცარგრადად“.

გარდა ამისა, იგი „ესთეტური აღფრთოვანებით“ ხვდება რევოლუციას, „ანგელოზს მუშის ხალატში“:

Мы не только хороним, мы строим новый дом.  
 Как всем в нем разместиться,  
 Подумаем мы потом.

Помните это начало советских депеш,  
 Головокружительное: «Всем, всем, всем!»  
 Словно голодному говорят: «Ешь!»,  
 А он, улыбаясь, отвечает: «Ем».  
 (...)

Русская революция – юношеская, целомудренная,  
 блага –

Не повторяет, только брата видит в французе  
 И проходит по тротуарам, простая,  
 Словно ангел в рабочей блузе.

ჩვენ არა მხოლოდ ვმარხავთ, ჩვენ ვაშენებთ ახალ სახლს.  
 თუ როგორ მოვთავსდეთ ყველა ამ სახლში,  
 ამაზე ჩვენ მერე ვიფიქრებთ.

გახსოვდეთ, ასეთია საბჭოთა დეპეშების დასაწყისი,  
 თავბრუდამხვევი: „ყველას, ყველას, ყველას!“  
 თითქოს მშიერს ეუბნებიან: „ჭამე!“,  
 და ის ღიმილით პასუხობს: „ვჭამ“.

(...)  
 რუსული რევოლუცია – ახალგაზრდული, უბინო,

კეთილი –  
 არ იმეორებს, მხოლოდ ძმას ხედავს ფრანგში  
 და მიდის ტროტუარებით – უბრალო,  
 როგორც ანგელოზი მუშის ბლუზაში (ხალატში).

(*ფრანцуз/ფრანგი – აქ საფრანგეთის რევოლუციას უნდა ნიშნავდეს, ანუ რუსეთის რევოლუცია არ იმეორებს საფრანგეთის სისხლიან რევოლუციასო; ეს ლექსი 1917 წლის მარტშია შექმნილი და ამ დროს პოეტი, ალბათ, სწორედ ასე ხედავდა მოვლენებს თუ ოცნებობდა ასეთზე; ფაქტობრივად კი, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსულმა რევოლუციამ ზუსტად გაიმეორა საფრანგეთის რევოლუციის სისხლიანი გზა).*

\*\*\*

ამ თავის ბოლოს მოვიყვანო ციტატას ამჟამად შვეიცარიაში მცხოვრები, მორდოვული წარმომავლობის, რუსი პოეტის, სერგეი ზავიალოვის 2001 წელს გამოქვეყნებული წერილიდან „ისტორია სიკვდილის შემდეგ – იმპერიალიზმი როგორც რუსული პოეტური კლასიკის უმაღლესი და უკანასკნელი ფორმა“; წერილი ძირითადად ბლოკისა და გუმილიოვის მსოფლმხედველობის ანალიზს შეიცავს [255]:

„შემდგომდროინდელმა მანდელშტამმა და ახმატოვამ აქტუალური ლიტერატურის სიიდან კლასიკოსების თანრიგში გადაინაცვლეს, რომლებსაც აღარ უშველით და აღარც ავენებთ ამოკითხული ამწუთიერი შინაარსები. იმ მკითხველის წინაშე კი, რომელსაც უყვარს თვით პოეზია, იხსნება ლექსებად ამოთქმული რუსული იმპერიალიზმის სული. აქედანაა ბლოკისეულ დღიურებსა და წერილებში დასავლეთ ევროპის უარყოფა (...), აქედანაა ნაციონალური განსაკუთრებულობის იდეა («Да, так любить, как любит наша кровь, // Никто из вас давно не любит!» (დიახ, ისეთი სიყვარული, როგორც ჩვენმა სისხლმა იცის, ყველა თქვენგანმა დიდი ხანია, დაივიწყა)) და, არსებითად, ტერიტორიულ აგრესიასთან სოლიდარობაც:

За море Черное, за море Белое,  
В черные ночи и в белые дни  
Дико глядится лицо онемелое,  
Очи татарские мечут огни...

აქედანაა, ასევე – მხოლოდ მეგაპოლის-ბაბილონის იმპერიაში შესაძლებელი – აპოკალიფსური მასშტაბით მოჯადოება. იგივე იმპერიალისტურ-ეგოცენტრული ცნობიერება უდევს საფუძვლად რევოლუციური რბევის – როგორც განსაკუთრებული, გაღმერთებული ეთნოსისთვის დამახასიათებელი მსოფლიო მოდელის – ალქმასაც“ (გასაგებია, რომ საუბარია რუსულ ეთნოსზე – ნ. ზ.).

12

# საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ბადაზღუენება

როგორც ქეთრინ ჰოდჯსონი (Katherine Hodjson) აღნიშნავს 1996 წელს გამოცემულ ვრცელ ნაშრომში „ხიშტით დაწერილი: მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა რუსული პოეზია“ [256], – ადრერევოლუციური, მეტად ინტერნაციონალური რიტორიკა უკვე 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში „პატრიოტულმა“ (= დერჟავულმა – ნ. ზ.) შეცვალა. ჰოდჯსონის წიგნში განხილულია, აგრეთვე, პირველი მსოფლიო ომისდროინდელი რუსული პოეზია (მაგალითად, ციტირებულია გუმილიოვის ამ პერიოდში შექმნილი ერთ-ერთი დერჟავნიკულ-მესიანისტური ტიპის ლექსი) და ბევრი სხვა საინტერესო საკითხი, ომისშემდგომი პერიოდის ჩათვლით.

დერჟავნიკულმა პოეტურმა პროდუქციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით იჩინა თავი მას შემდეგ, რაც სტალინმა „საბჭოეთის ძმურ ოჯახში“ რუსეთი „უფროს ძმად“, ხოლო რუსი ხალხი „დიდ რუს ხალხად“ მონათლა. ერთი შეხედვით, გაუგებარია, რატომ გახდა გაცილებით უფრო ახალგაზრდა რუსეთი, მაგალითად, საქართველოს „უფროსი ძმა“? ამ კითხვაზე მარტივი პასუხიც არსებობს: ქვეტექსტი ნათელია – უფროსობა მოსკოვშია!

მაგრამ ამ „აქტს“, ასეთ „გამოცხადებას“, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო ღრმა ქვეტექსტი აქვს და შორს მიმავალი ზრახვები უდევს საფუძვლად: ამით სტალინმა მოახდინა რუსეთის უსაზღვროების დერჟავული, იმპერიალისტური მითის (არსებითად, ტიუტჩევის მეტამითის) რელეგალიზაცია.

ოლონდ სტალინისტური ინტერპრეტაცია გულისხმობდა მითის რუსულ-მართლმადიდებლური სპეკულაციური კომპონენტის ერთგვარ ეროზიას და – დიდწილად – მის ჩანაცვლებას რუსულ-ბოლშევიკური სპეკულაციური კომპონენტით.

ასეთი გათვლა საკმაოდ „არგუმენტირებული“ იყო: რუსული მართლმადიდებლობა, როგორც ცარისტული რუსეთის ოდიოზური სახელმწიფო დოქტრინა, არსებითად, ხელს უშლიდა მეტროპოლიის „მშვიდობიან ურთიერთობას“ დაპყრობილი არა-რუსულ-მართლმადიდებლური ქვეყნების მოსახლეობასთან (კათოლიკურთან, პროტესტანტულთან, შიიტურთან, სუნიტურთან, ბუდისტურთან და სხვ.).

კერძო რელიგიურ შეფერილობას მოკლებული კომუნისტიკი – როგორც ამქვეყნიური საყოველთაო სამოთხე, ისტორიის საბოლოო, უალტერნატივო მიზანი – ამ მხრივ ნაკლებად „კონფლიქტური“ ჩანდა. ამასთან, ასეთი კონცეფტი არც მეტამითის რელიგიურ შემადგენელს უარყოფდა მთლიანად – კომუნისტური უტოპია აშკარად „ალუზირებდა“ სახარებისეულ ქრისტიანულ ღირებულებებთან (და, ასევე, ვლადიმირ სოლოვიოვისა და ვიარჩესლავ ივანოვის გარკვეულ რელიგიურ-თეოსოფიურ თუ ისტორიოსოფიურ შეხედულებებთან, რაც სტალინს უთუოდ კარგად შესწავლილი ექნებოდა).

მეორე მხრივ, მეტამითის ასეთი ინტერპრეტაცია ტროცკის „მსოფლიო რევოლუციის“ იდეისგანაც განსხვავდებოდა, რადგან მაინც სტოვებდა განსაზღვრულ, მკაფიო ნაციონალურ შემადგენელს – თანასწორთა შორის თანასწორის, მაგრამ მაინც „უფროსი ძმის“ – რუსი ერის სახით.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ეს არის თავად „უფროსი ძმის“ იდიოლოგიის თუ ისევე და ისევე მითოლოგიის „მკაფიო ბუნდოვანება“, ანუ – „უფროსი ძმა“ ერთმნიშვნელოვნად რუსი ერია, მაგრამ რატომ არის მაინც-დამაინც რუსი ერი „უფროსი ძმა“ – აი, ეს არ არის მთლად

ნათელი (მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობა ან თუნდაც მილიტარისტული სიძლიერე არასაკმარისი პირობაა ამ იდეოლოგიის რაციონალური დასაბუთებისთვის); და ეს ბუნდოვანება აკავშირებს მთელ სტალინისტურ სპეკულაციებს ტიუტჩევის მეტამითთან – კვლავ და კვლავ რუსული სულის იდუმალეობასთან, ტრანსცენდენტულ გამორჩეულობასთან.

თანდათან აღდგა შესაბამისი ტერმინოლოგიაც: „დიდი რუსეთი“, „დიდი რუსი ხალხი“ და მისთ. ამ მხრივ, ალბათ, სამაგალითოა სტალინის ეპოქის ერთ-ერთი „დანინაურებული პოეტის“, ვასილი ლებედევ-კუმაჩის მიერ (Василий Лебедев-Кумач, 1898-1949) 1941 წელს სტალინის დაკვეთით შექმნილი ტექსტი (რაც იმას ნიშნავს, რომ ბელადი ამ ტექსტის ყველა სტრიქონს შემოწმებდა და „საჭიროებისამებრ“ ჩაასწორებდა კიდევ) ა. ალექსანდროვის სიმღერა-ჰიმნისათვის „წმინდა (თუ წმინდათაწმინდა) ომი“ («Священная война»), სადაც ურდოს მისტიკაც იჩენს თავს:

Вставай, страна огромная,  
Вставай на смертный бой  
С фашистской силой темною,  
С проклятою ордой.

Пусть ярость благородная  
Вскипает как волна,  
Идет война народная,  
Священная война!

ადექ, ქვეყანავ უზარმაზარო,  
ადექ სასიკვდილო ბრძოლისთვის  
ფაშისტურ ბნელ ძალასთან,  
წყეულ ურდოსთან.  
დაე, მძვინვარება კეთილშობილი  
ადულდეს როგორც ტალღა,

ეს ხალხური (ხალხის) ომია,  
წმინდათაწმინდა ომი!

როგორც მოგეხსენებათ, სტალინმა ახალი, წითელი რუსული იმპერიალიზმის არა მხოლოდ თეორიული საფუძვლები შექმნა, არამედ პრაქტიკულადაც აღადგინა ცარის (= კომპარტიის I მდივნის) ინსტიტუტი და თვით იმპერიაც; მეტიც – გააფართოვა კიდევ იგი.

პოეზიაც ახალი ცარის „მითითებების“ შესაბამისად „ამოქმედდა“! და ეს ინერცია მაინცდამაინც არც სტალინის გარდაცვალებისა და მისი „მხილებს“ შემდეგ განელებულა...

# 13



## ХОТЯТ ЛИ РУССКИЕ ВОЙНЫЫЫ?

31

ევგენი ევტუშენკო  
ЕВГЕНИЙ ЕВТУШЕНКО

1932



საბჭოთა ყაიდის უსასრულო და მონოტონური დერჟავნიკულ-პატრიოტული პოეტური შემოქმედებიდან გავიხსენოთ რუსი საბჭოთა პოეტი, ევგენი ევტუშენკო, რომელიც, თითქოსდა, გულწრფელი სიყვარულით აღსავსე ლექსებს უძღვნიდა ჩვენს ქვეყანას. ევტუშენკოს ცნობილი სტრიქონებია:

Про Грузию забыв неосторожно,  
потом быть в России невозможно.

თუ დაივიწყებ საქართველოს, წინდაუხედავად,  
მაშინ რუსეთში პოეტად ყოფნას ვერასდროს შეძლებ.

მაგრამ მას კრინტიც კი არ დაუძრავს 2008 წელს და მას შემდეგაც რუსეთის მიერ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის – უკვე „არაფარულ“ – ოკუპაციაზე (ასევე მოიქცნენ ახმადულინა, ვოზნესენსკი და სხვ.). აი, რას წერდა ევტუშენკო 2006 წელს [257]:

26.12.2006

Неужели «Нельзя!» нам отменит все бывшие «льзя»,  
как забил кто-то дверь в ресторане грузинском «Лоза»?  
Грибоедов и Пушкин неужто и впрямь наяву  
нам забьют дверь в Тбилиси, грузинам – в Москву?  
Пели в этой «Лозе», будто было по-прежнему всё,  
«Я люблю тебя жизнь», Окуджаву и «Тбилисо»,  
и сдвигали столы, и сливались в тоскующий хор  
и сибирский шофер, и донецкий шахтер,  
и звучало со дна затонувшей страны:

«Хотят ли русские войны»...

И сказал мне один

мноий случайно затащенный лондонский сэр:

«Здесь, как выживший крохотный СССР».

Говорят, что все дело в поддельной политике их

и в поддельном вине.

Но поддельных политиков мало ли в нашей стране!

А поддельная водка – царица-убийца у нас.

Сколько песен поддельных, поддельно всевидящих глаз.

(...)

СССР не вернуть. Но союз есть другой –

за него я и бьюсь –

неподдельных народов живой неподдельный союз!

Как я друга другого такого найду на земле и на небе

Вместо Чабუа Амираджеби?

Осторожно мне сторож бутылку, укутав газетой, дает.

«По секрету.

Боржоми.

Последняя.

Вам, генацвале, на Новый год»...

Неужели сейчас,

у надежды на так ненадежном краю

я с последней бутылкой боржоми

в России стою?

ნუთუ „არ შეიძლება“ გააუქმებს ყველა ყოფილ

„შეიძლებას“,

როგორც ვილაცამ აჭედა (მოსკოვში) ქართული რესტორან

„ლოზას“ („ვაზის“) კარი?

ნუთუ გრიბოედოვი და პუშკინი ცხადში მართლა

აგვიჭედავენ ჩვენ თბილისის კარს, ქართველებს კი –

მოსკოვისას?

ვმლეროდით ამ „ლოზაში“, თითქოს ყველაფერი

ქველებურად იყო,

«Я люблю тебя жизнь»-ს, ოკუჯავას და „თბილისოს“,

და ვაერთებდით სუფრებს, და ვერწყმოდით ერთმანეთს

დარდიან გუნდად

ციმბირელი მძლოლიც, დონეცკელი მეშახტეც,

და გაისმოდა ჩაძირული ქვეყნის (= სსრკ-ის) ფსკერიდან:

«Хотят ли русские войны»...

და მითხრა ერთმა

რესტორანში ჩემ მიერ დაძალებით მოყვანილმა

ლონდონელმა სერმა:

„აქაურობა გადარჩენილ ერთი ბენო სსრკ-ს ჰგავს“.

ამბობენ, რომ ყველაფერი მათი (= ქართველების,

საქართველოს) ყალბი პოლიტიკის

და გაყალბებული ღვინის ბრალია.

მაგრამ განა ცოტაა ყალბი პოლიტიკოსი ჩვენ ქვეყანაში

(= რუსეთში)!

ხოლო გაყალბებული არაყი ცარიცა-მკვლელია ჩვენში.

ან რამდენია ყალბი სიმღერა, ყალბად ყოვლისმჭვრეტელი

თვალი.

(...)

სსრკ-ს ვერ დააბრუნებ. მაგრამ არსებობს სხვა კავშირი –

მე სწორედ მისთვის ვიღწვი –

ნაღდი ხალხების ნაღდი ცოცხალი კავშირი!

გინდა მინაზე და გინდა ცაზე როგორ ვიპოვი სხვა მეგობარს –

ჭაბუა ამირეჯების სანაცვლოს?

დარაჯი გაზეთში შეფუთულ ბოთლს შეფარვით მანვდის.

„საიდუმლოდ.

ბორჯომი.

ბოლო ბოთლი.

თქვენ, გენაცვალე, საახალწლოდ“...

ეს (ამ ტექსტს ლექსი არ ჰქვია) ტექსტი ვლადიმირ პუტინს საახალწლო მიმართვაში მისწერა ვეტუშენკომ. ამ მძიმედ, თუ სახელდახელოდ დანერილ და გართიმულ ტექსტს კი წინ უსწრებდა ჩვეულებრივი მიმართვა:

„ძვირფასო ვლადიმირ ვლადიმროვიჩ, გილოცავთ ახალ წელს და გულწრფელად გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ; (...) თქვენ უყურადღებოდ არ დატოვეთ ჩემი მიმართვა ბაიკალის შესახებ (იგულისხმება – ბაიკალის ტბის ეკოლოგიური პრობლემების თაობაზე – ნ. ზ.) (...) – გიგზავნით ახალ ლექსს.

*პატივისცემით, ვეგენი ვეტუშენკო,  
სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
სსრკ მწერალთა კავშირის ქართული  
ლიტერატურის კომისიის თავმჯდომარე“.*

პოეტური ტექსტის უხარისხობის მიუხედავად, თითქოსდა, რა უნდა გვეთქმოდეს მადლობის გარდა? კაცი ცდილობს, რუსეთის „ცარს“ ხმა მიანვდინოს, რათა ქართული ღვინო და „ბორჯომი“ ისევ გამოჩნდეს რუსულ ბაზარზე: ჩვენს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ზრუნავს. ამისათვის – მადლობა, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, ეს კვბ-სთან დაახლოებული პირი [258], როგორ წარმოადგენს თავის თავს ცარის წინაშე: საბჭოთა კავშირის ლაურეატი, სსრკ მწერალთა კავშირის ქართული კომისიის თავმჯდომარე!

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. ახალგაზრდა თაობის მკითხველისათვის ორ დამატებით მომენტს განვმარტავთ. ნუ ეხამუშება და ნურც კორექტურული შეცდომა ეგონება ვინმეს ჭაბუა ამირეჯიბის გვარის უზუსტო მოყვანა: რუსებს (და არა მხოლოდ რუსებს), მათ შორის, მაღალჩინოსნებს უჭირდათ და უჭირთ ქართული სახელებისა და გვარების გამოთქმა – ისინი წარმოთქვამენ მათ

ისე, როგორც რუსული ენისათვისაა მოსახერხებელი; ამის გამო რუსეთის ოფიციალური მჭიდროდ დაკავშირებულ (თუ მასზე დამოკიდებულ) არაერთ ქართველს შორეულ და ახლო წარსულშიც გადაუკეთებია სახელი ან გვარი (ან ორივე ერთად) – რუსი მფარველებისათვის „საქმის გასაიოლებლად“. როგორც მოგეხსენებათ, ჭაბუა ამირეჯიბი მათ რიცხვს არ ეკუთვნოდა.

ეს უზუსტობა, იმავდროულად, უტყუარი ნიშანია იმისა, რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ: ზერეღობის, ზერეღე დამოკიდებულებისა ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურის მიმართ (აქ მახსენდება „რუსი საბჭოთა ტურისტების ლექსი“, რომელიც რამდენიმე ხნის წინ ვახტანგ ჯავახიანიც გაიხსენა „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე:

*Мы приехали в Тбилиси  
И сейчас же напилиси.  
Что-то ели, Что-то пели,  
Что-то Шота Руставели.*

ჩვენ ჩამოვედით თბილისში  
და მაშინვე დავთვერით.  
რაცხა საჭმელი, რაცხა სასმელი,  
რაცხა შოთა რუსთაველი.

მეორე მომენტი კი ისაა, რომ ეს ლექსი შეიცავს ავტოციტატასაც ვეტუშენკოს ადრეული, ჩვენი შეხედულებით, სრულიად სამარცხვინო, მართლა, „კაგებეშნიკური“ ლექსიდან «Хотят ли русские войны...» („უნდათ კი რუსებს ომი?“). ამ ლექსის ტექსტზე ცნობილი სიმღერაც დაიწერა, რაც უმალ შეიტანეს საბჭოთა არმიის ალექსანდროვის სახელობის გუნდის – რუსული ხიშტის მშვიდობისმყოფელობის მომღერალი სიმბოლოს – რეპერტუარში და ამ სიმღერას საბჭოთა ჯარისკაცის ფორმებში გამონყობილი ჭალარა-

შერეული მომღერლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ასრულებდნენ. მაშინვე ანექლოტიც გაჩნდა: სოლისტი მღერის – «Хотят ли русские войныыыы?», გუნდი კი მისამღერს ასრულებს – «Хотят, хотят, хотят, хотят» (ეს ანექლოტი დღესაც აქტუალურია).

\* \* \*

მაგრამ დავუბრუნდეთ ზემოთ ციტირებულ პოეტურ ტექსტს: ევტუშენკო „პუტინისტურ“-„კავებეშნიკური“ სპეკულაციების ფონზე, ვითომ, სიყვარულს უდასტურებს საქართველოს და... სამ-ნახევარი წლის შემდეგ, როცა რუსეთი ზარ-ზეიმით აღნიშნავს საქართველოს დამარცხების მეორე წლისთავს, თბილისის გვერდის ავლით, ჩადის აფხაზეთში. რუსულსა და რუსულენოვან აფხაზურ ინტერნეტსაიტებზე ჩნდება ინფორმაცია, მაგალითად, ასეთი სათაურით: „ევგენი ევტუშენკომ საქართველოს სახეში შეაფურთხა“ [259]; ვგებულობთ, რომ აფხაზეთში ჩასული ევტუშენკო 2010 წლის 10 აგვისტოს სტუმრობს „ეროვნულ ბიბლიოთეკას“ და დიმიტრი გულიას სახელობის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმს; სჩუქნის „ეროვნულ ბიბლიოთეკას“ თავის წიგნებს; ესაუბრება აფხაზეთის „სახალხო მწერალს“, ალექსეი გოგუას და იხსენებს გარდაცვლილ აფხაზ მეგობრებს; აუწყებს აფხაზ კოლეგებს თავის ახალ იდეას აფხაზეთისადმი მიძღვნილი და აფხაზეთში დანერგილი ლექსების თავმოყრისა და ცალკე წიგნად გამოცემის შესახებ; გულიას მუზეუმში ამბობს, რომ ახლაც მზადაა ხელი მოაწეროს მისსავე 34 წლის წინანდელ ჩანაწერს მემორიალურ წიგნში: „გულიას სიცოცხლე – ეს აფხაზეთის ანმეოსა და მომავლის ფესვია“ და ა. შ. და მისთ. [260].

ყოველივე ამან ევტუშენკოს მიმართ „ილუზიაშეპყრობილ“ ბევრ ქართველს დასწყვიტა გული, მათ შორის

– როგორც ინტერნეტიდან ირკვევა – ევტუშენკოს ძველ მეგობარს, ქალბატონ ანაიდა ბესტაეაშვილს: სატელეფონო საუბარისას ქალბატონ ანაიდას მიერ დასმულ კითხვებზე გაღიზიანებულ ევტუშენკოს სრულიად არაადეკვატური პასუხები გაუცია [261].

ამის გამო გულდანწყვეტა არ ღირს – როგორც აღმოჩნდა, ამ შემთხვევაშიც სინამდვილე გაცილებით მარტივია: ევტუშენკო ახლა აფხაზებს „აბოლებს“, ისევე, როგორც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველებს „აბოლებდა“ – მას აგუძერაში თავისი უძრავი ქონების ბედი აინტერესებს; სხვათა შორის, იმ უძრავი ქონებისა, რომელიც „ჟენიას“ თავის დროზე თურმე საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა, ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ უსაჩუქრა; ასევე სხვათა შორის, მანვე, უკვე როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურმა, 2003 წელს ჟენია ღირსების ორდენითაც დააჯილდოვა!

საქართველოს მთავრობის განცხადებით, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველყოფს მხოლოდ ერთი კომპანია - "საქსტელის" მიერ. ამ კომპანიის მფლობელები არიან რუსეთის ბიზნესმენები. მთავრობის განცხადებით, ეს სიტუაცია ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაციის დასაცემად უნდა შეიცვალოს. მთავრობის განცხადებით, "საქსტელის" მიერ უზრუნველყოფილია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10-15%.

# 14

## სსპ „აბთოცოზიუნი“ ჰოჯახი

ნიკოლოზ ტრიაპკინი  
НИКОЛАЙ ТРЯПКИН

1918-1999



ნიკოლოზ სტარშინოვი  
НИКОЛАЙ СТАРШИНОВ

1924-1998



ალექსანდრე კუვაკინი  
АЛЕКСАНДР КУВАКИН

1960




მარინა სტრუკოვა  
МАРИНА СТРУКОВА

1975



ევგენი ჩეპურნიხი  
ЕВГЕНИЙ ЧЕПУРНЫХ

1954



პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსულ პოეზიაშიც უამრავი დერჟავნიკული სტრიქონის მოძებნა შეუძლია ნებისმიერ მკითხველს, ვისთვისაც ინტერნეტი მისაწვდომია.

სრულიად არ არის გასაკვირი ის, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ცნობილ რუს საბჭოთა პოეტებს, პოეტ-კომუნისტებს აწუხებთ ნოსტალგია საბჭოთა იმპერიალიზმის მიმართ, აწუხებთ დერჟავის რღვევა, „პაპათა მიწების დაფლეთა“. მოვიყვანთ მაგალითებს 2009 წელს გამოცემული ანთოლოგიიდან „რუსული პოეზია. XXI საუკუნე“ (შემდგენელი – გენადი კრასნიკოვი [262]).

ნიკოლოზ ტრიაპკინი (Николай Тряпкин, 1918-1999):

А нынче нет моей стрехи И нет Державы.  
И в горьком дыме все верхи И все канавы...

დღეს აღარ არის ჩემი სტრეხა  
და აღარ არის დერჟავა.  
და მწარე კვამლშია – ყველა სიმაღლე  
და ყველა თხრილი...

(სტრეხა – რუსული ქობის = იზბის = იზბუშკის ჩაღის სახურავი).

ნიკოლოზ სტარშინოვი:

...Как я скорбь свою осилю,  
Как потомки нас простят:  
На глазах у всех Россию  
Чёрны вороны когтят.

Днём и ночью, днём и ночью  
Рвут её, впадая в хмель...  
И летят по миру клочья  
Наших дедовских земель...

...როგორ მოვერევი ჩემს მწუხარებას,  
როგორ გვაპატიებენ შთამომავლები:  
ყველას თვალნი რუსეთს  
შავი ყორნები ჯიჯგნიან.  
დღით და ღამით, დღით და ღამით  
გლეჯენ მას, და ეს დაგლეჯა თრობას ჰგვრით...  
და აქეთ-იქით იფანტება ნაგლეჯები  
ჩვენი მამა-პაპის მიწებისა...

არსებითად იგივე ითქმის საშუალო თაობის რუსი პოეტების უმრავლესობაზეც: ანთოლოგიაში შეტანილი ალექსანდრე კუვაკინის (Александр Кувакин, დაიბ. 1960), სტრიქონებიც საკმარისად „ნოსტალგიურია“, კიდევ უფრო მეტი გრძნობებია ჩაქსოვილი მის ლექსში „ნითელი ბულბული“ («Красный соловей»):

О судьбе Советского Союза,  
О любви и гордости своей,  
О слепых товарищеских узах  
Спой, как прежде, красный соловей.

Ты взахлёб, бывало, заливался  
О рассветах нежных над Кремлём,  
Ты союзом нерушимым клялся,  
Пел, что саду цвеств в краю родном,  
(...)

Или ты жалеешь, что безумству  
Храбрых больше песню не споёшь?  
Красный соловей, долой угрюмство,

Бело-сине-красный гимн даёшь!  
Ты же верил искренне и твёрдо.  
Что же вера твёрдая твоя?  
Прочь сомненья, ну-ка громко, гордо:  
«Широка, как встарь, страна моя!»

საბჭოთა კავშირის ბედზე,  
სიყვარულზე და სიამაყეზე,  
საყოველთაო ამხანაგურ კავშირზე  
გვიმღერე, როგორც უნინ, ნითელი ბულბული.  
იყო დრო, სულმოუთქმელად უგალობდი  
ფაქიზ განთიადებს კრემლის თავზე,  
შენ ამბობდი: „გეფიცები კავშირს“ (= საბჭოთა კავშირს),  
მღეროდი, რომ აყვავდება ბალი მშობლიურ მხარეში,  
(...)

ან იქნებ ნანობ, რომ სიგიჟეს  
მამაცთა აღარ უმღერებ სიმღერებს?  
ნითელი ბულბული, მოიშორე დაღვრემილობა,  
იმღერე თეთრ-ლურჯ-ნითელი ჰიმნი!  
შენ ხომ გწამდა გულწრფელად და მტკიცედ.  
მერედა, რა იქნა შენი მტკიცე რწმენა?  
შორს – ეჭვი, აბა, ხმამალლა, ამაყად:  
„უსაზღვროა, როგორც ძველად, ქვეყანა ჩემი!“

(სიგიჟეს მამაცთა/безумству храбрых – რემინისცენციაა: გვახსენებს მაქსიმ გორკის, რევოლუციური შინაარსის მქონე, რიტმიან იგავ-არაკს „სიმღერა შევარდენზე“, სადაც გვხვდება ეს პოეტური ფიგურა; თეთრ-ლურჯ-ნითელი – რუსეთის იმპერიისა და თანამედროვე რუსეთის დროშის ფერები; „უსაზღვროა, როგორც ძველად, ქვეყანა ჩემი!“ («Широка, как встарь, страна моя!») – ესეც რემინისცენციაა 1936 წელს შექმნილი, ცნობილი საბჭოთა იდეოლოგიური ჰიტისა «Широка страна моя родная»: ტექსტის ავტორი – ვასილი ლებედევ-კუმაჩი, კომპოზიტორი – ისააკ დუნაევსკი; დაინერა

გრიგორი ალექსანდროვის კინოფილმისათვის „ცირკი“, თუმცა მერე ფართოდ გავრცელდა, საბჭოთა კავშირის ერთგვარ „მეორე პიონად“ იქცა).

შედარებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია მარინა სტრუკოვა (Марина Струкова, დაიბ. 1975):

То ли с Запада армады грядут,  
То ли с Юга азиатчина крадется,  
Обступают, осаждают, пройдут...  
Всё пройдёт, одна Россия останется.  
И Америка потопа хлебнёт,  
И Европа жгучим пеплом подавится,  
А нам пламя мятежей, словно мёд.  
Всё пройдёт, одна Россия останется...

დასავლეთიდან არმადები თავს გვატყდებიან,  
თუ სამხრეთიდან აზიატჩინა (დაახლ. = აზიურობა,  
ოლონდ კინი ფორმით) მოიპარება,  
გარს გვერტყმინან, ალყაში გვაქცევენ, გაივლიან...  
ყველაფერი გაივლის, მხოლოდ რუსეთი დარჩება.  
წარღვნა წალეკავს ამერიკას,  
ევროპაც მწველი ფერფლით ამოიხრჩობა,  
ჩვენთვის კი ამბოხებუბის ალი თაფლივითაა.  
ყველაფერი გაივლის, მხოლოდ რუსეთი დარჩება.

ვსევოლოდ ემელინი ჟურნალ „ოგონიოკის“ გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ ხუთ ყველაზე პოპულარულ თანამედროვე რუს პოეტთაგან ერთ-ერთია:

Среди заморской сволочи  
Почти что не видна  
Бутылка русской водочки,

Стоит в углу одна.

(...)

Стоит, скрывая силушку,  
Являя кроткий нрав.  
Вот так и ты, Россиюшка,  
Стоишь в пиру держав.  
Ославлена, ограблена,  
Оставлена врагу.  
Душа моя растравлена,  
Я больше не могу...

ზღვისიქითიდან ჩამოთრეულთა შორის,  
თითქმის შეუმჩნეველი,  
რუსული ვოდოჩკა  
დგას კუთხეში მარტო.  
(...)

დგას და მალავს სილუშკას,  
ავლენს თვინიერ ზნეს.  
აი, ასე შენც, როსიუშკა,  
დგახარ დერჟავების ნადიმში.  
დასუსტებული, გაქურდული,  
მტრის საჯიჯგნად მიტოვებული.  
სული ჩემი მოინამლა,  
მე მეტი არ შემიძლია...

(ვოდოჩკა, სილუშკა, როსიუშკა – მოფერებითი ფორმებია, რუსულისთვის ბუნებრივი = არაყიკო, ძალუკა, რუსეთიკო).

ასეთი შეხედულებებისა თუ განწყობილებების ამოსავალი, თავი და თავი ტიუტჩევის მეტამითია, ტიუტჩევისეული მსოფლალქმება; რაც ბავშვობიდან ძვალსა და რბილში აქვთ გამაჯდარი როგორც რუსული ინტელიგენციის წარმომადგენ-

ლებს, ასევე „უბრალო“, ნაკლებად განათლებული მოსახლეობის უდიდეს ნაწილს.

ამის კიდევ ერთი ნათელი, თანამედროვე „პოეტური მაგალითია“, მართლაც, დიდად ნიჭიერი, გამორჩეული პოეტის, ევგენი ჩეპურნიხის შემოქმედება (Евгений Чепурных, დაიბ. 1954). მისი ლექსები 2014 წლის თებერვალში რუსეთის „სახალხო პოეტის“ პრემიის მოსაპოვებლადაც იყო ნომინირებული და ეს შემთხვევითი არ არის: სამარის ოლქის ქალაქ ჩაპაევსკში დაბადებული, ამჟამად სამარაში მცხოვრები, მტვირთავად და ზეინკლად ნამუშევარი ჩეპურნიხი [264] ერთდროულად რუსი ინტელიგენტიც არის და „უბრალო ხალხის“ წარმომადგენელიც. ლექსში „არც არაფერია საჭირო“ – «А ничего и не надо...» სრულიად გულწრფელად არის გადმოცემული ის გრძნობები თუ განცდები, რასაც რუსი კაცის, რუსი პოეტის სულში იწვევს დღევანდელი დღე და დღევანდელი სამშობლო.

Жизнь и судьбу не ломаю,  
В странном плутая кругу.  
Милые,  
Всё понимаю,  
Да ничего не могу.

Нынче с зимой белоглавой  
Рядом сижу у стола.  
Милые, Где же мне плавать,  
Если вода утекла?

Светлый порыв снегопада  
Мягко замрёт на устах.  
А ничего и не надо,  
Пусть всё останется так.

ცხოვრებას და ბედს არ ვებრძი,  
უცნაურ წრეში ვტრიალებ.  
კარგებო,  
ყველაფერი მესმის,  
მაგრამ არაფერი შემიძლია.  
დღეს თმადათოვლილი ზამთრის  
გვერდით ვზივარ სუფრასთან.  
კარგებო,  
აბა, სად ვიცურაო,  
თუკი მდინარე დაშრა?  
თოვის ნათელი ქროლვა  
რბილად გაიყურა ბაგეებზე.  
და არც არაფერია საჭირო,  
დარჩეს ყველაფერი ასე.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე რუსული კულტურის არც ერთ მეტ-ნაკლებად ცნობილ წარმომადგენელს (რამდენიმე ყოფილი დისიდენტისა თუ დღევანდელი უფლებადამცველის გარდა) აუგი სიტყვა არ დასცდენია რუსეთის „მოდერნიზებული“ დერჟავის მიერ საქართველოს (მისი ნაწილის) ხელახალ ოკუპაციაზე...

1. <http://ru.wikipedia.org/wiki/Русофобия>
2. Рутковский А., До и после Иоселиани, Еженедельник 2000, №43/455, 24-29.11.2008. იხ. ასევე – <http://2000.net.ua/2000/aspecty/zhizn/44124>
3. Ципко А., В ожидании Гагарина: сила и слабость молодежного консерватизма, «Литературная газета», 2005, №1. იხ. ასევე – <http://www.pravaya.ru/leftright/472/6290>
4. იგულისხმება პიოტრ სტრუვე (Пётр Бернгардович Струве, 1870-1944) – ცარისტული რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, ეკონომისტი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. იგი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აქტიურად ავითარებდა ერთგვარი ეკონომიკური ლიბერალიზმით შენიღბულ, ახალ იმპერიულ დოქტრინას, რასაც დღესაც იყენებს პუტინის რუსეთი, და რაც მოკლედ გაანალიზებულია ხსენებულ წერილში (ბოლშევიკური გადატრიალება სტრუვემ უარყოფითად აღიქვა, 1920 წელს დატოვა რუსეთი და ემიგრაციაში გააგრძელა საქმიანობა).
5. ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990.
6. Weekend, გაზეთ „24 საათის“ დამატება, 5 (101), 14-15 თებერვალი, 2009, გვ. 10.
7. სუმაროკოვისა და ლომონოსოვის ლექსების შედარებით ანალიზს მიაკვლევთ წერილში: Гаспаров М. Л., Стиль Ломоносова и стиль Сумарокова – некоторые коррективы. იხ. ასევე – <http://magazines.russ.ru/nlo/2003/59/gaspar.html>
8. Сумароков А., Три века русской поэзии, Изд. 2-е, дополненное. Составитель: Н. В. Банников, М., 1979.
9. <http://ru.wikipedia.org/wiki/Сумароков,-Александр-Петрович>
10. რუსულ პოეზიაში კავკასიასთან მიმართებით „კლიმატოლოგიური დისკურსის“ პოვნაც არა არის ძნელი, მაგალითად, წავიკითხოთ რუსი „უფროსი სიმბოლისტების“ თვალსაჩინო წარმომადგენლის, მწერლის, პოეტის, ლიტერატურის თეორეტიკოსის

და რელიგიური ყაიდის ფილოსოფოსის, დმიტრი მერეჟკოვსკის (Дмитрий Мережковский, 1865-1941) ერთ-ერთი ნაწარმოების ფრაგმენტი (Вера. Повесть в стихах. მისივე წიგნიდან «Символы. Песни и поэмы»; პირველად გამოიცა სანქტ-პეტერბურგში 1892 წელს. იხ. ასევე – <http://merezkovsky.ru/lib/poetry/vera.html>):

Забелин к доктору зашел от скуки.  
Тот взвешивал его: «Помог Кавказ!  
Прибавилось полпуда. В добрый час!..  
Что значит климат! — потирая руки,  
Смеялся немец. — Поздравляю вас:  
Теперь сто лет вам жить!»

მონყენილობამ ზაბელინი ექიმთან მიიყვანა.  
ექიმი პაციენტის აწონვისას: „კავაკასიამ გიშველათ!  
ნახევარი ფუთი მოიმატეთ. კეთილად შეგერგოთ!..  
აი, რას ნიშნავს ჰავა! – ხელების ფშვუნებით,  
იცინოდა გერმანელი (= ექიმი) – გილოცავთ:  
ახლა უკვე ას წელს იცოცხლებთ!“

11. „სამიზდატი“ ენოდებოდა საბჭოთა კავშირში აკრძალული ლიტერატურული, პუბლიცისტური და რელიგიური ნაწარმოებების გავრცელების ხერხს: ტექსტები ჩვეულებრივი საბეჭდი მანქანისა და ასგადამყვანი ქალაქის გამოყენებით (მოგვიანებით ფოტოკოპირების მეშვეობითაც) მრავლდებოდა და არალეგალურად ვრცელდებოდა.
12. <http://antology.igrunov.ru/authors/synyavsky/1059651903.html>
13. იხ.: > <http://www.skaz-pushkina.ru/poetry/stihi.php?sid=816&st=15>  
> <http://rvb.ru/pushkin/01text/02poems/01poems/0785.htm>  
> <http://pushkinjan.ru/kavkaz-plen/kavkaz-plen-4.html> da xv.
14. <http://wars175x.narod.ru/bgr-cic.html>
15. ლენგი დ., საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, თბ., 2003. დაიბეჭდა ეკონომიკის ინსტიტუტის სტამბაში (Lang. D. M., The Last Years of the Georgian Monarchy, Columbia University Press, New York, 1957; თარგმანი მიხეილ გამყრელიძისა; რედაქტორი – პროფ. თამაზ ბერიძე).

16. Потто В., Кавказская война, Т. 1, ч. 2, За Кавказом, гл. V: Персидский поход Зубова, М., 2006 (პირველი გამოცემა 1899). – იხ. ასევე <http://www.vehi.net/istoriya/potto/kavkaz/25.html>
17. <http://dic.academic.ru/dic.nsf/enc-biography/137715/Зубов>
18. <http://www.rulex.ru/01080331.htm>
19. <http://web.archive.org/web/20091216140052/www.rustrana.ru/article.php?nid=22824>
20. Баддели Д., Завоевание Кавказа русскими 1720-1860, М., 2011, Стр. 62.
21. Дондуа К., Пушкин в грузинской литературе, В кн: Пушкин в мировой литературе – сборник статей. Л., Государственное издательство, 1926. იხ. ასევე – <http://lib.pushkinskijdom.ru/LinkClick.aspx?fileticket=X1IC9wrESj0%3D&tabid=10396>
22. <http://ru.wikipedia.org/wiki/Жуковский,-Василий-Андреевич>
23. Серчевский Е., А. С. Грибоедов и его сочинения, СПб., 1858. იხ. ასევე – <http://ru.wikipedia.org/wiki/Грибоедов,-Александр-Сергеевич>
24. <http://feb-web.ru/feb/griboed/texts/fom88/gruzno88.htm>
25. <http://feb-web.ru/feb/griboed/texts/fom88/commen88.htm?cmd>
26. <http://feb-web.ru/feb/griboed/critics/vos29/bode-29.htm>
27. Потто В., Кавказская война, Т. 3, гл. XXXV: Посольство и смерть Грибоедова, М., 2006. იხ. ასევე – <http://statehistory.ru/books/Kavkazskaya-voyna--Tom-3--Persidskaya-voyna-1826-1828-gg/35>
28. Потто В., Кавказская война, Т. 3, гл. XXXIV: Туркменчайский мир., М., 2006. იხ. ასევე – <http://statehistory.ru/books/Kavkazskaya-voyna--Tom-3--Persidskaya-voyna-1826-1828-gg/35>
29. გამსახურდია კ., ღია წერილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის, დავით მჭედლიშვილისადმი. იხ. ასევე – <https://burusi.wordpress.com/2009/07/15/კონსტანტინე-გამსახურდი-2/>
30. <http://ru.wikipedia.org/wiki/Пушкин,-Александр-Сергеевич>
31. Аверинцев С. С., Гёте и Пушкин: 1949-1799-1999. «Новый мир», 1999, № 6. იხ. ასევე – <http://www.philology.ru/literature2/averintsev-99.htm> ამ წერილში (და ზოგადადაც) ავერინცევი, აშკარად, პუშკინს გოეთეს დონის შემოქმედად მიიჩნევს. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ავერინცევი ცოტათი აჭარბებს: პუშკინი

- უთუოდ დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული, მაგრამ, სამყაროს მეტაფიზიკური სიღრმეების პოეტური წვდომის ძალითა თუ უნარით, იგი გოეთეს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა.
32. ნიგნში: Лихачева Д., Заметки и наблюдения. Из записных книжек разных лет, Л., 1989. იხ. ასევე – <http://rus.1september.ru/article.php?ID=200102101>.
  33. Достоевский Ф. М., Дневник писателя, 1880, Гл. Вторая: Пушкин (Очерк), Произнесено 8 июня в заседании Общества любителей российской словестности. იხ. ასევე – [https://ru.wikisource.org/wiki/Дневник-писателя.-1880-год-\(Достоевский\)/ГЛАВА-ВТОРАЯ](https://ru.wikisource.org/wiki/Дневник-писателя.-1880-год-(Достоевский)/ГЛАВА-ВТОРАЯ).
  34. <http://rvb.ru/pushkin/01text/06prose/01prose/0870.htm>
  35. Hokanson K., Literary Imperialism, Narodnost' and Pushkin's Invention of the Caucasus, *The Russian Review*, July, 1994, vol. 53.
  36. იგულისხმება „კავკასიის ტყვე“, რომელსაც განმარტებით ქვესათაურად თვით პუშკინმა ჯერ „რომანტიკული პოემა“, ხოლო საბოლოოდ „პოვესტი“ უწოდა, ანუ ამ შემთხვევაში – თხზულება, მოთხრობა.
